ერიხ მარია რემარკი

დასავლეთის ფრონტი უცვლელია

ერიხ მარია
რემარკი

დასავლეთის ფრონტი უცვლელია

ჩვენ ზურგში ვიმყოფებით, ფრონტის ხაზიდან ცხრა კილომეტრის დაშორებით. გუშინ შეგვცვალეს; ახლა მუცლები ხორციანი, თეთრი ლობიოთი გვაქვს გამოტენილი და თავს მაძღრად და კმაყოფილად ვგრძნობთ. ვახშმად თითო-თითო ქვაბიც კი გვერგო. დამატებით, ძეხვსა და პურსაც იძლევიან - მაგარია. ასეთი შემთხვევა დიდი ხანია აღარ გვქონია: ჩვენი სამზარეულოს ბატონი, წითელ პომიდორს რომ მიუგავს თავი, თავად გვთავაზობს საჭმელს; ყოველ გამვლელს ჩამჩით თავისკენ იწვევს და თეფშებს პირამდე უვსებს. სრულ სასოწარკვეთაშია ჩავარდნილი, რადგან გულიაშის უშველებელი „ტყვიამფრქვევი“ არა და არ იცლება. თიადენმა და მიულერმა საიდანღაც დიდი ჯამები გააჩინეს და, სარეზერვოდ, პირამდე აავსებინეს, თიადენმა ღორმუცელობის, მიულერმა კი სიფრთხილის გამო. როგორ ინელებს თიადენი ამდენს, ნამდვილი გამოცანაა, არადა გამხმარ ქაშაყს მიუგავს თავი.

მთავარი ის არის, რომ თამბაქოს ორმაგი ულუფითაც მოგვამარაგეს. თითოეულს ათი სიგარა, ოცი სიგარეტი და ორ-ორი ფილა საღეჭი თამბაქო - მაგარია! ჩემი საღეჭი თამბაქო კაჩინსკის გავუცვალე სიგარეტში და მარაგი ორმოცამდე გავზარდე. ამას დღის ბოლომდეც კი ვიმყოფინებ.

სულაც არ გვეკუთვნის ამხელა საჩუქარი. თან არც ისეთი ხელგაშლილები არიან პრუსიელები. მგონი, რაღაც შეცდომას უნდა ვუმადლოდეთ. ფრონტის ხაზზე ჩასანაცვლებლად ორი კვირის წინ მიგვავლინეს. ქვედანაყოფში შედარებით სიმშვიდე იყო. ჩვენი დაბრუნებისას დიდი რაოდენობით საკვები შემოვიდა. ასეულის უფროსმა წინასწარ დაიჭირა თადარიგი ას ორმოცდაათ კაცზე, მაგრამ სწორედ ბოლო დღეს მოულოდნელად გამოჩნდნენ ინგლისური არტილერიის ქვემეხები და მაღალკალიბრიანი ჭურვები, რომლებსაც შეუსვენებლად უშენდნენ ჩვენს სანგრებს. დანაკარგი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა და მხოლოდ ოთხმოცმა შევძელით დაბრუნება.

ფრონტის ზურგში ღამით შევედით და, რიგიან გამოძინებას დანატრებულნი, იმწამსვე ნარებზე გავიჭიმეთ. კაჩინსკი მართალს ამბობს: არც ისე ცუდი იქნებოდა ომი, ცოტა მეტი ძილის საშუალება რომ მიეცათ ადამიანისთვის. ფრონტის ხაზზე ეს გამორიცხულია, ორი კვირა კი გაუსაძლისად ნელა მიიზლაზნება.

ბარაკიდან ნაშუადღევს ამოვცოცდით. ნახევარ საათში ქვაბები მოვიმარჯვეთ და „გულიაშმფრქვევთან“ განვლაგდით, რომელსაც ქონისა და საკვების საამო სუნი ასდიოდა. სათავეში, ცხადია, „უმშიერესნი“ მოექცნენ! ტანდაბალი ალბერტ კროპი ჩვენ შორის ყველაზე ნათელი გონებისაა და ამიტომაც უკვე ეფრეიტორია; - მიულერი ვ, რომელიც ჯერ კიდევ სასკოლო სახელმძღვანელოებს დაათრევს თან და შეღავათიან გამოცდებზე ოცნებობს: ომის ქარცეცხლში ფიზიკის კანონებს იზეპირებს; - ლეერი, ხშირი წვერით, რომელსაც მუდმივად ოფიცრებისათვის განკუთვნილი საროსკიპოებისკენ გაურბის თვალი. ამტკიცებს, რომ არსებობს ბრძანება, რომლის

fb.com/groups/elib

თანახმადაც, ბოზებს აბრეშუმის პერანგის ტარება ევალებათ, ხოლო კაპიტნისა და უფრო ზემდგომთა მომსახურებისას, აბაზანის მიღებაც; - და მეოთხე, მე, პაულ ბოიმერი. ოთხივენი, ცხრამეტი წლისანი, ერთი კლასიდან გავეშურეთ ფრონტზე. უკან ჩვენი მეგობრები გვედგნენ: თიადენი, ჩვენი ასაკის გამხდარი ზეინკალი, ჩვენ შორის უდიდესი ღორმუცელა, საჭმელად რომ ჯდება, ჩვეულებრივ გამოიყურება და სუფრიდან ადგომისას ფეხმძიმე ბაღლინჯოს წააგავს; - ჰაიე ვესთუსი, ასაკით ესეც ჩვენ-ხელა, ტორფის მუშა, რომელსაც შეუძლია ერთი მთლიანი პური მუჭში დაიტიოს და გკითხოს, აბა, გამოიცანი, მუჭში რა მიდევსო? - დეთერინგი, გლეხი, რომელიც დღენიადაგ მხოლოდ საკუთარ მეურნეობაზე და ცოლზე ფიქრობს; - და ბოლოს, სტანისლავ კაჩინსკი, ჩვენი გუნდის თავი, მიწისფერი სახით. გამძლე, მოქნილი და ეშმაკი, ორმოცი წლის, ცისფერი თვალებითა და დაქანებული მხრებით, საშიშროების მოახლოებას გემრიელი საკვებისა და თავშესაფრის პოვნის აუცილებლობის უჩვეულო ყნოსვით რომ გრძნობს.

ჩვენი ჯგუფი „გულიაშმფრქვევის“ წინ გაჭიმული რიგის სათავეში მოექცა. ყველას მოუსვენრობა დაგვეუფლა, რადგან მზარეული, რომელიც აზრზეც არ იყო, რა ხდებოდა, რაღაცას ელოდა.

კაჩინსკიმ ბოლოს ვეღარ მოითმინა და გასძახა: „გააღე ეგ შენი საბულიონე სარდაფი, ჰაინრიხ! ლობიო უკვე გადაიხარშა.“

მოთენთილმა მზარეულმა თავი გააქნია: „ჯერ ყველანი მოგროვდნენ!“

თიადენი გაიკრიჭა: „ყველანი აქ ვართ და სამზარეულოს მეთაური კი ვერც ამჩნევს!“

„დანარჩენები სად არიან?“ - დაბნეულად იკითხა მზარეულმა.

„დღეიდან შენს კმაყოფაზე აღარ არიან! ზოგი ლაზარეთშია და ზოგიც - მიწაში!“

ამ ამბავმა საკვების უფროსი იმდენად შეძრა, რომ წონასწორობა დაკარგა.

- მე ას ორმოცდაათი კაცისთვის გავამზადე! - კროპმა იდაყვი გაჰკრა გვერდში და წამოიძახა: „ბოლოს და ბოლოს გვეღირსება გაძღომა! აბა, მიდი, შეუდექით.“

თიადენს უეცრად რაღაც აზრმა გაუელვა. თაგვივით წაწვეტებული სახე გაუბრწყინდა, თვალები ეშმაკურად დაუწვრილდა, ღაწვები აუთამაშდა და სამზარეულოს უნტერ-ოფიცერთან მიიჭრა: „ადამიანო, მაშ შენ ას ორმოცდაათი კაცის სამყოფი პური გაქვს?“ უნტერ-ოფიცერი დაიბნა და თავი დაუქნია. „და ძეხვიც?“ თანხმობა ისევ თავის დაქნევით მიიღო.

თიადენს ყბები უცახცახებდა: „და თამბაქოც?“

„ჰო, ყველაფერი, ჰო!“

გაბადრულმა თიადენმა მიმოიხედა. „ღმერთო ჩემო! ამას ჰქვია იღბალი! მაშ, ყველაფერი ჩვენთვისაა! თითოეული ორმაგს მიიღებს, - დაიცადეთ, - ზუსტად გაორმაგებულს, ნაღდია!“

პომიდორს კვლავ სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო და განაცხადა: „ასე არ გამოვა!“

აქ ჩვენც გამოვცოცხლდით და ჭყლეტვაში გზის გაკვალვას შევეცადეთ.

„რატომ არა, შე ჭარხლისთავა?!“ - იკითხა კაჩინსკიმ.

„ოთხმოცი ას ორმოცდაათი არ არის და იმიტომ.“

„ამას ჩვენ გაჩვენებთ, აი ნახავ!“

„წვნიანი კი ბატონო, მაგრამ პური და ძეხვი მხოლოდ ოთხმოც კაცზე გაიცემა!“ - დაიჟინა პომიდორმა.

კაჩინსკი აღშფოთდა: „ერთხელ შენც უნდა მიგავლინონ ფრონტის ხაზზე! საკვები ოთხმოცი კაცისთვის კი არ მიიღე, არამედ მეორე ქვედანაყოფისთვის და გასცემ კიდევაც! გაიგე? მეორე ქვედანაყოფიც ჩვენ ვართ და მორჩა!“

მაგრად მივაწექით საწყალს. გულზე მაინცდამაინც არავის ეხატებოდა, სანგრებში ხშირად სცოდავდა, მაგის წყალობით საჭმელს გვიან და თანაც ცივს გვაწვდიდნენ ხოლმე. მცირეოდენი ცეცხლი პანიკაში აგდებდა და წინ ვეღარ მიიწევდა, საკვების მიმწოდებლებს კი აიძულებდა, გრძელი, შემოვლითი გზებით ეცოცათ. აი, ბულკე კი, პირველი ქვედანაყოფიდან, ბევრად ჯობნიდა. ზამთრის მსუქან ზაზუნას წააგავდა და თუ საქმე მოითხოვდა, თავის სამზარეულოს მოწინავე პოზიციამდე ათრევდა.

ჩვენ საომარი განწყობა დაგვეუფლა და ალბათ მაგარი მუშტი-კრივი გაიმართებოდა, მოულოდნელად ასეულის უფროსი რომ არ გამოჩენილიყო. ჩხუბის მიზეზი რომ შეიტყო, განაცხადა, გუშინ მართლაც დიდი დანაკარგი გვქონდაო.

შემდეგ ქვაბს ჩახედა:

„ლობიო კარგი უნდა იყოს.“

პომიდორმა თავი დაუქნია, ქონითა და ხორცით არის მოხარშულიო. უფროსმა გადმოგვხედა და მიხვდა, რასაც ვფიქრობდით. ბევრი რამ იცოდა - სანამ ასეულის უფროსი გახდებოდა, ისიც ჩვენ შორის იზრდებოდა. ქვაბს სახურავი ახადა და დაყნოსა. წასვლისას ესღა თქვა, ერთი სავსე თეფში მეც მომიტანეთ და დანარჩენი ყველაზე გადაანაწილეთ, ხომ ვერ გავაფუჭებთ ამდენ ხორაგს, დაგვჭირდებაო.

პომიდვრის სახემ სულელური გამომეტყველება მიიღო, თიადენი კი მის ირგვლივ ცეკვას განაგრძობდა.

„შენ რა დაგაკლდება! ისე იქცევა, გეგონება, მთელი მარაგი მას ეკუთვნოდეს. აბა, მსუნაგო ვირთხა, დაიწყე და იცოდე, არაფერი შეგეშალოს!“

„მომწყდი თავიდან, შე ჩამოსახრჩობო!“ - ხაოდა პომიდორი. სიბრაზისგან ლამის შუაზე გასკდა, ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს. მგონი, საერთოდ აღარაფერი გაეგებოდა. დაბნეულმა, თავისივე ნებით, თითო კაცზე ნახევარი ფუტი თაფლის გაცემა დაიწყო. მისთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო.

დღევანდელი დღე მართლაც მშვენიერი გამოდგა. ფოსტაც გამოჩნდა და თითოეულმა ჩვენგანმა რამდენიმე წერილი და გაზეთი მიიღო. ბარაკების უკან მდებარე მდელოსკენ ნელა, ფეხების თრევით მივდივართ. კროპს იღლიაში მარგარინის კასრის სახურავი აქვს ამოჩრილი. მდელოს მარჯვნივ დიდი საპირფარეშო აუშენებიათ. მყარი, კარგად გადახურული შენობაა, მაგრამ ის უფრო რეკრუტებს ეკუთვნის, რომლებიც ჯერ ვერ დაეუფლნენ „სარგებლის მოპოვების ხრიკებს.“ ჩვენ რაღაც სხვას ვეძებთ, უფრო კარგს. მდელოზე იმავე მიზნისთვის პატარა ყუთებია მიმობნეული: ოთხკუთხედი, სუფთა, ნამდვილი ხის ფიცრებისაგან შეჭედილი, გარშემო დახურული, უნაკლო, მოხერხებული დასაჯდომით. გვერდით სახელურები აქვს დამაგრებული ისე, რომ მათი ტრანსპორტირება ადვილად ხერხდება. სამ ყუთს ერთ წრედ ვკრავთ და მყუდროდ ვსხდებით. მთელი პროცედურა ორ საათს გრძელდება.

ისიც მახსოვს, რა უხერხულობა გვეუფლებოდა ყაზარმაში მყოფ რეკრუტებს, როდესაც საერთო საპირფარეშოში შევდიოდით. კარის გარეშე ჩამწკრივდებოდა ოცი კაცი, ერთმანეთის მიყოლებით, თითქოს ტრამვაიში სხედანო, თვალის ერთი შევლებითაც რომ დაინახავ ყველას, - ჯარისკაცი ხომ მუდამ მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს.

ამასობაში ბევრი რამ ვისწავლეთ, იმაზე მეტი, ვიდრე მორიდება და სირცხვილის დაძლევაა. მივხვდით, რომ აქ, გარეთ, ჰაერზე ეს საქმე ჭეშმარიტი ნეტარებაა. აღარ მახსოვს, რატომ გვრცხვენოდა წინათ ყაზარმის საერთო საპირფარეშოში შესვლის, ეს ხომ ისეთივე ბუნებრივია, როგორც ჭამა და სმა. დანარჩენებისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ ჩვენს მაშინდელ ყოფაში მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

ჩვეულებრივ ადამიანთან შედარებით, კუჭი და მონელება მეომრისთვის უფრო ინტიმური სფეროა. უკიდურესი სიხარულისა თუ უკიდურესი აღშფოთების გამოსახატავად სიტყვათა მარაგის სამ მეოთხედს ამ სფეროდან იყენებს. შეუძლებელია სხვა ფორმით გრძნობები ასე მოკლედ და სხარტად გამოხატო. და სწორედ ეს სფეროა ხატოვანი გამოთქმის უშრეტი წყარო. მასწავლებლების და ოჯახის წევრების გაკვირვებას, თუ სახლში დავბრუნდით, ცხადია, საზღვარი არ ექნება, მაგრამ აქ ეს ენა უნივერსალურ დონემდეა ასული.

ამ საქმემ, საჯაროობის გამო, სრულიად უდანაშაულო სახე მიიღო. უფრო მეტიც: იმდენად ბუნებრივი და თავისთავადია, რომ მისი მყუდროდ და წარმატებით

მოგვარება სკატის წარმატებული თამაშის ტოლფასი გახდა. ლაყბობისთვის სათანადო გამოთქმაც კი შემოიჭრა ენაში - „საპირფარეშოს პაროლი“; სხვა რა გამოსავალი უნდა იპოვოს მეომარმა, თუ არა ეს ადგილები, რომელიც ერთგვარი ჩანაცვლებაა ოდესღაც ლუდხანაში გათავისებული ადგილისა.

ამჟამად ჩვენ აქ უკეთესად ვგრძნობთ თავს, ვიდრე თეთრი კაფელით მოპირკეთებულ მდიდრულ ტუალეტში. იქ შეიძლება უფრო ჰიგიენური გარემოა; მაგრამ აქ ფიქრის გარეშე გატარებული საათებიც მშვენიერია.

ჩვენს თავზე ცისფერი ცის კაბადონია გადაშლილი. ჰორიზონტზე განათებული აეროსტატები მოჩანს. აქა-იქ ღრუბლის თეთრი ქულებია მიმობნეული, საზენიტო ჭურვების აფეთქების შედეგად დარჩენილი. დროდადრო ზვინივით იწევიან, თითქოს რომელიმე მფრინავს მისდევენო.

მხოლოდ ყრუდ, შორეული ავდარივით ისმის ფრონტის გუგუნი, რომელსაც ბზიკის ზუზუნიც კი ფარავს.

გარშემო აყვავებული მდელო გვაკრავს. ბალახის წვერები ნაზად ირხევიან, ირგვლივ თეთრი პეპლები დაფარფატებენ, თითქოს გვიანი ზაფხულის რბილ და თბილ ჰაერში ნებივრობენ; ჩვენ წერილებსა და გაზეთებს ვეცნობით, თამბაქოს ვექაჩებით, ქუდებს ვიხდით და გვერდით ვაწყობთ, ქარი ჩვენს თმას ათამაშებს, თითქოს ჩვენს აზრებსა და სიტყვებსაც ეთამაშება.

ყაყაჩოებით ანთებულ, გადაწითლებულ მინდორში სამი ყუთი გდია. მუხლებზე მარგარინის კასრის თავსახურს ვიდებთ, მოხერხებულად რომ მოვეწყოთ სკატის თამაშისთვის. კროპს კარტი წამოუღია, კონ-პარტია რამს-პარტიას ენაცვლება. ეს ყოფა და განწყობა თითქოს მარადიული და უსასრულოა.

ბარაკების მხრიდან ჰარმონიკის ხმები ისმის. ხანდახან კარტს გადავდებთ და ერთმანეთს გადავხედავთ ხოლმე. შემდეგ ერთ-ერთი ამბობს: „ბავშვები, ბავშვები“ - ან: „ბეწვზე ვართ გადარჩენილი.“ ამის შემდეგ წამიერად დუმილი ვარდება. თითოეულ ჩვენგანში შორს მიმალული, ყოვლისმომცველი გრძნობა იღვიძებს, რომელიც მუდმივად თან გვახლავს და სიტყვა არ სჭირდება. ღმერთმა დალახვროს! მართლა რა ახლოს ვიყავით. ახლა ხომ ჩვენს ყუთებზე ვერ ვისხდებოდით.

სწორედ ამიტომ ყველაფერს - წითელ ყაყაჩოს, გემრიელ საჭმელს, სიგარეტებს და ზაფხულის ნიავს, ისე აღვიქვამთ, როგორც დაუჯერებელს.

კროპი გვეკითხება: „ქემერიხი ხომ არ უნახავს რომელიმე თქვენგანს?“

„წმ. იოსების ლაზარეთში არ წევს?“ - ვპასუხობ მე.

„ბარძაყში მოხვედრია გამჭოლი ტყვია,“ - ამბობს მიულერი.

და თან დასძენს: „სახლში დაბრუნების უეჭველი შანსი ეძლევა.“

გადაწყვეტილებას ვიღებთ, სადილის შემდეგ მოვინახულოთ. კროპმა წერილი ამოიღო: „კანტორეკისგან უნდა მოგიკითხოთ.“ ჩვენ ვიცინით. მიულერმა სიგარეტი გადააგდო და თქვა: „კარგი იქნებოდა, აქ რომ იყოს“.

* * *

კანტორეკი, მკაცრი, ტანმორჩილი კაცი ნაცრისფერ სერთუკში, თაგვისებური სახით, ჩვენი კლასის დამრიგებელი იყო. დაახლოებით ისეთივე აღნაგობა ჰქონდა, როგორც უნტერ-ოფიცერ ჰიმელშტოსს, „კლოსტერბერგის რისხვას.“ სხვათა შორის, რა კომიკურიც უნდა იყოს, მსოფლიო უბედურება უფრო ხშირად პატარა კაცებისგან მოდის ხოლმე. ისინი, ჩვეულებრივ, ბევრად უჟმურები და ენერგიულები არიან, ვიდრე მაღალი ადამიანები.

მე მუდმივად ვერიდებოდი იმ კომპანიაში მოხვედრას, რომელსაც სათავეში დაბალი კაცები ედგნენ: ისინი, როგორც წესი, გაუსაძლისად დაუნდობლები არიან და ქვემდგომებს ტყავს აძრობენ.

კანტორეკი ფიზკულტურის გაკვეთილებზე იმდენს ქადაგებდა, რომ ერთ დღეს მთელი ჩვენი კლასი მწყობრად გამოცხადდა სამხედრო უწყებაში და მოხალისედ ჩაეწერა. დღესაც თვალწინ მიდგას, როგორ შემოგვცქეროდა სათვალეების შუშებიდან, თითქოს ნაპერწკლებს ყრიდა და აღტკინებული ხმით მოგვმართავდა: „აბა, მეგობრებო, ხომ ერთად წახვალთ?“

ეს აღმზრდელები ჟილეტის ჯიბეში ინახავენ თავიანთ გრძნო-ბებს; გაკვეთილებზე კი ნაწილ-ნაწილ გასცემენ. თუმცა მაშინ ამაზე სულაც არ ვფიქრობდით. მხოლოდ ერთ-ერთი ჩვენგანი ყოყმანობდა და მოხალისეობის არავითარი სურვილი არ გააჩნდა. ეს იოზეფ ბეემი იყო, ჩასუქებული, სანდომიანი ახალგაზრდა. მოგვიანებით მაინც დაიყოლიეს, სხვაგვარად მისთვის ყველა გზა ჩაიკეტებოდა. იქნებ ბევრსაც უჩნდებოდა მსგავსი აზრები, მაგრამ ვერავინ ბედავდა, გამოკლებოდა თანატოლებს. იმ დროს მშობლებიც კი იმ აზრის სადარაჯოზე იდგნენ, რომ მათი შვილისთვის „მშიშარა“ არავის დაეძახა. ცხადია, ვერავინ წარმოიდგენდა, რა გველოდა. ყველაზე გონიერი ღარიბი და უბრალო ხალხი იყო, - ომს უბედურებად მიიჩნევდა; შეძლებულებმა კი სიხარულისგან თავი დაკარგეს. თუმცა, სწორედ მათ უნდა სცოდნოდათ ომის სავალალო შედეგების თაობაზე.

კაჩინსკის მტკიცებით, განათლება ათაყვანებს; კატი კი დაუფიქრებლად არაფერს ამბობს.

უცნაურია, მაგრამ სწორედ ბეემი იყო პირველი, ვინც ბრძოლის ველზე დაეცა. შტურმის დროს ტყვია თვალებში მოხვდა და მკვდარი იქვე დავტოვეთ. მისი თრევა არ შეგვეძლო, რადგან სასწრაფოდ უნდა დაგვეხია უკან. ნაშუადღევს მოულოდნელად მისი ყვირილი შემოგვესმა. დამალვაზე არც უფიქრია, ტკივილისგან

გონდაკარგული, შველას ითხოვდა, მაგრამ იქამდე ჩაცხრილეს, სანამ წამოსაყვანად მიაკითხავდა ვინმე.

ამას, რა თქმა უნდა, კანტორეკთან არ ვაკავშირებდით; - სამყაროში ხომ მრავლად იყვნენ ისეთები, რომელთაც დანაშაულის განცდა სრულიად არ აწუხებდათ და ათასობით კანტორეკი თავის ნამოქმედარს თავდაჯერებულად აძლევდა უმაღლეს შეფასებას.

სწორედ ამიტომ იყვნენ ისინი ჩვენს თვალში სრულიად გაკოტრებულნი. მათ ევალებოდათ, დაესრულებინათ ჩვენი სიმწიფის ასაკი, წინ გაგვძღოლოდნენ და შუამავლობა გაეწიათ არა მარტო შრომის, მოვალეობის, კულტურისა და პროგრესის სამყაროსთან, არამედ ჩვენს მომავალთანაც. ხშირად ვქილიკობდით მათზე და პატარა ოინებსაც ვუწყობდით, მაგრამ ძირითადად, მათი სიტყვის მაინც გვწამდა. თუმცა პირველივე მოკლულის დანახვამ ჩვენი წარმოდგენები გააცამტვერა. სამწუხაროდ, უნდა გვეღიარებინა, რომ ჩვენი თაობა გაცილებით პატიოსანია.

მათი უპირატესობა მხოლოდ გაქნილობით და ლამაზი სიტყვებით შემოიფარგლებოდა. არტილერიის პირველივე ცეცხლმა თვალები აგვიხილა, გონს მოგვიყვანა და ამასთანავე, დაამსხვრია ჩვენი მსოფლმხედველობაც, რომელიც თავში ძალით ჩაგვიჭედეს.

ისინი წერდნენ და წარმოთქვამდნენ ცარიელ სიტყვებს, ჩვენ კი ამ დროს ლაზარეთს და მკვდრებს შევცქეროდით; - ისინი ქადაგებდნენ, რომ სახელმწიფოსადმი სამსახური ადამიანის უმა-ღლესი ვალია.

ამასობაში კარგად გავაცნობიერეთ, რომ სიკვდილის შიში გაცილებით ძლიერია. მაგრამ ამის გამო არც მეამბოხენი გავხდით, არც დეზერტირები და არც მშიშრები, - ამ სიტყვებს ხომ ისინი მეტისმეტად ხშირად იშველიებდნენ; - ჩვენ ისევე გვიყვარდა სამშობლო, როგორც მათ და ყოველი შემოტევისას ყოჩაღად მივიწევდით წინ; - ბევრ რამეს მივხვდით და უკეთ დანახვის უნარიც გამოგვიმუშავდა. ისიც დავინახეთ, როგორ აორთქლდა ჩვენში მათ მიერ შექმნილი სამყარო; უეცრად საზარელ სიმარტოვეში აღმოვჩნდით და ამ სიმარტოვიდან მხოლოდ ჩვენ თვითონ უნდა დაგვეღწია თავი.

* * *

სანამ ქემერიხთან წავიდოდით, მისი ნივთები ჩავალაგეთ. ვიფიქრეთ, იქნებ გზაში რაიმე დასჭირდესო. საველე ლაზარეთში დიდი გამოცოცხლებაა. როგორც ყოველთვის, ჩირქისა და ოფლის სუნი ერთმანეთში არეულა. ბარაკებში ცხოვრებისას ბევრ რამეს ეჩვევი, მაგრამ მაინც გულყრის ზღვარზე ხარ. ქემერიხთან კითხვა-კითხვით მოვაღწიეთ. ერთ-ერთ პალატაში წევს და ოდნავ შესამჩნევი სიხარულით და აღელვებით გვხვდება. სანამ უგონოდ იწვა, მისთვის საათი მოუპარავთ. მიულერმა თავი გააქნია: „რამდენჯერ გითხარი, ასეთი კარგი საათი თან არ წაიღო-მეთქი.“

მიულერი ოდნავ ტლანქია და თავნება, თორემ ენას კბილს დააჭერდა. ყველასთვის ცხადია, ქემერიხი ამ პალატას თავს ვეღარ დააღწევს. მოიძებნება თუ არა მისი საათი, უკვე სულერთია, მხო-ლოდ მის მშობლებს თუ გადაუგზავნიან.

„აბა, ფრანც, როგორ ხარ? - ეკითხება კროპი. ქემერიხმა თავი გადააქნია, - „ისე არა მიშავს, მაგრამ ფეხის ტკივილი არ მასვენებს.“

ჩვენ საბანს დავყურებთ. მისი ფეხი მავთულის კარკასის ქვეშ არის მოთავსებული; საბანი მაღალზეა ამობურცული. მიულერს წვივზე ფეხი წავკარი, ვიგრძენი, რომ შეიძლება წამოროშოს ის, რაც სანიტრებმა გარეთ უკვე დაწვრილებით მოგვახსენეს: - ქემერიხს ცალი ფეხი აღარ აქვს - ამპუტირებულია.

საშინლად გამოიყურება, ფერმკრთალი და ყვითელია, სახეზე უცხო ნაკვთები გაუჩნდა, რომლებსაც უკვე კარგად ვიცნობთ, რადგან ასჯერ მაინც გვაქვს ნანახი. ნაკვთებიც არ ჰქვია, უფრო რაღაც სიმპტომებია. კანის ქვეშ სიცოცხლის პულსაცია აღარ იგრძნობა: თითქოს სხეულის შორეულ კუნჭულებში განიდევნა, შიგნიდან ნელ-ნელა იმკვიდრებს ადგილს სიკვდილი, თვალებს კი უკვე დაეუფლა კიდეც. იქ ჩვენი მეგობარი ქემერიხია, რომელიც ცოტა ხნით ადრე ჩვენთან ერთად წვავდა ცხენის ხორცს და საწურში რეცხავდა; ის არის კიდეც და არც არის. როგორც ჩამორეცხილი სურათი, როგორც ფოტოგრაფიული ფირფიტა, რომელზედაც ორი სურათი ერთდროულადაა აღბეჭდილი. მისი ხმაც ფერფლს წააგავს. გამომგზავრების დღე დამიდგა თვალწინ. სადგურში მსუქანმა ქალმა მოიყვანა. ქალი განუწყვეტლივ ტიროდა. ტირილისგან სახე შეწითლებული და შესიებული ჰქონდა. ამის გამო ქემერიხი თავს უხერხულად გრძნობდა; სხვე-ბისგან განსხვავებით, ქალი თავის შეკავებას ვერ ახერხებდა, ლამის მთელი ქონი ზედ ადნებოდა. თან მკლავში ჩამაფრინდა და მევედრებოდა, მისი ფრანცისთვის მიმეხედა. ქემერიხს ბავშვივით სახე და ისეთი რბილი ძვლები ჰქონდა, რომ ოთხი კვირის შემდეგ ზურგჩანთის ტარებისგან ბრტყელტერფიანობა დაემართა. გაუგებარია, როგორ უნდა მიხედო ვინმეს ფრონტზე! „ახლა სახლში წახვალ,“ - ეუბნება კროპი, - „შვებულებისთვის კი, სულ მცირე, სამი-ოთხი თვე უნდა გეცადა.“

ქემერიხმა თავი დაუქნია. მის სანთელივით ხელებს თვალს ვეღარ ვუსწორებ. ფრჩხილების ქვეშ სანგრის ჭუჭყი დაგროვებია, რომელსაც საწამლავის მოლურჯო-მოშავო ფერი აქვს. წამიერად წარმოვიდგინე, რომ ეს ფრჩხილები განაგრძობენ ზრდას, დიდხანს, კიდევ დიდხანს, სარდაფის უღიმღამო მცენარეებივით, მაშინაც კი, როდესაც ქემერიხის სუნთქვა შეწყდება. სურათს ცხადად ვხედავ: კორპსაძრობივით მოიკაკვა, ფრჩხილები მაინც ეზრდება და ეზრდება და მათთან ერთად თითქმის დაშლილ ქალაზე ეზრდება თმაც, როგორც ბალახი ნოყიერ ნიადაგზე, ზუსტად ისე, როგორც ბალახი. ხდება ნეტავ ასეთი რამ?

მიულერი მისკენ იხრება: „შენი ნივთები მოგიტანეთ, ფრანც.“

ქემერიხი ხელით უჩვენებს: „საწოლის ქვეშ დადეთ.“ მიულერი მორჩილად ასრულებს მის თხოვნას. ქემერიხი კი ისევ საათის ამბავს უბრუნდება. ნეტავ როგორ უნდა გაართოს კაცმა ქემერიხი ისე, რომ არაფერი იეჭვოს.

მიულერმა საწოლის ქვემოდან მფრინავის ერთი წყვილი ჩექმა გამოაცოცა. ინგლისური ჩექმებია, მშვენიერი, რბილი, ყვითელი ტყავის, რომელიც მუხლამდე ადის და სულ ზემოთ თასმებით იკვრება. ნამდვილად სანატრელი რამეა. მიულერი აღფრთოვანდა მათი სილამაზით, ლანჩა გაქექილ, უხეშ ლანჩას მიადო და ფრანცს ჰკითხა: „ეს ჩექმები სახლში გინდა წაიღო?“ სამივეს ერთი აზრი გვიტრიალებს, რომც გამოჯანმრთელდეს, ერთის მეტი არ დასჭირდება, ასე რომ, ვეღარც გამოიყენებს. ახლანდელი ვითარებიდან გამომდინარე მათი აქ დატოვება არ ღირს. სანიტრები ხომ, მოკვდება თუ არა, იმწამსვე აწაპნიან. მიულერი იმეორებს: „ხომ არ გინდა აქ დატოვო?“ ქემერიხს, ცხადია, არ უნდა, ეს ხომ მისი საუკეთესო ნივთია. „შეიძლება რამეში გავცვალოთ,“ - წინადადება შემოაქვს მიულერს. „გარეთ შეიძლება მათი გამოყენება,“ - ქემერიხი არ ნებდება. მიულერს ფეხზე ვაბიჯებ და ისიც, ყოყმანით, ჩექმებს ისევ საწოლის ქვეშ აწყობს. ცოტას კიდევ ვსაუბრობთ და შემდეგ ვემშვიდობებით: „აბა, შენ იცი, ფრანც, კარგად იყავი.“

მე ვპირდები, რომ ხვალაც მივალთ, მიულერიც იმავეს იმეორებს, თუმცა განუწყვეტლად თასმებიან ჩექმებზე ფიქრობს და ამიტომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, უყარაულოს.

ქემერიხი გმინავს. სიცხე აქვს. გარეთ ერთ სანიტარს ვაჩერებთ და ვთხოვთ, ნემსი გაუკეთოს. უარზეა, ყველას რომ მორფი მივცეთ, კასრებით უნდა გვედგასო.

„შენ მხოლოდ ოფიცრებს ემსახურები,“ - ღვარძლიანად ეუბნება კროპი. სასწრაფოდ შუაში ვდგები და სანიტარს სიგარეტს ვაწვდი. ისიც იღებს და ვეკითხები: „გაქვს საერთოდ გაკეთების უფლება?“ შეურაცხყოფილად გრძნობს თავს: „თუ არ გჯერათ, რომ შემიძლია, რაღას მეკითხებით?“ ხელში კიდევ რამდენიმე სიგარეტს ვაჩეჩებ და ვეუბნები: „გვეცი რა პატივი.“ „ჰო, კარგი,“ - ბოლოს მთანხმდება. კროპი მასთან ერთად შედის, ბოლომდე არ ენდობა, ჩვენ გარეთ ველოდებით.

მიულერი ისევ ჩექმებზე იწყებს ლაპარაკს. „ჩემზეა გამოჭრილი. ამ უხეშ-უფორმო ნავებში კოჟრი კოჟრზე მაჯდება. გჯერა, რომ დილამდე მიაღწევს? თუ ღამე მოკვდება, ჩექმებს უნდა დავემშვიდობოთ!“

ალბერტი პალატიდან ბრუნდება. „რაზე ლაპარაკობთ?“ - კითხულობს და ამატებს: „საქმე მოგვარებულია.“ ჩვენ ბარაკებში ვბრუნდებით. მე იმ წერილზე ვფიქრობ, რომელიც ქემერიხის დედას უნდა მივწერო. მაციებს. არაყი მისწრება იქნებოდა ახლა. მიულერმა ერთი-ორი ბალახი მოწიწკნა და ღეჭვა დაიწყო. მოულოდნელად კროპმა სიგარეტი დააგდო, ზედ ფეხებით შედგა. აშლილი და არეული სახით მიმოიხედა და წაილუღლუღა:

„წყეული ნეხვი, წყეული ნეხვი.“

გზას ვაგრძელებთ, მივდივართ დიდხანს. კროპი ნელ-ნელა წყნარდება. ეს ნაცნობი ამბავია, ეს ფრონტის ისტერიაა, რომელიც ყველას ემართება, ერთხელ მაინც. მიულერი ეკითხება: „მაინც რა მოგწერა კანტორეკმა?“ ის იცინის: „ჩვენ რკინის ახალგაზრდობა ვართ.“ სამივეს მწარედ გვეცინება, კროპი იგინება; თან გახარებულია, რომ ლაპარაკის თავი აქვს. - „დიახ, ასი ათასი კანტორეკი ასე ფიქრობს!“ რკინის ახალგაზრდობა. თითოეული ჩვენგანი ოცზე მეტისაც არ არის. მაგრამ განა ახალგაზრდები ვართ? ან ახალგაზრდობა გვეთქმის? ეს დიდი ხნის წინათ იყო. ჩვენ უკვე დავბერდით.

2

უცნაურია იმაზე ფიქრი, რომ სახლში, საწერი მაგიდის უჯრაში, დაწყებული დრამა „ზაული“ და ლექსების მთელი დასტა მიდევს. რამდენი საღამო გამიტარებია მათზე მუშაობაში. თითქმის ყველანი რაღაც ამდაგვარით ვიყავით დაკავებულნი, მაგრამ დღევანდელი თვალსაწიერიდან ეს სრულიად დაუჯერებლად მეჩვენება, წარმოდგენაც კი მიჭირს. რაც აქ ვართ, თითქოს წარსული ცხოვრება ისე ჩამოგვაჭრეს, რომ ჩვენთვის არაფერი უკითხავთ. ხანდახან ვცდილობთ, რომ მეხსიერება აღვიდგინოთ და ყველაფერს ახსნა მოვუძებნოთ, მაგრამ არაფერი გამოგვდის. სწორედ ჩვენი ოცი წლის ასაკისთვისაა ყველაფერი აუხსნელი და გაურკვეველი, კროპისთვის, მიულერისთვის, ლეერისთვის, ჩემთვის, რომელთაც კანტორეკი რკინის ახალგაზრდობის სახელით ამკობს. ზრდასრული ხალხი წარსულთან არის დაკავშირებული, ფეხზე მყარად დგანან, ჰყავთ ცოლები, ბავშვები, აქვთ ინტერესები და პროფესია. ეს კავშირები იმდენად მყარია, რომ მათი გაგლეჯა ვერ მოხერხდა.

ჩვენ კი ოცი წლისანი ვართ, მშობლების გარდა, დიდი-დიდი შეიძლება ვინმეს გოგო ჰყავდეს, ეს არის და ეს.

ჩვენს ასაკში მშობლებთან კავშირი თანდათან სუსტდება, გოგოები კი ბოლომდე ვერ ეუფლებიან გონებასა და სულს. ამის გარდა ბევრი არაფერი ყოფილა ჩვენ გარშემო. მცირეოდენი ოცნება, სასიყვარულო ამბები და სკოლა. ჩვენი სიცოცხლე მეტს ვეღარ გასწვდა და რაც იყო, იქიდანაც არაფერი შემოგვრჩა.

კანტორეკი იტყოდა, რომ ჩვენ ცხოვრების ზღურბლზე ვიდექით. რაღაც ამდაგვარი უდავოდ არის. ფესვები ჯერ არ გვქონდა გადგმული და ომის ტალღამ წაგვიღო. უფროსებისთვის კი, ომი დროებითი რამ არის, შეუძლიათ მასზე ფიქრს თავი აარიდონ. ჩვენ კი შეპყრობილნი ვართ ომით და არ ვიცით, რა გველის. ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცით, რომ გრძნობები უცნაურად და სევდისმომგვრელად დაგვიჩლუნგდა, თუმც სევდისთვისაც აღარ გვრჩება დრო.

* * *

მიულერს რომ ქემერიხის ჩექმების ხელში ჩაგდება სურს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვებზე ნაკლებად განიცდის მის მდგომარეობას. სხვები უბრალოდ ვერ ახერხებდნენ ამაზე ფიქრს. თვით ჩექმებს ქემერიხის ავადმყოფობასთან არაფერი აქვს საერთო. მიულერი მათ მაინც კარგად გამოიყენებს. ქემერიხი მაინც მოკვდება, სულერთია, ვინ დაეპატრონება მათ. ისე კი, რატომაც არ უნდა ინადიროს მიულერმა, როდესაც მას ამ ჩექმებზე გაცილებით მეტი უფლება აქვს, ვიდრე ვიღაც მორიგე სანიტარს. სწორედ ამიტომ არის ასე ფხიზლად, თორემ ქემერიხის სიკვდილის შემდეგ ამ საქმეს არაფერი ეშველება, ამიტომაც დგას ასე გულმოდგინედ სადარაჯოზე. ჩვენ გადავეჩვიეთ სხვაგვარად მსჯელობას და აზროვნებას, რადგანაც ის „სხვაგვარი“ ხელოვნურად გვეჩვენება. ჩვენთვის მხოლოდ ფაქტებია ნაღდი და მნიშვნელოვანი, კარგი ჩექმები კი ჩვენს სინამდვილეში ნამდვილი სასწაულია.

* * *

წინათ ამ მხრივაც სხვაგვარად იყო საქმე. როდესაც რაინის სამხედრო უწყებაში პირველად მივედით, ოცი ახალგაზრდისგან შემდგარ ერთ კლასს წარმოვადგენდით. მგზნებარე გულით მხიარულად გავეშურეთ სადალაქოში. სანამ ყაზარმის ეზოში შევაბიჯებდით, წვერი კოხტად გავიპარსეთ, ზოგიერთმა ჩვენგანმა პირველად. არავითარი სამომავლო გეგმები არ გაგვაჩნდა, მხოლოდ რამდენიმეს ჩამოუყალიბდა მიახლოებითი წარმოდგენა პროფესიასა და კარიერაზე, ისიც იმდენად, რამდენადაც მათ არსებობისთვის აუცილებელი ფორმა უნდა მიეღო; სამაგიეროდ, უხვად გვქონდა ბუნდოვანი იდეალები და ამიტომ სიცოცხლესაც და ომსაც იდეალისტურ და თითქმის რომანტიკულ საბურველში გახვეულს ვხედავდით.

სამხედრო განათლებას ათი კვირა დაეთმო და ამ მოკლე დროში გაცილებით, გაცილებით ადვილად მოხერხდა ჩვენი გარდაქმნა, ვიდრე სკოლაში გატარებულ ათ წელიწადში. ვისწავლეთ, რომ ერთი გაპრიალებული ღილი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე შოპენჰაუერის ოთხი ტომი. ჯერ გაკვირვებით, შემდეგ სიმწრით, მოგვიანებით კი სრული გულგრილობით ვაღიარეთ, რომ ადამიანისათვის გადამწყვეტია არა გონება, არამედ ფეხსაცმლის ჯაგრისი; არა აზრი, არამედ ოდესღაც დადგენილი განაწესი, არა თავისუფლება, არამედ მუშტი.

საკუთარი ნებით და ენთუზიაზმით გავხდით სალდათები. მაგრამ ყველაფერი იქით იყო მიმართული, რომ ეს გრძნობები ჩვენი გულებიდან ამოეძირკვათ; სამი კვირის შემდეგ წარმოუდგენლად აღარ მიგვაჩნდა ის, რომ ვიღაც გაოფიცრებულ ფოსტალიონს გაცილებით მეტი ძალა გააჩნდა ჩვენზე, ვიდრე ოდესღაც მშობლებს, აღმზრდელებს ან მთლიან კულტურულ წრეს, პლატონიდან მოყოლებული, გოეთეს ჩათვლით. ახალგაზრდა, გამჭრიახი თვალით ვხედავდით, რომ მასწავლებლის მიერ შთაგონებული სამშობლოს სიყვარული აქ საკუთარ პიროვნებაზე სრულ უარის თქმას გულისხმობს, რასაც უკანასკნელ მოსამსახურესაც არ აკადრებენ ხოლმე. გაჭიმული

დგომა, წვრთნა მწყობრად სიარულში, იარაღის ხმარებაში, ტრიალი მარჯვნივ და მარცხნივ, ფეხების წკაპუნით შეერთება, ლანძღვა-გინება და ათასგვარი შარის მოდება: სრულიად სხვაგვარად წარმოგვედგინა ჩვენი მოვალეობები და ვთვლიდით, რომ ცირკის ცხენებივით გვამზადებდნენ გმირობისთვის. მაგრამ ამასაც მივეჩვიეთ. იმასაც მივხვდით, რომ ნაწილი ამ ყოფისა ოდესღაც მართლაც გამოგვადგებოდა. თუმცა ბევრი რამ ზედმეტად გვეჩვენებოდა. სალდათს ამგვარ საქმეებში ყნოსვა მეტისმეტად აქვს გამძაფრებული.

ჩვენი კლასი სამ-ოთხ კაციან ჯგუფებად სხვადასხვა ასეულში გადაანაწილეს; ფრიზიელ მეთევზეებთან, გლეხებთან და ხელოსნებთან ადვილად გამოვნახეთ საერთო ენა და დავმეგობრდით.

კროპი, მიულერი, ქემერიხი და მე მეცხრე ასეულში აღმოვჩნდით, რომელსაც უნტერ-ოფიცერი ჰიმელშტოსი განაგებდა. ყაზარმაში დაუნდობლად აძრობდა ტყავს ქვეშევრდომებს და ამით ამაყობდა კიდეც. მომცრო, ტანმორჩილი და ჩაფსკვნილი კაცი, თორმეტი წლის სტაჟით, მელიასავით ჟღალი, ზემოთ აგრეხილი ულვაშებით, სამოქალაქო სამსახურში ფოსტალიონად მუშაობდა. კროპი, თიადენი, ვესთუსი და მე განსაკუთრებით ამოგვიჩემა, რადგან გუმანით გრძნობდა ჩვენში მდუმარედ ჩაბუდებულ პროტესტს.

ერთ დილას თავისი საწოლი თოთხმეტჯერ დამალაგებინა. სულ პოულობდა რაღაც საშაროს. ოცსაათიანი გარჯის შემდეგ, მცირეოდენი შესვენებით, მისი ქვასავით მაგარი ჩექმები ისე გავპოხე, ვეღარ შემომედავა; - მისი ბრძანებით, ასეულის ოთახის იატაკი კბილის ჯაგრისით გაკრიალებამდე გავხეხე; კროპი და მე, ცოცხითა და აქანდაზით შეიარაღებულები, ყაზარმის ეზოს თოვლისაგან გაწმენდას შევუდექით და ალბათ გაყინულები კიდეც დავაკვდებოდით ზედ, შემთხვევით ლეიტენატს რომ არ შემოევლო, რომელმაც კვლავ ყაზარმაში დაგვაბრუნა, ჰიმელშტოსს კი შავი დღე აყარა. შედეგად, მხოლოდ ის მივიღეთ, რომ ჰიმელშტოსი კიდევ უფრო დაუნდობელი გახდა ჩვენ მიმართ.

კვირაობით, ოთხი კვირა ზედიზედ, საყარაულო სამსახური მერგო და, იმავდროულად, დღისითაც ვმორიგეობდი. თანაც, დამატებით, მთელი აღჭურვილობით და იარაღით სველ, ატალახებულ, ტრიალ მინდორზე მისი ბრძანება უნდა შემესრულებინა: - „ნახტომი ზევით, მარში, მარში“ ან „დაწოლა.“ ბოლოს, ტალახის გუნდად ქცეული, უგონოდ ვეცემოდი და ვარჯიშიც ამით მთავრდებოდა; - ოთხი საათის შემდეგ გასისხლიანებამდე გახეხილი ხელებით ჩემს უნაკლოდ გაწმენდილ აღჭურვილობას ვაჩვენებდი; კროპთან, ვესთუსთან და თიადენთან ერთად, უსასტიკეს ყინვაში „სმენაზე დგომაში“ ვვარჯიშობდი. შიშველი თითები თოფის ლულაზე გვეყინებოდა, ჰიმელშტოსი კი გარს გვივლიდა, ჩასაფრებული, რომ თუნდაც უმნიშვნელო არასწორი მოძრაობის გამო შარი მოედო; ღამის ორ საათზე, ყაზარმის ზედა სართულიდან ეზოში ჩარბენას რვაჯერ მაიძულებდა, რადგანაც

ძილის წინ, სკამზე გადაკიდებული ჩემი ქვედა საცვალი ტანსაცმლის ქვემოდან რამდენიმე სანტიმეტრით მოჩანდა. ჰიმელშტოსი ამ დროს ჩემთან ერთად დარბოდა და ფეხზე მაბიჯებდა; ხშირად მიხდებოდა მასთან ხიშტით გამკლავება. მე რკინის მძიმე ჩარჩო მეკავა ხელში, მას კი საკმაოდ მსუბუქი ხის იარაღი. ასე რომ, ყოველთვის ახერხებდა ჩემთვის მკლავზე ჩალურჯებამდე ჩარტყმას. ერთხელაც ძალიან გამამწარა, დავასწარი და მუცელში ისე დავარტყი, იქვე ჩაიკეცა. როცა ჩივილი მოინდომა, უფროსმა პასუხად სიცილი დააყარა და უთხრა, ბრძოლის დროს მეტი ყურადღებაა საჭიროო; კარგად იცნობდნენ თავიანთ ჰიმელშტოსს და იმის საწინააღმდეგოც არაფერი ჰქონდათ, რომ დამარცხება ეწვნია; ნელ-ნელა პატარა კარადებზე ცოცვის ოსტატი გავხდი; ჩაჯდომა-ჩაკუზვაში ვერავინ გამიტოლდებოდა. მისი ხმის გაგონებაზე კანკალი გვეწყებოდა, მაგრამ გაცოფებული ფოსტის ჯაგლაგი ვერა და ვერ მოგვერია.

კროპი და მე ბარაკში, ეზოს გავლით, საპირფარეშოს განავლიან ვედროებს მივეზიდებოდით, როდესაც ქალაქში წასასვლელად საგულდაგულოდ ჩაცმულმა ჰიმელშტოსმა ჩაგვიარა. წუთით შეჩერდა და დამცინავად გვითხრა, სამუშაოთი ხომ კმაყოფილები ხართო. ჩვენც არ დავიბენით, ვითომ წავიბორძიკეთ და მთელი ვედრო ფეხებზე გადავასხით. იფეთქა, მაგრამ აღარაფერი ეშველებოდა, მოთმინების ფიალა კარგა ხანია გადავსებული გვქონდა.

„კარცერში ჩაგაყუდებთ," - ღრიალებდა ის.

კროპმაც არ დააყოვნა: „ჯერ გამოძიება ჩატარდება და აი, იქ დავფქვავთ ყველაფერს."

„რას უბედავთ უნტერ-ოფიცერს!" - დაიღრიალა ჰიმელშტოსმა, - „თქვენ რა, გაგიჟდით? სანამ დაგკითხავდნენ, მანამდე ნახეთ!" „ყველაფერს დავფქვავ," - მიუგო კროპმა და სმენაზე გაიჭიმა. ჰიმელშტოსმა იყნოსა, საქმეს ცუდი სუნი ასდისო და უსიტყვოდ გაგვეცალა. სანამ მიიმალებოდა, მაინც წაიწკავწკავა: „არა უშავს, ცხვირში ამოგადენთ." მაგრამ მის ძალმომრეობას აშკარად წყალი შეუდგა. კიდევ შეეცადა გადათხრილ მინდორზე ჩვენს წამებას, გაუთავებელი „დაწოლა," „ნახტომი ზემოთ, მარში, მარდად!" ბრძანება ხომ მაინც ბრძანებაა! ის უნდა შესრულდეს! მაგრამ ისე შენელებულად ვმოძრაობდით, რომ ჰიმელშტოსი სასოწარკვეთაში ჩავარდა.

ჯერ მუხლებზე ვეშვებოდით მოხერხებულად, შემდეგ მკლა-ვებზე და ასე ვაგრძელებდით, ამასობაში ის მორიგ ბრძანებას იძლეოდა. ჩვენ ოფლად ვიღვრებოდით, მას კი ხმა ნელ-ნელა ეხლიჩებოდა, ბოლოს თავი დაგვანება, მაგრამ მაინც „ღორებო და გარეწრებო"-თი გვამკობდა. თუმცა მის ლანძღვაში უკვე პატივისცემის ელემენტები იყო შეპარული.

არსებობდნენ პატიოსანი და წესიერი უნტერ-ოფიცრებიც, რომლებიც საკმაოდ გონივრულად იქცეოდნენ. უმრავლესობა წესიერი იყო, მაგრამ თითოეული მათგანი, უპირველესად, იმას ცდილობდა, შეძლებისდაგვარად დიდხანს შეენარჩუნებინა

ფრონტის ზურგში თბილი ადგილი. ამას კი მხოლოდ რეკრუტებთან სიმკაცრის გამოჩენით თუ შეძლებდნენ.

თითოეულ ჩვენგანს ყაზარმული მუშტის სხვადასხვა სახეობა ერგო წილად და ხშირად გვსურდა ხმამაღლა გვეყმუვლა. ზოგიერთმა ვერ გაუძლო და მძიმედ დაავადდა. ვოლფი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. მაგრამ მაინც არ ვნებდებოდით, რათა სხვისი დასაცინი არ გავმხდარიყავით. რაღაცნაირად გავმაგრდით, დაუნდობელი, გულქვა და შურისმაძიებელი გავხდით; და ეს კარგი იყო, რადგანაც სწორედ ამ გრძნობებს ვიყავით აქამდე მოკლებული. ამის გარეშე სანგრებში რომ გავეშვით, უმეტესობა ნა-მდვილად გაგიჟდებოდა. ასე კი მზად ვიყავით იმისთვის, რაც წინ გველოდა.

ვერ გაგვტეხეს, შეგუების უნარი გაგვიჩნდა; განვლილმა ოცმა წელმა, სიმძიმის მიუხედავად, ბევრი რამ გვასწავლა. უმთავრესი კი ის იყო, რომ ჩვენში ერთობის პრაქტიკულმა და მტკიცე გრძნობამ გაიღვიძა, რომელიც მოგვიანებით, უკვე ფრონტის ხაზზე, საუკეთესოდ გამოვლინდა მეგობრობაში, რაც ომის პირმშოდ უნდა ჩაითვალოს!

* * *

ქემერიხს საწოლზე ვუზივარ. ჩემს თვალწინ დნება. ირგვლივ ყაყანია. ლაზარეთის მატარებელი მოგვადგა და პალატებში იმ დაჭრილებს არჩევენ, რომლებიც ევაკუაციას გაუძლებენ. ქემერიხის საწოლთან ექიმმა ისე ჩაიარა, ზედაც არ შეხედა.

„შემდეგ ჯერზე, ფრანც,“ - ვეუბნები მე.

იდაყვებით ბალიშზე დაეყრდნო და წამოიწია. „ამპუტაცია გამიკეთეს,“ - ამბობს ის. უკვე ყველაფერი იცის. მე თავს ვუქნევ და ვაწყნარებ: „გიხაროდეს, რომ გადარჩი.“

დუმს.

მე განვაგრძობ: „შეიძლება ორივე ფეხი მოეჭრათ; ფრანც, ვეგელერმა მარჯვენა დაკარგა. ეს უარესია და თანაც უკვე სახლში წახვალ.“ ის მიყურებს და მეკითხება: „შენ მართლა ასე ფიქრობ?“ „რა თქმა უნდა.“

ისევ იმეორებს: „ასე ფიქრობ?“

„ნაღდად, ფრანც, ოღონდ ოპერაციის შემდეგ უნდა დაისვენო.“ მანიშნებს, მომიახლოვდიო. მისკენ ვიხრები და ჩურჩულებს: „არ მჯერა ამის.“

„ნუ სულელობ, ფრანც, რამდენიმე დღეში თვითონ დარწმუნდები. ამპუტირებული ფეხი დიდი არაფერია; აქ ხომ სხვადასხვა ნაწილის შეწებება და შეკოწიწება შეუძლიათ.“

ხელს მაღლა სწევს. „შეხედე ერთი ამ თითებს.“

„ოპერაციიდან ახლახან გამოგიყვანეს. კარგად იკვებე და ყველაფერი რიგზე იქნება. ხომ ნორმალურად გივლიან?“

ჯამზე მითითებს, რომელიც ნახევრამდეა სავსე. ვნერვიულობ. „ფრანც, უნდა ჭამო. მთავარი ახლა ჭამაა. აქ საკმაოდ კარგი პირობებია შენთვის.“ თავს მარიდებს. პაუზის შემდეგ შენელებულად მეუბნება: „უფროსი მეტყევე მინდოდა გავმხდარიყავი.“

„ამას ყოველთვის შეძლებ,“ - ვანუგეშებ მე. „ახლა გადასარევი პროთეზები არსებობს, ვერც შეამჩნევ, რომ გაკლია რამე, კუნთებს უერთებენ ხოლმე. ხელის პროთეზის ტარებისას, თითებსაც კი ამოძრავებ, იმუშავებ, დაწერ კიდეც. თანაც, ხომ იცი, რომ სულ ახალ-ახალ რაღაცას იგონებენ.“

ცოტა ხანს მდუმარედ წევს. შემდეგ მეუბნება: „შეგიძლია მიულერს ჩემი თასმებიანი ჩექმები წაუღო?“ თავს ვუქნევ და ვცდილობ, რამე მოვიფიქრო წასახალისებლად. ტუჩები უკვე წაშლილი აქვს, პირი გაუდიდდა, კბილები წინ წამოეწია, თითქოს ცარცისგან აქვს გაკეთებული. ხორცი უდნება, შუბლი ამოებურცა, ყბები მკვეთრად გამოეწია. ჩონჩხი თავის საქმეს აკეთებს. თვალები უკვე ჩაუვარდა. რამდენიმე საათში ყველაფერი დამთავრდება.

ის პირველი არ არის, რომელსაც ამ მდგომარეობაში ვხედავ, მაგრამ ჩვენ ერთად გავიზარდეთ და, ამდენად, სხვაგავარად განვიცდი. სკოლაში დავალებებს სულ მისგან ვიწერდი. ქამრიანი ყავისფერი პიჯაკი ეცვა ხოლმე, იდაყვებზე გაქექილი. გამორჩეულად ტრიალებდა სპორტულ ღერძზე. ტრიალს რომ ასრულებდა, თმა აბრეშუმივით ეფინებოდა სახეზე. კანტორეკი ძალიან ამაყობდა მისით. სიგარეტს არ იკარებდა. კანი ძალიან თეთრი ჰქონდა, ოდნავ გოგოსაც კი წააგავდა.

ჩემს ჩექმებს დავყურებ. დიდი და ტლანქია. შარვლის ტოტები შიგ მაქვს ჩატანებული. უზარმაზარ, ცილინდრის მსგავს ჩექმებში მსუქანიც ვჩანვარ და ღონიერიც, მაგრამ როდესაც დასაბანად მივდივართ და ტანსაცმელს ვიხდით, უეცრად გვივიწროვდება ფეხებიც და მხრებიც.

მაშინ სალდათები აღარ ვართ, თითქმის ისევ ბავშვები ვართ, ვერავინ დაიჯერებს, რომ ზურგჩანთების ტარება შეგვიძლია. საოცარი წამია, როცა შიშვლები ვდგავართ, ჩვეულებრივი მოქალაქეები ვხდებით.

დაბანისას ფრანც ქემერიხი ბავშვივით გამოიყურებოდა, პატარა, გამხდარი. ახლა კი აქ წევს, რატომ და რისთვის? მთელი მსოფლიო ამ საწოლთან უნდა ჩამოატარო და უთხრა: ეს ფრანც ქემერხია, ცხრამეტი წლის და არ სურს სიკვდილი. იღონეთ რამე, რომ არ მოკვდეს! გონება ამერია. კარბიტისა და განგრენის სუნი მხუთავს. ეს რაღაც მახრჩობელა მასა ფილტვებს ფენებად ედება.

სიბნელე ჩამოწვა. ქემერხის სახე სულ უფრო ფერმკრთალდება. ბალიშზე წამოიწია, ფერის ნატამალიც აღარ ადევს და გამჭვირვალე მეჩვენება. ტუჩებს ძლივს

ამოძრავებს. ყური მივადე, ჩურჩულებს: „თუ ჩემს საათს იპოვით, სახლში გააგზავნეთ.“ არ ვეწინააღმდეგები. აზრი აღარ აქვს. მაინც ვერაფერში დავარწმუნებ, თავს მძიმედ და უსუსურად ვგრძნობ. ეს შუბლი, ჩავარდნილი საფეთქლებით, ეს პირი, უკვე ჩონჩხის ყბად ქცეული, ეს წაწვეტებული ცხვირი! და მოტირალი, მსუქანი ქალი მის სახლში, რომელსაც წერილი უნდა მივწერო. ნეტავ უკვე გაგზავნილი მქონდეს. ლაზარეთში, დამხმარე პერსონალი ბოთლებითა და ვედროებით აქეთ-იქით დაქრის. ერთ-ერთი მათგანი მოგვიახლოვდა, ქემერიხს გამომცდელი მზერა ესროლა და იმწამსვე გაგვეცალა. როგორც ჩანს, ელოდება, საწოლი სჭირდება. ფრანცთან მივიწიე და ვეუბნები, თითქოს ამით რაიმე ეშველება: „იქნებ კლოსტენბერგის დასასვენებელ სახლში წახვიდე, ფრანც, ვილებს შორის რომ არის. იქ ფანჯრიდან ჰორიზონტზე გადაშლილ მინდვრებს დაინახავ, სადაც მხოლოდ ორი დიდი ხე დგას. ახლა ხომ საუკეთესო დროა, თავთავიც მწიფეა, საღამოს კი მინდვრები მზის შუქზე სადაფისფრად ლივლივებს. გახსოვს ალვის ხეების ხეივნები, სადაც ვთევზაობდით ხოლმე! ისევ იყიდი აკვარიუმს და თევზებს მოამრავლებ. ისე შეძლებ გასვლას, არავის დაეკითხები და პიანინოზეც დაუკრავ, თუ მოისურვებ.“ მისი სახისკენ დავიხარე, რომელიც ჩრდილში მოექცა. ჯერ კიდევ სუნთქავს, მიმქრალად, ძლივს გასაგონად. სახე სველი აქვს, ტირის. ეს რა სისულელე ჩავიდინე, ჩემი გაუთავებელი ლაპარაკით.

„ფრანც,“ - მხრებზე ხელს ვხვევ და სახეს მის სახეს ვადებ. „გეძინება?“ - არ მპასუხობს. ღაწვებზე ღვარად ჩამოსდის ცრემლები. მინდა მოვწმინდო, მაგრამ ჩემი ცხვირსახოცი მეტისმეტად ჭუჭყიანია.

ერთი საათი გადის. დაძაბული ვზივარ და მის სახეს ყურადღებით ვაკვირდები; იქნებ კიდევ თქვას რაიმე. ნეტავ პირი გააღოს და დაიყვიროს, მაგრამ ის მხოლოდ ტირის, გვერდზე თავგადაგდებული. აღარც დედაზე ლაპარაკობს, აღარც და-ძმებზე, ვერაფერს ამბობს, ეს ყველაფერი ხომ უკვე უკან მოიტოვა. - მარტოა თავისი პატარა, ცხრამეტწლიანი სიცოცხლით და ტირის, რადგანაც ისიც მალე მიატოვებს.

ეს უმძიმესი და უსაზღვროდ მტკივნეული დამშვიდობებაა სიცოცხლესთან, რაც კი ოდესმე მინახავს, თუმცა თიადენის სიკვდი-ლიც უმძიმესი იყო, ღრიალით უხმობდა დედას, დათვივით ჯან-ღონით სავსე, ფართოდ გაღებული თვალებით, ექიმს იარაღით ემუქრებოდა და ახლოს მისვლის საშუალებას არ აძლევდა, სანამ მოცელილივით არ წაიქცა. უცებ ქემერიხმა დაიგმინა და ხროტინი დაიწყო. მე წამოვხტი, საწოლებს შორის ბორძიკ-ბორძიკით გარეთ გავვარდი და დავიყვირე: „ექიმი სად არის?! სად არის ექიმი?“

როგორც კი თეთრ კიტელს მოვკარი თვალი, ხელი ვტაცე. „სასწრაფოდ წამოდით, თორემ ფრანც ქემერიხი მოკვდება.“

ის თავს ითავისუფლებს და იქვე მდგარ სანიტარს ეკითხება: „რა ხდება?“

ის კი პასუხობს: „ოცდამეექვსე საწოლი, ამპუტაცია მუხლის ზემოთ.“

ექიმი ღრიალებს: „რანაირად უნდა მახსოვდეს, დღეს ხუთი ფეხის ამპუტირება გავაკეთე!“ ხელს მკრავს და სანიტარს მიმართავს, თქვენ დახედეთო და საოპერაციოში მიქრის.

აღშფოთებისგან ვცახცახებ და სანიტარს მივყვები. კაცმა შემომხედა და მითხრა: „ამპუტაციები ერთმანეთის მიყოლებით, დილის ხუთი საათიდან - შეიძლება გაგიჟდეს კაცი, მარტო დღეს თექვსმეტი სასიკვდილო შემთხვევა იყო, შენი მეჩვიდმეტე იქნება. დღის ბოლომდე ალბათ ოცამდე ავა.“

ფეხებში სისუსტეს ვგრძნობ, უეცრად ვხვდები, რომ აღარ შემიძლია. ლანძღვა-გინება მომბეზრდა, აზრიც აღარ აქვს. მინდა დავეგდო და აღარ ავდგე. ქემერიხის საწოლთან ვართ. სახე კვლავ ცრემლებით აქვს დასველებული. თვალები ნახევრად ღიად დარჩენია, გაყვითლებული, როგორც საყვირის მოძველებული ძვლის ღილაკები. - სანიტარმა გვერდში გამკრა: „ნივთებს წაიღებ?“ - თავი დავუქნიე. ის განაგრძობს: „ახლავეა წასაყვანი, საწოლი გვჭირდება. ტამბურში უკვე იცდიან.“

ნივთებს ვიღებ და ქემერიხის სანიშნეს ვაძრობ. სანიტარმა სალდათის წიგნაკი მოიკითხა. არ არის. ვუხსნი, რომ ალბათ კანცელარიაშია ჩაბარებული და იქაურობას ვეცლები. ჩემ უკან ფრანცს მოათრევენ, ლაბადა-კარავზე დაწოლილს. გარეთ გამოსული სიბნელეს და ქარს ხსნასავით აღვიქვამ. რამდენადაც შემიძლია, ღრმად ვსუნთქავ და, როგორც არასდროს, სახეზე ჰაერის სითბოს და სირბილეს ვგრძნობ. ჩემს თავში უეცრად გაიელვეს ფიქრებმა გოგოზე, აყვავებულ მდელოებზე, თეთრ ღრუბლებზე. ჩექმებიანი ფეხები წინ მიიწევენ, სულ უფრო ჩქარა, ბოლოს კი ვგრძნობ, რომ გვერდით სალდათებმა ჩამიარეს, მათი საუბარი არ მესმის და მაინც რაღაც მაღელვებს.

მიწა იმ ძალებითაა გაჟღენთილი, რომლებიც ფეხის ფსკერიდან გადმოედინება ჩემში. დამუხტული ღამე თითქოს ელექტრო-ხმებს გამოსცემს, ფრონტი ყრუდ გუგუნებს, მედოლეთა კონცერტის მსგავსად. კიდურებს მოქნილად ვამოძრავებ, ყოველ სახსარს გარკვევით ვგრძნობ. ვქშინავ და ვფრუტუნებ. ღამე ცოცხალია და მე ცოცხალი ვარ. ამასთან ერთად, შიმშილს ვგრძნობ, იმაზე ძლიერს, ვიდრე კუჭის შიმშილია - მიულერი ბარაკთან დგას და მელოდება. ჩექმებს ვაწვდი. ბარაკში შევდივარ, ის კი იზომებს. ზუსტად მოერგო. - გადანახულ მარაგში იქექება და ძეხვის მოზრდილ ნაჭერს მაწვდის, ზედ რომით გაზავებულ ცხელ ჩაის ვაყოლებთ.

ახალი ნაკადი შემოდის. ადგილები შეივსო და თივის ლეიბებიც დაკავებულია. ძირითადად, ხნიერი ხალხია, მაგრამ ოცდახუთი წლისებიც გადმოიყვანეს რეკრუტების საფრონტო ნაწილებიდან. ისინი მხოლოდ ერთი წლით არიან ჩვენზე უმცროსები. კროპმა ხელი გამკრა: „ნახე, ბავშვები!“ - მე თავი დავუქნიე. ჯიბეში ხელებჩაწყობილები, გაყუჩებულები და თვითკმაყოფილები ეზოში გავდივართ, გაპარვას ვაპირებთ და ახალწვეულებს ვათვალიერებთ; თავს უხუცესებად ვგრძნობთ.

კაჩინსკი შემოგვიერთდა. საჯინიბოებში დავსეირნობთ. ბოლოს ახალწვეულებს მივადექით, რომლებსაც აირწინაღებს და ყავას ურიგებდნენ. კატი ყველაზე ახალგაზრდას ეკითხება: „ალბათ კარგა ხანია რიგიანი არაფერი ჩაგსვლიათ პირში, არა?“

ახალწვეული შეიჭმუხნა. „დილას თალგამის კვერი, შუადღეს თალგამის ვინიგრეტი, საღამოს თალგამის კატლეტი და საღამოს თალგამის სალათი.“ კაჩინსკი გამოცდილი სახით უსტვენს: „თალგამის პური? თქვენ კიდევ ბედმა გაგიღიმათ, პურს ხომ უკვე ნახერხისგან აკეთებენ. თეთრ ლობიოზე რა აზრის ხარ, ერთ დიდ ულუფაზე რას იტყოდი?“

ახალგაზრდას ლოყები აეფაკლა: „მასულელებ? რაში გჭირდება?!“

* * *

კაჩინსკი ჯერ არაფერს პასუხობს, შემდეგ კი ეუბნება: „აიღე შენი ქვაბი.“ ინტერესით მივყვებით. კაჩინსკიმ კასრთან მიგვიყვანა, რომელიც მისი ლეიბის გვერდით დგას. ის მართლაც თეთრი ლობიოთი და საქონლის ხორცითაა სავსე. გენერალივით თავმომწონედ დგას ახალწვეულის წინ და ამბობს: „თვალი დაჭყიტე, თითები წაიგრძელე! ეს პრუსიელთა პაროლია.“

გაოგნებულები ვდგავართ. ვეკითხები: „კატ, შე ღორმუცელა, სად იშოვე?“

„პომიდორს მაგრად გაუხარდა, ეს რომ დავტყუე. სამაგიეროდ, სამი საპარაშუტე აბრეშუმი მივეცი. თეთრი ლობიო ცივადაც გემრიელია, წუნს ვერ დაუდებ.“

ქველმოქმედი სახით, ერთ პორციას ქვაბში უდებს და ამბობს: „თუ აქ კიდევ მოხვალ შენი ქვაბით, იცოდე, მარცხენა ხელში ან სიგარა უნდა გეჭიროს, ან ერთი მუჭა თამბაქო, ხომ გაიგე?“

შემდეგ კი მოგვიბრუნდა: „თქვენ მუქთად მიიღებთ, რა თქმა უნდა.“

კაჩინსკის გარეშე არ ვივარგებდით, რადგანაც მას ნამდვილად გააჩნია მეექვსე გრძნობა. ასეთი ადამიანები კარგები არიან, მაგრამ წინასწარ ვერ ამოიცნობ. ერთი-ორი ასეთი კაცი ყველა სამეგობროს უნდა ჰყავდეს. ჩემი ნაცნობებიდან კაჩინსკი ალბათ ყველაზე მარჯვეა. ხელობით, მგონი, მეწაღე უნდა იყოს, მაგრამ ამას ნაკლებად აქვს მნიშვნელობა, ყველა ხელობას ფლობს. ჩვენი კომპანია, მაგის წყალობით,

fb.com/groups/elib

ყოველთვის მოგებულია. კომპანიის წევრები ჩვენ, კროპი და მე ვართ, ნაწილობრივ, ჰაიე ვესთუსიც. ის უფრო აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციას ითავსებს, რადგანაც ძირითადად კატის ბრძანებებს ასრულებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმის აღსასრულებლად მუშტი-კრივიც არის საჭირო. ამ მხრივ აშკარა უპირატესობა აქვს.

მაგალითად: ღამით მივადექით მივარდნილ, მიყრუებულ უცნობ ადგილს, რომელსაც პირველივე შეხედვაზე ეტყობა, მთლიანად გაძარცვულია და მხოლოდ კედლებია დარჩენილი. პატარა, ძველი ფაბრიკა ყაზარმად უქცევიათ და ღამის გასათევადაც მოუწყვიათ. შიგ საწოლები დაუდგამთ, უფრო სწორად, ხის ჩარჩოები, რომელზედაც მავთულის ბადეა გადაჭიმული. ბადე მაგარია და მოუხერხებელი. ქვემოთ ვერაფერს ვიფენთ - საბნები ზემოდან დასაფარებლად გვჭირდება. ლაბადა-კარავი კი მეტისმეტად ვიწროა. კატი იმწამსვე გრძნობს შექმნილ ვითარებას და ჰაიე ვესთუსს ეუბნება: „წამოდი.“ ისინი ღამის წყვდიადში უცნობ ნაქალაქარში გადიან. ნახევარი საათის შემდეგ კი ბრუნდებიან და ხელებზე თივის ზვინები უწყვიათ. კატმა საჯინიბოს მიაგნო და, ესე იგი, თივასაც. ახლა შეგვიძლია თბილად დავიძინოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, შიმშილის გაუსაძლისი გრძნობა არ გვასვენებს.

კატი ერთ-ერთ არტილერისტს ეკითხება, რომელიც ამ ადგილებში უკვე დიდი ხანია იმყოფება: „აქ სადმე სასადილო ხომ არ არის?“ ის კი პასუხად იცინის: „მოინდომა, რა! აქ ვერაფერს იშოვი, პურის ყუაც კი სანატრელია!“

„რა, ადგილობრივი მოსახლეობაც აღარ არის?“ - არტილერისტმა გადააფურთხა: „კი, ერთი ან ორი და ისინიც ცარიელი ქვაბების ირგვლივ უსაქმურად შემომსხდარან და მათხოვრობენ.“ ეს ცუდი ამბავია. აღარაფერი დაგვრჩენია, ქამრები მაგრად უნდა მოვიჭიროთ და ხვალამდე დავიცადოთ, სანამ ფურაჟი შემოვა. ვუყურებ, როგორ წამოიწია კატი და ქუდი დაიხურა. ვეკითხები: „საით გაგიწევია, კატ?“ „მივყნოს-მოვყნოსავ გარემოს,“ - მპასუხობს და გარეთ გადის. არტილერისტმა ჩაიცინა: „ყნოსე, ყნოსე, სანამ არ მოგეწყინება.“

გაწბილებულები ვწვებით და თავში მხოლოდ ერთი აზრი გვიტრიალებს, ხომ არ ჩამოგვეციცქნა თუნდაც ცოტა, ჩვენი ხელშეუხებელი მარაგიდან. მაგრამ ეს მეტისმეტად სარისკო საქმეა. ისევ ჯობს, როგორმე დავიძინოთ.

კროპმა სიგარეტი გადატეხა და ნახევარი გამომიწოდა. თიადენი თავის ნაციონალურ კერძზე ყვება: მსხვილი ლობიო ლორით, თან აღშფოთებული იწყევლება, რომ ამ კერძის მომზადება მცენარეულის გარეშე გამორიცხულია. მთავარია, პირველად ყველაფერი ერთად მოიხარშოს. არც იფიქროთ კარტოფილის, ლობიოს და ლორის ცალ-ცალკე მოხარშვა. ვიღაც გაბრაზებული ემუქრება, რომ თიადენი თუ არ გაჩუმდება, მაგარი დაზელვა ელის და თავად გადაიქცევა ლობიოს ფაფად. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. აქა-იქ ბოთლებში ჩამაგრებული სანთლები ციმციმებენ და დროდადრო არტილერისტი გადააფურთხებს ხოლმე.

ოდნავ წავთვლიმე. კარი რომ გაიღო და ზღურბლზე კატი დავინახე, მეგონა, ნეტარ სიზმარს ვხედავდი - ორი პური ამოეჩარა და ხელში ცხენის ხორცით სავსე გასისხლიანებული ტომარა ეკავა.

ამის დანახვაზე არტილერისტს ყალიონი პირიდან უვარდება, პურს ხელით ამოწმებს და ამბობს: „ნაღდად, ნამდვილი პურია და თან თბილი.“

კატი აღარაფერს ამბობს. მთავარია, რომ პური აქვს, დანარჩენი სულერთია. დარწმუნებული ვარ, უდაბნოშიც რომ დაესვათ, ერთ საათში მშვენიერ ვახშამს მოაბამდა თავს - ფინიკებს შემწვარი ხორცითა და ღვინით. ჰაიეს მოკლედ უბრძანებს: „შეშა დააპე!“ შემდეგ კი, ქურთუკის შიგნიდან ტაფას ამოაცოცებს, ჯიბიდან - მარილს და ცხიმს; ჰაიემ ყველაფერზე იზრუნა, მიწაზე ცეცხლი გააჩაღა. ცეცხლს ტკაცა-ტკუცი გააქვს ფაბრიკის დარბაზში. ჩვენ სასწრაფოდ ფეხზე წამოვცვივდით. არტილერისტი ყოყმანობს, ხომ არ შეაქოს თიადენი, მასაც რამე რომ ერგოს. მაგრამ კაჩინსკი ზედაც არ უყურებს, ის მისთვის ცარიელ ადგილად იქცა. არტილესტი იძულებულია, გინებ-გინებით გაგვეცვალოს.

კატმა ისიც იცის, როგორ უნდა შეიწვას ცხენის ხორცი ისე, რომ დარბილდეს: არ შეიძლება მისი პირდაპირ ტაფაზე დადება, სულ გამაგრდება. ჯერ მცირეოდენ წყალში უნდა მოიხარშოს. დანებით ხელში ცეცხლის ირგვლივ ჩავცუცქდით და მუცლებიც კარგად გამოვიტენეთ.

აი, ასეთია კატი. ქვეყნად რომ არსებობდეს ისეთი ადგილი, სადაც წელიწადში ერთხელ, მხოლოდ ერთი საათით მოიპოვება რაიმე სასუსნავი, სწორედ იმ ერთ საათში ქუდს დაიხურავდა, რაღაც ზეშთაგონებით დამუხტული გავიდოდა და, თითქოს კომპასი უჭირავს ხელშიო, შეუცდომელად მიაგნებდა საჭმელს.

პოულობს ყველაფერს: სიცივეში პატარა ღუმელებს, შეშას, თივას, ჩალას, მაგიდებს, სკამებს... უპირველესად კი, ცხადია, მუცლის ამოსაყორს. ეს გამოცანაა, შეიძლება იფიქრო, რომ ჯადოსნური ძალით ჰაერიდან ახერხებს ყველაფრის მოპოვებას. მისი უბრწყინვალესი ოსტატობის ნიმუში იყო, ომარების ოთხი კოლოფით რომ გამოგვეცხადა. თუმცა გულის სიღრმეში ჩვენ ალბათ ლორი უფრო გაგვახარებდა.

* * *

ბარაკებთან მზიან მხარეს განვლაგდით. ირგვლივ ფისის, ზაფხულის და ოფლიანი ფეხების სუნი დგას.

კატი ჩემ გვერდით ზის, რადგან საუბრის დიდი მოყვარულია. დღეს მთელი ერთი საათი სამხედრო წესით მისალმების წვრთნაში გავატარეთ, რადგან თიადენი ვიღაც მაიორს დაუდევრად მიესალმა. ამას კატი ვერ ივიწყებს და ასეთ აზრს გამოთქვამს: „ყური მიგდე! ჩვენ ომს აუცილებლად წავაგებთ, იმიტომ რომ ასეთი კარგი სალმის მიცემა ვიცით!“ კროპი გვიახლოვდება, ფეხშიშველი, აკეცილი შარვლის ტოტებით,

ფეხებს წეროსავით მოაბიჯებს. თავის სველ წინდებს ბალახზე, მშრალი წინდების გვერდით აწყობს. კატი ზეცას მისჩერებია, ხმამაღლა გაუკვეველ ბგერებს უშვებს და თან ამბობს: „აქ ვართ ყველანი და ცა, ლობიომ კი ხმა გამოსცა.“

კროპმა და კატმა დისკუსია წამოიწყეს, თან ერთ ბოთლ ლუდ-ზე დებენ ნიძლავს, თუ როგორ დამთავრდება საჰაერო ბრძოლა, რომელიც ჩვენს თავზე მიმდინარეობს.

კატი მტკიცედ დგას თავის აზრზე და, როგორც ფრონტის ძველი ოხუნჯი, გარითმულად გამოთქვამს: „საკვები და გარჯა ერთი, ომი ქვეყნად აღარც ერთი.“ - კროპი კი მოაზროვნეა. იგი ასეთ აზრს გვთავაზობს: ომის გამოცხადება სახალხო ზეიმს უნდა დაემსგავსოს, ბილეთებით და მუსიკით, როგორც ხარების ბრძოლა. არენაზე მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარეების მინისტრები და გენერლები უნდა გამოვიდნენ საბანაო ტრუსებში და ხელკეტებით შეიარაღებულნი დაერიონ ერთმანეთს. ვინც მოიგებს, იმისი ქვეყანა დარჩება გამარჯვებული. ასე უფრო მარტივი და უკეთესი იქნება, ვიდრე ის, რომ ვერ გაიგებ, ვინ - ვის და რატომ ებრძვის. კროპის წინადადება მოწონებას იმსახურებს. შემდეგ საუბარი ყაზარმის თემაზე ინაცვლებს. ეზოში სიცხე ჩამოწვა, ყაზარმები თითქოს ჩამკვდარია. ყველაფერი თვლემს, მხოლოდ მედოლეთა ვარჯიშის ხმა ისმის, სადღაც განლაგებულან და იქ ვარჯიშობენ, უხეიროდ, მონოტონურად და უნიჭოდ. მშვენიერი სამხმოვანება: შუადღის პაპანაქება, ყაზარმის ეზო და დოლზე ვარჯიში! ყაზარმების ფანჯრები ცარიელია და ბნელი. ზოგიერთი ფანჯრიდან სალდათის შარვალია გადმოკიდებული გასაშრობად. მონატრებით შევცქერით მათ. ახლა ოთახები გრილია - ო, ეს ბნელი, ჩახუთული ყაზარმის ოთახები, რკინის საწოლებით, კუბოკრული საბნებით, მაღალი კარით და მათ წინ ჩამომწკრივებული დაბალი სკამებით! აქ, ფრონტზე, თქვენ ხომ სამშობლოს ანარეკლი ხართ, თქვენი სათავსოები ვადაგასული საჭმლის, ძილის, თამბაქოს და ტანსაცმლის ორთქლით არის გაჯერებული! კაჩინსკი მათ დიდი აღმაფრენით და უჩვეულო ფერებით აღწერს. რას არ მივცემდი, თქვენთან დაბრუნება რომ შეგვეძლოს! უფრო მეტზე ფიქრსაც კი ვერ ვბედავთ - თქვენი საინსტრუქციო საათები გარიჟრაჟზე: - „რისგან შედგება იარაღი 98?“ - თქვენი ვარჯიშები სადილის შემდეგ: - „ვინ უკრავს პიანინოზე? ნაბიჯი წინ! მარჯვნივ, ნაბიჯით იარ! გამოცხადდით სამზარეულოში კარტოფილის გასაფრცქვნელად!“ მოგონებებში ვიძირებით. უცებ კროპი იცინის და ამბობს:

„გადაჯდომა ლიონეში!“

ეს ჩვენი კომპანიის საყვარელი თამაში იყო. „ლიონე“ - სა-კვანძო სადგურია, სადაც გადაჯდომა ხდება. შვებულებაში მყოფს შეიძლებოდა ამ დროს გზაც აგრეოდა. ამიტომ ჰიმელშტოსი გულმოდგინედ გვასწავლიდა გადაჯდომის ტექნიკას. უნდა გვესწავლა, რომ ლიონეში მიწისქვეშა გასასვლელით შეგვეძლო ჩამომდგარ მატარებელთან მისვლა. საწოლები გასასვლელის როლს ასრულებდნენ, ჩვენ კი საწოლის მარცხნივ უნდა დავმდგარიყავით. შემდეგ ისმოდა ბრძანება: „ლიონეში

გადაჯდომაა!“ და ყველანი საწოლების ქვეშ ელვის სისწრაფით, ცოცვა-ცოცვით მეორე მხარეს უნდა გავსულიყავით. ამაში საათობით ვვარჯიშობდით. - ამასობაში გერმანიის თვითმფრინავი ჩამოაგდეს. კომეტის სისწრაფით ეშვება და უკან კვამლის კუდს მოათრევს. ამჯერად კროპმა ერთი ბოთლი ლუდი წააგო და განაწყენებული ფულის თვლას იწყებს.

„ფოსტალიონობის დროს ჰიმელშტოსი ალბათ ერთი მოკრძალებული კაცი იყო,“ ვამბობ მას შემდეგ, რაც ალბერტი თავის წაგებას შეეგუა; „როგორ მოხდა, რომ უნტერ-ოფიცრობამ ასე გაამხეცა?“

ჩემმა კითხვამ კროპი გამოაცოცხლა: „ასეთი რამ მხოლოდ ჰიმელშტოსს არ ემართება; ბევრია ასე, როგორც კი სამხრეებს და ხმლებს შეიძენს, სხვა ადამიანი ხდება, თითქოს ბეტონითაა გამომძღარი.“

„უნიფორმის ბრალი უნდა იყოს,“ - ვვარაუდობ მე.

„დაახლოებით ასეა,“ - ამბობს კარლი და გრძელი სიტყვისთვის ემზადება, - „მაგრამ ამის მთავარი მიზეზი სხვა რამეა. შეხედე, შენ თუ ძაღლს კარტოფილის ჭამას მიაჩვევ და შემდეგ მოზრდილ ხორცის ნაჭერს დაუდებ, მაინც პირს დაავლებს, რადგანაც ეს მის გონებაშია ჩადებული და ასევე ემართება ადამიანს - თუ ოდნავ ძალაუფლებას ჩაუგდებ ხელში, ისიც ჩააფრინდება ამ ძალაუფლებას. თავისთავად ხდება, რადგანაც ადამიანი, უპირველესად, ცხოველია და მხოლოდ შემდეგ შეიძლება ოდნავ წესიერებაც მოეცხოს, როგორც ქონი პურის ყუას. სამხედრო სამსახური სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ვიღაცას სხვებზე მეტი ძალაუფლება აქვს. ცუდია, თუ ეს ძალაუფლება უსაზღვროა. უნტერ-ოფიცერს შეუძლია რიგითი სალდათი გააჭენ-გამოაჭენოს, ლეიტენანტს კი უნტერ-ოფიცერი; კაპიტანს შეუძლია ლეიტენანტს იმ ზომამდე გააძროს ტყავი, რომ გაგიჟებამდე მიიყვანოს. და რადგანაც მან ეს იცის, ამიტომაც თავიდანვე ეჩვევა. ავიღოთ უმარტივესი შემთხვევა: აი, სწავლების ადგილიდან გაძაღლებული ვბრუნდებით. გაისმის ბრძანება: „სიმღერა!“ აჰა, იმწამსვე იწყება უნდილი სიმღერა, რადგანაც ყოველი ჩვენგანი გახარებულია, რომ ჯერ კიდევ შეუძლია იარაღის თრევა. ასეული დააბრუნეს და კომპანიამ სასჯელის სახით კიდევ ერთი საათი უნდა ივარჯიშოს. უკანა გზაზე კვლავ ისმის ბრძანება: „სიმღერა!“ და აი, ახლა მართლა ვმღერით. რა არის ამის მიზანი? თავის გატანა, რადგანაც ძალა მის ხელშია. ვერავინ გაუბედავს რამეს, პირიქით, ჩათვლიან, რომ სათანადოდ მკაცრია. ეს ხომ წვრილმანია, არსებობს სხვა საქმეებიც, რითაც ჩვენს წვალებას ახერხებს. ახლა მე თქვენ გეკითხებით: შეუძლია ვინმეს ნებისმიერ სამოქალაქო სამსახურში ასეთი რამ გაბედოს ისე, რომ სახე არ გაუბრტყელონ? ეს მხო-ლოდ სამხედრო სამსახურში ხდება. ხედავთ როგორ უვარდებათ თავში. რაც უფრო უმნიშვნელო იყო მათი სამოქალაქო სამსახური, მით უფრო მოაქვთ თავი.“

„ჰო, ამას ჰქვია, დისციპლინა აუცილებელია,“ - სასხვათაშორისოდ აღნიშნა კროპმა.

„მიზეზს ყოველთვის პოულობენ. რას იზამ, იქნებ ასეა საჭირო, მაგრამ ეს ადამიანის აბუჩად აგდება და დაცინვა არ უნდა იყოს, - ბურდღუნებს კატი, - აბა, აუხსენი ეს ყველაფერი ზეინკალს ან მოჯამარიგეს, ან ჩვეულებრივ მუშას, ან თუნდაც რიგით ჯარისკაცს, ისინი ხომ აქ უმრავლესობაში არიან. ის მხოლოდ იმას ხედავს, თუ როგორ აძრობენ ტყავს და შემდეგ ფრონტის ქარცეცხლში აგდებენ; ამასთან, შესანიშნავად იცის, რა არის საჭირო და რა არა. გეუბნებით, ჯარისკაცი ყველაფრის ამტანია! გასაოცრად ამტანი, ასეა ეს! თითოეულმა მათგანმა კარგად იცის, რომ ბრძოლა მხოლოდ სანგრებში შეწყდება, მაგრამ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. ფრონტის ზურგში კვლავ დაიწყება ათასგვარი სისულელე: მისალმება და შაგისტიკა. რადგანაც რკინის კანონია - სალდათი აუცილებლად დასაქმებული უნდა იყოს.“

აი, თიადენიც გამოჩნდა აჭარხლებული სახით. იმდენად აღელვებულია, რომ ენა ებმის. გაბრწყინებული სახით, დამარცვლით ამბობს: „ჰიმელშტოსი აქეთ მოდის. ფრონტზე აგზავნიან.“

* * *

თიადენს განსაკუთრებული სიძულვილი აქვს ჰიმელშტოსის მიმართ, რადგან ის, ჩვენი საბარაკო ცხოვრების განმავლობაში, გამუდმებით ცდილობდა თიადენის თავის ყაიდაზე აღზრდას. თიადენს ღამე შარდი ეპარება და ეს, სამწუხაროდ, ძილში ხდება ხოლმე. ჰიმელშტოსი მტკიცედ და დარწმუნებით ამტკიცებს, რომ ყველაფერი მხოლოდ მისი სიზარმაცის ბრალია და თავისი მეთოდი გამოიგონა თიადენის მოსარჩენად. მეზობელ ბარაკში აღმოაჩინა ასეთივე სნეულებით შეპყრობილი, სახელად კიდენფატერი და თიადენთან ერთად დაასახლა. ბარაკებში ტიპური ორსართულიანი რკინის საწოლები იდგა, მავთულის ძირით.

საწოლებზე ასე გაანაწილა: ერთი ზემოთ, მეორე - ქვემოთ. ცხადია, ქვემოთას შავი დღე დაადგებოდა. სამაგიეროდ, შემდეგ საღამოს ადგილები იცვლებოდა, ქვემოთ ვინც იწვა, ზემოთ ადიოდა, ზემოთა კი ქვემოთ წვებოდა, რათა ერთგვარი შურისძიების მეთოდს ემუშავა. ამას ჰიმელშტოსი „თვითაღზრდას“ უწოდებდა.

ეს უნამუსობა იყო, მაგრამ ერთგვარი მახვილგონიერებაც ერია. სამწუხაროდ, ამან ვერაფერი უშველა, რადგან წინაპირობა გახლდათ მცდარი: ეს ხომ არც ერთის სიზარმაცის ბრალი არ იყო. ამაზე მათი მიწისფერი მეტყველებდა. საბოლოოდ, საქმე იმით მთავრდებოდა, რომ ერთ-ერთ მათგანს იატაკზე ეძინა. ასე კი ადვილად შეიძლებოდა, გაცივებულიყო. ამასობაში ჰაიეც შემოგვიერთდა. თვალს მიკრავს და თავის თათს მოწიწებით ეფერება. დღევანდელი დღე შეიძლება ჩვენი სალდათური ცხოვრების საუკეთესო დღედ ჩაითვალოს. ეს ჩვენი ფრონტზე გაგზავნის საღამოს მოხდა. რომელიღაც პოლკში გაგვანაწილეს, რომელიც მრავალციფრიანი ნომრით აღინიშნებოდა, მანამდე გარნიზონში გადმოგვიყვანეს ეკიპირების მიზნით, მაგრამ არა რეკრუტების თავმოყრის ადგილას, არამედ რომელიღაც ყაზარმაში. მეორე დღეს დილაადრიან მივემგზავრებოდით. საღამოს გულდაგულ მოვემზადეთ

ჰიმელშტოსთან ანგარიშის გასასწორებლად. კროპმა კიდევ უფრო შორეული გეგმები შეიმუშავა: ომის შემდეგ, როდესაც ჰიმელშტოსი საფოსტო სამსახურს დაუბრუნდებოდა, კროპი მისი უფროსი უნდა გამხდარიყო. წარმოსახვებში ნებივრობდა, თუ რა დღეს დააყრიდა მას. სწორედ ეს იყო, რამაც გაგვაძლებინა და შინაგანად არ გაგვტეხა; ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ოდესმე უსათუოდ ჩაგვივარდებოდა ხელში, თუნდაც ომის დამთავრების შემდეგ.

ჯერჯერობით, ერთი გემრიელად უნდა მიგვებეგვა. რაღას დაგვიშავებდა, ცნობით ვერ გვიცნობდა და, გარდა ამისა, დილას უკვე იქაურობას ვტოვებდით.

კარგად ვიცოდით, რომელ დუქანში იჯდა ყოველ საღამოს. როდესაც იქიდან ყაზარმისკენ გამოეშურებოდა, ბნელი, უკაცრიელი ქუჩა უნდა გამოევლო. იქ ქვების გროვის უკან ჩავუსაფრდით. თან ლეიბის პირი მქონდა წამოღებული. ერთადერთი რამის გვეშინოდა, ვინმესთან ერთად არ ყოფილიყო. მოლოდინისგან კანკალიც კი აგვივარდა. ბოლოს მისი ნაბიჯების ხმაც გავიგეთ, უკვე ძალიან კარგად რომ ვცნობდით. ყოველ დილით ყაზარმაში ამ ხმით იღებოდა კარი და ეს ხმა ღრიალით გვამცნობდა ხოლმე ადგომის დროს.

„მარტოა?“ - ჩურჩულით იკითხა კროპმა.

„მარტოა,“ - თიადენმა და მე ქვის გროვას ირგვლივ შეპარვით შემოვუარეთ.

აი, გაიელვა მისი ქამრის ბალთამ, ჰიმელშტოსი შეზარხოშებული ჩანდა; ღიღინებდა. ეჭვი არაფრის ჰქონდა და არხეინად ჩაგვიარა.

ლეიბის პირს ხელი დავავლეთ, უხმოდ დავესხით თავს, თავზე სასწრაფოდ გადავაცვით და ქვემოთ ისე ჩამოვწიეთ, რომ მთლიანად ტომარაში გახვეულმა, ხელის განძრევაც კი ვერ მოახერხა. სიმღერა შეწყდა. ჰაიე ერთ წამში მის მკერდზე აღმოჩნდა. გაშლილი მკლავებით აქეთ-იქით მოგვისროლა, რომ პირველი ყოფილიყო. სიამოვნებით სავსე სახე მიიღო, ბარივით უზარმაზარი ხელი მაღლა ასწია და ტომარას მთელი ძალით ჩასცხო ისე, რომ მგონი ხარსაც კი სულს გააფრთხობინებდა.

ჰიმელშტოსი გადაკოტრიალდა, ხუთი მეტრის მოშორებით დაენარცხა და მთელი ძალით მორთო ღრიალი. მაგრამ ამაზეც წინასწარ ვიზრუნეთ: თან ბალიში გვქონდა წამოღებული. თიადენი ჩაიკუზა, ბალიში მუხლებზე დაიდო, ჰიმელშტოსს იქ ჩაავლო ხელი, სადაც თავი ჰქონდა და ბალიშს მიაჭირა. ხმა უკვე ყრუდ ისმოდა. დროდადრო ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა და მაშინ ყმუილი ყვირილში გადადიოდა, რომელიც ნელ-ნელა ნაზ წრიპინში იზრდებოდა. თიადენმა შარვლის სამაგრები შეუხსნა და შარვალი ჩამოქაჩა, მათრახი ამ დროს კბილებში ჰქონდა გაჩრილი. შემდეგ გაიმართა და ენერგიულად ამოქმედდა.

მომხიბვლელი სურათი იყო: მიწაზე გაშოტილი ჰიმელშტოსი, მასზე წახრილი და მის თავს ჩაფრენილი ჰაიე, სატანური ღიმილით და დაფჩენილი პირით. მბორგავი,

ზოლიანი ქვედა საცვალი, მოკაკვული ფეხები, რომლებიც ყოველი დარტყმის მერე საკმაოდ ორიგინალურ მოძრაობას ასრულებდნენ და თავზე შეშისმჭრელივით წამომდგარი, მოუღლელი თიადენი. დროზე უნდა გამოგვეთრია, რომ როგორმე ჩვენი რიგიც დამდგარიყო.

ბოლოს ჰაიემ ჰიმელშტოსი ფეხზე დააყენა და პერსონალური წარმოდგენა მოაწყო! თითქოს ვარსკვლავების მოწყვეტას აპირებსო, ისეთი სიმაღლიდან გამოაქანა მარჯვენა და მთელი ძალით გააწნა სილა. ჰიმელშტოსი გადაყირავდა. ჰაიემ ისევ ფეხზე დააყენა, კარგად გაასწორა და მაღალი კლასის სიზუსტით ახლა მარცხენა ხელით აგემა ალიყური.

ჰიმელშტოსი ყმუილით და ფოფხვა-ფოფხვით ეცლებოდა იქაურობას, მთვარის შუქზე კი მხოლოდ ფოსტალიონის ზოლიანი უკანალი ანათებდა. იმ ადგილიდან სასწრაფოდ გავქრით.

ჰაიემ კიდევ ერთხელ მოიხედა უკან და ბრაზმორეულმა და კმაყოფილმა უცნაურად თქვა: „მაგრად დავუნგრიეთ ცხვირ-პირი!“ ისე, ჰიმელშტოსი გახარებული უნდა ყოფილიყო, მისმა სიტყვებმა, ერთმა მეორე უნდა აღზარდოსო, სათანადო ნაყოფი გამოიღო. ჩვენ ყველაზე კარგად ავითვისეთ მისი მეთოდები.

ჰიმელშტოსმა ვერასდროს დაადგინა, ვისი მადლიერი უნდა ყოფილიყო იმ „საჩუქრისთვის,“ ჩვენ რომ ვუთავაზეთ. სამაგიეროდ, ლეიბის პირი შეიძინა, რომელიც რამდენიმე დღის მერე მოვიკითხეთ, მაგრამ ადგილზე აღარ დაგვხვდა.

ეს ამბავი გახდა საფუძველი იმისა, რომ გამგზავრებისას საკმაოდ ყოჩაღად გამოვიყურებოდით. ამის გამო გულაჩუყებულმა ვიღაც მოხუცმა, მოფრიალე ხშირი წვერით, „გმირი ახალგაზრდობაც“ გვიწოდა.

4

ფრონტის წინა ხაზზე, სანგრებისკენ მივდიოდით. დაღამებისას ბარაკებს სატვირთო მანქანების რიგი მოადგა. ჩვენ ზემოთ ავძვერით. საღამოს ჰაერი თბილია, შეღამება თითქოს გვიცავს. მის საფარქვეშ თავს მყუდროდ და კარგად ვგრძნობ. ღამე ერთმანეთს გვაახლოებს. ხელმომჭირნე თიადენიც კი სიგარეტს მჩუქნის და ცეცხლს მაწვდის.

ერთმანეთის გვერდით ვდგავართ, ერთმანეთზე მიტმასნილი, ჯდომის საშუალება არავის აქვს. ამას ისედაც არ ვართ შეჩვეული. მიულერი, როგორც იქნა, ხასიათზე მოვიდა; ახალი ჩექმები აცვია.

მოტორები არახრახდნენ, სატვირთო მანქანები აჩხარუნდნენ და აგრუხუნდნენ. გზები ოღროჩოღროა და ორმოებით სავსე. მანქანას სინათლის ჩართვა აკრძალული აქვს, ამიტომ ჩვენ დროდადრო ქვევით ისეთი სიჩქარით მივექანებით, რომ ლამის გადავყირავდეთ.

ეს სულაც არ გვაწუხებს, რა შეიძლება რომ მოხდეს? გატეხილი მკლავი მუცელში მოხვედრილ ტყვიაზე უკეთესია და ზოგიერთი ნატრობს კიდევაც ასეთ შემთხვევას, რომ სახლში დაბრუნების შანსი მიეცეს.

გვერდით იარაღით დატვირთული კოლონები მოდიან. მათ ეჩქარებათ და დროდადრო გვისწრებენ. ჩვენ რაიმე ხუმრობას მივაძახებთ ხოლმე და ისინიც გვპასუხობენ.

წინ გალავანი გამოჩნდა, ეტყობა სახლისაა, რომელიც ქუჩის განაპირას დგას. ყურები ვცქვიტე, ხომ არ მეშლება? არა, ბატების ყიყინი მესმის გარკვევით.მე კაჩინსკის ვუყურებ, ის კი - მე. ერთმანეთს უსიტყვოდაც კარგად ვუგებთ.

„კატ, ნაღდად მესმის აქ რაღაც ჯამ-ჭურჭლის ჩხარუნი.“ თავი დამიქნია, „როცა მობრუნდებით, ამ საქმეს მივხედავთ, ხომ იცი, როგორ ვერკვევი ამაში!“

კატი მართლაც საქმის კურსშია. ბატის ნაფეხურს ოცი კილომეტრის რადიუსში სცნობს. მანქანებმა არტილერიის რაიონამდე მიაღწიეს. მფრინავებისგან თავდასაცავად, საარტილერიო სანგრები ბუჩქებით დაუფარავთ, თითქოს ფანჩატურების ერთგვარ ზეიმს აწყობდნენ. ფანჩატურებს საკმაოდ მხიარული იერი აქვთ, შიგნით ზარბაზნები რომ არ იყოს.

ჰაერი ბლანტია ნამწვისა და ნისლისგან. ენაზე ტყვიის მწარე გემო იგრძნობა. გასროლის გუგუნზე ჩვენი მანქანაც ძაგძაგებს, ამას კვალად ექო მოჰყვება, ყველაფერი ცახცახებს, სახის გამომეტყველება თანდათან გვეცვლება. ჯერ ფრონტის წინა ხაზზე არ გავსულვართ, სასანგრო სამუშაოებზე მივყავართ, მაგრამ ყველას სახეზე ერთი რამ აწერია: ჩვენ ფრონტის ხაზზე ვიმყოფებით, მის საზღვარს უკვე გადავაბიჯეთ. ეს სულაც არ არის შიში. ვისაც ეს საზღვარი ჩვენსავით ხშირად გადაულახავს, სქელკანიანი ხდება. მხოლოდ ახალგაზრდა რეკრუტები ღელავენ. კატი მათ ჭკუას ასწავლის: „ეს იყო 30,5 - ამას გასროლაზე მიხვდებით, მერე აფეთქება მოჰყვება.“

მაგრამ მისი ყრუ გამოძახილი ჩვენამდე არ აღწევს. ის ფრონტის არეულ გუგუნში იძირება. კატმა ყური მიუგდო, „ღამით მოსაწევი გვექნება;“ ყველანი ვუსმენთ. კროპი ამბობს: „ინგლისელები უკვე ისვრიან.“

სროლის ხმა ისმის. ეს ინგლისური ბატარეებია, ჩვენი მონაკვეთის მარჯვენა მხარეს. ერთი საათით ადრე იწყებენ. ჩვენთან ყოველთვის ზუსტად ათ საათზე იწყებენ.

„რა უბედურებაა,“ - ყვირის მიულერი, - „მაგათი საათები წინ გარბის, ალბათ.“

„მოსაწევს აუცილებლად მოგცემენ, მთელი სხეულით ვგრძნობ,“ - ამბობს კატი და მხრებს იჩეჩავს.

ჩვენ გვერდით სამმა აფეთქებამ დაიგრიალა. ცეცხლის დამრეცმა ზოლმა ნისლი გაკვეთა. იარაღი გუგუნებს და ხმაურობს. ჩვენ სიცივისგან ვიბუზებით და გვიხარია, რომ ხვალ დილით უკვე ბარაკებში ვიქნებით. ჩვეულებრივზე მეტად არც აწითლებული ვართ და არც ფერმკრთალი, არც მოდუნებული და არც დაძაბული, და მაინც იმას არ ვგავართ, რაც ვიყავით. ვგრძნობთ, რომ სისხლში რაღაც კონტაქტი გაჩნდა. ეს არ არის სიტყვების თამაში. ეს ფაქტია. ფრონტი - ეს არის ფრონტული ცნობიერება, რომელიც ამ კონტაქტს აჩენს. იმ წუთში, როდესაც ჭურვების გაუსაძლისი ხმა ისმის, როდესაც ჰაერი თითქოს ნაწილებად სკდება, ჩვენს ძარღვებში, ხელებსა და თვალებში რაღაც ახალი გრძნობა იღვიძებს - ხიფათის მოლოდინის, სიფრთხილისა და სიფხიზლისა. სხეულის თითოეული ნაწილი კი, სინამდვილის აღქმის თვალსაზრისით, უაღრესად მოქნილი ხდება და ერთი დარტყმით თითქოს მუდმივ მზადყოფნაშია.

ხშირად მეჩვენება, რომ ეს შემაძრწუნებელი, ვიბრაციაში მყოფი ჰაერის შედეგია, რომელიც უხმო კანკალით შემოგვეხვია ირგვლივ. ჰაერი, რომელიც ელექტრობას ასხივებს და ნერვის უცნობი დაბოლოებები მობილიზაციაში მოჰყავს. მუდმივად მეორდება ერთი და იგივე: ჩვენ, მობუზღუნე ან მხიარული სალდათები, ჩვეულებისამებრ მივემგზავრებით. მაგრამ, როგორც კი სანგრებს დავინახავთ, ჩვენი საუბარი ტონალობას იცვლის. როდესაც კატი ბარაკებთან აცხადებს, თამბაქო გვექნებაო, ეს სულ სხვაა, ეს მისი აზრია და მორჩა; მაგრამ როდესაც ამას აქ ამბობს, რაღაც განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენს, როგორც მთვარიან ღამეში ხიშტის გაელვება; მისი ყოველი სიტყვა ჩვენს გონებაში იჭრება, უფრო მნიშვნელოვანი ხდება და თითოეულ ჩვენგანში ჩამალულ ქვეცნობიერს აღვიძებს, რომ „მოსაწევი არსებობს,“ - იქნებ ეს სიტყვები ჩვენი სულის სამალავში შეყუჟულ სიცოცხლეს აჯანჯღარებს და თავდაცვისთვის ამზადებს.

ფრონტი ჩემთვის ავბედითი მორევია. ცენტრიდან მოშორებითაც კი, როდესაც წყალი მშვიდია, გრძნობ ძალას, რომელიც გიზიდავს და გიწოვს, ნელა, გარდაუვლად და ყოველგვარი გაძალიანების გარეშე.

მიწიდან, ჰაერიდან ჩვენში თავდაცვის ძალები ჩაედინება, - განსაკუთრებით მიწიდან. მიწა არავისთვის არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ჯარისკაცისთვის. როდესაც ჩაეკვრება ძლიერად და დიდი ხნით, სახით და კიდურებით, ცეცხლისგან შიშშეპყრობილი ჩაეფლობა შიგ, მაშინ მიწა ხდება მისი ერთადერთი მეგობარი, ძმა, დედა...

უსაფრთხოს და მდუმარეს, კვნესით, კივილით ჩასძახებს თავისი შიშის შესახებ და ისიც გულში ჩაიკრავს და მხოლოდ ცხრა-ათი წამით ათავისუფლებს სიცოცხლის

გადარჩენაზე ზრუნვისგან, შემდეგ კი კვლავ გულში იკრავს, ხანდახან - სამარადისოდ.

მიწა - მიწა - მიწა!

ო, მიწავ, შენი ნაოჭებით, ღრმულებით და ხევებით, სადაც შეიძლება გადაეშვა და მიიყუჟო! ომის კოშმარისაგან დაკრუნჩხულები, განადგურებულები, ცეცხლოვანი აფეთქებებისგან გონდა-კარგულები, მხოლოდ შენგან ველოდით სიცოცხლისათვის შერ-კინების ახალ ტალღას!

ჩვენი დაფლეთილი არსებობის გიჟური შტურმის თანამო-ნაწილე შენც ხდებოდი და ჩვენ ხელებით ვგრძნობდით ამას. გადარჩენილები გთხრიდით და შენში შემოსვლას ვლამობდით. გადარჩენის შიშნარევი სიხარულით წამიერად შენ ჩაგაფრინდებოდით ხოლმე ტუჩებით!

პირველი აფეთქების გრუხუნი ჩვენი არსებობის ნაწილს ერთი ხელის მოსმით ათასი წლით უკან გადაისვრის. ეს ცხოველური ინსტინქტი, რომელიც ჩვენში იღვიძებს, რომელიც გვხელმძღვანელობს და გვიცავს, გაუცნობიერებელი რამ არის. გაცილებით ჩქარა მოქმედებს, უფრო საიმედოა და უტყუარი, ვიდრე ცნობიერება. აუხსნელი რაღაცაა. აი, მიდიხარ და არაფერზე ფიქრობ - უეცრად ორმოში ზიხარ და ირგვლივ ჭურვის ნამსხვრევების წვიმაა.

- მაგრამ ვერ იხსენებ, როდის გაიგონე ჭურვის ხმა, ან როდის გადაწყვიტე ორმოში ჩაწოლა. მარტო სმენას რომ მიენდო, კარგა ხნის წინ შენგან მხოლოდ ნახშირად ქცეული ხორცი დარჩებოდა. ეს კი სულ სხვაა! ნათელმხილველის უტყუარი ყნოსვა, რომელიც გაიძულებს, მიწაზე დაემხო და დროულად უშველო თავს, ისე რომ არც იცი, როგორ ხდება ეს.

ჩვენ, ბუზღუნა და მხიარული სალდათები, მივემგზავრებით, იმ ზონაში მივდივართ, სადაც ომი იწყება და აქედან უკვე ადამიანებიც ვართ და ცხოველებიც.

* * *

მეჩხერ, ფოთოლგაცვენილ ტყეში შევდივართ. სასადილოებს გავცდით. ტყის მეორე მხარეს მანქანებიდან გადმოგვყარეს. მანქანები უკან გაბრუნდნენ. დილას ისევ ჩამოვლენ ჩვენს წასაყვანად.

ქვემეხის ბოლი და ნისლი მკერდის სიმაღლეზეა ამოსული. ზედ მთვარე დაჰნათის. გზაზე კოლონები მოედინებიან. მთვარის შუქზე ჩაფხუტები გაიელვებენ ხოლმე. თეთრი ნისლიდან აქეთ-იქით მხოლოდ თავები და იარაღის წვერებია ამოჩხერილი, მოქანავე თავები და თოფის ლულები.

იქით, მოშორებით, ნისლი წყდება. თავები ადამიანის სხეულებად იქცევა; - ქურთუკები, შარვლები და ჩექმები ნისლიდან ამოიზიდა, როგორც რძის ტბიდან.

კოლონა პირდაპირ მიემართება. სხეულები ერთ სოლად იკვრება და ცალკეულს ვეღარც ამოიცნობ, ერთი დიდი სოლი მიიწევს წინ. ნისლის ტბაზე თავები და იარაღები მიცურავენ. ეს მხოლოდ კოლონაა და არა ადამიანები.

ერთ-ერთ გადამკვეთ ქუჩაზე, ჩვენი მიმართულებით, იარაღით და აღჭურვილობით დატვირთული საზიდარი მოდის. მთვარის შუქზე ცხენებს ზურგი უბზინავთ, მოძრაობაც ლამაზი აქვთ - თავები უკან გადაგდებული, თვალები გაბრწყინებული. ცხენებმა და ურიკებმა მთვარით განათებულ ლანდშაფტზე სრიალით ჩაგვიარეს; მხედრები, თავზე ჩაჩქნით, გარდასულ დროთა რაინდებს მოგვაგონებენ, ეს ლამაზიც არის და შთამბეჭდავიც.

მესანგრეთა საწყობისკენ მივიჩქარით. ზოგიერთმა ჩვენგანმა რკინის მოღუნული და წაწვეტებული ძელები ზურგზე წამოიკიდა, სხვებმა ბორბლებზე დამაგრებულ მავთულებზე დააწყვეს და გზას გაუდგნენ. ტვირთი მძიმეა და სათრევად მოუხერხებელი. რაც უფრო წინ მივიწევთ, გზა მეტად ათხრილ-დათხრილი გვხვდება. წინ მიმავალნი ჯაჭვისებურად გადმოგვცემენ: „ფრთხილად! ორმოებია!“ თვალები დაგვეძაბა, ფეხებით და ჯოხით ნიადაგს წინასწარ ვამოწმებთ, სანამ ჩვენი სხეულის სიმძიმე დააწვება. კოლონა მოულოდნელად შეჩერდა; - ვიღაცამ ბორბლებიან მავთულებზე წაიბორძიკა და ილანძღება: გზაზე დაცხრილული მანქანებია მიმობნეული. ისმის ახალი ბრძანება: „მოწევა შეწყვიტეთ!“ სანგრებს მივადექით. ამასობაში ჩამობნელდა. ტყეს შემოვუარეთ და წინა ხაზზე აღმოვჩნდით. ჰორიზონტი კიდით კიდემდე ჩვენთვის უცნობი მოწითალო ფერით არის შეღებილი. ის გამალებით მოძრაობს და დროდადრო ბატარეის ლულიდან ამოვარდნილი ცეცხლით ნათდება. სასიგნალო რაკეტა ელვის სისწრაფით მიფრინავს ზეცაში; ვერცხლისფერი და წითელი ბურთები ფეთქდება და წითელ ვარსკვლავებად ცვივა ქვემოთ. დროდადრო ფრანგული რაკეტა ისვრის, რომელიც ჰაერში აბრეშუმის ქოლგად იშლება და ნელ-ნელა ეშვება დაბლა; დღესავით ანათებს ირგვლივ ყველაფერს; მისი ნათება ჩვენამდეც კი აღწევს და მიწაზე მკაფიოდ ვარჩევთ ჩვენსავე ჩრდილებს. სანამ ჩაიფერფლება, ერთი წუთით ჰაერში ჩერდება და იმწამსვე მორიგი რაკეტაც მოფრინავს ზემოდან, ამასობაში ისევ მწვანე, წითელი და ცისფერი ვარსკვლავები ეშვება ქვემოთ.

„გავიჭედეთ,“ - ამბობს კატი.

იარაღის გრიალი სულ უფრო ძლიერდება და გამაყრუებელ, გაბმულ გუგუნში გადადის - შემდეგ ისევ ცალკეულ დარტყმებად იშლება. ტყვიამფრქვევის ჯერი ჩვენს თავზე გრიალებს, ჰაერი გაურკვეველი ყმუილით და შიშინით არის სავსე. ეს მცირეკალიბრიანი ჭურვებია. თუმცა, მათ შორის უკვე ამოქმედდნენ მსხვილკალიბრიანი ჭურვების მთელი ყუთები და ბღავილით აპობენ ღამის წყვდიადს. ისინი სადღაც ჩვენ უკან ეშვებიან. ჩაგუდული, ხრინწიანი ხმა აქვთ, ატეხილი

ირმების შორეული ყვირილის მსგავსი. ხმა მცირე ღმუილითა და სტვენით ზემოთ მიიკვლევს გზას.

პროჟექტორები შავი ცისკენაა მიმართული. მათი სხივები ცაზე აქეთ-იქით დასრიალებენ, როგორც გიგანტური, ბოლოში წაწვრილებული სახაზავები. ერთი მათგანი გაჩერებულია და ოდნავ კანკალებს. იმწამსვე მეორე ჩნდება მასთან, ჯვარედინად გადაესკვნენ ერთმანეთს, შავი მწერი მათ შორის მოექცა და ცდილობს, თავი დააღწიოს. ეს მფრინავია. სხივები გზას უბნევენ და ისიც დაბრმავებული ვარდება მიწაზე.

* * *

ჩვენ ძელებს ვამაგრებთ, ერთმანეთისგან თანაბარი დაშორებით. ორ კაცს ეკლიანი მავთულის გორგალი უჭირავს, დანარჩენები კი შლიან. ეს საზარელი მავთული მჭიდროდ ჩამწკრივებული, გრძე-ლი ეკლებით! გაშლას არ ვარ მიჩვეული და ხელებს ვიკაწრავ.

რამდენიმე საათში სამუშაოს მოვრჩით. მაგრამ დრო კიდევ გვაქვს სატვირთო მანქანების მოსვლამდე. ზოგიერთი მიწვა და მიიძინა. მეც ვცდილობ დაძინებას, მაგრამ საკმაოდ აგრილდა. სადღაც ზღვასთან ახლოს უნდა ვიყოთ, სიცივისგან დროდადრო გვეღვიძება. ერთი პირი მაგრად ჩამეძინა. მერე უცებ ელდანაკ-რავივით შევხტი, არ ვიცი, სად ვარ, ზემოთ ვარსკვლავებს ვხედავ, რაკეტებსაც ვხედავ და წამით ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს ბაღში რაღაც ზეიმზე ჩამეძინა. არ ვიცი, დილაა თუ საღამო, გარიჟრაჟის თეთრ აკვანში ვირწევი და თბილ სიტყვებს ველოდები, რომელიც ეს-ეს არის უნდა მოვიდნენ ჩემამდე... თბილი და მშობლიური, - ვტირი? ხელს თვალებზე ვიდებ, გასაოცარია, ბავშვი ვარ, თუ რა ხდება? ეს ერთ წამს გრძელდება, შემდეგ კი კაჩინსკის სილუეტს ვხედავ. მშვიდად ზის, როგორც გამოცდილ მეომარს შეეფერება და ყალიონს ეწევა, ცხადია, სახურავიან ყალიონს. გაღვიძებული რომ დამინახა, მარტო ის მითხრა, მაგრად კი შეგვაჯანჯღარა, მაგრამ უბრალო შუშხუნა იყო, ბუჩქებში ჩავარდაო.

წამოვჯექი, უცნაურ მარტოობას განვიცდი. კარგია, რომ კატი ჩემ გვერდით არის. ფრონტისკენ ჩაფიქრებული იყურება და ამბობს: „ლამაზი იყო შუშხუნები. კარგი ფეიერვერკია, საშიში რომ არ იყოს.“

ჩვენ უკან ჭურვი გასკდა. ახალწვეულების ნაწილი შეშინებული წამოხტა. კატმა ყალიონი გამობერტყა. „ახლა დაგვცხებენ,“ - ამბობს ის და მართლაც აფეთქებების ახალი ჯერი იწყება. ჩვენ, შეძლებისდაგვარად, გვერდზე გავცოცდით. შემდეგი ჭურვი უკვე ჩვენ შორის ვარდება. ვიღაცები ყვირილს იწყებენ. ჰორიზონტზე რაკეტები მწვანედ ინთება. ტალახი შადრევანივით ავარდა ზემოთ, ნამსხვრევები ზუზუნებენ. აფეთქების შემდეგ მათი მიწაზე დაბერტყების ხმა დიდხანს ისმის.

ჩვენ გვერდით სიკვდილამდე შეშინებული რეკრუტი წევს, ჩალისფერი თმებით. სახე ხელებში აქვს ჩარგული. ჩაჩქანი გვერდზე გაგორებულა. ახლოს მივიწიე და ვცდილობ, თავზე ჩამოვაფხატო. ამოიხედა, ჩაჩქანს ხელი ჰკრა და ბავშვივით ჩარგო თავი ჩემს მკლავებში, ზედ მკერდთან. ვიწრო მხრები უთრთის, ისეთივე, ქემერიხს რომ ჰქონდა. დროს ვაძლევ, რათა გონს მოვიდეს. მინდა ჩაჩქანი თუნდაც რაიმესთვის გამოვიყენო და უკანალზე ვაფარებ, გასართობად კი არა, იმ მოსაზრებით, რომ ეს მისი სხეულის ყველაზე მგრძნობიარე ადგილია. სქელი ხორცი კი იცავს, მაგრამ თუ ტყვია მოხვდა, ჯოჯოხეთურად მტკივნეულია, გარდა ამისა, ლაზარეთში თვეობით მუცელზე უნდა იწვეს და ამის შემდეგ გარდაუვალი კოჭლობა ელის.

სადღაც გამაყრუებელი სიძლიერით გასკდა ჭურვი. შუალედში ყვირილი ისმის. ბოლოს თითქოს მიწყნარდა. ცეცხლმა ჩვენს თავებზე გადაიფრინა და სარეზერვო ბოლო სანგრებში ჩაწვა. მხოლოდ თავების წამოწევას ვბედავთ, რათა გარშემო მაინც მიმოვიხედოთ. წითელი რაკეტები ცაზე დაფარფატებენ. ეტყობა, შეტევა იწყება.

ჩვენთან კვლავ სიწყნარეა. წამოვიწიე და რეკრუტს მხრებში ხელი წავავლე: „ადექი, ბიჭო! ყველაფერმა კარგად ჩაიარა!“

არეული სახით იყურება ირგვლივ. „არა უშავს, მიეჩვევი,“ - ვეუბნები მე.

თავისი ჩაჩქანი დაინახა და თავზე დაიმხო. თანდათან გონს მოდის. უცებ გაწითლდა და უხერხულობა დაეტყო. უკანალზე ფრთხილად იკიდებს ხელს და გაწამებული სახით მიყურებს. იმწამსვე მივუხვდი: ზარბაზნის ციებ-ცხელება. ეს ჩაჩქანი ამ მიზნით სულაც არ მიმიდია უკანალზე, მაგრამ ახლა მის დამშვიდებას ვცდილობ: „ეს არ არის თავის მოჭრა, სხვებიც შენსავით იყვნენ ცეცხლის შემოტევისას, შარვლები გაავსეს. აი, იქ, ბუჩქის უკან წადი და საცვალი გადააგდე. ეგ არის და ეგ!“

* * *

ძუნძულით მიდის. შედარებით სიწყნარეა, მაგრამ ყვირილი მაინც არ წყდება. „რა ხდება, ალბერტ?“ - ვეკითხები მე.

„გვერდით მთელი კოლონა ჩაცხრილეს.“

ყვირილი არ წყდება. ეს საზარელი ყვირილი უკვე ადამიანების ხმას აღარ ჰგავს. „დაჭრილი ცხენებია,“ - მეუბნება კატი. ცხე-ნების ყვირილი არასდროს გამიგია და ძნელად დასაჯერებელი მგონია. ეს თითქოს ტანჯული სამყაროს ყვირილია; ნაწამები არსების ველური შიშითა და საშინელებით სავსე ტკივილი, რომელიც ასე გმინავს. ჩვენ ფერდაკარგულები ვდგავართ. დეთერინგი გაიმართა. „მხეცები, ნადირები, დახოცეთ მაინც ეგ უბედურები!“

გლეხია და ცხენებში კარგად ერკვევა. ის, რაც ჩვენც გვესმის, მას შიგ გულში ესობა დანასავით. ბოლოს სროლა მიჩუმდა, ამიტომ ცხენების არაბუნებრივი ყვირილი სიჩუმეში უფრო მკაფიოდ ისმის. უკვე აღარ ვიცით, საიდან მოდის, უხილავ,

ლანდისფერ, მიწყნარებულ, ნაცრისფერ ლანდშაფტში, თითქოს ცასა და დედამიწას შორის მთელ სივრცეს ფარავს, თან სულ უფრო მძლავრი ხდება. დეთერინგი ლამის გაცოფდა და ღრიალებს: „ჩაცხრილეთ, ჩაცხრილეთ მაინც ბოლოს და ბოლოს, ეშმაკმა წაგიღოთ!“ გაფითრებულები ვდგავართ. „ჰო, მაგრამ ჯერ დაჭრილებია მისახედი!“ - ამბობს კატი.

იმ ადგილს ვეძებთ, საიდანაც ხმა ისმის. ცხენებს რომ დავინახავთ, ეს ყვირილი უფრო ასატანი გახდება. მაიერს ჭოგრიტი აქვს თან. ვხედავთ სანიტრების ჯგუფს, საკაცეებს და შავ გუნდებს, რომლებიც ნელა მოძრაობენ. ეს დაჭრილი ცხენებია. რამდენიმე ცხენი მოშორებით გარბის, ერთ-ერთი ეცემა, მაგრამ ისევ გარბის. ერთ-ერთს მუცელი აქვს გადაგლეჯილი, ნაწლავები ქვემოთ აქვს ჩამოკიდებული, ვარდება, მაგრამ მაინც დგება.

დეთერინგმა იარაღი მოიმარჯვა და დაუმიზნა. კატმა ჰაერში გაისროლა. „გაგიჟდი?“ - დეთერინგი კანკალებს და იარაღს მიწაზე ანარცხებს. მივუჯექით და ყურები დავიქოლეთ. მაგრამ ეს საზარელი ყვირილი, კვნესა და ყივილი მაინც აღწევს, ყველგან შეაღწევს, ისეთია.

ყველას შეგვიძლია რაღაცის ატანა. აქ კი ოფლში ვიწურებით. მზად ხარ, ადგე და გავარდე, სულერთია, რა მიმართულებით, ოღონდ ამ ყვირილს მოშორდე. მერე რა რომ მხოლოდ ცხენებია და არა ადამიანები. შავ გორგალს საკაცე გამოეყო. შემდეგ რამდენიმე გასროლა გაისმა. გორგალი შეფართხალდა, თითქოს დაიშალა და გაბრტყელდა. მადლობა ღმერთს! ადამიანები დაჭრილ ცხენებთან არ მიდიან. მთელი ტკივილი ფართოდ გაღებულ პირებში ჩაუგუბებიათ. ერთ-ერთი მუხლებზე ეშვება, გასროლა და, ცხენი ვარდება, შემდეგ კიდევ ერთი, უკანასკნელი, წინა ფეხებს ეყრდნობა და კარუსელივით ტრიალებს.ეტყობა, ხერხემალი აქვს გადატეხილი. სალდათი მასთან მირბის, ერთი გასროლით აგდებს ძირს. ცხენი უხმოდ და ნელა ეცემა.

ყურებიდან ხელები მოვიშორეთ. ყვირილი შეწყდა. მხოლოდ ერთი მომაკვდავის გაბმული ოხვრა ჰკიდია ჯერ კიდევ ჰაერში. ირგვლივ მხოლოდ რაკეტებია, ყუმბარების სიმღერა და ვარსკვლავები - ცოტა არ იყოს, საოცარიც კია.

დეთერინგი ილანძღება: „ერთი ეს გამაგებინა, რა ბრალი მიუძღვით ამ საცოდავებს.“ მოგვიხლოვდა. ხმა აღელვებული აქვს, თითქმის საზეიმო. ამბობს: „გეუბნებით, ამაზე დიდი უნამუსობა არ არსებობს, რა ესაქმებათ ცხოველებს ომში!“

უკან ვბრუნდებით. დროა, როგორმე მანქანებამდე მივაღწიოთ. ცა ოდნავ განათდა. დილის სამი საათია. ქარმა დაუბერა. ჰაერი სუფთაა და გრილი. მოახლოებული გარიჟრაჟის ფონზე ჩვენი სახეები ნაცრისფერია.

გზას პატარა, ფრთხილი ნაბიჯებით ვიკვლევთ, სანგრებისა და ორმოების გავლით და ისევ ნისლის ზონაში შევდივართ. კაჩინსკი მოუსვენრადაა, ეს რაღაც ცუდს

მიგვანიშნებს. „რა გჭირს, კატ?“ - ეკითხება კროპი. „ჩქარა მინდა სახლში მისვლა,“ - „სახლში“ კარვებს გულისხმობს.

„ცოტაღა დაგვრჩა, კატ.“

ნერვიულობს.

„არ ვიცი, არ ვიცი.“

ჯერ ტრანშეასთან და შემდეგ მდელოზე გავდივართ. წინ მეჩ-ხერმა ტყემ ამოყო თავი. აქ ჩვენთვის მიწის ყოველი გოჯი ნაცნობია. აი, მონადირეთა სასაფლაო თავისი ბორცვებითა და შავი ჯვრებით.

ჩვენ უკან მოულოდნელად სტვენა გაისმა; სტვენამ იმატა და ჭექა-ქუხილში გადაიზარდა. ჩავიკუზეთ - ასი მეტრის მოშორებით ცეცხლის ღრუბელი ავარდა. მეორე დარტყმაც და, ხის კენწეროებს ტყის ნიადაგის შადრევანი გადაევლო, რომელსაც სამი-ოთხი ხე მიჰყვა ზედ, უზარმაზარი ქვაბის სარქველებივით გასკდა და ნაფოტებად დაეშვა ძირს. კვლავ აშიშინდნენ ყუმბარები. ეს ზარბაზნის ცეცხლია. ვიღაც განწირული ხმით ყვირის: - „ეს ზარბაზნის ცეცხლია, თავშესაფარი, თავშესაფარი!“

წინ მდელოა გადაშლილი, ტყე მოშორებითაა და თან საშიშია. თავშესაფრისთვის მხოლოდ სასაფლაო და საფლავები გვრჩება. სიბნელეში ფორთხვით მივიკვლევთ გზას და თითოეული ჩვენგანი მიზანში ზუსტად მოხვედრილი ფურთხივით ეწებება ძირს.

რამდენიმე წამიც და, გვიან იქნებოდა. შავი, ბნელი ღამე ერთბაშად აირია, გვრგვინავს და ბობოქრობს. ღამეზე მუქი, უზარმაზა-რი ბორცვები ჰაერში ელვისებურად მიექანებიან, თავზე გადაგვიფრინეს. აფეთქების ცეცხლმა სასაფლაო მთლიანად გაანათა.

გამოსავალი არსად არის. ყუმბარის აციმციმებულ სინათლეზე მდელოს შევავლე თვალი. ზღვის აზვირთებულ ზედაპირს მო-გვაგონებს, ყუმბარების დამაბრმავებელი ცეცხლი შადრევანივით იფანტება ჰაერში. აქედან მდელოს გავლით გაღწევა გამორიცხულია.

ტყე გაქრა: ყუმბარებმა მიწაში ჩაიტანეს, ნაფოტებად აქციეს და დაფლითეს. აქ უნდა დავრჩეთ, სასაფლაოზე.

ჩვენ თვალწინ მიწა გაიხლიჩა. მიწის გუნდების წვიმაა. ძლიერი ბიძგი ვიგრძენი. მუნდირის სახელო ტყვიის ნამსხვრევმა ბოლომდე გამირღვია. მუშტი შევკარი. ტკივილს ვერ ვგრძნობ, მაგრამ მოგვიანებით იჩენს ხოლმე თავს. ხელით ვისინჯავ, გაჩხაპნილია, მაგრამ უვნებელი. თავში მოულოდნელად რაღაც ისე მირტყამს, რომ გონებას ვკარგავ. თუმცა სწრაფად გამიელვა: ოღონდ ახლა არ მივითიშო! შავ მასაში

ჩავეფალი და ისევ ზემოთ ამოვფორთხდი. ჩაჩქანზე ტყვიის ნამსხვრევი მომხვდა, მაგრამ ბოლომდე ვერ ჩატეხა, ნაფშვენებს თვალებიდან ვიცილებ. წინ უშველებელი ორმოა, ძლივს ვარჩევ მის კონტურებს. ერთი ნახტომით მინდა ორმოში ჩახტომა, რადგან ყუმბარა იშვიათად ხვდება ერთსა და იმავე ადგილს. მიწაზე გაკრული, ცოცვით ვცდი-ლობ წინ წაწევას, როგორც თევზი წყლის ფსკერზე. და ისევ წუილი. გორგალივით მოვიკრუნჩხე, ხელის ცეცებით ვეძებ საფარს, მარცხნივ რაღაცას წავაწყდი და ზედ მივეკარი, ის ხელში მომყვება, მე ვკვნესი, მიწა სკდება, ჩემს ყურებში გამაყრუებელი გრგვინვაა. იმის ქვეშ ვძვრები, რაც ხელში მომყვა. თავზე ვიფარებ. თურმე ფიცრები და მაუდია, მხოლოდ საცოდავი საფარია, ნასხვრევები კი შეუჩერებლად ცვივა.

თვალები გავახილე, ჩემი ხელი ვიღაცის სახელოზეა ჩაფრენილი, ვიღაცის მკლავზე. ვინმე დაჭრილია? შევყვირე, პასუხი არ არის - მკვდარია. ხელს ღრმად ვაცეცებ ხის ნამტვრევში, აზრზე მოვდივარ, სასაფლაოზე ვიმყოფებით. მაგრამ ცეცხლის სიმძლავრე ყველაფერს აჭარბებს, გონებას გაკარგვინებს. ვცდილობ, კუბოს ამოვეფარო, მან უნდა დამიცვას, სიკვდილი სულაც მასშია ჩაბუდებული. ჩემ თვალწინ ღრმულს დაუფჩენია ხახა, როგორმე უნდა მივწვდე და შიგ ჩავხტე. უცებ სახეში გამარტყეს, ვიღაცის ხელი მხრებზე მეპოტინება. მკვდარმა ხომ არ გაიღვიძა? - ხელი მაჯანჯღარებს, თავი მოვაბრუნე, წამიერი განათებისას კაჩინსკის სახე შემრჩა, მივაშტერდი. ფართოდ გაღებული პირით რაღაცას მიყვირის, მაგრამ არაფერი მესმის, მიახლოვდება და კვლავ მაჯანჯღარებს. გრუხუნი შენელდა და მისი ხმა გავიგონე: „გაზი-გააზი-გაააზი - იქით გადაეცი.“

ხელის ერთი მოქნევით აირწინაღის კოლოფი ამომაქვს. ოდნავ მოშორებით ვიღაცა წევს. მხოლოდ ერთზე ვფიქრობ, იმანაც უნდა იცოდეს: „გაააზი, გააზი!“

ვეძახი და მისკენ მივგორავ, კოლოფით ვურტყამ, მაგრამ ვერაფერს ამჩნევს. კიდევ და კიდევ. მხოლოდ ოდნავ იხრება ჩემკენ - ეს რეკრუტია. შეძრწუნებული კატს ვუყურებ, მას უკვე აფარებული აქვს ნიღაბი. მე ჩემი ამომაქვს, ჩაჩქანი თავიდან მვარდება, რეზინი სახეზე ამეწება. ახალწვეულთან მივცოცდი, მისი აირწინაღი ხელთ მაქვს და ვახერხებ, თავზე ჩამოვაცვა, ისიც ჩააფრინდა. ხელს ვუშვებ და ერთი ნახტომით უკვე ორმოში ვწევარ.

ჩემ უკან ორმოს ძირზე რაღაც დაებერტყა - ერთხელ, მეორედ. ეს კატია, კროპი და კიდევ ვიღაც. ოთხივე დაძაბული მოლოდინით ვწევართ და ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად იშვიათად ვისუნთქოთ. აირწინაღით გატარებული წუთები სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წყვეტენ. ჰერმეტულია თუ არა ნიღაბი?! ჩემ თვალწინ ლაზარეთის უმძიმესი სურათები გაცოცხლდა: გაზით მოწამლულები, რომლებიც წამებით ესალმებიან სიცოცხლეს, ხრჩობით და სულის ხუთვით, ფილტვების ნაფლეთებს რომ არწყევენ.

ფრთხილად ვსუნთქავ, სარქველზე მიჭერილი პირით. გაზის ღრუბელი მიწაზე ყველა მიმართულებით ვრცელდება. ნებისმიერ სიღრმეში აღწევს და იქ ილექება. როგორც უშველებელი, რბილი მედუზა, ჩვენს ორმოშიც იბლანტება. კატს ხელი ვკარი. ჯობს, ზემოთ ავცოცდეთ და იქ დავწვეთ, ვიდრე აქ, სადაც გაზი მთლიანად გროვდება. მაგრამ ამას ვერ ვახერხებთ, რადგანაც ცეცხლის ახალი სეტყვა წამოვიდა. თითქოს ზარბაზნები კი არ ღრიალებენ, არამედ მთელი მიწა ზანზარებს.

რაღაც შავი მოჰქრის ჩვენკენ. გვერდით აფეთქებისგან ზემოთ ატყორცნილი კუბო ეცემა. ვხედავ, კატი ამოძრავდა და ვცდილობ, მასთან მივცოცდე. კუბო იმ მეოთხე ჯარისკაცს დაეცა მკლავზე, ჩვენს ორმოში რომ იწვა. კაცი ცდილობს, მეორე ხელით აირწინაღი აიძროს. კროპი დროულად ჩაერია, ხელი ზურგისკენ მოუგრიხა და მაგრად უჭირავს.

კატი და მე ვცდილობთ, დაჭრილი ხელი გამოვუთავისუფლოთ. კუბოს სახურავი შუაზეა გამსკდარი და ყანყალებს, ადვილად ვაძრობთ, მიცვალებული ამოვაგდეთ და ორმოს სიღრმეში ჩავუშვით. შემდეგ კუბოს ქვედა ნაწილს ვეჯაჯგურებით.

საბედნიეროდ, ჯარისკაცი გაითიშა და ალბერტს შეუძლია დაგვეხმაროს. უკვე ისეთი სიფრთხილით აღარ ვმოქმედებთ. ძალას არ ვიშურებთ და ბოლოს ქვეშ შედებული ნიჩბების მიწოლით, კუბო ჭრიჭინით იწევა ზემოთ. გარიჟრაჟი მოახლოვდა. კატი სახურავის ნატეხს იღებს და დაჭრილის გაპობილი მხრის ქვეშ დებს. თუ რამე გაგვაჩნია, ყველაფერს გადასახვევად ვიყენებთ. ამ ვითარებაში მეტის გაკეთება შეუძლებელია. თავი აირწინაღში მიგრუხუნებს და მიბჟუის. მალე შუაზე გამისკდება. ფილტვები დაძაბულია. მათ აღარაფერი აქვთ, გარდა ცხელი, არაერთხელ შესუნთქულ-ამოსუნთქული ჰაერისა, საფეთქლებზე ძარღვები დასკდომამდე მაქვს დაბერილი, თითქმის გაგუდვის პირას ვარ. ნაცრისფერმა სინათლემ ორმოში შემოჟონა. ნიავმა სასაფლაოს გადაუქროლა. ორმოს კიდეზე გადავგორდით. მღვრიე-ჭუჭყიან გარიჟრაჟზე, ჩემ წინ მოგლეჯილი ფეხი აგდია. ჩექმა სრულიად მთელია, იმ წუთს ყველაფერს გარკვევით ვხედავ. რამდენიმე მეტრის მოშორებით ვიღაცამ წამოიწია, შუშები გავიწმინდე, მაგრამ ისევ ოფლი ედება ზედ, სახის გარჩევას ვცდილობ. კაცს აღარ უკეთია აირწინაღი.

რამდენიმე წამს ვიცდი - არ ეცემა, აქეთ-იქით იყურება, რაღაცას ეძებს და რამდენიმე ნაბიჯს დგამს - ქარმა გაზი გაფანტა. ჰაერი გაიწმინდა. მეც ხროტინით ვიძრობ ნიღაბს და ვეცემი, ჰაერი ცივი წყალივით გადამესხა სხეულზე, მუქმა ტალღამ გადამიარა და გონება ჩამიქრო.

* * *

აფეთქების ხმა აღარ ისმის. ორმოსკენ შემოვბრუნდი და დანარჩენებს ხელს ვუქნევ. ისინი ამოცოცდნენ და სასწრაფოდ იშორებენ ნიღბებს. დაჭრილს ხელი ჩავავლე, სხვას მისი არტახიანი ხელი უკავია, ბორძიკით ვცდილობთ, იქაურობას გავეცალოთ.

სასაფლაო ნანგრევების გროვად იქცა. მკვდრები აქეთ-იქითაა მიმობნეული.

ისინი კიდევ ერთხელ მოკლეს, მაგრამ თითოეულმა მათგანმა, დაფლეთილმა, ჩვენ გადაგვარჩინა.

ღობე დანგრეულია, მის მიღმა გამავალი ვიწროლიანდაგიანი ხაზი შპალებიდანაა ამოგლეჯილი. ზემოთ აწეული, მოღუნული შპალები თითქოს ცაზეა მიბჯენილი. ჩვენ წინ ვიღაც წევს, ვჩერდებით; მხოლოდ კროპი განაგრძობს გზას დაჭრილთან ერთად.

ეს ჯარისკაცი ახალწვეულია. სისხლშია ამოსვრილი. იმდენად ღონემიხდილია, რომ ჯიბიდან ჩემს მათარას ვიღებ, რომელშიც კიდევ არის დარჩენილი ცოტაოდენი რომიანი ჩაი. კატმა ჩემი ხელი გასწია და მისკენ დაიხარა: „სად გამოგიჭირა ამ ტიალმა?“

მხოლოდ თვალები გადაატრიალა, მეტისმეტად მისუსტებულია, პასუხის თავი არ აქვს.

შარვალს ფრთხილად ვჭრით. გმინავს.

„მშვიდად, მშვიდად, ახლა ცოტა მოგეშვება.“

თუ მუცელში აქვს ჭრილობა, დალევა არ შეიძლება, მაგრამ გული არ არევია და ეს კარგის ნიშანია. ფეხი გავუშიშვლეთ. ეს ერთიანი მასაა, დამსხვრეული ძვლებით. სახსარში აქვს მოხვედრილი. ეს ბიჭი ფეხზე ვეღარასოდეს გაივლის. უფლებას ვაძლევ, ოდნავ მოსვას მათარიდან. დასველებული თითებით საფეთქლებს ვუწმენდ. თვალებში სიცოცხლე დაეტყო. მხოლოდ ახლა ვაჩნევ, რომ მარჯვენა მკლავიც სისხლში აქვს ამოსვრილი. კატი ორ ბანდს ისე შლის, რომ ჭრილობა დაფაროს. ნაჭერს ვეძებ, მინდა ბანდის ზემოდან გადავახვიო. ვერაფერს ვპოულობ. შარვალი კიდევ უფრო ზემოთ შევარღვიე, რომ ქვედა საცვალი გამოვიყენო, მაგრამ შარვლის შიგნით საცვალს ვერ ვპოულობ. დაჭრილს ვაკვირდები, ეს ხომ ამასწინანდელი ყმაწვილია, ქერა თმით. ამასობაში კატმა ერთ-ერთი მოკლულის ჯიბე გაქექა და კიდევ რამდენიმე ბანდის პაკეტი აღმოაჩინა, რომლითაც ჭრილობას ვფარავთ.

„საკაცეს მოვიტანთ,“ - ვეუბნები მე. თვალს არ გვაშორებს. პირს აღებს და ჩურჩულებს: „აქ დარჩით.“ - კატი პასუხობს: „საკაცეს მოგიტანთ და ახლავე აქ გავჩნდებით.“ ძნელი მისახვედრია, გაიგო თუ არა რამე; საცოდავად, ბავშვივით წუწუნებს ჩვენ უკან: „არ წახვიდეთ!“ - კატმა მოიხედა და ჩუმად ამბობს: „ერთი რევოლვერი უნდა გქონდეს თან, რომ უცბად ყველაფერი მოამთავრო.“ ბიჭი ტრანსპორტირებასაც ვერ აიტანს და სულ რამდენიმე დღე თუ გაძლებს, მაგრამ ის, რაც აქამდე გადაიტანა, არაფერია იმასთან შედარებით, რაც სიკვდილის წინ ელის. დაყრუებულია და ვერაფერს გრძნობს. ერთ საათში აკივლებული ტკივილის კონად იქცევა. მისი დღეები დათვლილია და მხოლოდ გიჟური წამება ელის წინ. და ვის სჭირდება ეს წამებით

სავსე დღეები?“ - თავს ვუქნევ და ვპასუხობ: „მართალი ხარ, კატ, აქ მხოლოდ რევოლვერია საჭირო.“

„მომეცი ერთი,“ - ამბობს ის და ჩერდება. გადაწყვეტილება მტკიცეა, ვგრძნობ. გარშემო მიმოვიხედეთ, მაგრამ მარტო აღარ ვართ. ჩვენ წინ გროვა ამოიზარდა, ორმოებიდან და ღრმულებიდან თავებია ამოშვერილი.

საკაცე მოგვაქვს.

კატმა თავი გააქნია: „რა ახალგაზრდები!“ და იმეორებს: „ასეთი ახალგაზრდები, სრულიად უდანაშაულო.“

* * *

ჩვენი დანაკარგი იმაზე ნაკლებია, ვიდრე ველოდით: ხუთი გარდაცვლილი და რვა დაჭრილი. ეს ხანმოკლე შემოტევა იყო. დახოცილთაგან ორნი ჯერ კიდევ ერთ-ერთ ღია საფლავში წვანან. ისღა დაგვრჩენია, მიწა მივაყაროთ.

უკან გავუდექით გზას. მივბორიალობთ, თითქმის კეფა-კეფას მიდებულნი.

დაჭრილები სამედიცინო პუნქტში გადავყავართ. ღრუბლიანი დილაა, სანიტრები აქეთ-იქით დარბიან სამკერდე ნიშნებითა და ნომრებით. გარშემო საცოდავი კვნესა ისმის. წვიმა დაიწყო. ერთ საათში მანქანებამდე მივაღწიეთ და ზედ ავძვერით. ამჯერად უწინდელზე მეტი ადგილია. წვიმამ იმატა. ლაბადა-კარვები გავშალეთ და თავზე წამოვიცვით. წყალი ხმაურით ჩამოდის. გვერდებიდანაც წყლის ნაკადი მოედინება. მანქანა ღრანტეებში მიჩახჩახებს, ჩათვლემილებს აქეთ-იქით გვაქანავებს.

წინა მანქანაში ორ კაცს ფოცხისებური ჯოხები უჭირავს. ისინი თვალს ადევნებენ ტელეფონების მავთულებს, რომლებიც ქუჩაზე გარდიგარდმო ისე დაბლა ჰკიდია, რომ შეიძლება თავები წაგვაცალოს. კაცები მავთულებს ჯოხით მაღლა სწევენ, ჩვენს დასაცავად. მათი შეძახილი ჩვენამდე აღწევს: „ყურადღება! - მავთულია.“ მთვლემარენი თავებს მუხლებზე ვხრით და ისევ ვიმართებით. მონოტონურია მანქანების რყევა, მონოტონურია შეძახილიც, მონოტონურად ჩამოდის წვიმაც. ჩამოედინება ჩვენს თავებზე და წინ დასვენებული მიცვალებულების თავებზეც, პატარა, დაჭრილი რეკრუტის სხეულზეც. გულიანად აწვიმს ქემერიხის საფლავსაც და ჩვენს გულებსაც.

სადღაც აფეთქების ხმა გაისმა. შევკრთით, თვალები დაგვეძაბა, ხელებიც მზად გვაქვს მანქანიდან ჩვენივე სხეულის სასწრაფოდ გადმოსაგდებად და თხრილში ჩასაგდებად.

სხვა არაფერი ისმის - მხოლოდ მონოტონური შეძახილი - „ყურადღება - მავთულია!“ - თავებს მუხლებამდე ვხრით, თან თითქმის შუა ძილში ვართ.

ძნელია ცალკეული ტილის მოკვლა, განსაკუთრებით, თუ ასობით გყავს. ეს არსებები საკმაოდ მაგრები არიან და ფრჩხილებით მათი ხოცვა მოსაბეზრებელია. თიადენმა ფეხსაცმლის ვაქსის სახურავი მბჟუტავი სანთლის ზემოთ დაამაგრა მავთულით. ამ პაწია ტაფაზე ტკაცუნით იყრებოდა ტილები.

ჩვენ ირგვლივ ვსხედვართ, მუხლებზე დადებული პერანგებით, წელზემოთ შიშვლები, თბილი სანთლის შუქზე ხელები გამალებით მუშაობენ. ჰაიეს ტილები განსაკუთრებული სახეობისაა: თავზე წითელი ჯვარი აქვთ.

თვითონ ამტკიცებს, რომ ეს არსებები ლაზარეთიდან შემორჩა და პერსონალურად სამედიცინო სამსახურის მაიორს ეკუთვნოდა.

„ქონი, რომელიც სახურავზე გროვდება, ჩექმების გასაპრიალებლად გამოდგება,“ - ამბობს და თვითონვე ხარხარებს თავის ხუმრობაზე, მაგრამ დღევანდელი დღე მისთვის წარუმატებელია; ერთი რამე მოსვენებას არ გვაძლევს.

ჭორი სიმართლედ იქცა. ჰიმელშტოსი დაბრუნდა, გუშინ გამოჩნდა. კვლავ შემოგვესმა საკმაოდ ნაცნობი ხმა. როგორც ჩანს, მეტისმეტად გაისარჯა და ახალწვეულებს ტყავი გააძრო გათხრილ მინდორზე სირბილით. მაგრამ მათ შორის მაღალჩინოსანი მოხელის შვილიც ყოფილა, სწორედ ამან გადატეხა ხერხემალში.

აქ ბევრი საოცარი რამ დახვდება. თიადენი საათობით განიხილავს ყველა ვარიანტს, თუ როგორ გასცემს პასუხს. ჰაიე ჩაფიქრებული უყურებს თავის უზარმაზარ თათს და თვალს მიკრავს. ჰიმელშტოსის მიბეგვა მისი ოცნების მწვერვალია; შემდგომში მიყვებოდა, რომ დასიზმრებია კიდეც ეს სასიამოვნო ამბავი. კროპი და მიულერი ერთმანეთში საუბრობენ. კროპი ერთადერთია, რომელმაც მოახერხა მესანგრეთა სამზარეულოში ოსპით სავსე ქვაბის მოპოვება. მიულერს დროდადრო მისკენ გაურბის თვალი, მაგრამ თავი ხელში აჰყავს და კითხულობს:

„ალბერტ, რას გააკეთებდი, უეცრად მშვიდობა რომ გამოცხადდეს? „მშვიდობა? გამორიცხულია!“ - მოკლედ მოუჭრა ალბერტმა. „კი, მაგრამ თუ მოხდა? - დაჟინებით ჩაეკითხა მიულერი, - რას იზამდი?“ „ეგრევე ავითესებოდი აქედან!“ - ჩაიბურდღუნა კროპმა.

„ეს ცხადია, მაგრამ შემდეგ?“

„გამოვთრებოდი,“ - ამბობს ალბერტი.

„სისულელეს ნუ ლაპარაკობ. მე სერიოზულად გეკითხები.“

„მეც,“ - ამბობს ალბერტი, - „აბა რა უნდა ქნას კაცმა?“

კატს ეს საკითხი ძალიან აინტერესებს, მაგრამ ჯერ კროპისგან უნდა მიიღოს ოსპის წილი და იღებს კიდეც. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ ამბობს: „დათრობა კარგია, თუ პირველსავე მატარებელს უნდა შემოახტე და, ჰაიდა დედაკაცთან“. მუშამბის საფულეში იქექება და ყველას ამაყად უჩვენებს ფოტოს. „ჩემი ბებერი!“ შემდეგ ფოტოს ინახავს და ილანძღება: „წყეული ტილიანი ომი.“ - „შენთვის ადვილია ლაპარაკი“, - ვეუბნები მე, - „შენ შვილიც გყავს და ცოლიც.“

„სწორია,“ - თავს მიკრავს ის, - „მე უნდა ვიზრუნო მათზე, რომ საჭმელი ჰქონდეთ.“

ვიცინით. „ეგ შენ არ მოგაკლდება, კატ, ყოველთვის მიაგნებ რაღაცას.“

მიულერს პასუხი არ აკმაყოფილებს. მოულოდნელი შეკითხვით ახლა ჰაიე ვესთუსი შეაკრთო, რომელიც ოცნებაში წასული ვიღაცას მწარედ უსწორდებოდა. „ჰაიე, შენ რაღას იზამდი, მშვიდობა რომ იყოს ახლა?“

„ჰაიეს ადგილას უკანალს აგიწითლებდი ამ საუბრის წამოწყებისთვის,“ - ვამბობ მე, - „რა წაგეკიდა უცებ?“

„როგორ მოხვდა ძროხის ფუნა სახურავზე!“ - პასუხობს მოკლედ მიულერი და იმავე კითხვით ჰაიეს უბრუნდება.

ჰაიე პასუხს ვერ პოულობს და ჭორფლიანი სახით გაოგნებული კითხულობს: „იმას გულისხმობ, ომი რომ აღარ იქნება?“

„ჰო, ყველაფერს მშვენივრად ხვდები!“

„მაშინ ქალები ხომ ისევ იქნებიან, არა?“ - ჰაიემ ტუჩები მოილოკა.

„ქალებიც, ცხადია.“

„ცხოვრებაც ეგ იქნება,“ - ამბობს ჰაიე და სახე ებადრება, - „დავითრევ ერთ ჩასუქებულ, გამრჯე დედაკაცს, სამზარეულოს დრაგუნს, გემრიელად ხელჩასაჭიდიც რომ ჰქონდეს და ეგრევე საწოლში! წარმოიდგინეთ, ნამდვილი ბუმბულის ლეიბები ზამბარიან საწოლზე, რვა დღე შარვალს არ გავიკარებდი.“

ყველა გაჩუმდა. დიდებული სურათია. ჟრუანტელმა დაგვიარა. ბოლოს მიულერმა ძალა მოიკრიბა და ჰკითხა: „და ამის შემდეგ?“

პასუხის შემდეგ ჰაიემ შეცბუნებულმა განაცხადა: „უნტერ-ოფიცერი რომ ვიყო, პრუსიელებთან დავრჩებოდი და კაპიტულაციას გამოვაცხადებდი.“ „ჰაიე, შენ მგონი გააფრინე,“ - ვეუბნები მე. უწყინრად შემომიბრუნდა: „ტორფი თუ გიჩიჩქნია ოდესმე? მოსინჯე ერთხელ!“

ჩექმიდან კოვზი ამოაცოცა და ალბერტის სასუსნავს დასწვდა.

„და მაინც, არა მგონია, რომ შამპანში სანგრების თხრაზე უარესი იყოს.“ ჰაიე ხითხითებს: „სამაგიეროდ, უფრო დიდხანს გრძელდება. ვერც შეისვენებ.“

„კი მაგრამ, სახლში ხომ ბევრად უკეთესია, ჰაიე?“ „ნაწილობრივ,“ - მეუბნება და პირდაღებული ფიქრებში იძირება. მის ნაკვთებში ყოველთვის ამოიკითხავ, რაზე ფიქრობს. საცოდავი ქოხმახი ჭაობის პირას, უმძიმესი სამუშაო გახურებულ სტეპში, ადრიანი დილიდან საღამომდე, მწირი გასამრჯელო, დაქირავებული ჭუჭყიანი სამოსი. „სამხედრო სამსახურში, მშვიდობის ჟამს, საზრუნავი არ გაწუხებს,“ - მშვიდად ამბობს ის. „ყოველდღე საჭმელს გაწვდიან, თუ არა, შეგიძლია ჩხუბი ატეხო, შენი საწოლი გაქვს, კვირის შვიდი დღე - კავალერივით სუფთა საცვლები და ტანსაცმელი. უნტერ-ოფიცრის სამსახურს ასრულებ, თავიდან ფეხებამდე მშვენივრად შემოსილი; - საღამოს თავისუფალი კაცი ხარ და ლუდხანაში მიდიხარ.“

ჰაიე უაღრესად ამაყობს თავისი იდეით. თითქმის შეყვარებულია მასზე. „და შენს თორმეტ წელიწადს რომ მოათავებ, აიღებ საპენსიო ბარათს. წადი და იმუშავე სოფლის ჟანდარმად. ისეირნე თუ გინდა მთელი დღე, არავინ გიშლის.“

სამომავლო ოცნებებში ჩაფლულს ოფლმა დაასხა. „წარმოიდგინე, რა პატივში იქნები. აქეთ კონიაკი, ალბათ ნახევარი ლიტრი, სოფლის ჟანდარმთან ყველა ცდილობს კარგი ურთიერთობის დამყარებას.“ „შენ ვერასოდეს გახდები უნტერ-ოფიცერი, ჰაიე,“ - მიაძახა კატმა. ჰაიე განაწყენებული უყურებს და დუმს. მის ფიქრებში ნაღდად შემოდგომის ნათელი საღამოებია, კვირა დღეები მინდორზე, სოფლის სამრეკლოები, სოფლის გოგონებთან გატარებული საღამოები და ღამეები, წიწიბურას ნამცხვარი, სოფლის ლუდხანაში უდარდელი ლაყბობით თავის შექცევა, - ამდენ ფანტაზიას ვეღარ უმკლავდება და გაბრაზებული ბუზღუნებს: „რა სულელური კითხვები მოგდით თავში?“

თან პერანგი გადაიცვა და ქურთუკი შეიკრა.

„შენ რას იზამდი, თიადენ?“ - ეძახის კროპი.

თიადენს მხოლოდ ერთი რამ აწუხებს, არსად გაუძვრეს ჰიმელშტოსი. ალბათ გალიაში დაამწყვდევდა და ყოველ დილით ხელკეტით დაადგებოდა თავზე. თან კროპს მიუბრუნდა: „შენს ადგილას ვეცდებოდი, ლეიტენანტი გავმხდარიყავი, აი, მაშინ კი გავუჩალიჩებდი ისე, რომ უკანალში წყალი აუდუღდეს!“

„დეთერინგ, შენ?“ - განაგრძობს კვლევას მიულერი. ნამდვილად სკოლის მასწავლებლად არის დაბადებული.

დეთერინგი სიტყვაძუნწია, მაგრამ ამ კითხვას პასუხობს: „მოსავლის აღებას მივუსწრებ.“ ამით საუბარს ამთავრებს და მიდის.

მას ბევრი საზრუნავი აწუხებს. ცოლმა კარ-მიდამოს უნდა მოუაროს. თან ორი ცხენი წაართვეს. ყოველდღე გაზეთებს კითხულობს, ხომ არ გაწვიმდა ოლდენბურგის

მხარეში. ვაი თუ თივის შენახვა ვერ მოასწრონ. იმავე წამს ჰიმელშტოსი გამოჩნდა. პირდაპირ ჩვენი ჯგუფისკენ გამოეშურა. თიადენს სახე ლაქებით დაეფარა. ბალახზე გაიჭიმა და აღელვებისგან თვალები დახუჭა.

ჰიმელშტოსი ყოყმანობს, ნაბიჯი შეანელა, შემდეგ მაინც მოვიდა. ადგომას არავინ აპირებს. კროპი ინტერესით შესცქერის.

ახლა ჩვენ წინ დგას და ელოდება, ხომ არავის წამოსცდება თუნდაც ერთი სიტყვა. მაგრამ მოლოდინი ამაოა და უხერხულობისგან მხოლოდ კბილებში სცრის: „აბა, როგორაა საქმე?“ რამდენიმე წამი გადის, ჰიმელშტოსი საქციელწამხდარია.

სიამოვნებით შეუდგებოდა ჩვენს მორიგ წვრთნას. მაგრამ, ეტყობა, გააცნობიერა, რომ ფრონტი ყაზარმა არ არის. მორიგი უშედეგო მცდელობის შემდეგ, ყველას კი აღარ მიმართავს, არამედ ერთს, იმ იმედით, რომ ბოლოს მაინც ეღირსება პასუხს. მასთან ყველაზე ახლოს კროპი ზის. ამიტომ სდებს პატივს და ეკითხება: „ააა, შენც აქ ხარ?“ მაგრამ ალბერტი მშრალად პასუხობს: „ოდნავ უფრო დიდი ხანია, ვიდრე თქვენ.“

მწითური ულვაში აცანცარდა: „მგონი, ვეღარ მცნობთ, ხომ?“

თიადენმა თვალები გაახილა და თქვა: „როგორ არა.“

ჰიმელშტოსი მისკენ მიტრიალდა და იკითხა: „ეს თიადენია, არა?“

თიადენმა თავი ასწია: „და იცი, შენ ვინ ხარ?“

ჰიმელშტოსი გაოგნდა: „კი მაგრამ, როდის აქეთ ვსაუბრობთ ჩვენ „შენობით?“ მგონი, თხრილში ერთად არ ვეყარეთ!“

შექმნილმა სიტუაციამ ჩიხში მოამწყვდია და აშკარად გა--მოსავალს ვეღარ პოულობს. ეტყობა, ასეთ მტრულ განწყობას არ ელოდა. მაგრამ ჯერჯერობით ახერხებს თავის დაცვას. - როგორც ჩანს, ვიღაცამ მიუტანა ზურგში უაზრო სროლების ამბავი.

თიადენი „თხრილებში ერთად წოლის“ შეკითხვამ ცოტა ხუმრობის ხასიათზე მოიყვანა: „არა, იქ შენ მარტო იწექი!“

ჰიმელშტოსი ადუღდა, მაგრამ თიადენმა დაასწრო და რაც სათქმელი ჰქონდა, ერთბაშად ამოანთხია: „შენ ვინა ხარ, იცი? გინდა გაიგო? ნაძირალა, ქეციანი ნაძირალა! კარგა ხანია ამის თქმას ვაპირებდი.“

თვეობით დაგროვილი ერთბაშად ამოანთხია და მისი პატარა თვალებიდან გამარჯვების სხივი გამოკრთა, განსაკუთრებით იმის გამო, „ნაძირალად“ რომ მონათლა.

ჰიმელშტოსმა საპასუხოდ ამოასხა: „შე ნაგავო, ტორფის სატანავ! ადექით ფეხზე, ფეხები ერთად და გაიჭიმეთ, როცა უფროსი გელაპარაკებათ!“ თიადენი ამაყი ჟესტით მიმართავს: „ჰიმელშტოს, შეგიძლიათ მიტრიალდეთ და აქედან მოუსვათ!“

ჰიმელშტოსი ადამიანი აღარ არის, ის სამხედრო სამსახურის ცოცხალი წესდებაა. ასეთ გაბრაზებას კაიზერიც ვერ შეძლებდა. უკვე ყმუის: „თიადენ, მე თქვენ სამსახურებრივად გიბრძანებთ, ადექით ფეხზე!“

„კიდევ რას მიბრძანებ?“ - ეკითხება თიადენი.

„დაემორჩილებით თუ არა ჩემს ბრძანებას?“

თიადენი მშვიდად და აუღელვებლად პასუხობს, თან, გაუცნობიერებლად, თავის სიტყვას გერმანელი კლასიკოსის ციტატით ამთავრებს და სიღრმეში დაგუბებულსაც ერთბაშად ანთხევს.

ჰიმელშტოსი ადგილიდან მოწყდა, თითქოს ქარიშხალმა აიტაცაო და მოგვაყვირა: „თქვენ სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარსდგებით!“ ვუყურებთ, როგორ მიემართება კანცელარიისკენ.

ჰაიეს და თიადენის სიცილი ტორფის მუშების ღრიალს წააგავს. ჰაიეს სიცილისაგან ყბა უვარდება და დაფჩენილი პირით უსუსურად დგას. ალბერტი იძულებულია, მუშტის ერთი დარტყმით ყბა უკან ჩაუსვას.

კატი მოუსვენრობამ შეიპყრო: „რომ დაგვასმინოს, კარგი დღე არ დაგვადგება.“ „შენ ფიქრობ, გაბედავს?“ - კითხულობს თიადენი; „ნაღდად!“ - ვპასუხობ მე.

„მინიმუმ ხუთ დღეს „მკაცრს“ მოგაკერებენ,“ - აცხადებს კატი. თიადენი ნირსაც არ იცვლის. „ხუთდღიანი ციხე ხუთდღიანი სიმშვიდეა.“

„და თუ კარცერში მოხვდები?“ - გულდაგულ ჩაეძია მიულერი.

„ამასობაში ომიც დამთავრდება.“

თიადენი ბედნიერია. თითქოს მძიმე ტვირთი ჩამოიგდო მხრებიდან. ჰაიესა და ლეერის თანხლებით იქაურობას ეცლება, რომ უფროსობას ცხელ გულზე არ შეეფეთოს.

* * *

მიულერს დაკითხვა არ დაუმთავრებია. ახლა კროპს მიადგა: „ალბერტ, მართლაც თუ გეღირსება სახლში ჩასვლა, რას გააკეთებ?“

კროპი ახლა მაძღარია და უფრო დამთმობი: „რამდენი კაცი დარჩა ჩვენი კლასიდან?“ ჩვენ ვითვლით: ოცდან შვიდი მკვდა-რია, ოთხი დაჭრილი, ერთი საგიჟეთში, მთლიანად თორმეტნი თუ ვიქნებით.“

„აქედან სამი ლეიტენანტია, - ამბობს მიულერი, - შენ გგონია, მოისურვებენ კანტორეკის ღრიალის მოსმენას?“

„არა, ასე არ ვფიქრობთ. აღარ გვინდა, რომ თავზე დაგვჩხა-ოდეს.“ „რა აზრის ხარ სამმაგ მოქმედებაზე „ვილჰელმ ტელში?“ - იხსენებს კროპი და ხარხარებს. „რა მიზნები ამოძრავებდა გიოთინგენის „მუხნარის კავშირს?“ - კითხულობს უცებ საკმაოდ მკაცრად მიულერი.

„რამდენი შვილი ჰყავდა კარლ მამაცს?“ - შევუბრუნე მე წყნარად.

„თქვენგან არაფერი გამოვა ცხოვრებაში,“ - დაიყიყინა მიულერმა.

„როდის მოხდა ბრძოლა ზამასთან?“ - დაინტერესდა კროპი.

„თქვენ ზნეობრივი სერიოზულობის ნაკლებობას განიცდით, კროპ, დაბრძანდით, სამი მინუსით,“ - ხელი ჩავიქნიე მე.

„რა მიაჩნდა ლიკურგს სახელმწიფოს მთავარ ამოცანად?“ - წიწინებს მიულერი და წარმოსახვით პენსნეს ისწორებს.

„როგორ ისმება სასვენი ნიშნები შემდეგ წინადადებაში: „ჩვენ, გერმანელები ვართ ღვთისმოშიშნი, მსოფლიოში მეტი არავინ...“ თუ „ჩვენ გერმანელები...“...- აქ შევყოვნდი და დავფიქრდი.

„რამდენ მცხოვრებს ითვლის მელბურნი?“ - ჭიკჭიკებს მიულერი.

„როგორ აპირებთ არსებობას, ეს თუ არ იცით?“ - აღშფოთებული ვეკითხები ალბერტს.

„რას ნიშნავს კოჰეზია?“ - უკანასკნელ ხერხს მიმართა მან.

ჩვენ კარგა ხანია მიგვავიწყდა ეს სიბრძნეები. არც არაფერში დაგვხმარებია. სამწუხაროდ, სკოლაში არავის უსწავლებია, როგორ ავანთოთ სიგარეტი წვიმაში და ქარბუქში, როგორ დავანთოთ ცეცხლი სველი შეშით; - ან ის, რომ უმჯობესია ხიშტი მუცელში ჩაარტყა და არა ნეკნებში, რადგან მუცელში არ ჩარჩება და იოლად ამოდის.

მიულერი დაფიქრებული ამბობს: „რა აზრი აქვს, ჩვენ ხომ ისევ სკოლის მერხს უნდა მივუბრუნდეთ.“

ეს გამორიცხული მგონია. „იქნებ შეღავათიანი გამოცდის უფლება მოგვცენ.“ „ამისთვის მომზადებაა საჭირო და თუ ჩააბარებ, მერე რა? სტუდენტობა არც ისე კარგია. დაჯექი და იზუთხე.“

„არა, ეს მაინც უკეთესია. თუმც იქაც სისულელეებს გიტენიან თავში.“

კროპი ჩვენს განწყობას ეთანხმება. „როგორ უნდა იფიქრო ამაზე სერიოზულად, როდესაც აქ ხარ, ფრონტზე.“

„ჰო, მაგრამ პროფესია ხომ უნდა გქონდეს," - შეეკამათა მიულერი, იმ წუთს კანტორეკს ჰგავდა, ჩვენი სკოლის მასწავლებელს.

ალბერტი დანით ფრჩხილების წმენდას იწყებს. გვაოცებს მისი კოპწიაობა, მაგრამ ფიქრებში ჩაფლული ამას გაუცნობიერებლად აკეთებს. უცებ გამოფხიზლდა, დანა გვერდზე მოისროლა და გვეუბნება: „საქმე ისაა, რომ კატი, დეთერინგი და ჰაიე თავის საქმეს მიუბრუნდებიან, ჩვენ ვიკითხოთ. პროფესია ხომ არასდროს გვქონია. ნეტავ რას გავაკეთებთ, ეს ყველაფერი რომ ჩათავდება?" - თავის გაქნევით ფრონტისკენ მიგვანიშნებს, - „თავიდან როგორ უნდა შევეჩვიო სხვა რამეს?"

„რა კარგი იქნება, რენტიე რომ გახდე და ტყეში განმარტოებით იცხოვრო," - ვამბობ მე, თან სირცხვილის გრძნობა მიპყრობს, ამ სიგიჟეში ასეთი პრეტენზია მეტისმეტია.

„მაინც რა მოგველის დაბრუნებისას?" - კითხულობს მიულერი. ეტყობა, ამ საკითხმა მაგრად შეაშფოთა.

კროპმა მხრები აიჩეჩა. „მთავარია, დავბრუნდეთ და იქ რამე გამოჩნდება."

ამ დროს ყველანი უმწეოდ გამოვიყურებით. „რა შეიძლება საერთოდ გავაკეთოთ?" - ვკითხულობ მე.

კროპი დაღლილი სახით მპასუხობს: „ჯერჯერობით რაიმეს კეთების სურვილი არ გამაჩნია, ერთ დღეს შეიძლება მოვკვდე და მაშინ რა? სამწუხაროდ, ჩვენი დაბრუნების ნაკლებად მჯერა."

ზურგზე ვწვები და მოკლე პაუზის შემდეგ ვამბობ: „როცა ვფიქრობ, რომ ოდესმე ყურს მოვკრავ სიტყვას - „მშვიდობა" და თანაც ეს სინამდვილე აღმოჩნდება, ტვინი მერევა და არც კი ვიცი, რას მოვიმოქმედებ. ეს სიტყვა გაგრძნობინებს, რომ ამ ნაგავსა და ხათაბალაში ამაოდ არ ეგდე. წარმოდგენაც კი მიჭირს. ალბათ ერთადერთი, რაც შეგიძლია და უნდა გააკეთო, პროფესიის არჩევაა. ისე, სწავლა, ხელფასი და ეგეთები, ცხადია, გულს მირევს. თანაც, ეს ყველაფერი ხომ გვქონდა? ესეც ამაზრზენია! მაგრამ თავში სხვა არაფერი მომდის, ალბერტ."

უცებ სასოწარკვეთა მიპყრობს და ყველაფერი უპერსპექტივოდ მესახება. კროპიც, ვატყობ, ჩემს აზრზეა: „თითოეული ჩვენგანისთვის ძნელი იქნება ყველაფრის მონელება. ფრონტის ზურგში, ისინი თუ ჩაფიქრებულან, ნეტავ ოდესმე ამაზე? ორი წელი ხელყუმბარა და გაბმული სროლა - ასეთ რამეს ნახმარ წინდასავით ვერ გადააგდებ, გვერდზე ვერ მოისვრი." მოკლედ, აზრი და განცდა ყველას ერთნაირი გვაქვს. და არა მარტო აქ მყოფთ, არამედ ყველას, ვისაც მეტ-ნაკლებად ამგვარ სიტუაციაში მოუხდა ყოფნა.

ეს ჩვენი თაობის საერთო ხვედრია.

ამ აზრს ალბერტი ახმოვანებს: „ომმა უვარგისი გაგვხადა ყველაფრისთვის."

ეს სიმართლეა. სამწუხაროდ, აღარც ახალგაზრდები ვართ და აღარც მსოფლიოს შტურმით აღება გვსურს. ერთადერთი მძაფრი სურვილი, რომელიც გვამოძრავებს, ამ კოშმარიდან თავის დაღწევაა. ჩვენ ისინი ვართ, ვინც საკუთარ თავს და სიცოცხლეს გაურბის. უბედურება მაშინ დაგვატყდა თავს, როდესაც თვრამეტი წლის გავხდით და სამყაროსა და არსებობის შეყვარებას ვიწყებდით. ამ დროს გვესროლეს და პირველი აფეთქებული ყუმბარა ჩვენს გულებს მოხვდა. ნორმალური საქმიანობისკენ გზა მოგვიჭრეს. გზა მოგვიჭრეს წინსვლისა და სწრაფვისკენ. ურწმუნოები გავხდით და მხოლოდ ომზე ფიქრი შეგვიძლია.

* * *

კანცელარია გამოცოცხლდა. ჰიმელშტოსმა, როგორც ჩანს, ყველა ფეხზე დააყენა. დამსჯელ რაზმს მსუქანი ფელდფებელი ცუნცულით მოუძღვის. სასაცილოა, მაგრამ ყველა შტატში მყოფი ფელდფებელი, როგორც წესი, მსუქანია.

უკან შურისძიების გრძნობით შეპყრობილი ჰიმელშტოსი მოჰყვება. ჩექმები მზეზე ულაპლაპებს.

წამოვიშალეთ.

„სად არის თიადენი?“ - ქლოშინით კითხულობს რაზმის წინამძღოლი. პასუხი ამ კითხვაზე, რა თქმა უნდა, არავინ იცის. ჰიმელშტოსი გაცეცხლებული გვიყურებს. „უეჭველად გეცოდინებათ, მაგრამ თქმა არ გსურთ, ხომ? აბა, აღიარეთ ახლავე, სად არის!“

ფელდფებელი თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, მაგრამ ამაოდ, თიადენი არსად ჩანს. საქმეს სხვა მხრიდან უვლის: „ათ წუთში კანცელარიაში გამოცხადდეს!“ ამ სიტყვებით იქაურობას ტოვებს და ჰიმელშტოსს კვალდაკვალ მიჰყვება.

„აი, რაღაც გრძნობა მკარნახობს: სანგრის მორიგ თხრას რომ დავიწყებთ, მავთულის იმ უშველებელ გორგალს ჰიმელშტოსს ზედ ფეხებზე დავუბერტყებ.“

„ბევრი გასართობი გველის მაგის ხელში,“ - იცინის მიულერი.

ჩვენი პატივმოყვარეობის ამბავია: გვინდა ფოსტალიონს შავი დღე ვაყაროთ და ამისთვის ძალებს ვიკრებთ.

ბარაკისკენ გავეშურე და თიადენი გავაფრთხილე, დროებით გამქრალიყო. შემდეგ კი ადგილებს ვიცვლით და კარტის თამაშისთვის ვემზადებით. ჩვენი შესაძლებლობები ამით იფარგლება: კარტის თამაში, გინება, ომი, ოცი წლის ასაკისთვის ეს ცოტაც არის და ბევრიც.

ჰიმელშტოსი კვლავ გამოგვეცხადა.

ყურადღებას არავინ აქცევს. ისევ თიადენი მოიკითხა. ჩვენ მხრები ავიჩეჩეთ.

„თქვენ ხომ მისი მოძებნა გაქვთ დავალებული!“ - დაჟინებული ტონით გვეუბნება ის.

„როგორ „თქვენ?“ - ჩაეკითხა კროპი.

„დიახ, შენ, ვინც აქ ბრძანდები.“

„გთხოვთ, „შენობით“ ნუ მომმართავთ,“ - უფროსივით ამბობს კროპი.

ჰიმელშტოსი თითქოს ციდან ჩამოვარდაო, გაოგნებული კითხულობს:

„ვინ მოგმართათ „შენობით?“

„თქვენ.“

„მე?“

„დიახ.“

მის ტვინში აშკარად რაღაც ამუშავდა და კროპს მიაშტერდა. კარგად ვერ მიხვდა, რა ხდებოდა მის თავს. ყოველ შემთხვევაში, ამჯერად თავდაჯერებული ვერ არის და ცდილობს, ოდნავ დათმობაზეც წამოვიდეს.

„თქვენ რა, ვერ იპოვეთ?“

კროპი ბალახზე წვება და აგდებულად უსვამს კითხვას:

„ოდესმე ფრონტზე თუ ყოფილხართ?“

„ეს თქვენ არ გეხებათ,“ - მტკიცედ პასუხობს ჰიმელშტოსი, - „მე პასუხს ვითხოვ.“

კროპი წამოიწია, „ახლავე აღვასრულებ თქვენს ბრძანებას, - პასუხობს ის, - იმ პატარა ღრუბლის ნაგლეჯს თუ ხედავთ ცაზე? ეს აფეთქებული საზენიტო ქვემეხის ნარჩენია. გუშინ ჩვენ სწორედ იქ ვიყავით. ხუთი მოკლეს, რვა კი დაჭრეს. ამ დროს, თითქოს არაფერი მომხდარა; შემდეგში, როცა იქ, ბრძოლის ველზე, თქვენთან ერთად გავემგზავრებით, რიგითი ჯარისკაცები თქვენი ნებართვის გარეშე აღარ მოკვდებიან. ჩვენ გრძელ მწკრივად დავეწყობით, გავიჭიმებით, - ქუსლები ერთად, ფეხის წვერები განცალკევებით და ყოჩაღად გკითხავთ: „შეიძლება გამოვიდე მწკრივიდან? შეიძლება მოვკვდე? ჩვენ სწორედ თქვენისთანა ხალხი გვჭირდება აქ.“

კროპი ისევ დაჯდა, ჰიმელშტოსი კი კომეტის სისწრაფით გაქრა.

„სამდღიანი ციხე,“ - ვარაუდობს კატი.

„ჯერი ჩემზეა,“ - ვეუბნები ალბერტს.

მაგრამ ჩვენ აღარავინ გვაწუხებს. მხოლოდ საღამოს შემოწმებისას იწყება დაკითხვა. კანცელარიაში ლეიტენანტი ბერტინკი ზის და ერთიმეორის მიყოლებით გვეძახიან.

მეც მოწმის როლში ვარ და ვცდილობ, ავხსნა თიადენის აჯანყების მიზეზი. ჩასველებული საწოლების ამბავი შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ჰიმელშტოსი გამოიძახეს. ჩემს ნათქვამს ვადასტურებ. „მართლა ასე იყო?“ - ეკითხება ბერტინკი ჰიმელშტოსს.

„რატომ არავინ განაცხადა მაშინ ამის შესახებ?“ - კითხულობს ბერტინკი, თუმცა შესანიშნავად იცის, რომ ფრონტზე ასეთ წვრილმანებზე ჩივილს აზრი არა აქვს და, საერთოდ, რა ჩივილზე შეიძლება საუბარი ფრონტზე? ეს ყველაფერი კარგად მოეხსენება და ჯერ ჰიმელშტოსს დაუწყო ჭკუის დარიგება და ახსნა, რომ ფრონტი ფრონტია და არა ყაზარმა.

ბოლოს თიადენის რიგიც დადგა. ლეიტენანტმა მასთან ტონი შედარებით გაამკაცრა. საკმაოდ ხანგრძლივი დარიგების შემდეგ, სამდღიანი პატიმრობა გამოუწერა.

კროპს თვალს უკრავს და მისთვის ოცდაოთხსაათიანი პატიმრობა საკმარისად მიიჩნია.

„რა გაეწყობა,“ - დანანებით ამბობს ლეიტენანტი.

კროპი მაგარი გვყავს.

ჩვეულებრივი პატიმრობა დროის სასიამოვნოდ გატარებას ნიშნავს. პატიმრობისათვის ძველი საქათმეა გამოყოფილი და იქ სტუმრების მიღების საშუალებაც კია, თანაც შიგ შეღწევის ყველა ხრიკი გვაქვს შემუშავებული.

მკაცრი სასჯელაღსრულება სარდაფში ხდება. წინათ ხეზე გვაბამდნენ ხოლმე, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ბოლო დროს აიკრძალა. ეტყობა, იძულებული არიან, დროდადრო მაინც ადამიანებად ჩაგვთვალონ.

კროპი და თიადენი მავთულის გისოსებს მიღმა მოათავსეს. ერთი საათიც არ იყო გასული, რომ მათთან სტუმრად გავეშურეთ. თიადენი მამლის ყივილით შემოგვეგება, შემდეგ კი კარტის თამაში შუაღამემდე გაგრძელდა, როგორც ყოველთვის, ოხერმა თიადენმა მოიგო.

* * *

უკანა გზაზე კატი მეკითხება: „შემწვარ ბატზე რა აზრის ხარ?“

„ცუდი არ უნდა იყოს,“ - ვპასუხობ მე.

იარაღით დატვირთულ მანქანაზე ავხოხდით, მგზავრობა ორი სიგარეტი ღირს.

კატს ის ადგილი კარგად აქვს დამახსოვრებული. საქათმე ერთ-ერთ პოლკს ეკუთვნის. ბატის ხელში ჩაგდება ჩემს თავზე ავიღე და კატის ინსტრუქციებს ყურადღებით ვისმენ. მან ხელები ჩემი ფეხების საყრდენად გაჭიმა. ღობეზე ვჯდები. საბედნიეროდ, ღობის იქით მოთავსებული საქათმე ბოქლომით არაა ჩაკეტილი და მხოლოდ პალოს ნაჭერი აქვს გაჩრილი.

რამდენიმე წუთი ერთ ადგილზე ვჩერდები, რათა თვალი სიბნელს შევაჩვიო. ფრთხილად მივიპარები, თან პალო მოვსინჯე; მის ამოძრობასაც ვახერხებ და კარს ვაღებ.

სიბნელეში ორი თეთრი ბატი გავარჩიე. ორი ბატი არც ისე კარგია: ერთს თუ დაიჭერ, მეორე ყიყინს დაიწყებს და ყველაფე-რი ჩაგვეშლება. ამიტომ უნდა მოვასწრო და ორივეს მოვავლო ხელი, რაც შეიძლება სწრაფად, აი, მაშინ კი ბედი ნაღდად გაგვიღიმებს.

ნახტომით დავაფრინდი, მაგრამ ერთ-ერთი გამისხლტა. რამდენიმე წამში ორივეს საიმედოდ ჩავებღაუჭე. გაშმაგებული თავებს კედლებზე ვარტყმევინებ გათიშვამდე, მაგრამ ეტყობა, ძალა აღარ მყოფნის. ეს გარეწრები ფართხალს იწყებენ, ფრთებითა და ფეხებით ჩემს ხელებში ბუქნაობენ და თან ხიხინის მაგვარ ხმებს გამოსცემენ. გამწარებული ვიბრძვი. ჯანდაბა! მაინც რა ძალა აქვს ერთ-ერთს! აქეთ-იქით მექაჩებიან და კედლებს ვეხეთქები. საზარელი სანახავია სიბნელეში თეთრი ზეწარივით მოფართხალე ბატები. როგორც იქნა, ფრთები ხელში მოვიგდე და მეჩვენება, რომ ზეცისკენ მივფრინავ, თითქოს ორი აეროსტატი მომაბეს ხელებზე.

ხმაურს მაინც ვერ გადავურჩი: ერთ-ერთმა ბატმა ჰაერის ჩასუნთქვა მოახერხა და მაღვიძარას ხმაზე დასჭყივლა. მოხედვა ვერ მოვასწარი, რომ რაღაც რბილი მოგორდა საქათმესთან, ერთი მაგარი დარტყმა გვერდში და იატაკზე ვწევარ. განრისხებული ღრენა მესმის.... ძაღლი!

გვერდზე გავიხედე. კბილებით ლამის ყელში მწვდეს უკვე. იმწამსვე გავიტრუნე და ვცდილობ, ნიკაპი ქურთუკის საყელოს ამოვაფარო, დოგია. დროს უსასრულობად აღვიქვამ. ბოლოს თავს მაღლა სწევს და გვერდით მიცუცქდება. ჩემს ყოველ განძრევაზე ღრენას იწყებს. თავს ვიმტვრევ, ერთადერთი, შემიძლია პატარა რევოლვერი დავაძრო. თავი როგორმე უნდა დავაღწიო, სანამ ხალხი გამოჩნდება. ხელს რევოლვერისკენ მივაცოცებ, სანტიმეტრობით. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ საათები გადის. ყოველ განძრევაზე ისევ სახიფათო ღრენა. კვლავ გასუსული წოლა და კვლავ ახალი მცდელობა. როდესაც რევოლვერი ხელში მოვიგდე, კანკალი მეწყება. ხელი იატაკს მივაჭირე და წამიერად გადავწყვიტე: იარაღი ელვის სისწრაფით უნდა დავაძრო და გავისროლო, სანამ ძაღლი ყელში მწვდება. შემდეგ კი სწრაფად ავითესო.

ჰაერს ღრმად ვისუნთქავ, რომ დავწყნარდე. რევოლვერიანი ხელი მაღლა ავწიე და გავისროლე. დოგი წკმუტუნით გვერდზე გადაქანდა, ბოსლის კარს მივწვდი და გიჟივით გამოვვარდი გარეთ. გზად გაქცეულ ბატს წამოვკარი ფეხი, ხელი წავავლე და ერთი ხელის მოქნევით ღობეზე გადავისროლე. ჯერ მხო-ლოდ კედლის თხემზე ვარ, დოგი გამოფხიზლდა და ცდილობს, როგორმე მწვდეს. იმწამსვე ღობის მეორე მხარეს მიწაზე დავეხეთქე. ათი ნაბიჯის მოშორებით კატი მელოდება, ბატი იღლიაში ჰყავს ამოჩრილი. სასწრაფოდ ავითესეთ და ბოლოს და ბოლოს ამოსუნთქვის საშუალება მოგვეცა. ბატს უკვე ყელი აქვს მოგრეხილი, კატმა უცებ მოაგვარა ყველაფერი.

გადავწყვიტეთ, სადმე იქვე შეგვეწვა, რომ ვერავინ ვერაფერს მიმხვდარიყო. ბარაკიდან ქვაბი და შეშა მომაქვს. პატარა, მიტოვებულ სარდაფში ვძვრებით, რომელსაც მსგავსი მიზნებისთვის ვიყენებთ ხოლმე. მომცრო სარკმელი საკმაოდ კარგად დავგმანეთ. სარდაფში რაღაც ღუმლის მაგვარია მოწყობილი - აგურებზე გაშლილი ლითონის ფირფიტა. მალე ცეცხლი ავაგუზგუზეთ.

კატმა ბატი გაპუტა და მოამზადა. ბუმბულს გულმოდგინედ ვაწყობთ გვერდზე. ბუმბულიდან ორი ბალიშის შეკერვას ვაპირებთ, წარწერით: „ტკბილად დაისვენე ქვემეხების გრიალში!“

ჩვენი თავშესაფრის თავზე ფრონტის საარტილერიო ცეცხლი გუგუნებს. სახეზე შუქი გადაგვირბენს ხოლმე, კედლებზე თითქოს ჩრდილები ცეკვავს. მიყრუებული გრუხუნისგან დროდადრო ჩვენი სარდაფიც ზანზარებს. ეს ავიაბომბებია. შორიდან ერთი-ორჯერ კივილმაც კი მოაღწია. ეტყობა, ჭურვი ბარაკს დაეცა. თვითმფრინავები ზუზუნებენ. ქვემეხების რახა-რუხი არ წყდება. მაგრამ სარდაფი საიმედოდ არის დაგმანული და სინათლე გარეთ არ აღწევს. ამიტომაც, იმედია, შეუმჩნეველი ვიქნებით.

კატი და მე, ორი ჯარისკაცი გაქექილ ქურთუკებში, ერთმანეთის პირდაპირ ვსხედვართ და ბატს ვწვავთ შუაღამისას. ბევრს არ ვსაუბრობთ, მაგრამ უნაზესი გრძნობა და მუდმივი ზრუნვა გვაკავშირებს ერთმანეთთან. ვეჭვობ, რომ შეყვარებულები ამას განიცდიდნენ. ჩვენ ორნი ვართ, ორი უმცირესი ნაპერწკალი, ადამიანად განსახიერებული, გარეთ კი წყვდიადია და სიკვდილი მეფობს, თითქოს მის კიდეზე ვართ ჩამომჯდარი, ჯერჯერობით მისგან დაცული, მაგრამ მუდმივი შიშით შეპყრობილი. ჩვენი ხელებიდან ქონი წვეთებად ჩამოდის, გულები კი ერთნაირად გვიძგერს, მათში იგივე ცეცხლი ტრიალებს, რაც ირგვლივ: ცეცხლის მკრთალ შუქზე გულიდან გულში შეგრძნებათა შუქ-ჩრდილები აქეთ-იქით მოძრაობენ. რა იცის მან ჩემზე - რა ვიცი მე მასზე, ჩვენი აზრების ასეთი სიახლოვე წინათ წამოუდგენელი იქნებოდა - ახლა ერთი ბატის წინ ვსხედვართ, ჩვენს არსებობას ერთნაირად განვიცდით და ეს იმდენად გვაახლოებს, რომ სიტყვა ამ დროს სრულიად ზედმეტია.

ბატის შეწვა დიდხანს გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდაა და მსუქანი. ვმონაცვლეობთ: როცა ერთი ქონს ასხამს, მეორეს საშუალება ეძლევა, ოდნავ მიიძინოს. იქაურობა კი თანდათან გაიჟღინთა საამური არომატით. გარედან შემოჭრილი ხმები ერთ გუნდად იკვრება, ერთ სიზმრისეულ სურათად, მაგრამ გონება ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გათიშული. ნახევრად მძინარე, კატს თვალს ვადევნებ, ვხედავ მის ხელს, კოვზს რომ აქეთ-იქით იქნევს, ხან ზემოთ და ხან კი ქვემოთ. როგორ მიყვარს, თავისი მხრებით, კუთხოვანი დახრილი სხეულით. მის იქით ტყეს და ვარსკვლავებს ვხედავ. უცნობი, საამური ხმა ჩამესმის, თითქოს მამშვიდებს: მე, ჯარისკაცს დიდ ჩექმებში, წელზე მოჭერილი ქამრით და გვერდზე

მოგდებული ორცხობილას ტომრით, უკიდეგანო ცის ქვეშ მიმავალს, წინ რომ გადაჭიმულა, პატარა ჯარისკაცს, რომელსაც ყველაფერი განვლილი ადვილად ავიწყდება და სევდა იშვიათად ეუფლება.

პატარა ჯარისკაცი და საამური, კეთილი ხმა. მაგრამ როცა ვინმე პატარა სალდათს მოსაფერებლად თავზე ხელს გადაუსვამს, გულზე მიწამიყრილი ვეღარაფერს გაიგებს. მეომარი დიდ ჩექმებში მარჯვედ მიაბიჯებს და აღარაფერი ახსოვს, გარდა იმისა, რომ წინ უნდა იაროს. ჰორიზონტზე რაღაც გამოჩნდა: რა არის ეს? ყვავილები და ისეთი მშვიდი ლანდშაფტი, რომ ჯარისკაცს ცრემლებიც კი მოადგა. ეს წარსული ბედნიერი დღეების ზმანება ხომ არ არის, რომელსაც ვერ დაკარგავდა, რადგან არასდროს განუცდია, მაგრამ მაინც სულს უმღვრევს? ეს ოცი წლის გამო ხომ არ ხდება? ჩემი სახე სველია და სად ვარ მე? კატი ჩემ წინ დგას, მისი უზარმაზარი კუზიანი ჩრდილი მშობლიურად დამდგომია თავს და მფარავს. ჩუმად ლაპარაკობს, იღიმება და ცეცხლს უბრუნდება.

შემდეგ აცხადებს: „უკვე მზად არის.“ „ჰო, კატ,“ - ვამბობ მე.

ძილი სასწრაფოდ ჩამოვიბერტყე. სარდაფის შუაგულში შებ-რაწული ბატი გაიელვებს ხოლმე. საკეცი დანა-ჩანგალი მოვიმარჯვეთ და ჯერ ბარკლები გავინაწილეთ. ბატს გემრიელად შევექეცით და შემონახულ პურს ვატანთ. ნელა ვჭამთ, რომ კარგად დავტკბეთ.

„ხომ გემრიელია?“

„ძალიან კარგია, კატ.“

ჩვენ ღვიძლი ძმები გავხდით და ერთმანეთს საუკეთესო ნაჭრებს ვურჩევთ. ჭამის შემდეგ მე სიგარეტი გავაბოლე, კატმა კი - სიგარა. საკმაოდ ბევრი დაგვრჩა და კატს ვეკითხები: „კროპს და თიადენს ხომ არ წავუღოთ თითო ნაჭერი?“ „აუცილებლად,“ - მპასუხობს ის. მოზრდილი ნაჭრები ჩამოვჭერით და გაზეთში გავახვიეთ. დანარჩენი ბარაკში გვინდა წავიღოთ, მაგრამ კატი სიცილით ამბობს: „თიადენი.“ მივუხვდი, რომ დანაწილება არ ღირს და მონარჩენი ერთად უნდა შევახვიო. ამგვარად, გეზი საქათმისკენ ავიღეთ, რათა ორივე, კროპი და თიადენი გავაღვიძოთ. ბუმბულიც წინასწარ ცალკე შევახვიეთ. მთვლემარე კროპს და თიადენს ფატა მორგანა ვგონივართ. ყბები ხმაურით ამუშავდა. თიადენს ბატის ფრთა ორივე ხელით ჰარმონიკასავით აქვს პირში გაჩრილი და ენერგიულად ღეჭავს, ქვაბიდან ქონს წრუპავს, თან პირს აწკლაპუნებს:

„ამას არასდროს დაგივიწყებთ!“ - ამბობს ის.

ბარაკისკენ გავეშურეთ. ჩვენს თავზე ისევ ვარსკვლავებით მოჭედილი ცაა და გარიჟრაჟის პირველი სხივები. მე მივდივარ მათ ქვეშ, ჯარისკაცი დიდი ჩექმებით და

სავსე კუჭით, პატარა სალდათი გათენების პირზე. გვერდით კი მოხრილი და კუთხოვანი კატი მოაბიჯეებს, ჩემი მეგობარი.

ბარაკის კონტეინერები გარიჟრაჟის ბინდბუნდში შავად გვიახლოვდებიან და ღრმა ძილს გვპირდებიან.

6

ბანაკში მითქმა-მოთქმაა შემოტევაზე. ფრონტზე, ჩვეულებრივ, ორი დღით ადრე მივემგზავრებით. გზად რამდენიმე ჭურვით ნაცარტუტად ქცეულ სკოლას ჩავუარეთ. ფასადის გასწვრივ, ორმაგი მაღალი კედლის მსგავსად, ღია ფერის კუბოები ჩაუმწკრივებიათ. ფიჭის და ტყის სუნი ასდით. დაახლოებით, ასი უნდა იყოს.

„შემოტევისთვის კარგად მომარაგებულან!“ - გაკვირვებით ამბობს მიულერი.

„ჩვენთვისაა ალბათ,“ - ჩაილაპარაკა დეთერინგმა.

„ნუ სულელობ!“ - მიაფრინდა კატი.

„მადლობელი იყავი, ერთი კუბო თუ გერგო,“ - გაიკრიჭა თიადენი, - შენთვის მარტო ლაბადა-კარავი გამოდგება. შენი აღნაგობით მხოლოდ ტირში თუ გამოდგები სამიზნედ.“

დანარჩენებიც ხუმრობენ, მაგრამ, ცხადია, რომ ხუმრობით სულ-ში ჩაგუბებულ სატკივარს ფარავენ. სხვა რა შეგვიძლია ამ წუთს? - კუბოები მართლაც ჩვენთვის გაუმზადებიათ. ასეთ რამეებში თადარიგის დაჭერის ოსტატები არიან. წინ, ფრონტის ხაზზე მღელვარებაა. პირველ ღამეს ორიენტაციის აღებას ვცდილობთ. დროებითი სიმშვიდე საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ, როგორ შეუსვენებლად მოძრაობს მტრის ზურგში ტრანსპორტი. მოძრაობა გათენებამდე არ წყდება. კატი ამბობს, რომ ფრანგები არ იხევენ უკან, პირიქით, ახალი ნაწილებით გამაგრდნენ, - ახალი ქვედანაყოფებით, იარაღით, საბრძოლო მასალით, ხოლო ინგლისური არტილერია მაშველი ჯარებით შეივსო; ეს მაშინვე გავიგეთ. ფერმის მარჯვნივ დაახლოებით ოთხი ახალი ქვემეხი დგას. ალვისგან დარჩენილი კუნძის უკან ნაღმმტყორცნებია. გარდა ამისა, საკმაო რაოდენობით სპეციალური ჭურვები გადმოისროლეს, დარტყმითი ასაფეთქებლებით.

დათრგუნულები ვართ. ორი საათის შემდეგ, რაც ბლინდაჟებში შევიმალეთ, საკუთარმა არტილერიამ დაგვცხო. უკვე მესამე შემთხვევაა ბოლო ოთხ კვირაში. საქმე ისაა, რომ ლულები საკმაოდ მოძველებულია; ტყვია ისე იფანტება აქეთ-იქით, რომ ჩვენთანაც კი ხვდება. ამის გამო უკვე ორი დაჭრილი გვყავს, ერთ ღამეში.

* * *

ფრონტი ნამდვილი გალიაა, რომელშიც გამომწყვდეული ხარ და ელოდები, რა მოხდება. გისოსებში ვართ მომწყვდეული, რომლის რკინის წნულებს ყუმბარების რკალი ქმნის. დრო დაძაბულ მოლოდინში მიედინება, შემთხვევაზე ვართ დამოკიდებული: ჩაცუცქულნი ველოდებით ტყვიას, რომელიც არ ვიცით, რა მიმართულებით გამოქანდება და ვერც ზეგავლენას მოვახდენთ მის ტრაექტორიაზე.

რამდენიმე თვის წინ, ბლინდაჟში მიყუჟულები სკატს ვთამაშობდით. ცოტა ხნის შემდეგ გამოვედი და ნაცნობის მოსანახულებლად ახლომდებარე მეორე ბლინდაჟისკენ გავეშურე. როცა დავბრუნდი, პირველიდან აღარაფერი დამხვდა, გათხრილი მიწის გარდა. ისევ მეორეში გავვარდი სასწრაფოდ, რომ დანარჩენებს მივხმარებოდი. ამასობაში ყუმბარამ ისიც ნაფოტებად აქცია.

შემთხვევითობა ორგვარია: ან ნასროლი ტყვიით მოკვდები, ან ცოცხალი დარჩები. შეიძლება ტყვიაგაუმტარი ბლინდაჟის კედლებს შორის მოყვე და გაიჭყლიტო, ტრიალ მინდორზე ტყვიამფრქვევების ათსაათიანი მძაფრი ცეცხლის ქვეშ კი არაფერი შეგეხოს. ათასობით ამგვარი შემთხვევის წყალობით რჩება ჯარისკაცი ცოცხალი და ყოველი მათგანი დარწმუნებულია და სჯერა, რომ მხოლოდ შემთხვევა გადაარჩენს.

* * *

პურს სათანადოდ უნდა მივხედოთ. ვირთხები მას შემდეგ მომრავლდნენ, რაც სანგრებში წესრიგს ვეღარ ვიცავთ. დეთერინგის სიტყვებით, ეს მოახლოებული უბედურების ნიშანია. აქაური ვირთხები დიდები და ამაზრზენები არიან. ეს ის ჯიშია, რომელსაც „გვამის ვირთხა“ შეარქვეს. შიშველი, ბრაზიანი და საზარელი სახეები აქვთ. მათი შიშველი კუდების დანახვისას ნებისმიერი ცუდად გახდება.

ჩანს, მაგრად მოშივდათ. თითოეული ჩვენგანის პური შემოღრღნილია. კროპმა პური ლაბადა-კარავში შეახვია და თავქვეშ ამოიდო, მაგრამ მაინც ვერ იძინებს, რადგან ისინი მის სახეზეც დაძრწიან, რომ როგორმე პურს მისწვდნენ. დეთერინგმა ასეთი ეშმაკობა მოიფიქრა: ჭერზე მავთული დაამაგრა და პური ზედ ჩამოჰკიდა. ღამით გაეღვიძა, ჯიბის ფარანი აანთო და დაინახა, რომ მავთული აქეთ-იქით ირწევა და მას ვირთხა დააჭენებს. გადავწყვიტეთ, როგორმე ბოლო მოგვეღო ამისთვის. ვირთხის მოღეჭილი ფრთხილად შემოვჭერით - პურს ვერ გადავაგდებდით, რადგან დილას შიმშილი გველოდა.

ჩამოჭრილი ნაწილები იატაკის შუაში მოვათავსეთ. თითოეულმა ნიჩაბი მოვიმარჯვეთ და მზადყოფნაში გავიტრუნეთ. დეთერინგს, კროპს და კატს ჯიბის ფარნები აქვთ გამზადებული.

რამდენიმე წუთის შემდეგ შარაშური და ფუსფუსი ისმის. ხმა სულ უფრო მატულობს. ისინი უკვე აქტიურად მოქმედებენ. ფარნები ინთება და ნიჩბებს შავ ხროვას

ვურტყამთ. ვირთხები დაფრთხნენ და სისინით აქეთ-იქით გაიბნენ. გეგმა წარმატებული აღმოჩნდა. ვირთხების ნაწილები ბლინდაჟიდან გაგვაქვს და ისევ ვუსაფრდებით. დარტყმას რამდენჯერმე ვახერხებთ. შემდეგ თითქოს რაღაც შეამჩნიეს ან სისხლი იყნოსეს, აღარ გაგვკარებიან, მაგრამ პურის ნარჩენები მეორე დღეს მაინც აგვწაპნეს. მეზობლად მდებარე ნაწილში ორ დიდ კატას და ძაღლს დაესხნენ თავს, სასიკვდილოდ დაკბინეს და ხორცი შემოაჭამეს.

მეორე დღეს ედამის ყველი მოგვცეს. თითოეულს ყველის მეოთხედი გვერგო. ეს, ერთი მხრივ, სასიამოვნო იყო, რადგანაც ედამის ყველი მართლაც გემრიელი რამ არის, მეორე მხრივ კი, ყველის მსხვილი თავები ერთგვარ მინიშნებასავით აღვიქვით, რომ ხათაბალაში გავებმებოდით. ეჭვი კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც არაყიც გაგვინაწილეს. დალევით კი დავლიეთ, მაგრამ გუნება მოგვეშხამა.

მთელი დღე სროლაში ვეჯიბრებით ერთმანეთს, სამიზნედ ვირთხები გვყავს არჩეული, თან მოუსვენრად დავეხეტებით აქეთ-იქით.

ვაზნების და ხელყუმბარების რაოდენობა იზრდება. ხიშტებს ჩვენ თვითონ ვამოწმებთ. საქმე ისაა, რომ ზოგიერთ ხიშტს პირზე ხერხივით კბილანები აქვს. რომელიმე ჩვენგანი ამ ხიშტით თუ იქით მხარეს მოხვდება, სიკვდილი არ ასცდება. მეზობელი ნაწილიდან რამდენიმე ჯარისკაცი ასეთი ხიშტით შეიპყრეს და საშინლად აწამეს, ზოგს ცხვირი წააცალეს და ზოგს კი თვალები დასთხარეს, შემდეგ ცხვირ-პირი ნახერხით ამოუტენეს და დაახრჩვეს. რეკრუტების ნაწილს ასეთი ხიშტები ჯერ კიდევ აქვს შემორჩენილი, მაგრამ ამაზე ჩვენ ვზრუნავთ: ვართმევთ და ჩვეულებრივით ვუცვლით.

სხვათა შორის, ხიშტებმა თითქმის დაკარგეს ფუნქცია. შტურმის დროს მოდად იქცა ყუმბარის და ნიჩბის გამოყენება. გალესილი ნიჩაბი უფრო ადვილი და მრავალმხრივი იარაღი გამოდგა: შეიძლება ნიკაპის ქვეშ ჰკრა ვინმეს და გააგორო, ან ერთი ხელის მოქნევით შუაზე გააპო. დარტყმა განსაკუთრებით წარმატებულია, თუ მხარსა და კისერს შორის ურტყამ; მაშინ სულაც გულამდე გაჭრი მოწინააღმდეგეს. ხიშტი კი მოუხერხებელია, შეიძლება ისე გაეჩხიროს, რომ იძულებული ხდები, მის ამოსაღებად მოწინააღმდეგის მუცელს ფეხები მიაბჯინო; ამასობაში კი შენ თვითონ გითავაზებენ კარგად ზურგიდან. თანაც, ყველა სიკეთესთან ერთად, შეიძლება ადვილად შემოგატყდეს ხელში.

ღამით ჩვენს სანგრებზე გაზს უშვებენ. შეტევას ველოდებით და ნიღბებით გამზადებული ვწევართ. თუ ერთი ჯარისკაცის ჩრდილს მაინც მოვკრავთ თვალს, იმწამსვე უნდა მოვიძროთ.

თენდება, მაგრამ ჩვენთან არაფერი შეცვლილა. მხოლოდ ის, რომ სადღაც დაუსრულებელი, ნერვების დამფლეთი რახარუხია, მათ შორის, მატარებლების და სატვირთო მანქანების. ნეტავ სად იყრის ეს ყველაფერი თავს? ჩვენი არტილერია

მუდმივად იმ მიმართულებით ისვრის, ეს სროლა არ წყდება. - გავსავათდით, დაღლილი სახეები გვაქვს და ერთმანეთის მიღმა ვიყურებით.“

„ისე იქნება, როგორც სომესთან. შვიდი დღე ცეცხლის ქარიშხალში ვყავდით გამომწყვდეული,“ - ამბობს კატი პირქუში სახით. რაც აქ ვართ, ხუმრობა არ წამოსცდენია და ეს ძალიან ცუდია, რადგანაც სწორედ კატია სანგრის ნაწრთობი მგელი, რომელიც შეუმცდარ ალღოს ფლობს.

მხოლოდ თიადენს უხარია ერთი პორცია საჭმელი, ზედ დაყოლებული რომით. რატომღაც დარწმუნებულია, რომ მშვიდად დავბრუნდებით და არაფერი მოხდება. ჩვენც გვეჩვენება, რომ შეიძლება ასეც იყოს. დღე დღეს მიჰყვება და ღრმულში მიყურადებული, ღამეს პოსტზე ვატარებ.

ჩემს თავზე რაკეტები და სანათი პარაშუტები ზემოთ-ქვემოთ დაქრიან. დაძაბული ვზივარ, სიფრთხილეს ყველანაირად ვიცავ; გულს ბაგაბუგი გააქვს. თვალი მუდმივად გამირბის განათებული ციფერბლატისკენ. ისარი თითქმის გაიყინა და წინ არ მიდის. ძილი მძიმედ მაწვება ქუთუთოებზე, სიფხიზლისთვის ჩექმებში ფეხის თითებს ვამოძრავებ და ჩანაცვლებას ველოდები, მანამდე, იმედია, არაფერი მოხდება; - იქით კვლავ დაუსრულებელი რახარუხია.

თანდათან დავწყნარდით და ისევ სკატის თამაშს შევუდექით, თანაც გაორმაგებული ფსონით. ვინ იცის, იქნებ გაგვიღიმოს ბედმა!

ცა დღითიდღე ივსება დაკიდებული აეროსტატებით.

ამბობენ, შემოტევის დროს ქვეითი ჯარის თვითფრინავებს და ტანკებს ჩვენს მონაკვეთზეც გადმოისვრიან. ეს გაცილებით ნაკლებად გვაინტერესებს, ვიდრე ის, რასაც ახალ ცეცხლმტყორცნებზე ჰყვებიან.

* * *

შუაღამეს ვიღვიძებთ. მიწა ზანზარებს. ჩვენს თავზე ცეცხლის სქელი საფარი გიზგიზებს. კუთხეებში შევიყუჟეთ. ნებისმიერი კალიბრის იარაღს ვასხვავებთ ერთმანეთისგან; ჩვენს ნივთებს დავეძგერეთ და ვამოწმებთ, ხომ არაფერი გვრჩება. თავშესაფარი ძაგძაგებს, სიბნელე, ღრიალი და ელვა! ერთმანეთს მხოლოდ წამიერი გაელვებისას ვხედავთ: ფერდაკარგული სახეები, ტუჩები ნერვულად დამუწული. მხოლოდ თავებს ვაქნევთ აქეთ-იქით; რა ხდება? თითოეული ჩვენგანი სხეულით გრძნობს, როგორ იქცევა ბლინდაჟი ნამსხვრევებად, როგორ ითხრება ძირიანად სანგრის ფერდობი და ნაკუწებად ქცეული ბეტონი ნაფოტებივით ცვივა. დროდადრო ყრუდ გვესმის გამანადგურებელი დარტყმა, თითქოს განრისხებული მტაცებელი თავის მსხვერპლს ჩაფრენია კლანჭებით, - ეს სანგარზე ზუსტ დარტყმას მიანიშნებს.

დილას რამდენიმე ახალწვეულს სახეზე მწვანე ფერი ადევს და უკვე გული ერევათ. ისინი სრულიად გამოუცდელნი არიან.

გათენებისას სანგრებში უსიამოვნო ნაცრისფერმა სინათლემ შემოჟონა და ჭურვის აფეთქებებიც შენელდა. გათენდა. აფეთქებული ყუმბარები საარტილერიო ცეცხლს შეერია. ასეთი სიძლიერის შემზარავი გრიგალი ძნელად წარმოსადგენია. სადაც გადაივლის, მხოლოდ ძმათა სასაფლაოს ტოვებს უკან.

შემცვლელები პოსტზე გადიან, მეთვალყურეები, რომლებმაც მორიგეობა ჩაათავეს, ყანყალით და კანკალით, ჭუჭყში სრულიად ამოსვრილები შემოდიან. ერთი მათგანი კუთხეში მიწვა და რაღაცას ჭამს, მეორე რეზერვისტი კი გულამოსკვნილი სლუკუნებს; აფეთქების ტალღამ ორჯერ მოისროლა მიწაყრილზე, მაგრამ არაფერი ემუქრება, გარდა ნერვული შოკისა.

რეკრუტები მას მიშტერებიან. ასეთი რამ გადამდებია, ყურადღებით უნდა ვიყოთ, თორემ ზოგიერთს უკვე ტუჩების კანკალი დაეწყო. კიდევ კარგი, რომ გათენდა. იქნებ შეტევა შუადღის შემდეგ დაიწყოს.

ცეცხლი კვლავ მძვინვარებს. ჩვენ უკან მდებარე მონაკვეთი დაცხრილვის ობიექტია, ირგვლივ ტალახის და მეტალის შადრევნებია. მოწინააღმდეგე საკმაოდ ფართო სარტყელს მიადგა.

შეტევა არ იწყება, მაგრამ დარტყმები გრძელდება. თანდათან დავყრუვდით. ხმას ვეღარავინ იღებს. მაინც ვერაფერს ვაგებინებთ ერთმანეთს.

ჩვენი სანგრისგან თითქმის აღარაფერი დარჩა, მხოლოდ რამდენიმე ადგილას შემორჩენილა ნახევარმეტრიანი ღრმულები, ის მთლიანად არის დაფარული ორმოებით და მიწის გროვით. ზედ ჩვენს თავშესაფართან ჭურვი სკდება. იმწამსვე ბნელდება ირგვლივ. სანგარი მიწაყრილად იქცა, ასე რომ, როგორმე თავს უნდა ვუშველოთ. გამალებულ თხრას ვიწყებთ, რომ ამოვძვრეთ. რამდენიმე საათში შესასვლელი გავათავისუფლეთ; საქმით ვართ დაკავებული და, ამდენად, ცოტა უფრო მშვიდად ვართ.

ჩვენი უფროსი ცოცვით შემოდის და გვაუწყებს, რომ ორი ბლინდაჟი აღარ არსებობს. რეკრუტები მისმა გამოჩენამ დაამშვიდა. გვეუბნება, რომ საღამოს ეცდებიან, საჭმელი მოგვაწოდონ. მისი დაპირება ნუგეშად ჟღერს, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს, თიადენის გარდა. გარე სამყაროსთან მცირედ მაინც დაგვაკავშირა რაღაცამ: - საჭმლის მოტანა ხომ იმას ნიშნავს, რომ არც ისე ცუდად არის საქმე?! - ასე ფიქრობენ რეკრუტები. ჩვენც არ ვერევით და იმედს არ ვუკარგავთ, მაგრამ კარგად ვიცით, რომ საჭმელი ისევეა აუცილებელი, როგორც დანარჩენი აღჭურვილობა და ამიტომაც უნდა მოგვაწოდონ.

პირველი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. კიდევ ერთ გუნდს აგზავნიან. ისიც იძულებულია, უკან გაბრუნდეს. ბოლოს საქმეში კატი ჩაერია, მაგრამ ისიც ცარიელი ხელებით ბრუნდება. ამ ცეცხლში ვერავინ გააღწევს, უწვრილეს მავთულსაც ვერაფრით გაატარებ. ქამრები მოვიჭიმეთ და პურის ყოველ ლუკმას სამჯერ უფრო

შენელებული ტემპით ვღეჭავთ, ვიდრე ჩვეულებრივ. მაგრამ ეს არ გვყოფნის. შიმშილისგან ფერდი ფერდს მიეკრო. ჩემი მარაგიდან პატარა ნაჭერიღა შემომრჩა. რბილი მოვკბიჩე, კანი კი სამომავლოდ გადავდე, მაგრამ ვეღარ ვძლებ და დროდადრო ჩამოვაკვნეტ ხოლმე.

* * *

ღამე გაუსაძლისია. ძილი არ გვეკარგება. რაღაცას მივშტერებივართ და ღია თვალებით ვთვლემთ. თიადენი სინანულით იხსენებს ჩამოღრღნილ პურს, ვირთხებზე რომ გაიფლანგა. უნდა შეგვენახა და ახლა შიმშილს ცოტათი მაინც დავიოკებდითო.

წყალიც გვითავდება, თუმც ჯერ კიდევ შემოგვრჩა ცოტა.

სისხამ დილით, როდესაც ჯერ კიდევ ბნელა, მღელვარება იწყება: ვირთხების ხროვა შემოგვივარდა და ცოცვით აუყვა კედლებს. ჯიბის ფარნების შუქზე მათ შემოსევას საკმაოდ კარგად ვხედავთ. ყველამ ყვირილი და გინება ატეხა, თან, რაც ხელში ხვდებათ, იმით იგერიებენ ვირთხებს. განვლილი საათების რისხვამ და სასოწარკვეთამ ერთბაშად ამოხეთქა. სახეები შიშისაგან აქვთ დაღმეჭილი, ხელებს მთელი ძალით ურტყამენ, ცხოველები ჭყივიან, ვეღარ ვჩერდებით, სრული არეულობაა, ისე რომ, მალე ერთმანეთს დავერევით. ნერვების ამგვარმა აფეთქებამ ბოლომდე გაგვასავათა. ისევ მივწექით და ვიცდით. საოცარია, რომ ჩვენს თავშესაფარში ჯერ დანაკარგი არ ყოფილა. ჩვენი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვანი სანგრებიდან, რომელიც კიდევ არსებობს.

უცებ უნტერ-ოფიცერი შემოფოფხდა; მას პური მოაქვს. სამმა კაცმა, ღვთის თუ ბედის წყალობით, შემოღწევა მოახერხა და ცოტაოდენი საკვები მოიტანა. ყვებიან რომ ცეცხლის სარტყელი უკვე საარტილერიო პოზიციებამდე აღწევს და კვლავ გაუგებარი რჩება, საიდან მოაქვს მოწინააღმდეგეს ამდენი იარაღი. ჩვენ უნდა ვიცადოთ და ვიცადოთ. შუადღეს მოხდა ის, რასაც ველოდი. ახალწვეულს შეტევა დაემართა. დიდხანს ვადევნებდი თვალს: კბილებს აკრაჭუნებდა და მუშტებს არაბუნებრივად კრავდა და შლიდა გამწარებული, გადმოცვენილი თვალებით, ასეთი რამ საკმაოდ ბევრჯერ გვინახავს.

ბოლო წუთში თითქოს დამშვიდდა, მაგრამ მისი სიმშვიდე მოჩვენებითი აღმოჩნდა: ძირგამომპალ ხესავით ჩაეშვა საკუთარ თავში.

ნელა დგება, შეუმჩნევლად მიცოცავს, წამიერად ჩერდება და გასასვლელისკენ მიგორავს. მე მეორე გვერდზე ვბრუნდები და ვეკითხები: „საით გაგიწევია?“ „ახლავე მოვბრუნდები,“ - მპასუხობს ის. „დაიცადე, ცეცხლი მიწყნარდეს!“ ყურადღებით მისმენს და თვალებიც თითქოს დაეწმინდა, უცებ ცოფიანი ძაღლივით ისევ აემღვრა და მდუმარედ ცდილობს, თავიდან მომიცილოს.

fb.com/groups/elitlib

„ერთი წუთით, მეგობარო,“ - ვეძახი მე.

კატმა ყურები ცქვიტა. სწორედ იმ დროს, ჩემი მოცილება რომ დააპირა, ხელი ჩასჭიდა და ბოლოს ორივე მაგრად ვაკავებთ ხელით.

იმწამსვე შფოთს ტეხს:

„გამიშვით, გამიშვით, აქაურობას უნდა გავეცალო!“ - ყვირის ის. აღარაფერი ესმის, წიხლებს ისვრის და ჩხუბობს, დუჟმორეული პირიდან დანაწევრებულ და გაუგებარ ბგერებს გამოსცემს. ეს ბლინდაჟში დარჩენის განსაკუთრებული შიშია. შიში იმისა, რომ უჰაეროდ გაიგუდება და ამიტომ მხოლოდ ერთი რამ ამოძრავებს, თავი დააღწიოს აქაურობას. თუ გაქცევის საშუალებას მისცემ, ყოველგვარი საფარის გარეშე გავარდება, სულერთია სად. ის არც პირველია ამ შეტევით შეპყრობილი და არც უკანასკნელი. შეურაცხადია, თვალები გადაატრიალა და აღარაფერი შველის. იძულებულები ვართ, ვცემოთ, რომ გონს მოეგოს. ეს გეგმა სისრულეში მოგვყავს, ჩქარა და შეუბრალებლად. ჯერჯერობით მიზანს ვაღწევთ, რადგან მიწყნარდა და ჩამოჯდა. ამის დანახვაზე დანარჩენებმაც დაკარგეს ფერი. იმედია, ეს მათ ცოტათი დააფრთხობს. დღევანდელი ცეცხლის გრიგალი მეტისმეტად მძაფრი განცდაა საცოდავი ბიჭებისთვის. ისინი ხომ ამ ჯოჯოხეთში, რომლის ნახვით მოზრდილიც კი გაჭაღარავდება, პირდაპირ საველე-გამანაწილებელი პუნქტიდან მოხვდნენ.

ბლინდაჟის მხუთავი ჰაერი კიდევ უფრო მოქმედებს ნერვებზე. ჩვენ საფლავებში ვსხედვართ და მხოლოდ იმას ველით, რომ მიწას წაგვაყრიან. მოულოდნელად საშინელი ღმუილი და ელვა ისმის. დარტყმისაგან სადაცაა თავშესაფარი მთლად დაირღვევა. საბედნიეროდ, დარტყმა მსუბუქია და ბეტონის ნაგებობა უძლებს. ისმის მეტალის სახიფათო ჟღარუნი, კედლები ქანაობს, იარაღები, ჩაფხუტები, მიწა, ჭუჭყი და მტვერი, ერთმანეთში არეული, ჰაერში დაფრინავს. გოგირდოვანი კვამლი შიგნით შემოდის. ბეტონის ბლინდაჟმა გადაგვარჩინა, თორემ ახალნაშენ ქოხმახში არც ერთი ჩვენგანი ცოცხალი აღარ იქნებოდა.

მაგრამ განცდა საკმაოდ მძიმეა. ის რეკრუტი ისევ აბობოქრდა და მას კიდევ ორი შეუერთდა. ერთი მათგანი დასხლტა და გავარდა. დანარჩენ ორს ვეჯაჯგურებით. ვცდილობ, გაქცეულს დავეწიო და ვორჭოფობ, ფეხებში ხომ არ ვესროლო. მაგრამ უცებ ჩემკენ რაღაც მოექანება სტვენით, სასწრაფოდ მიწაზე განვერთხე და როდესაც წამოვდექი, სანგრის კედელი ნამსხვრევებით, ხორცის ნაჭრებითა და ტანსაცმლის ნაგლეჯებით აწეპილი დამხვდა. ისევ ბლინდაჟში შევედი.

პირველი ახალწვეული ნამდვილად გაგიჟდა. როგორც კი ვუშვებთ, თავს ვაცივით დაბლა ხრის და მთელი ძალით კედელს ურტყამს. ღამით უნდა ვეცადოთ, რომ ზურგში გადავიყვანოთ. ჯერჯერობით კი მაგრად შევკარით, ისე რომ შეტევის შემთხვევაში ადვილად ავუშვათ.

კატი კარტის თამაშს გვთავაზობს; რა ვქნათ, იქნებ ოდნავ მაინც მოვეშვათ, მაგრამ არაფერი გამოდის, ყოველ გასროლაზე ვრეაგირებთ, განსაკუთრებით კი იმაზე, რომელიც ახლოს ისმის. თამაში ირევა, ბანქოს ფერებიც გვერევა და თვლაც. იძულებული ვართ, ამგვარ გართობაზე უარი ვთქვათ. თითქოს უზარმაზარ მოგუგუნე ქვაბში ვსხედვართ, რომელსაც ყოველი მხრიდან ურტყამენ.

კიდევ ერთი ღამე. დაძაბულობისგან დავმუნჯდით. ეს მომაკვდინებელი დაძაბულობაა, როდესაც სრული განცდა გაქვს იმისა, რომ კბილანებიანი დანით ზურგის ტვინს გიხეხავენ.

ფეხები აღარ გემორჩილება, ხელები გიკანკალებს, სხეული აპკივით გათხელებული კანია, რომელიც ძლივს ფარავს შიგ ჩაგუბებულ სიგიჟეს, რომელმაც ყველა წამს შეიძლება ამოხეთქოს უსასრულო და დაუოკებელი გოდების სახით. აღარც ხორცი გაგვაჩნია და აღარც კუნთი, ერთმანეთს ვეღარ ვუყურებთ იმის შიშით, რომ რაღაც გაუთვალისწინებელი მოხდება. პირმოკუმულები ვსხედვართ, - ეს გაივლის - ეს გაივლის... - იქნებ ბოლომდე გავუძლოთ.

* * *

ჩვენს სიახლოვეს აფეთქებები მოულოდნელად შეწყდა. ცეცხლი ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ უკან გადაინაცვლა. სანგარი თავისუფალია. ხელყუმბარებს ხელი დავავლეთ, ბლინდაჟის შესასვლელში დავყარეთ და გარეთ გამოვცვივდით. ცეცხლის ქარიშხალი შეწყდა, მაგრამ სამაგიეროდ, უკან ჩამკეტი ცეცხლი მძვინვარებს. იერიში დაიწყო.

არავინ დაიჯერებდა, რომ ამ გადათხრილ უდაბნოში კიდევ იყვნენ ადამიანები; მაგრამ ახლა ყოველი სანგრიდან რკინის ჩაჩქანმა ამოყო თავი. ჩვენგან ორმოცდაათი მეტრის მოშორებით ტყვიამფრქვევია გამზადებული, რომელმაც იმწამსვე დაგვცხო.

მავთულხლართები დაფლეთილია, მაგრამ მტრის შეკავება ჯერ კიდევ შეუძლიათ. მოიერიშეები გვიახლოვდებიან. ჩვენი არტილერია ცეცხლით პასუხობს. ტყვიამფრქვევის კაკანს იარაღის სროლა მოსდევს. მოიერიშეები წინ მოიწევენ. ჰაიემ და კროპმა ხელყუმბარები აამოქმედეს. უჩვეულო სისწრაფით ისვრიან, ჩვენ წინასწარ ამოწეულ სახელურებს ვუმზადებთ. ჰაიე სამოც მეტრზე ისვრის, კროპი ორმოცდაათზე, ეს უკვე გამოცდილი გვაქვს. მოწინააღმდეგე ვეღარ ასწრებს, ოცდაათი მეტრითაც რომ მოგვიახლოვდეს.

ვხედავთ გადაბრეცილ სახეებს, გაბრტყელებულ ჩაფხუტებს. ფრანგები არიან. მავთულხლართს მიუახლოვდნენ და უკვე შესამჩნევი დანაკარგი აქვთ. მთელი წინა რიგი ტყვიამფრქვევმა ჩაცხრილა. მაგრამ დატენვაში რაღაც შეფერხება გვაქვს და ისინიც გვიახლოვდებიან. ვხედავ, როგორ ვარდება ერთ-ერთი ფრანგი მავთულხლართებში. სახე ზემოთ აქვს აწეული, სხეული ქვევით ენარცხება, ხელები

კი ისე აღუმართავს, თითქოს ლოცვას აპირებსო. შემდეგ სხეული გვერდზე გადავარდა და მავთულს მხოლოდ იდაყვებამდე მოგლეჯილი ხელები შემორჩა.

როდესაც კი უკან დახევას ვიწყებთ, მიწიდან სამი სახე ამოდის. ერთი ჩაფხუტის ქვეშ წაწვეტებულ წვერს და ორ თვალს ვხედავ, რომელიც ჩემზეა მომართული. ხელი ავწიე, მაგრამ ვიგრძენი, რომ ამ უცნაურ თვალებს ვერ ვესროდი. ბრძოლის მთელი პანორამა ჩემსა და იმ ორ თვალს შორის თვალის დახამხამებაში კარუსელივით დატრიალდა. თავი ამოძრავდა და ხელიც გამოჩნდა, - ის რაღაც მოძრაობას აკეთებს, მაგრამ ჩემმა ხელყუმბარამ დაასწრო და ელვის სისწრაფით გადაფრინდა მისი მიმართულებით.

უკან გამოვრბივართ, მავთულხლართებს სანგარზე ვყრით და მომზადებულ ხელყუმბარებს ჩვენ უკან ვისვრით, თავდაცვის მიზნით. შემდეგი პოზიციის ქვემეხები ცეცხლს ხსნიან.

საშიში მხეცები გავხდით: არ ვიბრძვით, თავს ვიცავთ განადგუ-რებისგან. ხელყუმბარებს ადამიანებს ვესვრით, - იმ მომენტში სულაც არ გვენაღლება, ადამიანები არიან თუ არა, იქ სიკვდილია ჩვენ წინააღმდეგ, ხელებით და ჩაფხუტებით. სამი დღეა, თვალებში ვუყურებთ, სამი დღეა, საშუალება გვეძლევა, შური ვიძიოთ. ჩვენ გააფთრება გვამოძრავებს, აღარ ვართ ღონემიხდილები. ეშაფოტზე მომლოდინე არსებებს უფრო ვგავართ.

შეგვიძლია განადგურება და ადამიანთა კვლა, რათა გადავრჩეთ და ჯავრი ვიყაროთ.

ყოველი კუთხე, ყოველი მავთულხლართი, ჩვენი სამალავია და შემოსულებს აფეთქებების მთელ რიგს ფეხებთან ვახვედრებთ. აფეთქებული ყუმბარების გრგვინვას ექოსავით ვგრძნობთ ხელებსა და ფეხებში, ჩაცუცქულები კატებივით გავრბივართ. რაღაც ტალღა მიგვაქანებს, სასტიკებს და ულმობლებს გვხდის, ყაჩაღებად და მკვლელებად, სულაც სატანებად გვაქცევს. ტალღა, რომელიც შიშითა და რისხვით გვმატებს ძალას, სიცოცხლის საოცარ წყურვილს აღვიძებს ჩვენში. ეს უკანასკნელი კი გადარჩენისა და სიცოცხლის შენარჩუნებისკენ გვიბიძგებს. მოიერიშეებში საკუთარი მამაც რომ გამოჩნდეს, ყოყმანის გარეშე გავუქანებდი ხელყუმბარას!

პირველი პოზიციის სანგრები ჩავაბარეთ, მაგრამ განა ეს სანგრებია? ისინი გადათელილია და განადგურებული. მათგან მხო-ლოდ ორმოებია დარჩენილი და ტრანშეები, გასასვლელებით ერთმანეთთან დაკავშირებული. აქა-იქ სანგარში ცეცხლი ბჟუტავს, ესღა დარჩა ყველაფრისგან. სამაგიეროდ, ფრანგებს საკმაოდ დიდი დანაკარგი აქვთ.

ასეთ შეუპოვარ წინააღმდეგობას არ ელოდნენ.

* * *

შუადღეა. მზე აცხუნებს, ოფლი თვალებს გვიწიწკნის და სახელოთი ვიწმენდთ, ხანდახან სახელოზე სისხლის კვალი რჩება. გამოჩნდა პირველი, მეტ-ნაკლებად გადარჩენილი სანგარი, სალდათებით გადატენილი, რომლებიც კონტრშეტევისთვის მომზადებულან. ჩვენც ვუერთდებით. ჩვენი არტილერია ძლიერ ცეცხლს ხსნის და გზა იკეტება. უკან მყოფნიც იძულებულნი არიან, შეჩერდნენ. წინ ვეღარ მივიწევთ. შეტევა ჩვენივე არტილერიის მიზეზით შეფერხდა. ვიცდით... ცეცხლმა ასი მეტრის დაშორებით გადაინაცვლა. ვცდილობთ, ცეცხლის კედელი გავარღვიოთ; ჩემ გვერდით ვიღაც ეფრეიტორს თავი წაეცალა. მან რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა და ძირს დაენარცხა. კისრიდან სისხლის შადრევანმა ამოხეთქა.

საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე არ მისულა, რადგან ფრანგები უკან იხევენ. დანგრეულ ტრანშეამდე მივაღწიეთ და ისევ ხელში ჩავიგდეთ, მაგრამ შეტევას მაინც განვაგრძობთ.

ო, ეს მობრუნება! სათადარიგო დამცველ პოზიციამდე მივაღწიეთ. როგორ გვინდა, შეუმჩნევლად, ცოცვით ჩავუაროთ და გავქრეთ. ამ დროს კი უნდა მობრუნდე და კვლავ ჯოჯოხეთში ჩარგო თავი. კარგია, რომ ადამიანები კი აღარ ვიყავით, არამედ ავტომატები - გასავათებულნი და ღონემიხდილნი სიამოვნებით მივწვებოდით იქვე, მაგრამ რაღაც გვექაჩება წინ. გააფთრებულებ-სა და გახელებულებს მტრების სისხლი გვწყურია. იმათი, ვინც ყუმბარებს და ქვემეხებს გვიმიზნებს - ჩვენ თუ არ ჩავქოლეთ, ისინი ჩაგვქოლავენ.

დახეთქილ, დაფლეთილ, ყავისფერ მიწაზე, მზის სხივებით მსუყედ განათებული რომ ელვარებს, ჩლუნგი და მოუღლელი, ავტომატებად ქცეული ადამიანები მოაბიჯებენ. ჩვენი მძიმე, აჩქარებული სუნთქვა - ეს სულებში ამოქმედებული ზამბარის ღრჭიალია; ტუჩები გაგვიშრა, თავები, ნამთვრალევივით, დამდნარი ტყვიით გვაქვს ამოვსებული. ფეხზე ძლივს ვდგავართ, მაგრამ მაინც წინ მივეთრევით, ჩვენს დაცხრილულ და ნახვრეტებად ქცეულ ცნობიერებაში წამებით და დაჟინებით ცოცხლდება ყავისფერი მიწის სურათი, მზის სხივებით მსუყედ განათებული რომ ელვარებს და სალდათები, კრუნჩხვით რომ ესალმებიან სიცოცხლეს. ისინი ფეხზე გვებღაუჭებიან და შველას ითხოვენ. იძულებულნი ვართ, გადავახტეთ, თავს ვუშველოთ.

გრძნობადაკარგულები ძლივს ვცნობთ ერთმანეთს და თუ ჩვენი გატანჯული მზერა შემთხვევით გადაიკვეთება, გაოგნებულნი შევცქერით თანამებრძოლებს. გულგაციებული მკვდრები ვართ, რომელთაც ბოროტმა ჯადოქარმა სირბილისა და მკვლელობის ძალა შთაბერა.

ერთი ფრანგი ჩამორჩა, ჩვენები წამოეწივნენ. მან ხელები მაღლა ასწია, ერთში რევოლვერი უჭირავს, - არ ვიცით, ისვრის თუ არა, - ამასობაში გალესილი ნიჩაბი სახეს შუაზე უპობს. მეორემ თვალი მოჰკრა და გაქცევას აპირებს, მაგრამ ხიშტი ტკაცუნით ესობა ზურგში. მკლავებს შლის, პირდაფჩენილი ღრი-ალებს და ბორძიკით

გარბის, ზურგში გაჩხერილი ხიშტი კი აქეთ-იქით ქანაობს. მესამემ იარაღი გადააგდო, ჩაიცუცქა და ხელები თვალებზე აიფარა. დანარჩენ ტყვეებთან ერთად უკან დარჩა, რომ დაჭრილები გაიყვანოს. ამ დევნაში მტრის პოზიციებს მივადექით.

იმდენად ახლოს მივედით უკანდახეულ მოწინააღმდეგესთან, რომ თითქმის გვერდიგვერდ აღმოვჩნდით. დანაკარგი მცირე გვაქვს. რომელიღაც ქვემეხმა ხმა მოგვაწვდინა, მაგრამ საპასუხო ყუმბარამ ჩააჩუმა. და მაინც, იმ რამდენიმე წამში ჩვენი ხუთი სალდათი მუცელში დაიჭრა. გამძვინვარებულმა კატმა ცოცხლად დარჩენილ ერთ-ერთ მეტყვიამფრქვევეს ცხვირ-პირი კონდახით გაუბრტყელა და ლამის სისხლიან ფაფად უქცია. დანარჩენები ეგრევე დავხვრიტეთ, სანამ ხელყუმბარის გამოყენებას შეძლებდნენ. ამ საშინელების შემდეგ ქვემეხის გარსაცმიდან ხარბად ვწრუპავთ გრილ წყალს.

ყველგან მავთულსაკვნეტების ტკაცუნი და ღობურაზე გადაგდებული ფიცრების ბრახუნი ისმის. ვიწრო გასასვლელებით სანგრებში ვხტებით. ჰაიე გალესილ ნიჩაბს უზარმაზარ ფრანგს კისერში ურტყამს და პირველ ყუმბარას ისვრის. რამდენიმე წამი თავშესაფრის უკან ვიმალებით, ამის შემდეგ სანგრის მონაკვეთი უკვე თავისუფალია. კიდევ ერთი აფეთქება და ჭურვის ნამსხვრევები გზას შემდეგი ტრანშეისკენ გაიკვალავს, რომელიც კუთხეს არის ამოფარებული. გზად ბლინდაჟებში ყუმბარების შეკვრას ვისვრით: მიწა კრთის, კვნესა და ტკაცატკუცი ისმის, ყველაფერი კვამლშია გახვეული. ჩვენ გავრბივართ. მიმობნეულ სრიალა ხორცის ნაკუწებს, რბილ სხეულებს ფეხს ვკრავთ. მე გაფატრულ მუცელზე ვეცემი, რომელზედაც ახალი, სუფთა კეპი გდია.

ბრძოლა შეჩერდა: მოწინააღმდეგეს მოვწყდით. აქ აღარ დაგვედგომება, ამიტომ ძველ პოზიციებზე ჩვენი არტილერიის დაცვის ქვეშ უნდა გადაგვიყვანონ. ამ ამბის გაგებისთანავე, თავპირისმტვრევით უახლოეს სანგრებში გავრბივართ. სანამ ავიხვეტებით, სასწრაფოდ უნდა მოვიმარაგოთ კონსერვები, მოკლედ, ყველაფრი, რაც ხელში ჩაგვივარდება. პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, თუნუქის ქილები იყო, ჩაშუშული ხორცითა და კარაქით.

უკან მშვიდობიანად დავბრუნდით. იქითა მხრიდან იერიში აღარ განმეორებულა. საათზე მეტხანს გონს ვეგებით და სულის მოთქმას ვცდილობთ. საუბრის თავი არ გვაქვს, ვწევართ და ვისვენებთ. შინაგანად იმდენად დაცლილები ვართ, რომ ძლიერი შიმშილის მიუხედავად, აღარც კონსერვები გვახსოვს. დრო გვჭირდება, რომ ადამიანებად ვიქცეთ.

იმათი ჩაშუშული ხორცი საყოველთაოდ ცნობილია ფრონტზე. მოულოდნელი დარტყმები და იერიში ჩვენი მხრიდან ხშირად მათი საკვებითაც არის მოტივირებული: ჩვენ ისე ცუდად გვამარაგებენ, რომ მუდმივად მგლებივით გვშია.

სულ ხუთი ქილა ჩავიგდეთ ხელში. მოწინააღმდეგე მხარე კარგად რომ ჰყავთ დანაყრებული, ცხადია. ჩვენსავით კი არ არიან „მშიერტანჯულები," მხოლოდ თალგამის ჯემით რომ გვაპურებენ. ხორციც თავსაყრელად აქვთ - ოღონდ ხელი გაიწვდინე. ჰაიემ დამატებით გრძელი თეთრი ფრანგული პური დაითრია და ნიჩაბივით ქამარში გაირჭო. ერთი კუთხე სისხლით კი არის დასვრილი, მაგრამ, ეგ არაფერი, ბოლოს და ბოლოს ჩამოვჭრით.

რა ბედნიერებაა, საჭმელი რომ გვაქვს; ძალ-ღონე კიდევ დაგ-ვჭირდება. აქ გაძღომა ისეთივე სანუკვარი რამ არის, როგორიც საიმედო ბლინდაჟი. ამიტომ ვნადირობთ გამალებით საჭმელზე - ესეც სიცოცხლის გადარჩენის ერთ-ერთი შანსია.

თიადენმა ახალი ტროფეი დააძრო: ორი მათარა კონიაკი, რომელსაც წრეზე ჩამოტარებით ვსვამთ.

* * *

მტრის არტილერია, როგორც წესი, ძილის წინ გვლოცავს. ღამე ჩამოწვა. ორმოებიდან ნისლის ღრუბლების პატარა გუნდი გამოჩნდა. ისეთი გრძნობაა, თითქოს ორმოებსა და ღრმულებში მოჩვენებათა საიდუმლოებებია ჩამალული. ნისლის თეთრი კვამლი ფრთხილად ედება გარემოს და თითქოს ორმოს კიდეზე გადმოსრიალებას ვერ ბედავს. შემდეგ თეთრი ზოლი სანგრიდან სანგრამდე გადაიჭიმა.

აგრილდა. მე პოსტზე ვდგავარ და ღამის წყვდიადს მივჩერებივარ. იერიშის შემდეგ ვეშვები და გული მიღონდება. ჩემს ფიქრებთან განმარტოება მჭირდება. ფიქრსაც არ დავარქმევდი, უფრო მოგონებებია, უცნაური, ჩემს დაღლილ სულს და გონებას რომ სტუმრობენ. შუქურა-რაკეტები დროდადრო ზეცას ანათებენ. ჩემ თვალწინ ცხადად იხატება სურათი: ზაფხულის საღამოა. ტაძრის შიდა ეზოს გადახურულ ტალანში ვდგავარ და პატარა ბაღის შუაგულში ვარდების ბუჩქებს შევცქერი. ამ ბაღში ტაძრის მსახურნი განისვენებენ. ირგვლივ ქანდაკებებია, ქრისტეს ვნებათა ამსახველი. აქ არავინ არის: ეს აყვავებული კუთხე უჩვეულო სიჩუმეს მოუცავს. სქელ ნაცრისფერ ქვებს მზე ათბობს. მე ხელით ვეხები მათ და სითბო სასიამოვნოდ შემოდის ჩემში. შიფრის სახურავის მარჯვენა კუთხეში ტაძრის მწვანე კოშკი აზიდულა ცისკენ და საღამოს რბილ, ფერმკრთალ სიცისფრეში ქრება. განათებულ პატარა ბოძებს შორის, რომლებიც ტალანს გარს არტყია, სიგრილეა და ბნელა, როგორც ეკლესიას სჩვევია ხოლმე. ვდგავარ და თავში ერთი აზრი მიტრიალებს: ოცი წლის ვარ და უკვე ვიგემე ის ტვინის ამრევი ფორიაქი, რომელიც ქალებთან არის დაკავშირებული.

წარმოსახვა გამაოგნებლად ახლოა ჩემთან და ასე ვიდგები ტაძრის ტალანში, სანამ რაკეტის მორიგი განათება არ გააქრობს მას.

ხელში იარაღს ვიღებ და სწორად ვდგამ. ლულა ნამიანია, ხელი მაგრად ჩავჭიდე და ვცდილობ, სისველე თითებით მოვაშორო.

ჩვენი ქალაქის განაპირას, ნაკადულთან, მდელოებს შორის, ალვის ხეების გრძელი რიგია. მათი დანახვა შორიდანაც შეიძლება და, მიუხედავად იმისა, რომ ერთ მწკრივად დგანან, მაინც ხეივანს უწოდებენ.

როგორ გვიყვარდა ბავშვობაში ეს ხეივანი! მას უხილავი, მიმზიდველი ძალა ჰქონდა, მთელ დღეებს იქ ვატარებდით და ხეების ჩუმი შრიალით ვტკბებოდით. მათ ძირში ჩამომსხდარნი, ფეხებს ნაკადულის სუფთა, ჩქარ ტალღებში ვყოფდით. ჩვენს ბავშვურ ფანტაზიას წყლის საამო არომატი და ქარის მელოდია მთლიანად იპყრობდა. ის ხეივანი მართლაც ძალიან გვიყვარდა და დღესაც გულს მიჩქროლებს იმ დღეების გახსენება. საოცარია, რომ მოგონებების მთელი ტალღა, რომელიც ასე მომეძალება ხოლმე, ორმაგი ბუნებისაა: ყოველთვის სიმშვიდით არის სავსე. ამ უმძაფრეს განცდას, მაშინაც, როდესაც რეალურ წარსულს არ ემთხვევა, თან უცნაური სიმშვიდე ახლავს. ეს გამოცხადება მზე-რით და ჟესტების ენით მესაუბრება, მდუმარედ და უსიტყვოდ. მისი დუმილი იმდენად შემძვრელია, რომ მკლავზე ხელს ვიკიდებ, იარაღს ვამოწმებ, თითქოს მეშინია, მეტისმეტად არ შემიტყუოს, საბოლოოდ არ შევუერთდე იმ სიმშვიდეს, მისი ნაწილი არ გავხდე და შიგ არ გავლღვე. ცდუნება და სურვილი იმდენად ძლიერია, რომ მეშინია, მიწაზე ნებიერად არ გავიჭიმო და მთლიანად ტკბილ მოგონებებში არ ჩავეფლო.

სიმშვიდე ჩემთვის გაუგებარ ცნებად იქცა. ის ფრონტზე საერთოდ არ არსებობს. ფრონტის რადიუსი იმდენად უსაზღვროა, რომ ჩვენ იმ რადიუსის იქით ვერც ვახერხებთ გასვლას. შემკრებ პუნქტებზე თუ ბანაკებში მუდმივად გვესმის ზუზუნი და ქვემეხების ყრუ გრუხუნი. ამ ხმაურს თავს ვერაფრით ვარიდებთ.

ბოლო დღეები კი სრულიად აუტანელი გახდა.

სწორედ სიჩუმე წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ წარსული იმდენად სურვილს კი არ გვიღვიძებს, რამდენადაც დარდს და ნაღველს, უსაზღვრო სევდას: ეს იყო და არასდროს დაბრუნდება.

ყველაფერმა ჩაიქროლა და იმ სამყაროდ იქცა, რომლის კარიბჭეც ჩვენთვის სამუდამოდ ჩაირაზა.

ყაზარმაში წარსულის მოგონება მეამბოხის გიჟურ ჟინს აღძრავდა, რადგანაც ის ჩვენთან და ჩვენ მასთან ჯერ კიდევ განუყრელად ვიყავით დაკავშირებული, თუმც საბოლოოდ ერთმანეთს მაინც დაგვაშორეს.

მისი არსებობა ყველგან იგრძნობოდა: სალდათურ სიმღერებში, რომლებსაც ხშირად ვღიღინებდით; გარიჟრაჟზე, როდესაც ტყის სილუეტის ფონზე სამხედრო სწავლებისთვის მივეშურებოდით. წარსულის უმძაფრესმა მოგონებამ მყარად გაიდგა ჩვენში ფესვები და ჩვენი მეშვეობით სხვებიც გრძნობდნენ მისგან წამოსულ სხივებს. მაგრამ სანგრებში ყველანაირი შეგრძნება ქრება და აღარც მოგონებებისგან რჩება რამე. ჩვენ მკვდრები ვართ. წარსულმა სადღაც შორს, ჰორიზონტზე გადაინაცვლა და

ბუნდოვან ხილვად, საიდუმლოებით მოცულ ანარეკლად იქცა, რომელიც იშვიათად შეგვახსენებს თავს. მისდამი სიყვარული უიმედოა და შიში გვიპყრობს. ის ძლიერია და ჩვენი სურვილი კი მწვავე, მაგრამ სულ უფრო მიუწვდომელი ხდება. იძულებული ვართ, ვაღიაროთ, რომ მისი განმეორება ისეთივე ფუჭი ოცნებაა, როგორც გენერლის ჩინი.

სამწუხაროდ, უკან, ჩვენი ბავშვობის ლანდშაფტში დაბრუნების საშუალება რომც მოგვეცეს, არ ვიცი, იქ რაღა გვესაქმება. საიდუმლო, ნაზი ძალები, რომლებსაც ჩვენკენ ასხივებდა, ვეღარ გააცოცხლებენ წარსულს. იქ მოხვედრილნი იმავე ხედებს დავინახავდით, ძველებურად ვიხეტიალებდით ნაცნობ ადგილებში, სიყვარულით გავიხსენებდით ყველაფერს და ალბათ კიდეც შეგვძრავდა ეს სანახაობა. მაგრამ ეს ხომ იგივეა, ხელში გარდაცვლილი მეგობრის ფოტო გეჭიროს და გრძნობდე, რომ მის სახეს, ნაკვთებს, ერთად გატარებულ დღეებს, ამაოების ელფერი დაედო. თვითონ კი აღარ არის, აღარ არსებობს.

ვეღარ ვიქნებით მასთან ისე ახლოს, როგორც წინათ. სილამაზის და განწყობის გამო კი არ გვიზიდავდა ასე ძლიერად. გვქონდა რაღაც საერთო, რომელიც გვაკავშირებდა სამყაროს, საგნებისა და მოვლენების ერთიან აღქმასთან, რაც ჩვენი არსებობის განმსაზღვრელი იყო. ძმური ერთობის გრძნობა, რომელიც, როგორც ახალ თაობას, ჩვენი მშობლებისგან განგვასხვავებდა. მათი სამყარო საუცხოოდ გვეჩვენებოდა. ირგვლივ თავდავიწყებამდე გვიყვარდა ყველაფერი და ყოველი წვრილმანი ჩვენთვის საფეხური იყო, რომელსაც უსასრულობაში მივყავდით. იქნებ ეს ახალგაზრდობის პრივილეგია იყო, რომ ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ვხედავდით და ვერც იმას, რომ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. ჩვენ მხოლოდ სისხლის მოლოდინში ვიყავით და ეს გრძნობა ცხოვრების საერთო ნაკადის მცირე ნაწილად გვაქცევდა.

დღეს, მშობლიურ მხარეში მოხეტიალენი, შემთხვევით ჩასული მოგზაურები თუ ვიქნებოდით. ჩვენ თავს დატრიალებული ორომტრიალისგან ვართ გადამწვარნი; მოვაჭრეებივით ვასხვავებთ საგნებს და მეხორცეებივით ვუღებთ ალღოს აუცილებლობას. ბოლო მოეღო ჩვენს უდარდელობას და შემაშფოთებლად გულგრილნი გავხდით. შეიძლება ცოცხლები დავრჩეთ, მაგრამ შევძლებთ კი ცხოვრების გაგრძელებას?

მიტოვებულ ბავშვებს ვგავართ, თუმცა გამოცდილებით მოხუცებსაც არ ჩამოვუვარდებით. გულქვა, საბრალო და ზედაპირული გავხდით. ვფიქრობ, რომ დაბნეული და დაკარგული თაობა ვართ, რომელიც სულიერად ვეღარასოდეს აღდგება.

* * *

ხელები ცივი მაქვს და მაჟრჟოლებს, თუმცა თბილი ღამეა. მხოლოდ ნისლია გრილი, ეს საშინელი ნისლი, რომელიც ჩვენ წინ დაყრილ მიცვალებულებს სქელი გარსივით

ეფინება და სიცოცხლის უკანასკნელ ნიშანწყალს უმოწყალოდ სწოვს. ხვალ ისინი ფერდაკარგულნი და მომწვანონი იქნებიან, სისხლი გაეყინებათ და გაუშავდებათ.

კვლავ შუქურა-რაკეტები გაუშვეს ცაში და შეუბრალებელი სინათლე გაქვავებულ ლანდშაფტს ანათებს - ცივი სინათლით შემოსილ კრატერებს, თავი მთვარეზე გეგონება. ფიქრებში შიში და მოუსვენრობა ისადგურებს, რომელიც კანქვეშ მოძრავმა სისხლმა ჩემს გონებამდე მიიტანა. გონება სუსტდება და შინაგანად ვკანკალებ, სითბო და სიცოცხლე მწყურია. ჩემს ფიქრებს ნუგეში და ტყუილი სჭირდებათ, არადა სასოწარკვეთის შიშველ სურათში აირივნენ.

ქვაბების ჩხარაჩხური მესმის და იმწამსვე თბილი საჭმლის მოთხოვნილება მიჩნდება, ეს დამამშვიდებლად და კარგად მოქმედებს. თავს ძალას ვატან, რომ ცვლას დაველოდო. შემდეგ ბლინდაჟში შევდივარ და იქ კარდალაში ჩემთვის დატოვებულ ქერის წვნიანს ვპოულობ. საკმაოდ მსუყედ არის შემზადებული და გემრიელია. ვჭამ ნელა და უხმოდ, თუმცა დანარჩენები გამოცოცხლებულები არიან, რადგან ცეცხლმა დროებით მიიძინა.

* * *

დღე დღეს მიჰყვება. ყოველი საათი გაუგებარია და ჩვეულებრივ იერიშს კონტრიერიში მოსდევს. დაჭრილები მოშორებით არიან, როგორღაც მაინც ვახერხებთ მათ გამოყვანას. ზოგიერთი კარგა ხანს იწვა. მათი მომაკვდავი კვნესა ჩვენამდე აღწევდა. ერთს ორი დღეა ამაოდ ვეძებთ. ეტყობა, მუცელზე დაეცა და გადმოტრიალება აღარ შეუძლია. სხვანაირად ვერაფრით ვხსნით, რატომ ვერ ვპოულობთ, რადგან თუ პირი მიწაზეა მიბჯენილი, ხმა ძნელად ისმის და ადგილსაც ვეღარ ვსაზღვრავთ.

საცოდავს ალბათ ცუდი ჭრილობა აქვს - არც ისეთი მძიმე, რომ სხეული ერთბაშად დაასუსტოს და მოკლას და არც ისეთი მსუბუქი, რომ გამოჯანმრთელების იმედით ტკივილები აიტანოს. კატის აზრით, მას ან მენჯი დაუზიანდა ან ხერხემალში მოხვდა. ეტყობა, მკერდი მთელი აქვს, თორემ ყვირილისთვის ამდენ ძალას ვერ მოიკრებდა. სხვა ჭრილობების შემთხვევაში, ცოცვას შეძლებდა და უთუოდ დავინახავდით.

თანდათან სულ უფრო ჩახლეჩილი ხმა ისმის, საუბედუროდ, ხმაზე ვერაფრით მიაგნებ, რადგან ამგვარი ხმები ყოველი მხრიდან მოდის. პირველ ღამეს ჩვენები სამჯერ წავიდნენ საძებნელად, მაგრამ ყოველ გასვლაზე ხმა სხვადასხვა მხრიდან ისმოდა.

გათენებამდე ამაოდ ვეძებთ. დღისით ძებნა ჭოგრიტით გრძელდება, მაგრამ მაინც ვერ ვაგნებთ. მეორე დღეს ხმა უფრო ჩუმად ისმის. ეტყობა, ტუჩები და პირი გადაუშრა. ჩვენი კომპანიის უფროსი მპოვნელს რიგგარეშე შვებულებას ჰპირდება, სამი დღის დამატებით. ეს სახარბიელო დაპირება და სტიმულია, მაგრამ ჩვენ ამის გარეშეც არ დავიშურებდით ძალას, რადგან ძახილის ხმას ვეღარ ვუძლებთ. კატი და

კროპი შუადღის შემდეგ ისევ გადიან საძებნელად, მაგრამ ცარიელები ბრუნდებიან. ამასობაში ალბერტს ყურის ბიბილო წააწყვიტეს.

საშინელებაა, გარკვევით გვესმის, რას ყვირის. ჯერ მხოლოდ დახმარებას გვთხოვდა, მეორე ღამეს ალბათ სიცხემ აუწია, მეუღლეს და თავის შვილებს ელაპარაკებოდა, ხშირად მეორდებოდა სახელი „ელიზე," დღეს კი ტირილის ხმა მოგვესმა. საღამოს ყვირილი ოხვრაში გადავიდა. ღამით კი გმინვის ხმა აღწევდა მხოლოდ. ყველაფერი ზუსტად გვესმის, რადგანაც ქარი სწორედ ჩვენს სანგარში უბერავს. დილას, როდესაც გვეგონა, რომ ცოცხალი აღარ იყო, მობუყბუყე ხრიალი შემოგვესმა.

დღეები ცხელია და მკვდრები დაუსაფლავებელი. ბევრ მათგანს ხელს ვერ ვკიდებთ, რადგან არ ვიცით, სად მოვათავსოთ. მათ ჭურვები ასაფლავებენ. მუცლები ბუშტებივით ებერებათ და ბოყინს იწყებენ. მუცელში დაგროვილი გაზი წრიალს იწყებს. ცა უღრუბლოა და ცისფერი. საღამო დახუთული იქნება და მიწიდან სიცხე წამოვა. როდესაც ქარი ჩვენკენ უბერავს, თან სისხლის ბუღი მოაქვს, რომელსაც გულისამრევად მძიმე და მოტკბო გემო აქვს; ქლოროფორმისა და ლპობის ნარევი ამონაბოლქვი მკვდრების ორმოებიდან ჩვენში გულისრევას იწვევს.

* * *

ღამეები ჩაწყნარდა. ჩვენ ნადირობას ვიწყებთ სპილენძის საჭურვე ქამრებსა და ფრანგების დატოვებულ აბრეშუმის პარაშუტებზე. არავის ესმის, რა მიზანი აქვს საჭურვე ქამრებზე ნადირობას, მაგრამ შემგროვებლები ამტკიცებენ, რომ ეს საკმაოდ ძვირფასი რამ არის. ზოგი იმდენს მოათრევს, რომ მოკუზული და გვერდზე გადახრილი ძლივს მობობღავს. იძულებულნი ვართ გზა დავუთმოთ.

მხოლოდ ჰაიე გვიხსნის გასაგებად, რისთვის აგროვებს ამ ხარახურას: მას სურს, რომ ქამრები ცოლს წვივსაკრავების სანაცვლოდ გაუგზავნოს. როგორც მოსალოდნელი იყო, ფრიზიელებმა ამაზე ხორხოცი ატეხეს და მაგრად იმხიარულეს. დაგლიჯა ჰაიემ, ამ ეშმაკის ფეხმა! ეს რა იკისრა! თიადენმა საერთო სანახაობა მოაწყო: ხელში ყველაზე დიდი ქამარი უჭირავს და წამდაუწუმ ჰყოფს შიგ ფეხს, ყველას აჩვენებს, ფეხის ირგვლივ რამხელა ადგილი რჩება თავისუფალი.

„ჰაიე, ყური მიგდე, ეს რა ფეხები აქვს შენს ცოლს! აი, ფეხებიც ამას ჰქვია!" მისი აზრები უფრო ზემოთ მიცოცავს: „უკანალი როგორიღა აქვს?! როგორიც... როგორიც სპილოს!"

ჰაიე ვერაფრით წყნარდება: „ეჰ! ასეთთან მეც გავითამაშებდი ცოტას;" მისი ცოლის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის გამო ჰაიე გაბრწყინებული დგას და მოკლედ აცხადებს: „დედაკაცი მართლაც მაგარი მყავს!" პარაშუტის აბრეშუმს ნამდვილად გამოვიყენებთ. მკერდის ზომას თუ გავითვალისწინებთ, სამი-ოთხი აბრეშუმის ნაჭრიდან კოფთა შეიკერება. მე და კროპი მას ცხვირსახოცებად ვიყენებთ. დანარჩენები სახლში აგზავნიან. ნეტავ ქალებს დაანახა, რა შიშითა და უბედურებით

მოიპოვება ეს აბრეშუმის ძონძები! ალბათ თავზარი დაეცემოდათ. კატმა თიადენს იმ დროს წაასწრო, როდესაც ის მორიგი საჭურვე ქამრის მოპოვებას ცდილობდა, თანაც აუფეთქებელი ჭურვი ქამარს ზედ ჰქონდა შერჩენილი. ნებისმიერი ჩვენგანი ამ ჭურვის მსხვერპლი გახდებოდა, მაგრამ თიადენს, როგორც ყოველთვის, ბედი სწყალობს.

ერთხელ ჩვენი სანგრის თავზე ორი პეპელა გამოჩნდა. ეს კომბოსტოს პეპლები იყო, მათ ყვითელ ფრთებზე წითელი წერტილები იყო გაბნეული. აქ რამ მოიყვანა, გაუგებარია. ამ მოშიშვლებულ, ტრამალ ადგილზე, სადაც არც ყვავილი ჭაჭანებს და არც არანაირი მცენარე.

ისინი მშვენივრად ისვენებენ ერთ-ერთი თავის ქალის გამოჩხერილ კბილებზე. ფრინველებიც ასეთივე უდარდელნი არიან და ომს დიდი ხანია მიეჩვივნენ. ყოველ დილით შუა ფრონტის ხაზიდან ტოროლები აიჭრებიან ხოლმე ცაში. ერთი წლის წინ კვერცხებზე მჯდარი დედალი ვნახეთ, რომელმაც წიწილების გამოჩეკაც კი მოახერხა.

სანგარმა ცოტა ხნით დაისვენა ვირთხებისგან. წინ გადაინაცვლეს, ჩვენ ვიცით, რატომ! იქ ქონს იკრებენ და კარგად გაზულუქდებიან; თუ თვალს მოვკრავთ, იმწამსვე ვესვრით და ვკლავთ. ისევ გვესმის რახარუხი იქითა მხრიდან. დღის განმავლობაში დროდადრო ცეცხლს გვიშენენ, მაგრამ ზომიერად, ასე რომ, შეგვიძლია ბლინდაჟები მოვაწესრიგოთ. გართობაც არ გვაკლია, ამაზე მფრინავები ზრუნავენ. მათ ბრძოლას ყოველ დღე მრავალი მოყვარული ადევნებს თვალს.

ბომბდამშენების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ საჯარისო დაზვერვის თვითმფრინავები ჭირის დღესავით გვძულს, რადგან საარტილერიო ცეცხლი მოსდევს თან. მათი გამოჩენის შემდეგ, რამდენიმე წუთში, შრაპნელების და ყუმბარების ცვენა იწყება. დღეში სადღაც თერთმეტ კაცს ვკარგავთ ამის გამო, მათ შორის, სანიტრებსაც. ორი ისე დაფქვეს, რომ თიადენის აზრით, მხოლოდ კოვზით მოიფხიკებიან ბლინდაჟის კედლიდან და დიდი ქვაბით თუ დასაფლავდებიან. ერთ მათგანს მთელი ქვედატანი წააწყვიტა ფეხებიანად. ზედა ნაწილი ტრანშეის კედელზე აკრული დარჩა, სახე ყვითელი ლიმონისფერი აქვს, წვერებში კი აბოლებული სიგარეტი შერჩა გაჩხერილი, სიგარეტი ბჟუტავს და მხოლოდ ტუჩებთან ქრება შიშხინით. მკვდრებს ჯერჯერობით ორმოში ვაწყობთ. ისინი უკვე სამ ფენად წვანან.

ცეცხლის გრუხუნი მოულოდნელად დაიწყო. კვლავ დაძაბულ, გაქვავებულ და უმოქმედო მოლოდინში ვართ.

იერიში, კონტრიერიში, დარტყმა, კონტრდარტყმა - რამდენი რამის მთქმელია ეს სიტყვები! დანაკარგი დიდი გვაქვს, უმეტესად, რეკრუტები. ჩვენს მონაკვეთზე შევსება მოდის, ახალწვეულებისგან სახელდახელოდ შეკოწიწებული ერთ-ერთი პოლკი. ფრონტზე გაგზავნამდე არავითარი მომზადება არ გაუვლიათ, მხოლოდ მოკლე თეორიული კურსი თუ მოისმინეს. იციან, რა არის ხელყუმბარა, მაგრამ თავის

დაცვაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. რაც მთავარია, ალღოს ვერ უღებენ ადგილს. აფეთქებული მიწის ტალღა ნახევარი მეტრით უნდა აიწიოს, რომ ბორცვი ან კორტოხი შეამჩნიონ.

მართალია, შევსება გვჭირდება, მაგრამ რეკრუტები დროის კარგვაა. საკმაოდ დიდ დროს ვუთმობთ, რომ ოდნავ მაინც მოეგონ გონს და რაღაცაში გაერკვნენ. სრულიად უმწეონი არიან და მძიმე შეტევებისას ბუზებივით იხოცებიან. დღევანდელი პოზიციური ომი გამოცდილებას და ცოდნას მოითხოვს, მთავარია, იმ სივრცის შეგრძნება გქონდეს, სადაც ომი მიმდინარეობს. ყური კა-რგად უნდა ასხვავებდეს გასროლის ან აფეთქების დროს იარაღს, სად დაეცემა ჭურვი, რა რადიუსზე ვრცელდება ნამსხვრევები და სად მოახერხებ თავის შეფარებას.

ამ მხრივ, ეს ახალგაზრდები სრულიად უცოდინარი არიან და ჩვენ თვალწინ დნებიან - ისინი ხომ შრაპნელს ჭურვისგანაც ვერ არჩევენ; ცეცხლი მაშინვე ცელავს ბალახივით; შეშინებული უგდებენ ყურს ნაკლებად საშიშ ე.წ. „ნახშირის მძიმე ყუთებს," რომლებიც სადღაც უკან ადენენ ზღართანს, მაგრამ უყურადღებოდ ტოვებენ პატარა, საშიშ ნაწილაკებს, რომლებიც უხვად იბნევა ჰაერში. ცხვრებივით შექუჩდებიან ხოლმე, იმის მაგივრად, რომ სხვადასხვა მიმართულებით გაცვივდნენ. მტრის თვითმფრინავები მათ ერთბაშად, კურდღლებივით ცხრილავენ.

ეს თალგამით გამოკვეთილი, ფერდაკარგული სახეები, ნერვული კრუნჩხვით მიწას ჩაფრენილი ძვალტყავა ხელები, საბრალო სიმამაცე ამ პატარა ლეკვებისა, რომლებიც, ყველაფრის მიუხედავად, იერიშზე მიდიან; პატარა, თავგანწირული ლეკვები, რომლებიც ჯერ ხმამაღლა ყვირილსაც ვერ ბედავენ; გაგლეჯილი მკერდით, მუცლებით, მკლავებით და ფეხებით ჩუმად დედას უხმობენ საშველად და იმწამსვე ჩუმდებიან, თუ ამ დროს თავზე წაადგები.

მათ მკვდარ, ახლადამოსული ღინღლით დაფარულ, წაწვეტებულ სახეებს სრული გულგრილობა აწერიათ, როგორც მიცვალებულ ბავშვებს. ყელში რაღაც მებჯინება, როცა ვუყურებ, როგორ წამოხტებიან ხოლმე და იქვე მიწას ეხეთქებიან. უცნაური სურვილი გიჩნდება: გსურს, გაროზგო, ხელში აიყვანო და აქაურობას გააცალო, მათ აქ არაფერი ესაქმებათ. ნაცრისფერი ქურთუკები და შარვლები, ჩექმებიც აცვიათ, მაგრამ უმეტესობას უნიფორმა დიდი აქვს და კიდურებზე ფამფალებს; ვიწრო მხრები და პატარა სხეული აქვთ, უნიფორმა კი ბავშვის ზომისა არ არსებობს. ერთ გამოცდილ მოკლულ ჯარისკაცზე ხუთიდან ათამდე რეკრუტი მოდის. ერთი ქიმიური იერიში ერთბაშად ბევრს გაიყოლებს ხოლმე. იმის გაფიქრებასაც ვერ ასწრებენ, რა ელოდებათ. ერთი-ერთი ბლინდაჟი სავსეა გვამებით, გალურჯებული სახეებით და შავი ტუჩებით. ერთ-ერთ სანგარში აირწინაღები დროზე ადრე მოიხსნეს, რადგან არ იცოდნენ, რომ გაზი ყველაზე მეტად მიწაზე გროვდება. ზემოთ მოხსნილი ნიღბები შენიშნეს, თვალი მოჰკრეს თუ არა, თვითონაც მოიძრეს და გაზისგან ფილტვები

გადაეწვათ. ახლა მათი მდგომარეობა უიმედოა, ხველებისას სისხლის ნახველი ამოსდით და გაგუდვის საშინელი განცდით ესალმებიან სიცოცხლეს.

* * *

მოულოდნელად მე და ჰიმელშტოსი პირისპირ აღმოვჩნდით ტრანშეაში. ერთმანეთზე მიკრულნი, სულგანაბულნი კანკალით ვემზადებით იერიშისთვის. აღგზნებული და აღელვებული ვარ, მაგრამ როდესაც ტრანშეიდან ამოვცვივდით, თავში გამიელვა: ჰიმელშტოსი რატომ არ არის ჩვენ შორის? სასწრაფოდ სანგარში დავბრუნდი და იქ, უმნიშვნელო ნაკაწრით, კუთხეში წამოწოლილი დამხვდა, თან მძიმედ დაჭრილის სიმულაციას ცდილობდა. სახე მაგრად ნაცემივით ჰქონდა და მივხვდი, რომ შიშის შეტევა დაემართა, ისიც ხომ პირველად იყო აქ. იმან, რომ ახალწვეულები გარეთ არიან და ეს კი სანგარში, კუთხეში მიკუჭულა, საბოლოოდ გამაცოფა.

„გადი ახლავე!“ - მივაყვირე აღელვებისგან ჩახლეჩილი ხმით.

არ დაძღულა, ტუჩები უკანკალებდა და ულვაში უკრთოდა.

„ახლავე გადი!“ - გავუმეორე მე.

მან ფეხები ამოწია, კედელს მიეკრო და პატარა ძაღლივით დამიკრიჭა კბილები. მკლავზე ხელი წავავლე და ვცადე, ზემოთ ამეთრია. გაბმული ჭყივილი დაიწყო. ნერვებმა მიმტყუნეს. ყელში ხელი წავავლე ტომარასავით და ისეთი სიძლიერით შევაჯანჯღარე, რომ თავს აქეთ-იქით ახეთქებდა. შე ნაგავო, - დავუყვირე, - ძაღლო, არამზადა, დამალვა გადაწყვიტე?! თვალები შუშასავით გამიხდა. ნეკნებში ფეხები ვკარი და თავი კედელზე ვარტყმევინე: „შე საქონელო,“ - განვაგრძობდი და თან თავით კარში ვტენიდი.

ახალმა ნაკადმა სწორედ ამ დროს ჩაგვიარა. ლეიტენანტიც იქვე იყო. „წინ, წინ, ჩამორჩენა არ იყოს!“ - მოუწოდებდა ხმამაღლა. ჩემმა ცემა-ტყეპამ ვერაფერი შეძლო, მაგრამ ლეიტენანტის მოწოდებამ მაგიურად იმოქმედა: ჰიმელშტოსი თითქოს გამოფხიზლდა, აქეთ-იქით მიმოიხედა და მოიერიშეებს წამოეწია. მე უკან გავყევი და ვხედავდი, როგორ მიჰქროდა ხტუნვა-ხტუნვით წინ. უცებ ისეთივე მკვირცხლი ჰიმელშტოსი გახდა, როგორიც ყაზარმაში იყო, ლეიტენანტს წამოეწია და გაუსწრო კიდეც.

* * *

მძაფრი ცეცხლი. ჩამკეტი ცეცხლი. ცეცხლის ფარდა. ნაღმები. გაზი. ტანკები. ტყვიამფრქვევები. ხელყუმბარები... - ეს მხო-ლოდ სიტყვებია, რომელთა მიღმაც კოშმარია, კაცობრიობის თავზე დატრიალებული.

ჩვენი სახეები ქერქით დაიფარა, ჩვენს ფიქრებში სრული ქაოსია, დაღლილობისგან სიკვდილის პირზე ვართ; იერიშის დაწყებისას ზოგიერთებს მუშტით ვაფხიზლებთ, რომ ადგილიდან დავძრათ, თვალებში ანთება აქვთ, ხელები დაგლეჯილი, მუხლები დასისხლიანებული, იდაყვები დამტვრეული.

კვირები გავიდა, თვეები თუ წლები? არა, მხოლოდ დღეები. დრო ქრება ჩვენ გვერდით მომაკვდავ, უფერულ სახეებში; საჭმელს პირში ვიყრით, დავრბივართ, ხელყუმბარებს ვისვრით, ვკლავთ, მიწაზე ვწევართ, დავსუსტდით და გამოვთაყვანდით და მხოლოდ ის გვაძლევს ძალას, რომ გვერდით ჩვენზე სუსტნი, უმწეონი და გონებადაკარგულნი იმყოფებიან; ღმერთებივით შემოგვცქერიან, რადგან სიკვდილისგან თავის დაძვრენას ვახერხებთ.

სიმშვიდის მოკლე დროის განმავლობაში სწავლებას ვუტარებთ: „ხედავ იქ ქანქარას? ეს ნაღმია, რომელიც შენკენ მოდის! გაწექი და არ გაინძრე, ის სადღაც იქ დაეცემა და თუ დაინახავ, რომ მაინც ასე მოდის, მოცოცხე! შეიძლება, გაექცე.“

ყურებსაც ვუვარჯიშებთ მცირე კალიბრის ვერაგ ზუზუნზე, რომელიც ძლივს ისმის. ახალწვეულების ყურები იმდენად გამოვწვრთენით, რომ ქვემეხების გრუხუნში მათი კოღოს წუილივით ხმა გამოარჩიონ; - ჩვენ ვასწავლით, რომ ისინი გაცილებით საშიშია, ვიდრე მაღალკალიბრიანი ტყვიები, რომლებიც შორიდანვე გესმის. იმასაც ვაჩვენებთ, როგორ უნდა დაემალონ მფრინავებს, როგორ მოიმკვდარუნონ თავი, როდესაც მტერი სანგარში შემოიჭრება, როგორ უნდა შემართონ ხელყუმბარა, რომ დაცემამდე ერთი წამით ადრე აფეთქდეს; ვასწავლით, როგორ უნდა ჩახტნენ ელვის სისწრაფით სანგარში, რომ ჭურვის დარტყმის მოქმედებისგან დაიცვან თავი; ვაჩვენებთ, როგორ გაანგრევს სანგარს ხელყუმბარების შეკვრა; ვუხსნით, რა განსხვავებაა ჩვენი და მტრის ხელყუმბარების წვის ხანგრძლივობაში; ყურადღებას ვუმახვილებთ იმაზე, რა ხმას გამოსცემს ქიმიური იარაღი და ვასწავლით გადარჩენის ყველანაირ ხრიკს და ხერხს.

ჩვენს ახსნა-განმარტებებს ყურადღებით უსმენენ, საერთოდ, დამჯერი ახალგაზრდები არიან, მაგრამ... როგორც კი შეტევა იწყება, აღელვებისგან ყველაფერი ავიწყდებათ და ისევ არასწორად მოქმედებენ.

ჰაიე ვესთუსი გაგლეჯილი ზურგით გაჰყავთ ცეცხლიდან, ყო-ველ ამოსუნთქვაზე ჭრილობიდან ფილტვის პულსირება გვესმის. მასთან გამომშვიდობებას ვასწრებთ: „ყველაფერი მორჩა, პაულ,“ - კვნესის ის და სიმწრისგან მკლავს იკბენს.

ჩვენ ვხედავთ ადამიანებს, რომლებსაც თავები აქვთ წაცლილი, მაგრამ მაინც ცოცხლები არიან; ვხედავთ ჯარისკაცებს, ტერფებწაცლილებს, რომლებიც გარბიან; საცოდავად მიკოჭლაობენ უახლოესი სანგრისკენ ნარჩენი კიდურებით, საიდანაც ხელების ნაწილებია გამოჩხერილი. ვიღაც ეფრეიტორი ორი კილომეტრის მანძილზე მიცოცავს ხელებსა და იდაყვებზე დაყრდნობილი და თან გაგლეჯილ მუხლს

მიათრევს; მეორე - დამხმარე პუნქტისკენ მიდის და სხვადასხვა მხარეს გაფანტულ ნაწლავებს გაჭირვებით უყრის თავს. ვხედავთ პირ, ნიკაპ და სახემოცლილ ადამიანებს. ვპოულობთ ჯარისკაცს, რომელსაც მკლავზე არტერია ორი საათი კბილებით ჰქონდა დაჭერილი, რომ სისხლისგან არ დაცლილიყო. მზე ამოდის, ჩადის. ყუმბარები კი კვლავ სტვენენ, სიცოცხლე მთავრდება.

პირქუში დილაა. ფრონტზე რომ მივდიოდით, ჯერ კიდევ ზაფხული იყო და ას ორმოცდაათნი ვიყავით. ახლა შემოდგომაა და ყინავს. ფოთლები შრიალებენ და ხმები უნდილად ფარფატებენ ჰაერში: „პირველი-მეორე-მესამე-მეოთხე...“ ოცდამეთორმეტეზე გადათვლა წყდება. დუმილი დიდხანს გრძელდება. მას პოლკის უფროსი არღვევს კითხვით: „კიდევ არის ვინმე?“ და იცდის. შემდეგ ჩუმად ამბობს: „ოცეულებად დაიყავით!“ და იმწამსვე, თითქოს საკუთარ თავს აწყვეტინებს, ძლივს ამთავრებს: „მეორე ასეული...“ ისევ ჩერდება და კიდევ უფრო გაჭირვებით ლუღლუღებს: „მეორე ასეული, ნაბიჯით იარ!“

ერთი რიგი, მხოლოდ ერთი პატარა რიგი შეეგება დილას ოცდათორმეტი კაცით.

7

ჩვეულებისამებრ, კვლავ ზურგში მივყავართ, ახალწვეულთა გამანაწილებელ პუნქტში, სადაც ახალი ფორმირება უნდა ჩატარდეს. ჩვენი ჯგუფი ახალი ნაკადით, ასზე მეტი კაცით უნდა შეივსოს.

დროებით, თუ რამე საქმე არ გამოჩნდა, აქეთ-იქით დავეხეტებით. ორი დღის შემდეგ ჩვენთან ჰიმელშტოსი მოვიდა. აქამდე მაღლა აწეული ცხვირი, ცხადია, საგრძნობლად დაბლა დაუშვა; ეტყობა, სანგარმა ჭკუაზე მოიყვანა და შერიგებას გვთავაზობს. მე მზად ვარ, ამ დათმობაზე წავიდეთ, რადგანაც ჩემი თვალით ვნახე, როგორ მიათრევდა ზურგდაგლეჯილ ჰაიე ვესთუსს ბრძოლის ველიდან, გარდა ამისა, საკმაოდ გონიერად ალაპარაკდა და, როდესაც სასადილოში მიგვიპატიჟა, წინააღმდეგობა არ გაგვიწევია. მხოლოდ თიადენს არ სჯერა ბოლომდე და თავშეკავებულადაც იქცევა. მაგრამ მისი გულის მონადირებაც შეძლო, რადგანაც, როგორც გვითხრა, მზარეულების შვებულებაში გასვლის გამო, დღეიდან სამზარეულოს ბატონ-პატრონი თიადენი იქნებოდა.

ამის დასამტკიცებლად, ორი ფუთი შაქარი ჩვენ წინ გადმოაწყო და ნახევარი ფუთი კარაქი თიადენს პერსონალურად დაუდო, თან იმაზეც ზრუნავს, რომ შემდეგ დღეებში კარტოფილისა და ჭარხლის საჭრელად სამზარეულოში მიგვავლინონ. საჭმელი, რომლითაც ჰიმელშტოსმა გვიმასპინძლა, ოფიცრებისთვის განკუთვნილი უნაკლო სასუსნავიდან მოტეხა.

ამგვარად, იმ მომენტში მოვიპოვეთ ორი რამ, რაც ჯარისკაცის ბედნიერებას განსაზღვრავს: სიმშვიდე და საჭმელი. რომ დაფიქრდე, ეს არც ისე ბევრია. რამდენიმე წლის წინ საკუთარი თავი შეგვეზიზღებოდა, ახლა კი თითქმის კმაყოფილები ვართ. ყველაფერი მიჩვევის ამბავია, სანგრებიც კი. ჩვეულებაა ისიც, ასე მალე რომ ვივიწყებთ ყველაფერს. გუშინწინ ცეცხლში ვიყავით, დღეს აქ ვხუმრობთ და უაზროდ დავეხეტებით, ხვალ კი ისევ სანგრებში ამოვყოფთ თავს. სინამდვილეში არაფერი გვავიწყდება. სანამ აქა ვართ, ზურგში, ფრონტის დღეები მძიმე ქვებად ეშვებიან ჩვენს სულსა და გულში, მოგონება იმდენად მძიმეა, რომ კარგა ხანს ფიქრიც არ შეგვიძლია მასზე. წარმოდგენაც კი მძიმეა იმისა, რაც გამოვიარეთ და ყოველი უბრალო გახსენებაც კი, ალბათ საბოლოოდ მოგვიღებდა ბოლოს. ერთ დასკვნამდე მაინც მივედი: კოშმარს შეიძლება გაუძლო და გადაიტანო, თუ ძალაუნებურად ემორჩილები ბედს, მაგრამ საკმარისია დაფიქრდე, რომ ეს დაფიქრება აუცილებლად გაგანადგურებს.

თუ წინა ხაზზე მხეცებად ვიქცევით, მხოლოდ იმიტომ, რომ გადავრჩეთ. მშვიდობიან ვითარებაში იაფფასიანი ხუმარები და ძილისგუდები ვხდებით. ეს ჩვენდაუნებურად ხდება. სხვაგვარად შეუძლებელია, უნდა ვიცოცხლოთ ნებისმიერ ფასად. თავს ვერ დავიმძიმებთ ომის კოშმარებით, რომლებიც მშვიდობის დროს შეიძლება დეკორატიული და გასართობი იყოს. მაგრამ აქ ეს მხოლოდ ყალბი იქნება. ქემერიხი მოკვდა, ჰაიე ვესთუსი კვდება, ჰანს კრამერის სხეულთან კი, რომელიც ყუმბარებმა დაანაკუწა, განკითხვის დღეს ბევრი წვალება მოუწევთ - ნაწილ-ნაწილ იქნება ასაწყობი. მარტენს ფეხები წააწყვიტეს, მაიერი მკვდარია, მაქსი და ხავიერი დაიხოცნენ, ასევე ჰემერლინგიც, ტყვიით დაინვალიდებული ას ოცი კაცი ლაზარეთებშია გაბნეული, ეშმაკმა დალახვროს! მაგრამ ამ წუთს ეს ჩვენ არ გვეხება, ჩვენ ჯერ ცოცხლები ვართ.

მათი გადარჩენა რომ შეგვძლებოდა, ალბათ ეშმაკს მივყიდდით სულს, სულაც სიცოცხლის ფასად რომ დაგვჯდომოდა ეს ამბავი; ჩვენ ხომ მაგრები ვართ მიზნის მიღწევაში, ყველაფერი გვავიწყდება და ვაჟკაცები ვხდებით, შიშის გრძნობას ვკარგავთ. მხოლოდ სიკვდილის შიშია დაუძლეველი, მაგრამ ეს სხეულის და ხორცის განცდაა, სხვა არაფერი.

ჩვენი მეგობრები აღარ არიან, ჩვენ მათ ვეღარ მივეხმარებით. სიმშვიდე მოიპოვეს - ჩვენ კი ვინ იცის, რა გველის!

ახლა დასაძინებლად დავეგდებით, ვიძინებთ და გასკდომამდე ჩავიყრით მუცელში საჭმელს, ვილოთებთ და მოსაწევით გავბრუვდებით, რომ როგორმე ამოვავსოთ უაზრო დრო. სიცოცხლე ძალიან ხანმოკლეა.

* * *

როდესაც ზურგში ვიმყოფებით და წინა ხაზს ვშორდებით, ომის საშინელება ქვეცნობიერში ილექება; უხამსი და უწმაწური ხუმრობებით ვიხშობთ და ვიშორებთ ტკივილს. როცა ვინმე კვდება, ფრონტზე ასე იტყვიან, „უკანალმა თვალი ჩამიკრაო“ და ჩვენც ასე ვლაპარაკობთ, ასეთი დამოკიდებულება აშკარად გვიცავს სიგიჟისგან. ამით თითქოს წინააღმდეგობის უნარი გვემატება.

მაგრამ არაფერი გვავიწყდება! რაც გაზეთებში ომის შესახებ იწერება, ჯარის ნაწილების ოქროს ოხუნჯობის შესახებ, რომლებიც თითქოს - ცეკვის საღამოებს აწყობენ, როგორც კი ომის ქარცეცხლიდან გამოვლენ, ეს ყველაფერი ნამდვილი ჩმახვაა! ჩვენ იმიტომ კი არ ვხუმრობთ, რომ ღვთისგან უხვად გვაქვს ნაბოძები იუმორის გრძნობა, არამედ ვხუმრობთ, რათა გადავრჩეთ. იუმორის ყუთი მალე დაიცლება, რადგან სევდა სულ უფრო მყარად იკიდებს ფეხს ჩვენს სულში და ვიცი: ეს ყველაფერი, რაც ჩვენში ომის დროს ქვასავით მძიმედ ილექება, ომის შემდეგ წამოყოფს თავს და სწორედ მაშინ დაიწყება ჭიდილი სიცოცხლისა თუ სიკვდილის არჩევანზე.

გარბიან დღეები, კვირები, წლები, რომლებიც წინა ხაზზე გავატარეთ. ერთხელაც ჩვენი მეგობრები აღდგებიან მიწიდან და ჩვენთან წამოვლენ. ჩვენ ნათელი გონება და მიზანი გვექნება და სადღაც გავეშურებით მხარდამხარ, დახოცილ მეგობრებთან ერთად, გულში კი ფრონტის მოგონებები გვექნება. მაგრამ სად წავალთ? ვის წინააღმდეგ?

* * *

ცოტა ხნის წინათ ამ მიდამოებში საფრონტო თეატრი იყო. ფიცრის კედელს კიდევ შემორჩა იმ წარმოდგენების ჭრელი პლაკატები. მე და კროპი თვალებდაყვლეპილები ვდგავართ მათ წინ, - ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ასეთი რამ არსებობდა. ზედ გოგონაა გამოსახული საზაფხულო კაბაში და წითელი ლაკის ქამრით წელზე. ერთი ხელი მოაჯირზე აქვს ჩამოყრდნობილი, მეორეში ჩალის ქუდი უჭირავს. თეთრი წინდები და თეთრი ფეხსაცმელი აცვია, კოხტა ფეხსაცმელი ბალთებით და მაღალი ქუსლებით. მის უკან ზღვაა აქაფებული ტალღებით, გვერდით კი ხმელეთში შეჭრილი წითელი ყურე მოჩანს. გოგო საოცრად ლამაზია, თხელი ცხვირით, გამოკვეთილი წითელი ტუჩებით და მაღალი, ასხმული ფეხებით; უჩვეულოდ ფაქიზი და მოვლილი. ალბათ აბაზანას დღეში ორჯერ იღებს და ფრჩხილებში ჭუჭყი, ცხადია, არ უგროვდება. სანაპიროდან გამოყოლილი ქვიშა თუ ექნება ოდნავ შერჩენილი.

მის გვერდით კაცია, თეთრ შარვალსა და ლურჯ ქურთუკში გამოწყობილი, მეზღვაურის ქუდით, მაგრამ ის ნაკლებად გვაინტერესებს. ამ გოგონას, ფიცრის კედელზე, ნამდვილ საოცრებად აღვიქვამთ.

დიდი ხანია დაგვავიწყდა, რომ ქვეყნად ასეთი რამ არსებობს და ახლაც თვალებს არ ვუჯერებთ. მართლაც წლებია, ამგვარი რამ არ გვინახავს, შორიდანაც არ მოგვიკრავს თვალი რაიმე მსგავსისთვის, გოგონასთვის, რომელიც ლამაზია, მხიარული და ბედნიერი.

ეს არის მშვიდობა. ამას მთელი სხეულით, აღელვებით ვგრძნობთ.

„შეხედე ერთი ამ მსუბუქ ფეხსაცმელებს, ამ ფეხსაცმელებით ერთ კილომეტრსაც ვერ გაივლიდა," - ვამბობ მე და იქვე ვგრძნობ, რა უაზრობაა ასეთი სურათის ხილვისას კილომეტრებზე საუბარი.

„რამდენი წლის იქნება?" - კითხულობს კროპი.

ვცდილობ, დავადგინო: „ოცდაორის თუ იქნება, ალბერტ."

„მასე, ახლა ჩვენზე უფროსი იქნებოდა. ჩვიდმეტზე მეტის არ იქნება, დამიჯერე!"

ორივეს ჟრუანტელმა დაგვიარა.

„რა მაგარია, ალბერტ, აუ, რა მაგარია!" ის თავს მიკრავს და ამბობს: „სახლში მეც მაქვს თეთრი შარვალი."

„რა შარვალი! გოგოს შეხედე!" - ვეუბნები მე. ერთმანეთს თავიდან ფეხებამდე ვათვალიერებთ. სანახავი ბევრი არაფერია, გაცვეთილი, დაკემსილი, გახუნებული და ჭუჭყიანი უნიფორმა გვაცვია ორივეს. რა შედარებაზე შეიძლება ლაპარაკი! ჯერ კაცის გამოსახულებას ვეცით ფიცრის კედელზე. გვინდა, ფრთხილად ჩამოვგლიჯოთ, რომ გოგოს არაფერი დაუშავდეს. მივაღწიეთ ჩვენსას. შემდეგ კროპი ამბობს: „ახლა ტილებს ხომ არ დავერიოთ?"

მე უარზე ვარ, რადგან ამით ნივთები ზიანდება, ტილები კი ორ საათში ისევ ჩნდებიან, მაგრამ სურათის ხიბლი თავისას შვრება და ბოლოს ვეთანხმები. უფრო შორსაც გავაჭენე: „სუფთა პერანგებიც ხომ არ მოგვეგდო როგორმე ხელში?"

ალბერტი რატომღაც სხვა იდეას მაწვდის: „წვივსაკრავები ხომ არ იქნებოდა უკეთესი?

„შეიძლება წვივსაკრავებიც. მერე შეიძლება რამეშიც გავცვა-ლოთ."

ამ დროს ლეერი და თიადენი დავინახეთ, რომლებიც ჩვენკენ მოჩანჩალებდნენ. აფიშა რომ დაინახეს, ბილწსიტყვაობაზე გადავიდნენ. ჩვენი კლასიდან პირველი ლეერი იყო, ქალი რომ იგემა და ამაღელვებლად, დაწვრილებით გვიყვებოდა ამის შესახებ. ის სხვა თვალით ათვალიერებს გოგოს და აღფრთოვანებულია. თიადენი მთელი გულით იზიარებს მის აღფრთოვანებას.

მათი ხუმრობა ჩვენში ზიზღს არ აღძრავს, რადგანაც დაუწერელი კანონით, ვინც არ ბილწსიტყვაობს, ის ჯარისკაცი არ არის. მაგრამ ამის ხასიათზე არა ვართ. ამიტომ

გვერდზე გავედით და ტილებთან საბრძოლველად გავეშურეთ. თანაც ამას ისეთი გრძნობით ვაკეთებთ, თითქოს მამაკაცთა მოდურ სალონში მივდიოდეთ.

* * *

სახლები, რომლებშიც მოგვათავსეს, არხის პირასაა. არხის იქი-თა მხარეს ტბორებია, ალვის ტყეებით გარშემოტყმული. იქ ვიღაც ქალები ცხოვრობენ. ჩვენს მხარეს სახლები დაცალეს, იქითა მხარეს კი, როგორც ჩანს, მოსახლეობის ნაწილი შემორჩა. საღამოობით ვცურავთ ხოლმე. ერთხელაც დავინახეთ, რომ ნაპირის გასწვრივ სამი ქალი მოდის. ნელა მოაბიჯებენ და თვალს მაინც და მაინც არ გვარიდებენ, თუმცა შიშვლები ვბანაობთ. ლეერი რაღაცას ეძახის. იცინიან და ჩერდებიან, რომ კარგად დაგვინახონ. დამტვრეული ფრანგულით, არეულად, ცალკეულ სიტყვებს ვესვრით, რომლებიც იმ წუთს მოგვდის თავში, თან ვჩქარობთ, რომ არ დაგვეკარგონ. ჩვენი შეძახილები გალანტურობით არ გამოირჩევა, მაგრამ საიდან უნდა გვესწავლა გალანტურობა?

ერთი მათგანი გამხდარი და შავგვრემანია. როცა იცინის, თეთრი, თვალისმომჭრელი კბილები უკიაფებს. ჩქარა მოძრაობს და ქვედა კაბა სიარულისას ფეხებზე ეხვევა. წყალში ცივა, მაგრამ განწყობა მხიარული და ამაღლებული გვაქვს, ვცდილობთ, როგორმე მივიპყროთ მათი ყურადღება.

ვოხუნჯობთ და ისინიც გვპასუხობენ; არაფერი გვესმის და ხელებს ვუქნევთ. თიადენი უფრო აზრიანია, სახლში მირბის, ერთი ცალი პური მოაქვს და პურიან ხელს მაღლა სწევს.

ეს დიდ შთაბეჭდილებას ახდენს: თავს გვიქნევენ და ხელით გვანიშნებენ, რომ მათკენ გადავცუროთ. მაგრამ ამის უფლება არ გვაქვს - მეორე ნაპირზე გადასვლა მკაცრად არის აკრძალული. ყველა ხიდს თითო გუშაგი მეთვალყურეობს, საშვის გარეშე არაფერი გამოვა. გვინდა, როგორმე ჩვენკენ შემოვიტყუოთ, მაგრამ სამწუხაროდ, მათაც აკრძალული აქვთ მეორე ნაპირზე გასვლა და ხელით ხიდებისკენ გვითითებენ.

ისინი უკან ბრუნდებიან და არხის დინების საწინააღმდეგოდ ნაპირს მიუყვებიან, ჩვენ ცურვით მივყვებით. შემდეგ გვერდით უხვევენ და სახლზე გვითითებენ, რომელიც განაპირას, ხეებსა და ბუჩქნარს შორის დგას. ლეერი ეკითხება, იქ ცხოვრობენ თუ არა. პასუხად იცინიან და გვიდასტურებენ, რომ ეს მათი სახლია.

წვალებით ვცდილობთ, ავუხსნათ, რომ ღამით გვინდა მისვლა, ისე რომ, გუშაგებმა ვერ შეგვნიშნონ.

ხელის გულებს მაღლა სწევენ, ერთმანეთს ატყუპებენ, თავს ზედ ადებენ და თვალებს ხუჭავენ. ცხადია, ესმით. შავგვრემანი ცეკვის ილეთსაც აკეთებს. ქერა კი ჭიკჭიკებს: „პური... კარგი...“

გულანთებულნი ვარწმუნებთ, რომ პურით გამოვეცხადებით, ბევრ სხვა რამესაც წავაყოლებთ, თვალებს ვატრიალებთ და ხელებით ვანიშნებთ. ლეერი „ძეხვის“ ახსნას ცდილობს და ლამის ჩაიძიროს. საჭირო რომ ყოფილიყო, ალბათ სურსათ-სანოვაგის მთელ საწყობს დავპირდებოდით. წასვლისას კიდევ რამდენჯერმე გვესვრიან მზერას. ჩვენ ნაპირზე ვძვრებით და თვალს ვადევნებთ, რომ დავრწმუნდეთ, სახლში შევლენ თუ არა. იქნებ იცრუეს? შემდეგ უკან ვბრუნდებით.

საშვის გარეშე ხიდზე არავის გაატარებენ; ამიტომ ღამით არხს გადავცურავთ. ძლიერი ღელვა გვეუფლება, რომელსაც ვერაფრით ვერევით. ერთ ადგილზე ვერ ვჩერდებით და სასადილოში მივრბივართ. დღეს ლუდს და რაღაც პუნშის მაგვარს იძლევიან.

პუნშს ვწრუპავთ და ერთმანეთს თავში ამოტივტივებული ათასნაირი წარმოსახვითი სცენებით ვაგიჟებთ.

მთხრობელის ყველას სჯერა და თითოეული თავის რიგს მოუთმენლად ელის, რომ სხვებს აჯობოს. მოუსვენრობა გვიპყრობს, სიგარეტს სიგარეტზე ვაბოლებთ, ბოლოს კროპი ამბობს: „კარგი იქნება, რამდენიმე სიგარეტი რომ წავუღოთ.“ იმწამსვე ვიწყებთ ქუდებში სიგარეტების ჩაწყობას და საგულდაგულოდ ვინახავთ.

ცა მკვახე ვაშლივით მწვანდება. ჩვენ ოთხნი ვართ, მაგრამ მხო-ლოდ სამნი წავალთ; ამიტომ თიადენი უნდა მოვტეხოთ და რომს და პუნშს უხვად ვატენით; ბოლოს ქანაობას იწყებს. დაბნელების-თანავე ოთახებში ვბრუნდებით, თიადენს აქეთ-იქიდან ფრთხილად ვუდგებით, რომ არ წაიქცეს; გახურებულები და თავგადასავალს მოწყურებულნი ვართ. მე გამხდარი, შავგვრემანი გოგო მერგო. ნამუსიანად გავინაწილეთ და მშვიდობიანად შევთანხმდით.

თიადენი თივის ლეიბზე დაგორდა და ხვრინვა ამოუშვა. ერთხელ ოდნავ შეიღვიძა და ისე ეშმაკურად გაგვიღიმა, რომ შევშინდით, ხომ არ გაგვეთამაშა და ამაოდ ხომ არ გავჭყიპეთ პუნშითო. შემდეგ ისევ მოცელილივით დაეცა და ძილი განაგრძო.

თითოეულ ჩვენგანს გამოაქვს ერთი პური და ფრთხილად ახვევს ქაღალდში. პურთან ერთად სიგარეტს და გულ-ღვიძლის ძეხვის საკმაოდ დიდ პორციას ვდებთ, რომელიც ვახშამზე საჩუქრად გაგვინაწილეს. ჯერ ყველაფერს ჩექმებში ვტენით, ჩექმები აუცილებლად უნდა წავიღოთ თან, რომ იქითა მხარეს ან ნამსხვრევს, ან ეკლიან მავთულს არ წამოვეგოთ. სხვა ტანსაცმელი ნამდვილად აღარ გვჭირდება: ცურვით უნდა გადავიდეთ, ღამის სიბნელეში მაინც ვერავინ დაგვინახავს.

ჩექმები ხელში გვიჭირავს. გზას ვადგებით. სასწრაფოდ წყალ-ში შევდივართ და ზურგზე ვწვებით, რომ ძვირფასი ნობათი თავს ზემოთ დავიჭიროთ. ნაპირს რომ ვაღწევთ, ამოვდივართ და ფერდობზე ზემოთ მივხოხავთ. ჩექმებს ვიცვამთ და პაკეტები ხელში მაგრად გვიჭირავს. ფერდობზე ასულები საჩუქრებს იღლიაში ვი-

დებთ, ჩექმებს ვიცვამთ და სიცივისგან აკანკალებულები, შიშვლები მივუყვებით გზას.

სახლს მაშინვე ვაგნებთ, ის ბუჩქებში მუქად მოჩანს. ლეერმა ფეხი წამოჰკრა რაღაცას, მიწაზე დაებერტყა და იდაყვები გადაიგლიჯა.

„ეგ არაფერი," - ამბობს მხიარულად.

სახლი დარაბებით დაგვხვდა ჩაკეტილი. ქურდულად გარს ვუვლით და ჭუჭრუტანაში შეჭყეტას ვცდილობთ. მოუსვენრობა გვეწყება. კროპს ეჭვიც კი უჩნდება:

„ვინმე მაიორი თუ ზის მათთან?"

„არა უშავს, იმწამსვე ავითესებით," - ამბობს ლეერი, - „და თუ ჩვენი პოლკის ნომრით დაინტერესდება, აქ ამოიკითხოს" და ხელს უკანალზე იტყაპუნებს.

შესასვლელი კარი ღია გვხვდება, ჩექმებს კარგა მაგრად გააქვთ ბრაგაბრუგი. სადღაც კარი ჭრიალებს და იქიდან სინათლის ზოლიც ჩნდება. ქალი შიშით კრთება. „სუ! სუ! სუ!" - ვჩურჩულებთ ჩვენ - ცამარადე... ბონამი! - და პაკეტებს მუდარით მაღლა ვწევთ.

დანარჩენი ორიც ჩნდება, კარი იღება და სინათლე გვეცემა. გვიცნეს და სამივეს შიშველს და ჩექმებში გამოწყობილს რომ გვხედავენ, მხიარული ხარხარი უტყდებათ. კარის ზღურბლზე დგანან და სიცილისგან მთელი სხეულით იკლაკნებიან, ვეღარ ჩერდებიან.

რა გრაციოზული მოძრაობები აქვთ!

- Un moment!

ოთახში შედიან და რაღაც ტანსაცმელს გვესვრიან. ჩაცმას ძლივს ვახერხებთ და ბოლოს როგორღაც ვფარავთ ჩვენს სიშიშვლეს. შემდეგ შესვლის უფლებას გვაძლევენ. ლამფით განათებული ოთახი თბილია და ოდნავ იგრძნობა სუნამოს სუნი. პაკეტებს ვცლით და სანოვაგეს დიასახლისებს ვაძლევთ. თვალები უბრწყინავთ. ჩანს, რომ მშივრები არიან.

ამის შემდეგ ყველას ოდნავი უხერხულობა გვეტყობა. ლეერი ჟესტით ანიშნებს და საჭმელად ეპატიჟება. ეს ქალებს ამხნევებს და ისევ გამოცოცხლება ეტყობათ. თეფშები, დანები, ჩანგლები მოაქვთ და საჭმელს ხარბად აცხრებიან. სანამ გულ-ღვიძლის ძეხვს დააგემოვნებენ, ჩანგალზე წამოცმულს აღტაცებით ათვალიერებენ, ჩვენ კი ამაყად შევცქერით ამ პროცესს.

ისინი შეუსვენებლად კაკანებენ თავიანთ ენაზე და ერთი სიტყვის ჩართვის საშუალებასაც არ იძლევიან. მათი ქაქანი ჩვენთვის თითქმის გაუგებარია, მაგრამ გუმანით რაღაც სასიამოვნი კეთილგანწყობას ვგრძნობთ, რადგან მეტისმეტად

ნორჩები ვგონივართ. მუქი ფერის გამხდარმა თავზე ხელი გადამისვა და ის გაიმეორა, რასაც ყველა ფრანგი ქალი ხშირად ამბობს: „La guerre - grand malheur - pauvres garçons.“[1]

მკლავზე ხელს ვუჭერ და ტუჩებს ხელის გულზე ვადებ. მისი თითები ჩემს სახეს ევლება, ზედ ჩემს თავზე მისი აღელვებული თვალებია, მუქი, ნაზი კანით და წითელი ტუჩებით. პირი მოძრაობს და ჩემთვის გაუგებარი სიტყვები მესმის. თვალები ვერ ამოვიკითხე სათანადოდ. ისინი გაცილებით მეტს ამბობენ, ვიდრე ჩვენ ველოდით აქ მოსვლისას.

კედლის მიღმა ოთახებია. გავლისას ლეერს ვხედავ ქერასთან ჩახუტებულს და მოცინარს. მისთვის ხომ ეს უკვე ნაგემი და გასინჯული ხილია. მე კი სრულიად უცნობმა განცდამ ამიტაცა, შორეთიდან ერთბაშად მოვარდნილმა და მთელი ჩემი არსება მას მიენდო. გრძნობები ორად იყოფა. თავდავიწყებასა და ავხორცობას შორის. თავი მიბრუის და თითქოს საყრდენი გამომეცალა. ჩექმები შემოსასვლელში გაგვახდევინეს და ფლოსტები ჩაგვაცვეს. აღარაფერი მაქვს ისეთი, ჯარისკაცისთვის ჩვეული თავხედობა და საკუთარი თავის რწმენა რომ დამიბრუნოს; აღარც იარაღი, არც ქამარი, არც მუნდირი და არც ქუდი. უცნობსა და იდუმალში მთლიანად ვიძირები, - რაც იქნება, იქნება, თუმცა შიში მაინც მიპყრობს.

შავგვრემანი, გამხდარი ქალი ფიქრისას წარბებს ამოძრავებს, მაგრამ ლაპარაკისას სახე სრულიად მშვიდი აქვს. დროდადრო ხმა შუაში წყდება, ასე რომ, ჩემამდე ვერც აღწევს და ჰაერში ქრება, როგორც დაუმთავრებელი ხიდი, გზა, ან ციდან ჩამოვარდნილი კომეტა. რა ვიცოდი, ან რა ვიცი ამის შესახებ? - უცხო ენაზე წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც თითქმის არ მესმის, ტკბილად მაძინებს. ბინდ-ბუნდში ნახევრად განათებული ოთახის კედლებს ვარჩევ და სახეს, რომელიც ასე ახლოს არის ჩემთან, გარკვევით ვხედავ მიძინებულ სიჩუმეში.

რა მრავლისმთქმელია სახე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ სრულიად უცხოდ მეჩვენებოდა და ახლა ჩემზე დახრილი ნაზად მეფერება. ეს სინაზე მისგან კი არ მოედინება, არამედ ღამის სიბნელიდან, სამყაროდან და სისხლიდან, ერთად რომ ირეკლება მასში. ირგვლივ ყველაფერს სხვა ელფერი ედება და ოთახიც თითქოს სხვაგვარად გამოიყურება. ჩემს კანსაც მოწიწებით ვუ-ყურებ, როდესაც ლამფის შუქით არის განათებული და მუქი, გრილი ხელი ნაზად ეფერება მას.

ამას არაფერი აქვს საერთო ჯარისკაცთა საროსკიპოებთან, რო-მელთა მონახულება დროდადრო ნებადართული გვქონდა: გრძელ მწკრივში დავეწყობოდით ხოლმე და მოუთმენლად ველოდით ჩვენს რიგს, ამის გახსენებაც არ მსურს. მაგრამ ფიქრები არ მასვენებენ და მომავლის შიში მიპყრობს: ვაითუ, არ მიწერია ამ ფიქრებისგან გათავისუფლება!

შემდეგ გამხდარი, შავგვრემანი ქალის ტუჩებს ჩემს ტუჩებზე ვგრძნობ და მეც მისკენ მივილტვი, თვალებს ვხუჭავ და ვცდილობ, ამოვძირკვო ჩემი გონებიდან უსიამოვნო მოგონებები: ომი, საშინელება, სისაძაგლე და დილით ახალგაზრდამ და ბედნიერმა გავიღვიძო; აფიშაზე გამოსახულ გოგონაზე ვფიქრობ და წამით მეჩვენება, რომ ჩემი ცხოვრება დამოკიდებულია იმაზე, შევძლებ თუ არა მის მოპოვებას. და კიდევ უფრო მაგრად ვხვევ მკლავებს, რათა სასწაული მოულოდნელად აღსრულდეს.

* * *

რამდენიმე ხნის შემდეგ სამივე წყვილი ისევ ერთად შევიკრიბეთ. ლეერი თავს ვაჟკაცად გრძნობს და მხიარულ განწყობაზეა. გამომშვიდობება თბილი და გულითადია. ჩექმებში ფეხები შევაცურეთ. ღამის ჰაერი გახურებულ სხეულებს გვიგრილებს. ალვის ხის კენწეროები უკუნეთში იკარგებიან და მხოლოდ მათი შრიალი ისმის. მთვარე ცაშიც არის და არხშიც. ჩვენ დიდი ნაბიჯებით გვერდიგვერდ მივდივართ.

ლეერი ამბობს: „ეს კი ნაღდად გვიღირდა იმ პურად, იქ რომ მივიტანეთ!“ მე ხმის ამოღებას ვერ ვბედავ, რადგან გახარებული სულაც არ ვარ. ფეხის ხმა შემოგვესმა და ბუჩქს ამოვეფარეთ.

ნაბიჯებმა ახლოს, ცხვირწინ ჩაგვიარეს. შიშველ სალდათს ვხედავთ, ჩექმებში. ზუსტად ჩვენსავით აქვს ამოჩრილი პაკეტი იღლიაში და გარბის. ეს ხომ თიადენია, ერთობ მნიშვნელოვან გზას რომ ადგას. ელვის სისწრაფით ჩაგვიქროლა და სიბნელეში გაუჩინარდა. ჩვენ სიცილი აგვიტყდა, ხვალ მაგარი ლანძღვა გვაქვს გამოწერილი. თივის ლეიბებს შეუმჩნევლად მივეპარეთ.

* * *

კანცელარიაში გამომიძახეს. კომპანიის უფროსი შვებულების მოწმობას მაძლევს და ბედნიერ მგზავრობას მისურვებს. მოწმობას დავხედე, შვებულება ჩვიდმეტდღიანია, აქედან სამი დღე მგზავრობას მოვუნდები. ეს მეცოტავა და ვეკითხები, ხომ არ შეიძლება მგზავრობის დღეების ხუთამდე გაზრდა-მეთქი. ბერტნიკი საბუთზე მითითებს. ახლა კი დავინახე, რომ შვებულების შემდეგ ფრონტზე კი არ უნდა გამოვცხადდე, არამედ ზურგში მდებარე ერთ-ერთ ბანაკში კურსები უნდა გავიარო.

დანარჩენები შურით შემომყურებენ. კატი საგულისხმო რჩევებს მაძლევს იმის შესახებ, როგორ გავიგრძელო შვებულება: „ცოტა ეშმაკობა უნდა მოიკრიბო, ყურების ჩამოყრა არ გარგებს, პირიქით, ეცადე იქ ფეხი მოიკიდო.“

გულახდილად რომ ვთქვა, შვებულებაში წასვლა ერთი კვირის შემდეგ მერჩია: სწორედ ამდენი ხანი ვრჩებით კიდევ აქ და აქაურობის დატოვება მენანება, რადგანაც პირობები საკმაოდ კარგია.

ცხადია, ჩემი წასვლა სასადილოში უნდა აღვნიშნო. ყველანი ოდნავ ნასვამები ვართ. მე სევდა შემომაწვა. ექვსი კვირით ვტოვებ აქაურობას და ბედმა ნაღდად გამიღიმა, მაგრამ რა დამხვდება, როცა ჩამოვალ, კიდევ ვნახავ ამათ? ჰაიემ და ქემერიხმა მიგვატოვეს - ვინ იქნება შემდეგი?

ვსვამთ და თითოეულს უხმოდ ვაკვირდები. ალბერტი გვერდით ზის და აბოლებს. ძალიან მხნედ გამოიყურება. ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით: - ჩემ წინ კატია ჩამოწეული მხრებით, მსუქანა ცერა თითით და წყნარი ხმით. მიულერი წინ წამოწეული კბილებით და მყეფარა სიცილით; თიადენი თაგვის თვალებით, - ლეერი, რომელმაც წვერი ისე მოუშვა, რომ ორმოცი წლისას დაემსგავსა. თავზე ბუღი დაგვადგა: რა იქნებოდა ჯარისკაცი თამბაქოს გარეშე!

სასადილო ნამდვილი მყუდრო სავანეა. ლუდი სასმელზე მეტს ნიშნავს, ეს იმის ნიშანია, რომ შეგიძლია კიდურები ყოველგვარი შიშის გარეშე, გემრიელად და კარგადაც გაშალო. ასეც ვიქცევით: ფეხებს წინ მთელ სიგრძეზე ვჭიმავთ. წამდაუწუმ აქეთ-იქით ვიფურთხებით, რაც ასეთ დროს ჩვეულებრივი ამბავია და არავის უკვირს.

რა უცნაურია! ხვალ მივემგზავრები მთელი ექვსი კვირით და ვითომც არაფერი!

ღამით კვლავ არხის იქითა მხარეს ვართ. ოდნავი შიში მიპყრობს, შავგვრემან ქალს რომ უნდა განვუცხადო ჩემი გამგზავრების ამბავი და ისიც, რომ ექვსი კვირის შემდეგ არც ვიცი, სად გვიკრავენ თავს. ჩემდა გასაოცრად, იგი არაფერს იმჩნევს და მხოლოდ თავს აქნევს. პირველად კარგად ვერ მივხვდი, მაგრამ შემდეგ ლეერმა ამიხსნა: ფრონტზე რომ მიდიოდე, მაშინ იქნებოდა მორიგი „პაუვრე გარცონ“ -ი, მაგრამ შვებულება მაგათ დიდად არ აინტერესებთო. სასწაულების მოლოდინში ბოლოს ყველაფერი, როგორც ვხედავ, სალდათის ერთ პურზე დადის.

მეორე დილას, დეზინფიცირებული და „ტილებგაცლილი“ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზისკენ მივეშურები. ალბერტი და კატი მიმაცილებენ. გაჩერებაზე ვიგებთ, რომ ერთი-ორი საათი ლოდინი მოგვიწევს. ორივეს ეჩქარება და ერთმანეთს ვემშვიდობებით.

„კარგად იყავი, კატ, კარგად იყავი, ალბერტ.“

ისინი მიდიან და გზიდან კიდევ რამდენჯერმე მიქნევენ ხელს. მათი სხეულები სულ უფრო პატარავდება. ჩემთვის მათი ყოველი ნაბიჯი და მოძრაობა ნაცნობია. ნებისმიერ დროს შემეძლო, რომ ისინი მეცნო. ბოლოს ჰორიზონტზე უჩინარდებიან. ჩემს ზურგჩანთაზე ვჯდები და ვიცდი.

უეცრად გიჟურმა სურვილმა შემიპყრო, აქაურობას გავიცლო.

* * *

სადგურების სათვალავი ამერია, ასევე რიგების და საქვაბე-საკვები პუნქტების, ვაგონების და მათი ქვასავით მაგარი დასაჯდომების.

მოულოდნელად აციმციმდნენ ხედები, რომელთა დანახვაზეც გული უცნაურად იკუმშება. ისინი ვაგონის მზისგან აწითლებულ ფანჯრებში მიცურავენ; სოფლები თივის სახურავებით, რომლებიც სახლის კედლებზე ჩამოწოლილა, როგორც შუბლზე ჩამოფხატული ბოხოხა ქუდი. ჭვავის ყანები, რომლებიც სადაფისფრად ლივლივებენ ჩამავალი მზის შუქზე, ხილის ბაღები, ბეღლები და შებერებული ცაცხვის ხეები.

სადგურის დასახელებები ცნებებად გარდაიქმნებიან და გულს გიწყალებენ. მატარებელი მირახრახებს და მირახრახებს. მე ფანჯარასთან ვდგავარ და ჩარჩოს კიდეს ვარ ჩაფრენილი. ამ სა-ხელების საზღვრებშია მოქცეული ჩემი ახალგაზრდობა - ვაკედ გაშლილი მდელოები, მინდვრები, ეზოები.

იქ, თითქოს ცაზე, ჰორიზონტის გასწვრივ, საზიდარი ტვირთს მიექაჩება. შლაგბაუმთან გლეხები იცდიან, გოგოები, რომლებიც ხელს გვიქნევენ, ლიანდაგზე მოთამაშე ბავშვები, სიღრმეში მიმავალი გზები, არტილერიის გარეშე.

საღამოა. ბორბლების რახარუხი რომ არა, ალბათ ხმამაღლა დავიყვირებდი. ვაკე ადგილი მთელ ფართობზეა გაშლილი. მკრთალ სიცისფრეში, შორს მთების კონტურები იზრდება. დოლბენბერგის სილუეტი მეცნო, მისთვის დამახასიათებელი დაკბილული წვერით, რომელიც მკვეთრად წყდება იქ, სადაც ტყის რიგი მთავრდება. მის მიღმა უკვე ქალაქი უნდა გამოჩნდეს, მაგრამ ჯერჯერობით ოქროსფერი სინათლე მიედინება სამყაროს თავზე. მატარებელი მოსახვევში მირახრახებს, კიდევ ერთი მოსახვევი და თხელ ნისლში გახვეული ალვის ხის ხეივანი ჩნდება, შორს, მწყობრად, ერთ რიგად ჩამწკრივებული; ხილვა, რომელსაც თან ახლავს ჩრდილი, სინათლე და უკიდეგანო სევდა.

მინდორი მათთან ერთად უხვევს და ნელ-ნელა მათთან ერთად ქრება. მატარებელმა ირგვლივ შემოუარა, მონაკვეთები ცაცხვებს შორის დაპატარავდა, ერთ მთლიან სიმწვანედ შეიკრა და წამიერად მხოლოდ ერთ ხეს ვხედავ; შემდეგ უკან მდგომმა ხეებმა ისევ წინ გადმოინაცვლეს და ეულად დაეკიდნენ ცის კაბადონზე იქამდე, სანამ პირველივე სახლებმა არ გადაფარეს.

რკინიგზის გასასვლელი. ფანჯარასთან ვდგავარ და ვერ ვწყდე-ბი სანახაობას. ჩემ გვერდით მგზავრები ჩასასვლელად ემზადებიან. მე ქუჩის სახელს ვიმეორებ, რომელიც უნდა გადავკვეთო: ბრემენის ქუჩა - ბრემენის ქუჩა - ველოსიპედები, მანქანები, ადამიანები; ეს ყველაფერი ჩემ ქვემოთ არის; ქუჩა ნაცრისფერია და ნაცრისფერია გადასასვლელიც; მაგრამ გული ისე მიცემს, თითქოს დედაჩემს ვხედავდე.

მატარებელი ჩერდება. სადგურში ჩვეული ხმაურია - ყვირილი, აბრები და წარწერები. ზურგჩანთა მოვიკიდე და კაუჭები გავუმაგრე, იარაღი ხელში ავიღე, უხერხულად ვეშვები საფეხურებზე.

ბაქანზე მიმოვიხედე; უცნობი სახეები სადღაც მიიჩქარიან. გოგონამ, წითელი ჯვრიდან, სასმელი მომაწოდა. ზურგი შევაქციე - მისმა სულელურმა ღიმილმა და მედიდურმა შემოხედვამ გამაღიზიანა, თითქოს ერთი ჭიქა ყავა სალდათისთვის უსაშველოდ დიდი რამ იყოს! „მეგობარო," - მომმართა მან; ესღა მაკლდა! გარეთ კი მდინარის ხმაური ისმის, სადგურის გაყოლებაზე, აქაფებული გადმოდის დამბებიდან, წისქვილის ხიდთან. მის გვერდით ოთკუთხა საგუშაგო კოშკია აღმართული და წინ დიდი, ფერადი ცაცხვი დგას; ხოლო მის უკან თანდათან ეშვება საღამოს მწუხრი.

ოდესღაც აქ ვსხდებოდით ხოლმე - რა დრო გავიდა მას შემდეგ! - ხიდზე დავდიოდით და დაგუბებული წყლის გრილსა და აშმორებულ ჰაერს ვსუნთქავდით. რაბის ზემოთა მხარეს წყლის სარკისებური ზედაპირისკენ ვიხრებოდით და ვხედავდით, როგორ შემოხვეოდნენ ხიდის ბურჯებს სურო და წყალმცენარეები. ზაფხულის ცხელ დღეებში გვახარებდა რაბიდან გადმოსული აქაფებული წყალი და მასწავლებლებზე ლაყბობით ვირთობდით თავს.

ხიდზე გადავდივარ, ხან მარჯვნივ ვიყურები, ხან მარცხნივ. წყა-ლი ისევ სავსეა წყალმცენარეებით და რაბიდან რკალისებურად მოჩქეფს. კოშკის შენობაში, დახვავებული სარეცხის ფონზე, ისევ მოჩანან მრეცხავი ქალები, რომლებიც დაკაპიწებული მკლავებით აუთოებენ თეთრეულს. ფანჯრის გამოღებული დარაბებიდან გახურებული უთოს სიმხურვალე ნაკადად მოედინება. ვიწრო ქუჩაზე ძაღლები მოცუნცულებენ, კართან ხალხი დგას და შემომცქერის, ზურგჩანთააკიდებულს და ჭუჭყიანს.

ამ საკონდიტროში ნაყინს მივირთმევდით და სიგარეტის მოწევას ვსწავლობდით. ამ ქუჩაზე, რომელიც ახლა ჩემ წინ გაჭიმულა, ყოველ კუთხე-კუნჭულს ვცნობ: ყოველ სახლს, ყოველ საბაყლო დუქანს, ყოველ აფთიაქს, ყოველ საფუნთუშეს. და ბოლოს ყავისფერი კარის წინ ვდგავარ; ხელი უცებ მიმძიმდება, მაგრამ თავს ძალას ვატან და კარს ვაღებ. საოცარი სიგრილე შემომეგება. სიბნელეში საგნებს ვერ ვარჩევ.

ჩექმების ქვეშ კიბე აჭრაჭუნდა. ზემოთ კარის გაჯახუნების ხმა მომესმა და ვგრძნობ, ვიღაც მიყურებს, კიბის მოაჯირზე დაყრდნობილი. იქ სამზარეულოს კარია და სწორედ ის კარი გაიღო. ეტყობა, კარტოფილის კატლეტებს წვავენ, მთელი სახლი ამ სუნითაა გაჟღენთილი; დღეს შაბათია და ეს უთუოდ ჩემი დაა, მოაჯირზე რომ გადმოწვა. წამით შევცბი და ჩაფხუტი მოვიხადე. ზემოთ ვიყურები. ჰო, ეს ნამდვილად ჩემი უფროსი დაა.

„პაულ!" - ყვირის ის, - „პაულ!"

თავი დავხარე, ჩემი ზურგჩანთა მოაჯირს გამოედო, იარაღი კი თითქოს უფრო დამძიმდა.

დამ კარი ფართოთ გააღო და ყვირის: „დედა, დედა, პაული ჩამოვიდა!“ განძრევა აღარ შემიძლია, „დედა, დედა, პაული ჩამოვიდა!“ ჩამესმის ყურში. კედელს მივეყრდენი. ჩაჩქანს და იარაღს ჩავებღაუჭე, რაც ძალი და ღონე მქონდა. მაგრამ ნაბიჯს ვეღარ ვდგამ და კიბესაც ბუნდოვნად ვხედავ. ლულას ფეხებზე ვირტყამ და კბილებს გამწარებული ვაღრჭიალებ, მაგრამ ჩემს თავს ვერაფერს ვუხერხებ. რამდენიმე სიტყვამ, რომელიც ჩემმა დამ დაიყვირა, ბოლო მომიღო; ვწვალობ, თავს ძალას ვატან, რომ გავიცინო და ხმა ამოვიღო, მაგრამ ენა წამერთვა და კიბეზე უბედური და უსუსური ვდგავარ, ნერვული სპაზმით ძალაუნებურად სახეზე უხვად ჩამომდის ცრემლები. ჩემმა დამ უკვე ჩამოირბინა და მეკითხება: „რა დაგემართა?“ თავი ხელში ავიყვანე და დერეფნისკენ მიმავალ კიბეს მძიმედ ავუყევი. იარაღი კუთხეში მივაყუდე, ზურგჩანთა კედელთან მივაგდე და ჩაჩქანი ზედ დავდე. სხვადასხვა ნივთით ახუნძლული ქამარიც მოვიშორე და ჩემს დას გაბრაზებული მივუბრუნდი: „ერთი ცხვირსახოცი მაღირსე ბოლოს და ბოლოს!“

ახლა დედაჩემის ხმა მესმის საძინებლიდან.

„ფეხზეა?“ - ვეკითხები ჩემს დას.

„ავადაა,“ - მპასუხობს.

მასთან შევდივარ, ხელს ვუწვდი და შეძლებისდაგვარად მშვიდად ვეუბნები: „მე ვარ, დედა“ და მის გამომცდელ მზერას ვგრძნობ: „დაჭრილი ხარ?“ - მეკითხება მზრუნველობით. „არა, შვებულებაში ვარ,“ - ვპასუხობ მე.

დედა ძალიან ფერმკრთალია. ვუფრთხილდები და სინათლეს არ ვანთებ.

„ვწევარ და ვტირივარ, იმის ნაცვლად, რომ მიხაროდეს.“

„ავად ხარ, დედა?“ - ვეკითხები მე. „დღეს ცოტას წამოვდგები,“ - ამბობს და ჩემი დისკენ ბრუნდება, რომელსაც თვალი სამზარეულოსკენ უჭირავს, საჭმელი რომ არ მიეწვას.

„მოცვის მურაბა გახსენი! ხომ გიყვარს?!“ - მომიბრუნდა მე.

„ჰო, დედა, რამდენი ხანია აღარ გამისინჯავს!“

„თითქოს გული მიგრძნობდა, რომ მოხვიდოდი,“ - გაიცინა ჩემმა დამ. „სწორედ შენი საყვარელი კარტოფილის კატლეტები და თან მოცვის მურაბაც!“

„დღეს ხომ შაბათია,“ - ვამბობ მე.

„გვერდზე დამიჯექი,“ - მეუბნება დედა. მიყურებს. მისი ხელები, ჩემთან შედარებით, ავადმყოფურად წვრილი და ფერმკრთალია. ჩვენი საუბარი რამდენიმე სიტყვით

იფარგლება და ძალიან მადლიერი ვარ, რომ არაფერს მეკითხება. ან კი რა უნდა ვთქვა: მოსახდენი მოხდა! მე უვნებელი დავბრუნდი და მის გვერდით ვზივარ. სამზარეულოში ჩემი და ვახშამს ამზადებს და თან ღიღინებს.

„ჩემო საყვარელო ბიჭო," - ამბობს დედა ჩუმად.

ჩვენი ოჯახური ურთიერთობა არასდროს გამოირჩეოდა განსაკუთრებული სინაზით. ეს არც ახასიათებს უბრალო ხალხს; ისინი ხომ დღენიადაგ მუშაობენ და საზრუნავიც არ აკლიათ. ამგვარი ამბები თავისებურად ესმით, - რა საჭიროა იმის მტკიცება, რაც თავისთავად ცხადია. დედას მომართვა - „ჩემო საყვარელო ბიჭო" - გაცილებით მეტია, ვიდრე სიტყვაუხვი სიყვარულის ახსნა. დარწმუნებული ვარ, თვეების განმავლობაში ინახავდა ჩემთვის ერთ ქილა მოცვის მურაბას და კექსს, რომელსაც ოდნავ წაკრავს სიძველის გემო. ალბათ რაღაც შემთხვევისას ჩაუვარდა ხელში და იმწამსვე ჩემთვის გადადო.

მის საწოლთან ვზივარ და ფანჯრიდან ვუყურებ სახლის წინ მდებარე რესტორნის ბაღში ყავისფერ-ოქროსფრად ელვარე წაბლის ხეებს. ჰაერს ღრმად ვისუნთქავ და უხმოდ, ჩემთვის, უთავბოლოდ ვიმეორებ: „მე სახლში ვარ, მე სახლში ვარ." შებოჭილობისაგან ვერ ვთავისუფლდები, თითქოს ვერ ვპოულობ ამ სივრცეში ჩემს ადგილს.

აი, დედა, აი, ჩემი და, ჩემი პეპლებიანი ყუთი და წითელი ხის პიანინო - მაგრამ ჯერ მთლიანად აქ არ ვარ. რაღაც თხელი ფარდა და ერთი ნაბიჯი გვყოფს ერთმანეთისგან.

ამიტომაც მივდივარ და ჩემი ზურგჩანთა საწოლთან მომაქვს, ვხსნი და ამომაქვს: მთელი თავი ედამის ყველი, კატმა რომ გამიხერხა, ორი პური, სამი მეოთხედი გირვანქა კარაქი, ორი ქილა გულ-ღვიძლის ძეხვი, ერთი გირვანქა დაშაშხული ღორის ქონი და ერთი თოფრა ბრინჯი.

„ეს ყველაფერი დაგჭირდებათ."

ისინი თავს მიკრავენ. „საჭმელზე ალბათ მაგარი გაჭირვებაა, არა?" - ვეკითხები მე. „ჰო, ბევრი არაფერი იშოვება. იქ, თქვენთან თუ არის საკმარისი?" მე ვიღიმები და სანოვაგეზე ვუთითებ: „ასე ბევრი არა, რა თქმა უნდა, მაგრამ არა უშავს, რა." ერნას პროდუქტი ოთახიდან გააქვს. უცებ დედაჩემი აღელვებით ხელს მკიდებს და მეკითხება: „ძალიან მძიმე იყო ფრონტზე?" გავიფიქრე, როგორ გავცე პასუხი ამ კითხვაზე? შენ ხომ ამას ვერ მიხვდები, ვერასოდეს გაიგებ და მადლობა ღმერთს, რომ ვერ გაიგებ. შენ მეკითხები, ძნელია თუ არა იქ ყოფნა. ოჰ, დედა, დედა! თავს ვუქნევ და ვპასუხობ: „არა, დედა, არც ისე მძიმე. ჩვენ ბევრნი ვართ იქ და ბევრნი რომ ვართ, შიში ნაკლებია."

„ჰო, ამას წინათ აქ ჰაინრიხ ბრედემაიერი იყო, აი, ის ყვებოდა ფრონტის კოშმარებს, გაზზე და რაღაც ასეთებზე." ეს ჩემი დედაა, ამას რომ ამბობს. ამბობს: „გაზზე და

რაღაც ასეთებზე.“ არც იცის, რას ამბობს, უბრალოდ, ჩემი სიკვდილის ეშინია. როგორ მოვუყვე იმის შესახებ, რომ ერთხელ მოწინააღმდეგის სამ სანგარს წავაწყდით, სადაც მკვდარი სალდათები მეხდაკრულებივით ფეხზე მდგარი გაშეშებულიყვნენ ბრუსტვერებზე, სანგრებში, სადაც ტყვია წამოეწიათ. მკვდარი ჯარისკაცები გალურჯებული სახეებით იდგნენ, ან ეყარნენ.

„ოხ, დედა, ბრედემაიერმა თვითონაც არ იცის, რას ბოდავს. ხომ ხედავ, უვნებელი ვდგავარ შენ წინ, ცოტა შევსუქდი კიდევაც. დედის აკანკალებული ზრუნვა სიმშვიდეს მიბრუნებს. ახლა შემიძლია ოთახებში გავიარ-გამოვიარო, ვისაუბრო და შიშის გარეშე მივეყრდნო კედელს, რადგანაც ყველაფერი რეზინის მსგავსად დარბილდა და კუნთებიც აბედივით გამიხდა.

დედას წამოდგომა უნდა. ამასობაში მე სამზარეულოში აქეთ-იქით დავდივარ და ჩემს დას ვეკითხები: „რა დაემართა?“ მხრები აიჩეჩა: „რამდენიმე თვეა ჩაწვა, არ გვინდოდა, შენ რომ გაგეგო და არაფერი მოგვიწერია. ბევრმა ექიმმა გასინჯა. ერთმა თქვა, უფრო კიბო უნდა იყოსო.“

* * *

მე ოლქის სამხედრო განყოფილებაში მივდივარ. რომ გამოვცოცხლდე, ქუჩებში ნელა დავეხეტები. გზადაგზა ნაცნობები გამომელაპარაკებიან ხოლმე. დიდხანს არ ვუჩერდები, ლაპარაკის თავი არ მაქვს.

ყაზარმიდან ვბრუნდები, ვიღაცამ ხმამაღლა დამიძახა. ფიქრებში ჩაფლული მოვტრიალდი და ჩემ ცხვირწინ მდგომი მაიორი შემრჩა. მაშინვე მომვარდა: „სალამი დაგავიწყდათ?!“

„მაპატიეთ, ბატონო მაიორო,“ - ვამბობ დაბნეული, - „უბრა-ლოდ ვერ დაგინახეთ.“

ხმა კიდევ უფრო აიმაღლა: „ვატყობ, ლაპარაკიც არ შეგიძლიათ ნორმალურად.“ მინდოდა სახეში გამერტყა, მაგრამ თავი მოვთოკე, ვიცოდი, რომ შეიძლება ჩემს შვებულებას დავმშვიდობებოდი. გავიჭიმე, მობოდიშების ტონით ვთქვი: „მე ვერ შევამჩნიე ბატონი მაიორი.“ „მიბრძანდით და წინ კარგად იყურეთ,“ - დაიღრიალა მან, - „თქვენი გვარი?“ სახელს და გვარს ვასახელებ. სახეზე ჯერ კიდევ აღშფოთება აწერია.

„რომელი ნაწილიდან?“ - წესების დაცვით ვუპატაკებ, მაგრამ ის არ მეშვება და დაკითხვას განაგრძობს: „სად არის განლაგებული თქვენი ქვედანაყოფი?“

დაკითხვა მომბეზრდა და მოკლედ ვპასუხობ: „ლენგემარკსა და ბიქსშოტეს შორის.“ ოდნავ საგონებელში ჩავარდა და ჩამეკითხა: „სად, სად?“

მე ვუხსნი, რომ ერთი საათის წინ ჩამოვედი შვებულებით. იმედი მაქვს, რომ ახლა მაინც დამანებებს თავს. მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, კიდევ უფრო გაშმაგდა: „აჰა, ახლა ფრონტის ჩვევების აქ შემოტანა გსურთ?“

„ეს ნომერი არ გაგივათ! ღვთის წყალობით, აქ ჯერჯერობით წესრიგია!“ და ბრძანებს: „ოცი ნაბიჯი უკან - გასწი!“

ბოღმა მახრჩობს, მაგრამ ამასთან ვერაფერს გავაწყობ, იმწამსვე სატუსაღოში ამომაყოფინებს თავს. ოცი ნაბიჯი მკვირცხლად გადავდგი უკან, შემდეგ ექვსი ნაბიჯი წინ გადმოვდგი და სალამის მისაცემად მის წინ გავიჭიმე, კიდევ ექვს ნაბიჯს ვდგამ და მხოლოდ შემდეგ ვუშვებ ხელს დაბლა.

მან ისევ მომიხმო და ახლა უფრო შერბილებული ტონით მაცნობებს, რომ გადაწყვიტა შემიწყალოს. გაჭიმული ვდგავარ და ვცდილობ, თვალებით მადლიერება გამოვხატო. „გასწი!“ - მიბრძანებს ის. ფეხის ქუსლები ერთმანეთს მივარტყი და იქაურობას გავეცალე.

საღამო ჩამიმწარდა. სახლისკენ გავეშურე და შესულიც კი არ ვიყავი, რომ უნიფორმა კუთხეში მივაგდე. ეს ადრეც უნდა გამეკეთებინა. შემდეგ კარადიდან სამოქალაქო ტანსაცმელი გამოვიღე და ჩაცმა დავიწყე.

ეს ჩემთვის უკვე დიდი ხნის დავიწყებული პროცედურაა. კოსტიუმი ოდნავ მოკლე და ვიწრო მაქვს. ეტყობა, ფრონტზე გავიზარდე და შევსუქდი. საყელო და ჰალსტუხი პრობლემებს მიქმნის. ბოლოს ჩემმა დამ კოხტად გამომინასკვა. რა მსუბუქია კოსტიუმი, გეგონება, რომ ქვედა საცვალის და მაისურის ამარა დგახარ.

სარკეში ჩემს თავს ვათვალიერებ. უცნაური სანახობაა! მზით გარუჯული, წინანდელთან შედარებით დავაჟკაცებული მოზარდი გაკვირვებით შემომცქერის სარკიდან.

დედას უხარია, სამოქალაქო ტანსაცმელში რომ მხედავს: ასე უფრო მისიანად აღმიქვამს. მამას ალბათ უნიფორმა უფრო მოეფონებოდა გულს და ნაცნობებთან სტუმრად წასვლას შემომთავაზებდა; მაგრამ ამაზე ნამდვილად უარს ვეტყვი.

* * *

რა სასიამოვნოა მდუმარედ ჯდომა წყნარ კუთხეში, მაგალითად, წაბლის ხეების ქვეშ, ჩვენ წინ მდებარე პატარა რესტორნის ბაღში, კეგლის სათამაშო მოედნის ახლოს. ფოთლები მაგიდაზე და მიწაზე ცვივა. ფოთოლცვენა ჯერ იმდენად საგრძნობი არ არის, მხოლოდ ერთი-ორი თუ ჩამოვარდება. ერთი კათხა ლუდი მიდგას წინ, დალევას სამხედრო სამსახურში ეჩვევიან. კათხა ნახევრად არის დაცლილი, რამდენიმე ცივი და საამური ყლუპი კიდევ მელის და, გარდა ამისა, თუ მოვისურვებ, შემიძლია მეორეც და მესამეც შევუკვეთო. არც მოწოდებები და არც ცეცხლის გრიგალი, მეპატრონის შვილები კეგლის სათამაშო მოედანზე ერთობიან, ძაღლი

მუხლებზე მადებს თავს. ჩემს თავზე ლაჟვარდოვანი ცაა, წაბლის ხის ხშირ ფოთლებში წმინდა მარგარიტას ეკლესიის კოშკი მოსჩანს.

მშვენიერია! და მეც ვნებივრობ ამ სიწყნარეში. აი, ხალხს კი ვეღარ ვუმკლავდები. ერთადერთი არსება, რომელიც კითხვებით თავს არ მაბეზრებს, დედაჩემია. მამაჩემთან საქმე სხვაგვარად არის. ის დაჟინებით მთხოვს, მოვუყვე ომის შესახებ. ეს თხოვნა გულს მიჩუყებს და სულელურად მეჩვენება, თან გაუთავებლად შეუძლია მისმინოს. ვერაფრით იგებს, რომ განცდილის მოყოლა შეუძლებელია. მეჩვენება, რომ სიტყვაში მოქცეული სურათი ისეთი ვეშაპის ფორმას მიიღებს, ვეღარ მოვერევი. შეუძლებელია გააცნობიერო ის, რაც ხდება და თუ გაცნობიერებას ვეცდები, არ ვიცი, ჩემგან რაღა დარჩება!

ამგვარად, მხოლოდ გასართობი ამბებით ვიფარგლები. ვერ ისვენებს და მეკითხება, ხელჩართულ ბრძოლაში თუ მიმიღია მონაწილეობა. „არა!“ - ვპასუხობ მე და ოთახიდან გავდივარ.

მაგრამ ეს ვითარებას არ ამსუბუქებს. ტრამვაის დამუხრუჭების ხმაც კი მაშინებს, რადგანაც ყუმბარის აფეთქების ხმას ვამსგავსებ. ერთხელაც, ამგვარი შეკრთომისას, ვიღაცამ ზურგზე დამიკაკუნა. ჩემი გერმანულის მასწავლებელი შემრჩა, რომელმაც ასეთივე კითხვები დამაყარა. „საშინელება, საშინელება, ნამდვილი საშინელება! დიახ, ეს საშინელებაა, მაგრამ უნდა გავუძლოთ და ბოლოს და ბოლოს, იქ ხომ კარგი მოვლა გაქვთ, როგორც გამიგია. თქვენ კარგად გამოიყურებით, პაულ, ჯან-ღონით სავსე ხართ! აქ გაცილებით უარესია, თავისთავად ცხადია, საუკეთესო ყოველთვის ჩვენი ჯარისკაცებისთვის!“ ერთ-ერთ მაგიდასთან მექაჩება, როგორც ჩანს, მისი მუდმივი სამყოფელია. მიღება დიდებულია, დირექტორი ხელს მიწვდის და ამბობს: „მაშ ასე, თქვენ ფრონტიდან ჩამოხვედით? როგორი საბრძოლო სული ტრიალებს იქ? შესანიშნავი, შესანიშნავი, არა?“

მე ვპასუხობ, რომ უმეტესობას სახლი ენატრება. გამაყრუებლად იცინის: „არ მჯერა! მაგრამ ჯერ ფრანგები კარგად უნდა მიტყიპოთ! ეწევით? ინებეთ სიგარა, ოფიციანტო, ერთი კათხა ლუდი მოუტანეთ ახალგაზრდა მეომარს!“

სამწუხაროდ, სიგარა ავიღე და ამიტომ იძულებული ვარ, დავრჩე. ვერაფერს იტყვი, ყველა ჩემი სიყვარულით დნება და ხოტბას მასხამს. მე კი სიბრაზით ვივსები და რაც შემიძლია, სწრაფად ვაბოლებ. დრო რომ როგორმე გამეყვანა, კათხა ლუდი ერთბაშად ჩავცალე. მეორე იმწამსვე დამიდგეს წინ. იცის ხალხმა, როგორი დავალებულია სალდათისგან!

ისინი მსჯელობენ იმის თაობაზე, თუ რისი ანექსია უნდა მოვახდინოთ. დირექტორი, ძეწკვზე დაკიდებული საათით, ყველაზე მეტად გაუმაძღარი აღმოჩნდა: ის თვლის, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა ჩავიგდოთ ხელში ბელგია, საფრანგეთის ის ნაწილი, რომელიც ქვანახშირით არის მდიდარი და რუსეთის მსუყე ტერიტორიებიც.

ამისათვის ზუსტი საფუძველი გააჩნია და თანაც იმდენად უდრეკად ამტკიცებს ამის აუცილებლობას, რომ ბოლოს დანარჩენების დაყოლიებასაც ახერხებს.

შემდეგ იწყებს ახსნას, როგორ შეიძლება საფრანგეთის ფრონტის გარღვევა და ამასობაში მე მომმართავს: „თავი დაანებეთ ამ პოზიციურ ომს და წინ წაიწიეთ. გაყარეთ ეგ ფრანგები და დაზავებაც მაშინვე მოხდება.“ ვპასუხობ, რომ გარღვევა შეუძლებელია. იმათი რეზერვები საკმაოდ დიდია და, საერთოდ, ომი არ არის ისეთი მარტივი რამ, როგორც ზოგიერთს ეჩვენება.

მეწინააღმდეგება და დამრიგებლური ტონით მპასუხობს: ზო-გიერთს შეიძლება არ ესმოდეს, ცხადია, მაგრამ ყველაფერს საერთო სურათი განსაზღვრავს და ასე არ უნდა მსჯელობდეთ. თქვენ მხოლოდ თქვენს მონაკვეთს ხედავთ და მასშტაბურად ვერ მსჯელობთ. თქვენს მოვალეობას ასრულებთ და სიცოცხლეს სასწორზე დებთ, ეს უდიდესი პატივისცემის ღირსია, ყოველ თქვენგანს რკინის ჯვარი უნდა დაჰკიდონ, მაგრამ მოწინააღმდეგის ფრონტი, პირველ რიგში, ფლანდრიაში უნდა გაირღვეს. და შემდეგ ზემოდან უნდა დასცხონ.

ქშინავს და წვერზე გულმოდგინედ ისვამს ხელს.

„მთლიანად უნდა აილაგმოს ზემოდან ქვემოთ, შემდეგ კი - შეტევა პარიზზე!“ მაინტერესებს, რეალურად როგორ წარმოუდგენია მის მიერ შეთხზული ფანტასტიკური სურათის განხორციელება და მესამე ლუდს უმოწყალოდ ვისხამ კუჭში. შემდეგი კათხა კვლავ მზად არის მოსატანად, მაგრამ მე აბარგებას ვაპირებ. რამდენიმე სიგარას ჯიბეში მჩრის და ზურგზე მეგობრული დარტყმით მემშვიდობება: „აბა, კარგად იყავით! იმედია, რაღაც სასიკეთოს მალე გავიგებთ თქვენგან!“

* * *

შვებულება სხვაგვარად წარმომედგინა. ერთი წლის წინ ის მართლაც სხვაგვარი იყო. ამ ერთ წელიწადში მეც შევიცვალე. ახლანდელსა და მაშინდელს შორის ღრმა უფსკრული ჩამოწვა. მაშინ ომს ჯერ არ ვიცნობდი, რადგანაც ჩვენ საკმაოდ მყუდრო ადგილას ვიყავით დაბანაკებული. დღეს კი ვამჩნევ, რომ ჩემდაუნებურად საკმაოდ მოვეშვი, აქაურობის მიმართ ორიენტაცია დამერღვა და უცხო სამყაროში აღმოვჩნდი. ერთნი კითხვებს მაყრიან, მეორენი საერთოდ არაფერს მეკითხებიან და ვატყობ, რომ ამით ამაყობენ კიდეც, ხშირად სიტყვიერადაც ახმოვანებენ ამ თავშეკავებას და ისეთ გამომეტყველებას იღებენ, ყველაფერი ნათელია, სალაპარაკოდ არ ღირსო და ყოვლისმცოდნეებადაც მოაქვთ თავი.

ყველაზე დიდი სიამოვნება განმარტოებაა, როდესაც არავინ მაწუხებს. ყველა ერთსა და იმავეს უბრუნდება, საქმე კარგად მიდის ან ცუდად მიდის, აზრები განსხვავებულია, - მაგრამ ყველა საბოლოოდ თავისი არსებობის ირგვლივ ტრიალებს.

წინათ მეც ზუსტად ასევე ვცხოვრობდი, მაგრამ ახლა ამგვარ არსებობასთან კავშირი სრულიად გაწყვეტილია.

მეჩვენება, რომ მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობენ. მათ აქვთ სა-ზრუნავი, სურვილები, მიზნები, რომელსაც ალღოს ვეღარ ვუღებ. ვცდილობ, ზოგიერთ მათგანს ავუხსნა, რომ ჩემთვის ბაღში მშვიდად და წყნარად ჯდომაა ნამდვილი ნეტარება. მათ, ცხადია, ესმით, რასაც ვუხსნი, მეთანხმებიან კიდეც და თითქოს თვითონაც ამ აზრის არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ სიტყვიერი თანხმობაა; კი, ეს ასეა, ვგრძნობთო, მაგრამ მათი არსება სანახევროდ სადღაც სხვაგან არის, ორად არის გაყოფილი, თუმცა ამას ვერ ხვდებიან. გულახდილად რომ ვთქვა, მეც არ ვიცი, რას ვგულისხმობ ჩემი სიტყვებით, ან რაში მინდა მათი დარწმუნება.

როდესაც მათ ვუყურებ, თავიანთ ოთახებში, ბიუროებში, საქმეში ჩაფლულთ, მთელი ეს ცხოვრებისეული ყოფითი ფუსფუსი უჩვეულოდ მიზიდავს, მინდა მათი ნაწილი გავხდე, ომი დავივიწ-ყო. მაგრამ მიახლოებისას რაღაც ხელს მკრავს და მათი სამყარო ვიწრო და მიუღებელი ხდება; როგორ შეიძლება ასე ცხოვრება, როდესაც იქ, სანგრის თავზე ჭურვის ნამსხვრევები ზუზუნებენ, ცაში შუქურა-რაკეტები დასრიალებენ, დაჭრილებს ლაბადა-კარვებით დაათრევენ და მეგობრები სანგრების სიღრმეში ჩაცუცქულან! - არა, აქ სხვა ადამიანები არიან, რომელთაც ვეღარ ვუგებ, მე მშურს მათი და ამავე დროს პატივს არ ვცემ. მე უნდა ვიფიქრო კატზე და ალბერტზე, მიულერზე და თიადენზე. ნეტავ რას აკეთებენ ახლა? იქნებ სასადილოში სხედან ან არხზე ცდილობენ გადაცურვას. მალე ისევ წინა ხაზზე გარეკავენ.

* * *

ჩემს ოთახში ყავისფერი ტყავის ტახტი დგას. ზედ ჩამოვჯექი. კედლებზე სურათებია მიმაგრებული ჭიკარტით: ჟურნალებიდან ამოჭრილი, საფოსტო ბარათები და ნახატები, რომლებიც ოდესღაც რაღაცით მომეწონა. კუთხეში რკინის ღუმელი დგას, ხოლო კედელთან მის პირდაპირ თაროები ჩემი წიგნებით.

ამ ოთახში ვცხოვრობდი, სანამ ჯარისკაცი გავხდებოდი. წიგ-ნებს ნელ-ნელა ვყიდულობდი, კერძო გაკვეთილებიდან აღებული ფულით. ზოგიერთი ბუკინისტებთან მქონდა შეძენილი, ძირითადად, კლასიკოსები. ერთი ტომი მარკა და ათი პფენიგი ღირდა, - უხეში ნაჭრის ცისფერი გარეკანით. ტომეულების სრულ გამოცემას ვყიდულობდი, შეყვარებული ვიყავი კითხვაზე და რჩეული ნაწარმოებების გამომცემლოებს არ ვენდობოდი, - ვინ იცის, გამომცემლობამ რა აირჩია? ამიტომაც უპირატესობას ვაძლევდი ტომეულების სრულ გამოცემას. კითხვის პროცესს კეთილსინდი-სიერად და სერიოზულად ვეკიდებოდი, მაგრამ მოწონებით მხო-ლოდ რამდენიმე მათგანი მომწონდა. თანამედროვე მწერლები გაცილებით უფრო მიზიდავდნენ და მათი ფასიც უფრო მაღალი იყო. ზოგიერთი წიგნი უპატიოსნო გზითაც კი შევიძინე; წასა-კითხავად გამოვართვი, მაგრამ აღარ დავუბრუნე, რადგან მასთან განშორება მიმძიმდა.

ერთ თაროზე სასკოლო სახელმძღვანელოები იყო მოთავსებული. მათ დიდად არ ვუფრთხილდებოდი. უმეტესობა დაფლეთილი, გაქექილი იყო, გვერდები ამოგლეჯილი, გასაგებია, რა მიზნით. და ქვემოთ რვეულები, ქაღალდები და წერილები ერთ შეკვრად ეწყო, ასევე, ნახატები და ლიტერატურული ექსპერიმენტები.

მინდა ფიქრებით იმ დროში გადავეშვა. ის ხომ ისევ ამ ოთახშია, ამას კარგად ვგრძნობ, კედლებმაც კი შეინარჩუნეს ელფერი. ხელები ტახტის სახელურებზე მაქვს ჩამოდებული. მოხერხებულად მოვეწყვე და ფეხები ზემოთ ამოვწიე. ვზივარ ასე მყუდროდ, კუთხეში, ტახტის მკლავებში ჩასვენებული. პატარა ფანჯარა გამოღებულია და ჩემთვის ნაცნობი ხედი მოჩანს, ეკლესიის მწვა-ნე კოშკით, ქუჩის ბოლოში. მაგიდაზე რამდენიმე ყვავილია, კალმისტარი, ფანქრები და ნიჟარა - პრესპაპიედ და სამელნედ, - მოკლედ, აქ არაფერი შეცვლილა.

თუ ბედმა გამიღიმა, ომის დამთავრების შემდეგ, სამუდამოდ რომ დავბრუნდები, მაშინაც ყველაფერი უცვლელი დამხვდება. ისევ ჩემს ოთახში, ამ ტახტზე ჩამოვჯდები და მზერით და ლოდინით მოვკლავ დროს.

უცებ ავღელდი, თუმცა ღელვა ახლა არ მაწყობს. ის ხელს მიშლის, მე კი კვლავ მინდა ვიგემო ის საიდუმლო გატაცება და მძაფრი გრძნობა, სახელს რომ ვერ ვუძებნი; მოწიწებით სავსე უწინდელი სწრაფვა, რომელიც მხოლოდ წიგნებთან მდგომს მიპყრობდა. მსურს კვლავ აღმოვჩნდე ქარივით შემოჭრილ ლტოლვის ტყვეობაში, რომელიც თაროზე შემოწყობილი წიგნებიდან ასეთი სიძლიერით იღვიძებდა ჩემში.

მან უნდა გაალღოს მძიმე, მკვდარი ტყვიის გუნდა, კვლავ გამიღვიძოს მომავლის იმედი და აღფრთოვანების უნარი, რომელიც აზრთა სამყაროსთან ურთიერთობისას გამაჩნდა და სიხარულს მგვრიდა, ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი, უკვე დაკარგული მომავლისათვის მზადყოფნა უნდა დამიბრუნოს.

ვზივარ და ველი.

გამახსენდა, რომ ქემერიხის დედა უნდა მოვინახულო. მითელშტედტსაც შემიძლია მივაკითხო, ის ყაზარმაში უნდა იყოს. ფანჯრიდან გავიხედე. მზით განათებული ქუჩის პანორამის მიღმა, შეუმჩნევლად და მსუბუქად ამოიზიდნენ ბორცვების კონტურები და ასევე შეუმჩნევლად გარდაიქმნენ შემოდგომის ნათელ დღედ, სადაც კატთან და ალბერტთან ერთად ვსხედვართ ცეცხლთან და ჯამებიდან შემწვარ კარტოფილს ვჭამთ.

ამაზე ფიქრი არ მსურს და ზმანებას სასწრაფოდ ვიშორებ, ოთახი, ოთახი უნდა ამეტყველდეს, გულში უნდა ჩამიხუტოს და უნდა ამიყოლიოს. შინაგანი ხმა მკარნახობს, რომ აქაურობას ვეკუთვნი და მას უნდა ვუსმინო, რათა დაბრუნებისას ვიცოდე, ომი უკვალოდ ჩაიძირება და გაქრება; როგორც კი შინ დაბრუნების ძლიერი სიხარულის ტალღა გადაუვლის, შორეულ წარსულს ჩაბარდება და ჟანგივით ვერ

შეგვჭამს. მას არანაირი ძალა არ გააჩნია ჩვენზე, გარდა გარეგნულისა. წიგნები მჭიდროდ არის მიკრული ერთმანეთთან. კარგად მახსოვს, როგორი თანმიმდევრობით ვალაგებდი მათ. თვალებით ვევედრები, რომ დამელაპარაკონ; - მიმიღე მე, მიმიღე უწინდელო ცხოვრებავ, შენ, უდარდელო და მშვენიერო, მიმიღე შენს სამყაროში! ვუცდი იმ წუთს, ვუცდი მოუთმენლად...

წარსულის ზმანებებმა სწრაფად ჩამიქროლეს, მაგრამ ვერც ერთს ჩავეჭიდე, რადგან მხოლოდ ჩრდილებია და მოგონებები.

აღარაფერია - აღარაფერი.

მოუსვენრობამ იმატა.

გაუცხოების საშინელი გრძნობა თითქოს უეცრად ამოიზარდა ჩემში. წარსულისკენ მიმავალი გზის ორიენტირი მეკარგება და თავს დევნილად ვგრძნობ; როგორც უნდა ვევედრო და ვეცადო, ირგვლივ არაფერი იძვრის; გულგრილი და სევდიანი ბრალდებულივით ვზივარ აქ და წარსულმა ზურგი შემაქცია. ძალიან ვერ ვევედრები, მეშინია, რომ ხმას გამცემს, ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს! მე ხომ სალდათი ვარ და ეს უნდა მახსოვდეს.

დაღლილი ვდგები და ფანჯარაში ვიყურები. შემდეგ ერთ-ერთ წიგნს ვიღებ და ვშლი, რომ წავიკითხო. მაგრამ ადგილზე ვდებ და სხვა წიგნებსაც ვფურცლავ. ჩემ წინ მთელი დასტა ამოიზარდა. დანარჩენებიც ემატება, უფრო სწრაფად - ფურცლები, რვეულები, წერილები.

დადუმებული ვდგავარ, თითქოს ღონემიხდილი, სასამართლოს წინაშე, სიტყვები, სიტყვები, სიტყვები - ჩემს გონებამდე ვერ აღწევენ. წიგნები ნელ-ნელა თავის ძველ ადგილებს უბრუნდებიან. ყველაფერი მორჩა! ოთახიდან ჩუმად გავდივარ.

* * *

იმედი მთლიანად არ დამიკარგავს, მაგრამ ჩემს ოთახში შესვლას ვერიდები; თავს ვინუგეშებ: საბოლოო გადაწყვეტილებისთვის რამდენიმე დღე სულაც არ არის საკმარისი. სამომავლოდ ამისთვის ბევრი დრო მაქვს.

ჯერ ყაზარმაში, მითელშტედტთან მივდივარ. მის ოთახში ვსხედვართ, სადაც ყაზარმის ჩვეული ჰაერია, არ მიყვარს, მაგრამ უკვე მივეჩვიე.

მითელშტედტს ჩემთვის გამაოგნებელი სიახლე შემოუნახავს, რომელმაც ერთბაშად დამიარა ელექტრონივით: კანტორეკი ომში გაუწვევიათ. „წარმოიდგინე, - მეუბნება მითელშტედტი და თან რამდენიმე ძვირფას სიგარას ჯიბიდან იღებს, - ლაზარეთიდან აქ რომ გადმოიყვანეს, მაშინვე წავაწყდი. თავისი თათი გამომიწოდა და დაიყიყინა: „შეხედე ერთი, ეს მგონი მითელშტედტია, როგორ ხარ, ჰა?“ მედიდურად გადავხედე და ვუპასუხე: „რიგითო კანტორეკ, სამსახური არის

სამსახური და ნაცნობობა კი ნაცნობობაა. ეს თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, აბა, სათანადოდ გაიჭიმეთ, როდესაც უფროსთან საუბრობთ.“ მისი სახე უნდა გენახა! რაღაც მჟავე კიტრსა და აუფეთქებელ ჭურვს შორის. ოდნავ შეცბა, მაგრამ მაინც სცადა წაქლესება. უფრო უხეშად დავუყვირე, ახლა თავისი ხრიკები აამოქმედა: „ხომ არ ინებებთ, რომ შეღავათიან გამოცდაში წაგეხმაროთ?“ თავის ჭკუით, შემახსენა. აქ კი გავცოფდი და მეც კარგად შევახსენე: „რიგითო კანტორეკ, თქვენ არ ბრძანდებოდით, ქადაგებით რომ შეგვიტყუეთ მოხალისეებში? და ჩვენთან ერთად იოზეფ ბეემი, რომელიც ამის წინააღმდეგი იყო. თქვენ რომ არა, დღესაც ცოცხალი იქნებოდა. ახლა კი, გასწით! ერთმანეთს კიდევ შევხდებით!“ მისი ქვედანაყოფში მოხვედრა არაფრად მიღირდა. ჯერ კაპტაჟში წავიყვანე თან, შემდეგ ვთხოვე, რომ კოხტად გამოეწყოთ. ახლავე ნახავ.“

ეზოში გავდივართ, ქვედანაყოფი გაჭიმული დგას. „თავისუფლად,“ - ბრძანებს მითელშტედტი და თვალიერებას იწყებს.

თვალს კანტორეკზე ვაჩერებ და სიცილს ძლივს ვიკავებ. რაღაც გახუნებული, ცისფერი ფრაკისმაგვარი აცვია. ზურგზე და მკლავზე მუქი ნაკერები აქვს დადებული. მუნდირი ვიღაც გოლიათისა უნდა ყოფილიყო. შარვალი კი იმდენად მოკლეა, რამდენადაც უსაშველოდ დიდია მუნდირი, კოჭებამდეც კი არ სწვდება. სამაგიეროდ, ჩექმებია ფართო, - ქვასავით მაგარი, ცხვირაპრეხილი წაღები, ეტყობა, უხსოვარი დროიდან შემორჩენილი, გვერდით შესაკრავებით. ამ ჩაცმულობას შეუფერებლად პატარა ქუდი ავსებს, უფრო სწორად, გაღეჭილი ბლინი.

სანახაობა გულისამაჩუყებელია. მითელშტედტი მის წინ შეჩერდა: „როგორ არის ღილების წმენდის საქმე? ჩანს, ამას ვერასდროს ისწავლით. არადამაკმაყოფილებელია, კანტორეკ, არადამაკმაყოფილებელი!“

სიამოვნებისგან შინაგანად ვღრიალებ. ზუსტად ასე აკრიტიკებდა კანტორეკი მითელშტედტს სკოლაში. ასეთივე ტონალობაში: „არადამაკმაყოფილებელი, მითელშტედტ, არადამაკმაყოფილებელი!“

მითელშტედტი განაგრძობს: „შეხედეთ ბიოთხერს, როგორი სანიმუშოა. შეგიძლიათ მისგან ისწავლოთ.“

თვალებს არ ვუჯერებ. ბიოთხერიც აქ ყოფილა, ჩვენი სკოლის შვეიცარი. და ის სანიმუშოა! კანტორეკმა მზერა მესროლა, თითქოს ჩემი ჩაყლაპვა სურდა. მე უწყინრად გავუღიმე, თითქოს წესიერად არც ვიცნობდე. ეს რა სულელური სანახაობაა, კანტორეკი გაქექილ მუნდირში და ბლინით თავზე! და აი, ამ საფრთხობელას დანახვაზე ოდესღაც ვცახცახებდით, კათედრაზე, ფანქრით ხელში რომ წამოიმართებოდა და ჩვენ მიერ შეცდომით დაწერილ ფრანგულ უწესო ზმნებს უმოწყალოდ უსვამდა ხაზს. თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ საფრანგეთში ისინი საერთოდ არ დაგვჭირვებია.

მას შემდეგ ორი წელიც არ გასულა და, თითქოს ჯადოქრის ხელით, ჩემ წინ რიგითი კანტორეკი დგას, ძალაუფლებაგამოცლილი, ფეხმოქცეული, ქვაბის სახელურივით მკლავებით, ჭუჭყიანი ღილებით და უკიდურესად სასაცილო იერით, სრული გაუგებრობა - სალდათის ნაცვლად. ჩემს თავში ვერაფრით თავსდება, რომ ეს საცოდავი სანახაობა ოდესღაც კათედრაზე შემომდგარი მრისხანე კაცია, რომელიც შიშის ზარს გვცემდა. ნამდვილად ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო: ნეტავ რას ვიზამდი, ამ გაქუცულმა არსებამ უცებ ნება რომ მისცეს თავს და მე, გამოცდილ ჯარისკაცს მკითხოს: „ბოიმერ, როგორ იქნება ალლერ ზმნა Imparfait-ში?“ მითელშტედტი კანტორეკს წყებად გაშლაში ავარჯიშებს, შემდეგ კი გადაწყვეტილი აქვს, დიდსულოვნად უბოძოს ჯგუფის უფროსობა. თუმცა ამ დიდსულოვნების მიღმა მზაკვრული ჩანაფიქრია: კომანდირი, წყებად გაშლისას, თავისი ნაწილის წინ მუდმივად ოცი ნაბიჯის დაშორებით უნდა იდგეს; როდესაც ბრძანება გაიცემა - „ირგვლივ იარ!“ წყება იწყებს მხოლოდ მოტრიალებას, ხოლო უფროსი, რომელიც უცებ თავისი ნაწილის უკან აღმოჩნდება, უნდა გავარდეს და ისე დაწინაურდეს, რომ ნაწილს ოცი ნაბიჯით გადაუსწროს. ჯამში ორმოცი ნაბიჯით „სირბილით იარ!“ გამოუდის. მაგრამ, როგორც კი თავის ადგილს მიაღწევს, ოფიცერი ბრძანებას გასცემს: „ირგვლივ იარ!“ და იძულებულია, თავპირისმტვრევით გავარდეს უკან. ამგვარად, ჯარისკაცთა ჯგუფი მხოლოდ ტრიალს და რამდენიმე ნაბიჯის გადადგმას უნდება, მათი უფროსი კი ამ დროს ციბრუტივით ტრიალებს და ენაგადმოგდებული აქეთ-იქით დარბის.

მთელი ეს პროცედურა ჰიმელშტოსის მიერ მრავალგზის აპრობირებულ მეთოდს მაგონებს.

კანტორეკი სხვას არაფერს უნდა ელოდეს მითელშტედტისგან: მისი წყალობით, ის მეორე წლით დატოვეს კლასში და ახლა, ცხადია, მისი მხრიდან სისულელე იქნებოდა, რომ ფრონტზე წასვლამდე შურისძიების ასეთი შემთხვევა ხელიდან გაეშვა. სასიამოვნო განცდაა, რომ მოგეცა შანსი, შენს მწვალებელს სამაგიერო მიუზღო, ამის შემდეგ სიკვდილიც კი გაგიადვილდება. ამასობაში კანტორეკი კორიდის გამხეცებული ხარივით მიჰქრის. ცოტა ხნის შემდეგ მითელშტედტი ვარჯიშის დამთავრების ბრძანებას გასცემს და ჯგუფები ახლა ცოცვაზე გადადიან; ეს ყველაზე საპასუხისმგელოდ ითვლება.

კანტორეკი, იდაყვებსა და მუხლებზე დაყრდნობილი, წესდების თანახმად, მჭიდროდ იარაღმიკრული, მთელი თავისი მშვენებით, ჩვენგან ორი ნაბიჯის მოშორებით მიცოცავს. ქლოშინებს და მისი ქლოშინი ჩვენს ყურებში მუსიკად ჟღერს.

მითელშტედტი ამხნევებს და თან რიგით ჯარისკაც კანტორეკს უფროსი მასწავლებლის - კანტორეკის ციტატებით ანუგეშებს: „ჯგუფის უფროსო კანტორეკ, ჩვენ ბედნიერება გვერგო, ვცხოვრობდეთ დიად ეპოქაში, მთელი ძალა უნდა

მოვიკრიბოთ, რომ სიძნელეები დავძლიოთ, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს.“

კანტორეკი პირში მოხვედრილ ჭუჭყიან ხის ნაჭრებს აფურთხებს და ოფლი ღვარად ჩამოსდის.

მითელშტედტი იხრება და გულშიჩამწვდომად, ჩუმად ეუბნება: „რიგითო კანტორეკ, ნუ აქცევთ ყურადღებას წვრილმანებს, გახსოვდეთ, რომ თქვენ უდიდესი მოვლენების თანამონაწილე ხართ!“ მიკვირს, რომ კანტორეკი ამდენი ჭინთვისგან შუაზე არ გასკდა, განსაკუთრებით, როდესაც ცოცვა ტანვარჯიშით შეიცვალა. მითელშტედტი უბადლოდ ბაძავს ყოფილ მასწავლებელს, თან ღერძზე ტრიალებს, უკანალზე ხელის აკვრით ეხმარება და ასწავლის ვარჯიშის დროს ღერძზე ნიკაპის სწორად დაჭერას. მოვარჯიშეს უხვად აცვივა თავზე ბრძნული სენტენციები. სწორედ ასე უქადაგებდა კანტორეკი სკოლის პერიოდში მითელშტედტს.

ვარჯიშს საქმიანობის გადანაწილება მოსდევს: „კანტორეკ და ბიოთხერ, პური მოიტანეთ! ურიკები გაიყოლეთ!“

რამდენიმე წუთში ბრძანება სრულდება: წყვილი ბრძანების შე-სასრულებლად ურიკებით მიდის. კანტორეკს სიბრაზისგან თავი აქვს ჩაქინდრული, შვეიცარი კი კმაყოფილია, რომ ადვილი სამუშაო ერგო.

გარნიზონის საცხობი ქალაქის მეორე ბოლოშია, ასე რომ, წასვლა-წამოსვლა მთელი ქალაქის გავლით მოუწევთ.

„უკვე რამდენიმე დღეა, ამით მყავს დასაქმებული, - ჩაიღიმა მითელშტედტმა, - იქ მოუთმენლად ელიან, ზოგიერთები მაგრად ერთობიან მაგათ დანახვაზე.“

„შესანიშნავია, - ვამბობ მე, - მაგრამ ჩივილს ხომ არ აპირებს?“

„სცადა! ჩვენი კომანდირი კინაღამ სიცილით გასკდა, ეს ამბავი რომ მოისმინა. სკოლის დამრიგებლებს ვერ იტანს. გარდა ამისა, მის გოგოს ვეარშიყები.“

„გამოცდა არ ჩაგიმწაროს.“

„მიმიფურთხებია,“ - წყნარად მპასუხობს მითელშტედტი, - „მის ჩივილს აზრი არა აქვს, შემიძლია დავამტკიცო, რომ საკმაოდ ადვილი სამსახური აქვს დაკისრებული.“

„შეგიძლია კიდევ უფრო გაამწარო?“ - ვეკითხები მე.

„იდიოტია და ამდენად არ მიღირს,“ - მპასუხობს დიდსულოვნად და ოდნავ ქედმაღლურად.

* * *

რა არის შვებულება? - ყოყმანი გზაჯვარედინზე. ამის მერე ყველაფერი კიდევ უფრო დამძიმდა. ერთ-ერთი სიმძიმე გამომშვიდობებაა, რომელიც დღითიდღე ახლოვდება. დედა მდუმარედ შემომცქერის; დღეებს ითვლის, ამას ვგრძნობ. ყოველ დილით სევდიანია, რადგანაც შვებულებას თითო დღე აკლდება. ჩემი ზურგჩანთა სადღაც შეინახა, რომ განშორებას არ ახსენებდეს. დრო ჩქარა გარბის, როდესაც ფიქრებში ხარ ჩაძირული. ფიქრს თავი დავანებე და ჩემს დას სასაკლაოზე გავყევი, რამდენიმე გირვანქა ძვლების წამოსაღებად. ეს დიდი შეღავათია ოჯახისთვის. ხალხი დილიდან იკრიბება და გრძელ რიგად ეწყობა. ზოგი ვერ უძლებს და გულყრაც კი ემართება. ბედი არ გვწყალობს. რიგში სამსაათიანი მონაცვლეობის შემდეგ, ძვლები გათავდა და რიგი დაიშალა. კიდევ კარგი, რომ ჩემი კუთვნილი საფრონტო ულუფა მივიღე. დედას მივუტანე და შედარებით ყუათიანად შეგვიძლია ვიკვებოთ. დღეები სულ უფრო მტანჯველი ხდება და დედის თვალები კი - სევდიანი. ოთხი დღე დამრჩა და ქემერიხის დედასთან უნდა მივიდე.

* * *

ამის აღწერა შეუძლებელია. აკანკალებული, გულამოსკვნილად მოქვითინე ქალი, რომელიც მაჯანჯღარებს და შემომყვირის: „ის მოკვდა და შენ რატომ დარჩი ცოცხალი?!“ მისი ცრემლებიით მეც სულ სველი ვარ. ხმამაღლა გოდებს: „იქ საერთოდ რა გესაქმებათ, ჯერ ხომ ბავშვები ხართ“... სკამზე ეშვება და მოთქვამს: „ნახე? ნახე ჩემი შვილი როგორ კვდებოდა?“

ვეუბნები, რომ ტყვია მოხვდა გულში და უცებ მოკვდა. მიყურებს და ჩემს სიტყვებში ეჭვი ეპარება: „სტყუი! მე უკეთესად ვიცი, რაც იყო. ვგრძნობდი, რომ წვალებით მოკვდა. მისი ხმა მესმოდა, შიში ღამე ვიგრძენი, მართალი მითხარი, მინდა ყველაფერი ვიცოდე, ყველაფერი უნდა გავიგო.“

„არა, - ვამბობ მე, - მის გვერდით ვიყავი. იმწამსვე მოკვდა.“ ჩუმად მეხვეწება: „მითხარი, გთხოვ, მითხარი. ვიცი, რომ გინდა მანუგეშო, მაგრამ ხომ ხედავ, რომ უფრო მაწვალებ, სიმართლეს რომ არ მეუბნები! გაურკვევლობას ვერ ვიტან, მითხარი, როგორ მოხდა და როგორი საშინელი იყო მისი სიკვდილი. უკეთესია, ყველაფერი ვიცოდე, ვიდრე ამაზე გაუთავებლად ვიფიქრო.“

ნაწილებად რომ ამკეპონ, მაინც ვერ ვეტყვი სიმართლეს. ძალიან მეცოდება. თხოვნა ოდნავ სულელურიც კი მეჩვენება. რისი გაგება სურს? ეცოდინება თუ არ ეცოდინება, ქემერიხი მაინც ვეღარ გაცოცხლდება. ჩემნაირი ადამიანისთვის, რომელიც ათასობით ადამიანის სიკვდილს დაესწრო, ერთი ადამიანის გამო დატრიალებული დარდი და ტკივილი ძნელად აღიქმება. მოუთმენლობა დამეტყო და ვუმეორებ: „იმწამსვე მოკვდა ისე, რომ არაფერი უგრძვნია, მშვიდი სახით.“

დუმს, შემდეგ ნელა მეკითხება: „შეგიძლია დაიფიცო?“

„კი,“ - ვპასუხობ მე.

„დაიფიცებ იმას, რაც შენთვის ყველაზე წმინდაა?“

ო, ღმერთო ჩემო, ისიც არ ვიცი, რა არის ჩემთვის ყველაზე წმინდა, - ჩვენს დროში ხომ ყველაფერი იცვლება.

„კი, ის იმწამსვე მოკვდა,“ - ვამბობ მტკიცედ.

„თუ სიმართლეს არ ვამბობ, მე არ მოვბრუნდე უკან, იმწამსვე მოკვდა,“ - ვუდასტურებ მე.

რას არ ავიღებდი ჩემს თავზე და რას არ დავუფიცებდი, მაგრამ ჩანს, ბოლოს დამიჯერა. გმინავს და დიდხანს ტირის. როგორმე უნდა მოვუყვე, როგორ მოხდა ყველაფერი; და ვიგონებ ამბავს, რომლისაც, მგონი, ახლა მეც მჯერა.

წამოსვლისას გადამკოცნა და ქემერიხის ფოტოთი დამასაჩუქრა. ფოტოზე ახალწვეულის ფორმა აცვია და მრგვალ მაგიდაზეა მიყრდნობილი, რომლის ფეხებად არყის ხის გაუშალაშინებელი ნარჩენები გამოუყენებიათ. მაგიდაზე ერთი კათხა ლუდი დგას, უკანა პლანზე კი დეკორატიული ტყე მოჩანს.

* * *

უკანასკნელი საღამო სახლში: ყველა მიჩუმდა. მე ადრე ვწვები, ბალიშებს ხელს ვკიდებ, ვატრიალებ და თავს შიგ ვრგავ. ნუთუ კიდევ მეღირსება ასეთ ბუმბულის ლეიბზე წოლა?!

გვიან დედა შემოდის და დარწმუნებულია, რომ მძინავს. მეც თავი მოვიმძინარე: საუბარი და სიფხიზლე ახლა უადგილო და მძიმეა. დილამდე ჩემთან ზის, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ტკივილებისგან იკრუნჩხება. ვეღარ გავუძელი და ამჯერად გაღვიძება გავითამაშე.

„დედა, წადი, დაიძინე, არ გაცივდე!“

„ძილისთვის ბევრი დრო მექნება!“ - მპასუხობს ის.

წამოვდექი და მინდა დავამშვიდო: „ჯერ ფრონტზე არ მივყავართ, დედა, ოთხი კვირა ბანაკებში ვიქნებით. შეიძლება ბანაკიდან ერთ კვირა დღეს ჩამოგაკითხოთ კიდეც.“

არაფერს ამბობს. შემდეგ ჩუმად მეკითხება: „ძალიან გეშინია?“

„არა, დედა.“

„ფრანგ ქალებს ერიდე, ძალიან ცუდები არიან.“

ოჰ, დედა, დედა, მაინც ბავშვი ვარ შენთვის! რატომ არ შემიძლია ჩავრგო თავი შენს კალთაში და ვიტირო? რატომღაც სულ შინაგანი სიძლიერე და თავშეკავება უნდა ვითამაშო, მეც მინდა ტირილი და ნუგეში ვინმესთან; ბავშვის ასაკისგან არც ისე

ბევრი წელი მაშორებს, - კარადაში ჩემი ბავშვობის შარვლები ჰკიდია, - რა ცოტა დრო გავიდა მას შემდეგ, ან რატომ ჩაიფრინა ასე მალე იმ ასაკმა?

თავს ძალას ვატან და წყნარად ვეუბნები: „სადაც ჩვენ ვართ, იქ ქალები საერთოდ არ არიან, დედა.“

„და გთხოვ, ფრთხილად იყავი ფრონტზე.“

ოჰ, დედა, დედა! რატომ არ უნდა შემეძლოს შენი ხელში აყვანა და შენთან ერთად სიკვდილი; რა საცოდავი არსებები ვართ მაინც?!

„ჰო, დედა, ძალიან ფრთხილად ვიქნები.“

„შენთვის ყოველდღე ვილოცებ, პაულ!“

ოჰ, დედა, დედა, მოდი, ავდგეთ და წავიდეთ წარსულში და უკან ჩამოვიტოვოთ მთელი უბედურება, რომელიც ასე გვამძიმებს და დავუბრუნდეთ საკუთარ თავს!

„იქნებ რაიმე პოსტზე გადაგიყვანონ, რომელიც ნაკლებად საშიში იქნება.“

„ჰო, დედა, შეიძლება სამზარეულოში დამასაქმონ.“

„უარი, იცოდე, არ თქვა, ხალხის ლაპარაკს ნუ უგდებ ყურს.“

„ჩემთვის სულერთია, ხალხის ლაპარაკი არ მაღელვებს...“

ამოიოხრა. სიბნელეში მისი სახე თეთრ ნათებას ჰგავს.

„ახლა წადი და დაიძინე, გთხოვ!“

არ მპასუხობს, ვდგები და საბანს მხრებზე ვაფარებ. ჩემს მკლავს ეყრდნობა, ვხედავ, ტკივილები აწუხებს. საძინებელში მიმყავს და რამდენიმე ხანს მასთან ვრჩები. „ჩემს ჩამოსვლამდე უნდა გამოჯანმრთელდე, დედა!“ „ჰო, ჩემო საყვარელო, ვეცდები.“

„ნუღარაფერს გამომიგზავნით, იქ ყველაფერი საკმარისად გვაქვს. თქვენ უფრო ბევრი რამ გჭირდებათ აქ.“

ჩემი საცოდავი დედა, ყველაზე მეტად რომ ვუყვარვარ ქვეყანაზე, წევს აქ ლოგინში და ტკივილებს ებრძვის. წასვლა რომ დავაპირე, სწრაფად მითხრა: „ორი ქვედა საცვალი გადაგინახე. გთხოვ, არ დაგავიწყდეს შენს ნივთებთან ჩადე.“

დედა, ხომ ვიცი, ეს ორი საცვალი რა წვალებით მოიპოვე: გაუთავებელი თხოვნით, სირბილით და რიგებში დგომით! როგორ უნდა მიგატოვო? შენ ხომ ყველაზე მეტი უფლება გაქვს ჩემზე. მე აქ ვზივარ, შენ კი იქ წევხარ, რამდენი რამ გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერასდროს შევძლებთ.

„ღამე მშვიდობისა, დედა,“

„ღამე მშვიდობისა, ჩემო ბიჭო!“

ოთახში ბნელა. დროდადრო დედის სუნთქვა და საათის წიკწიკი ისმის. ფანჯრების წინ ნიავი უბერავს და წაბლის ხეები შრიალებენ.

დერეფანში ჩემს ზურგჩანთას წამოვკარი ფეხი. გამზადებული მაქვს, დილაადრიან უნდა გავუდგე გზას.

ბალიშს კბილებით ვგლეჯ და საწოლის რკინის გვერდებს მთელი ძალით ვუჭერ ხელს. არა, აქ არ უნდა ჩამოვსულიყავი! ფრონტზე ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო, ახლა კი იმ გულგრილობას ვერასდროს დავუბრუნდები. ჯარისკაცი ვიყავი და ახლა ცარიელი ტკივილია ჩემ ირგვლივ: დედაჩემი... ყველაფერი, რაც ასე უნუგეშოა. არა, მე არ მქონდა შვებულებაში გასვლის უფლება.

8

ამ ბანაკის ბარაკები ჯერ კიდევ შერჩა ჩემს მეხსიერებას. აქ ეწეოდა ჰიმელშტოსი თიადენის „აღზრდას.“ ისე, თითქმის აღარავის ვიცნობ; ყველაფერი შეიცვალა. მხოლოდ რამდენიმე კაცისთვის თუ მომიკრავს ადრე თვალი.

ჩემს მოვალეობას მექანიკურად ვასრულებ. საღამოებს უმეტესად ჯარისკაცთა კლუბში ვატარებ. აქ ჟურნალებია გამოფენილი, მაგრამ მათი კითხვის თავი არ მაქვს; დგას პიანინო, რომელზედაც დროდადრო სიამოვნებით ვუკრავ.

ორი გოგონა გვემსახურება, ერთი მათგანი ახალგაზრდაა. ბანაკი მავთულხლართებით არის შემოღობილი. კლუბიდან საკმაოდ გვიან ვბრუნდებით და შესვლისას საშვები უნდა წარვადგინოთ. ვინც გუშაგთან მოლაპარაკების ხრიკები იცის, ისედაც ახერხებს გაძრომას.

ყოველდღე გავყავართ სწავლებაზე, რომელიც არყის ხეებსა და ღვიის ბუჩქებს შორის ტარდება. ეს ასატანია, თუ მეტს არაფერს მოგვთხოვენ: წინ გარბიხარ, შემდეგ მიწაზე ეცემი და თხელ ღეროებზე მიკრული ყვავილების პატარა გვირგვინებს შენი სუნთქვა აქეთ-იქით არხევს. თეთრი ქვიშა, რომელიც კაჟის პაწაწინა მარცვლებისგან შედგება, იმდენად სუფთაა, რომ თავი ლაბორატორიაში მგონია და ერთი სული მაქვს, ხელი ჩავყო.

ყველაზე ლამაზი კი მაინც არყის ტყის ნაპირია, რომელიც ყოველ წამს სხვადასხვაფრად ლივლივებს. ხის ტანი ხან თეთრად ანათებს და ხასხასა მწვანე ფოთლების შუქზე აბრეშუმივით ჰაეროვანი მოჩანს. მეორე წამს მოცისფრო ოპალის ფერი გადაუვლის, რომელიც ტყის სიღრმიდან ვერცხლისფრად იჭრება და მწვანე ფერს ოდნავ უკარგავს სიხასხასეს. მოულოდნელად რაღაც ადგილი გადაშავდება, - ეს

იმ შემთხვევაში, თუ მზეს ღრუბელმა გადაურა, მისი ჩრდილი მთელ ტყეს მოჩვენებასავით დაუვლის და ჰორიზონტისკენ მიექანება, თეთრტანიანი არყის ხეები კი, საზეიმო დროშებივით ჩამწკრივებულან ოქროსფრად აალებული ფოთლების შუქზე.

სინათლის ნაზი შუქისა და გამჭვირვალე ჩრდილების თამაში მთლიანად მიპყრობს და ხშირად ბრძანების ხმაც არ მესმის. როცა მარტო ხარ და ბუნებას ადევნებ თვალს, ის განსაკუთრებით გხიბლავს. აქ ვერავის დავუახლოვდი, არც ვცდილობ ახალი ნაცნობების შეძენას და, ამ თვალსაზრისით, ზომიერების ფარგლებს ვიცავ.

ჩვენი ნაცნობობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ შეხვედრისას წავილაქლაქებთ და კარტსაც წავითამაშებთ ხოლმე.

ბარაკების გვერდით რუს ტყვეთა დიდი ბანაკია განლაგებული. ჩვენგან მავთულბადით არის გაღობილი, მაგრამ მაინც ახერხებენ გადმოძრომას. მორცხვი და შიშნარევი იერი აქვთ, უმეტესობა ტანად ზორბაა და წვერი მოშვებული აქვს. მოკლედ, თითოეული მათგანი ნაცემ, დატუქსულ სენბერნარს წააგავს.

ქურდულად დაძვრებიან ჩვენი ბარაკების ირგვლივ და ნაგვის კასრებში იქექებიან. საინტერესოა, რამეს თუ გამოქექავენ?! საკვე-ბი მწირი და უხარისხოა, ნახევრად მშივრებს გვამყოფებენ: ერთ თალგამს ექვს ნაწილად ჭრიან და წყალში ხარშავენ, ჭუჭყიანი სტაფილო და კარგად შემპალი კარტოფილი კი დელიკატესის დონეზე გადის, რჩეულ კერძად მიიჩნევა ბრინჯის თხელი სუპი, რომელშიც საქონლის ძარღვები ისე წვრილად არის ჩაჭრილი, ძალიანაც რომ ეცადო, ვერ იპოვი. მაგრამ, ცხადია, მთელი ეს ნაგავი ბოლომდე იჭმევა, თუ ვინმე იმდენად მდიდარია, რომ თავს უფლებას აძლევს, მათლაფაზე რაიმე დატოვოს, დაახლოებით ათი კაცი წამში დგება რიგში, რომ ნარჩენი ხელში ჩაიგდოს; ნაგვის კასრებში მხოლოდ ის იყრება და ისხმება, რასაც კოვზით ვეღარ აიღებ. იქვე ჩაუშვებენ ხოლმე დაობებული პურის კანს, თალგამის ნაფრცქვენებსა და სხვა მორჩენილ ნაგავს. ტყვეები სწორედ ამ ჭუჭყიან, მღვრიე და თხელ სითხეს უსაფრდებიან. გაჭირვებით ახერხებენ პერანგის ქვეშ ნარჩენების დამალვას და ამ ნაგვით მომარაგებულნი ისევ თავიანთ ნაწილში გადადიან.

უცნაურია ჩვენი მტრების ასე ახლოს ხილვა: შუბლ-ცხვირ-ტუჩფართო გლეხური სახეები, ასეთივე ფართო ხელებით და ფაფუკი თმით. სოფლის პირობებში კარგად გამოდგებოდნენ: თოხნასა და თიბვაში, ვაშლის მოსავლის აღებაში, თანაც ბევრად უფრო უწყინარნი ჩანან, ვიდრე ჩვენი ფრიზიელი გლეხები.

სევდისმომგვრელია მათი ყურება. თვალს ადევნებ, როგორ მოძრაობენ, გაუთავებლად მათხოვრობენ, რომ რაიმე საჭმელი უწილადო. უჭმელობისგან ღონემიხდილებს მხოლოდ იმდენს აძლევენ, რომ სული არ დალიონ. გაძღომით არც ჩვენ გვანებივრებენ; კარგა ხანია დაგვეკარგა გაძღომის საამური შეგრძნების უნარი.

fb.com/groups/elib

უმეტესობა დიზენტერიით არის დაავადებული, შეშინებული სახეებით ხშირად გვიჩვენებენ სისხლით შეღებილ პერანგის ბოლოებს. ზურგში მოხრილნი, თავჩაქინდრულნი, გაღუნული მუხლებით, ჩვენკენ ხელს იშვერენ და სიტყვათა მწირი მარაგით, რომელიც ომში შეუსწავლიათ, მათხოვრობენ და მათხოვრობენ ჩაგუბებული, რბილი ბანით, სახლის სიმყუდროვეს და თბილ ღუმელს რომ მოგაგონებს.

არის ხალხი, ვინც მუჯლუგუნს ურტყამს. ცხადია, სისუსტისგან იქვე ეცემიან; მაგრამ უმეტესობა არაფერს უშავებს, ჩვეულებრივად, გვერდზე ჩაუვლის ხოლმე. ისე კი, ისეთი გაუბედურებულები არიან, რომ ძალაუნებურად, სურვილი გებადება, წიხლი წაჰკრა, მაგრამ რამხელა დარდი და ნაღველია მათ გამოხედვაში, რამხელა წუხილია ორ პაწაწინა, ლაქის მსგავს თვალში, რომელსაც ერთი ცერის დადება დაფარავს!

საღამოობით რუსები ჩვენს ბანაკში სავაჭროდ გადმოდიან: ყველაფერს ცვლიან პურზე და კარგადაც ახერხებენ. მათ კარგი ჩექმები აცვიათ, ჩვენი კი არაფრად ვარგა. რუსების მაღალყელიანი ჩექმის ტყავი უჩვეულოდ რბილია, როგორც იუხტი. გლეხების შვილებს, რომლებიც სახლიდან მსუყე სანოვაგეს ღებულობენ, შეუძლიათ იოლად ჩაიგდონ ისინი ხელში. ერთი წყვილი ჩექმების ფასი, დაახლოებით, ორი-სამი პურია, ან ერთი პური პატარა შებოლილი ძეხვით.

მაგრამ რუსების უმეტესობას დიდი ხანია ყველაფერი შემოეცალა, რაც კი გააჩნდა. ძონძებში გამოწყობილთ ახლა ისღა დარჩენიათ, რომ იაფფასიანი წვრილმანებით და ხელნაკეთი ნივთებით ივაჭრონ - ხისგან გამოჩორკნილი და ყუმბარის ნამსხვრევებისგან შეკოწიწებული, ასევე ძველი სპილენძის ქამრებისგან გაკეთებული ნივთებით.

ამ ნივთებისგან მიღებული შემოსავალი უმნიშვნელოა და, ამდენად, იძულებულნი არიან, რამდენიმე ნაჭერი პურით დაკმაყოფილდნენ, თუმცა მათი შრომა მეტს იმსახურებს.

ჩვენი გლეხები კი ვაჭრობისას გაცილებით ხელმომჭირნენი არიან. ერთი ნაჭერი პური რუსის ცხვირთან ახლოს მიაქვთ, რომ მოწინააღმდეგეს პურის სუნმა გონება დააკარგვინოს და მართლაც, რუსი სიხარბისგან ფითრდება და თვალებს ატრიალებს. ამის შემდეგ მისთვის ყველაფერი სულერთია.

იაფად მოპოვებულ ნადავლს გლეხები საგულდაგულოდ ინახავენ, შემდეგ შემონახულ პურს ჯიბის დანით სქელ ნაჭრებს აჭრიან და კმაყოფილნი პურის ყოველ ლუკმას შებოლილი ძეხვის თითო ნაჭერს აყოლებენ. მათი ჭამა გამაღიზიანებელია და სურვილი გებადება, იმ გახევებულ თავებში ერთი-ორი კარგად წამოარტყა. ისინი ხომ არასდროს უწილადებენ ვინმეს თავიანთ სანოვაგეს! თუმცა, აქ თითქმის არავინ იცნობს ერთმანეთს.

* * *

ჩემი საგუშაგო რუსების ბანაკს გადაჰყურებს. ვხედავ, სიბნელეში როგორ მოძრაობენ ავადმყოფი წეროებივით, თუ რაღაც უზარმაზარი ფრინველების მსგავსად. გისოსებთან ახლოს მოდიან, ხელებით ებღაუჭებიან და ერთმანეთს თითქოს მხრებით ეკვრიან, ალბათ ცდილობენ, ღრმად ჩაისუნთქონ ჰაერი, რომელიც ტყეებიდან და მინდვრებიდან უბერავს.

საუბრით იშვიათად საუბრობენ, სულ რამდენიმე სიტყვას გადაუგდებენ ერთმანეთს. მეჩვენება, რომ ისინი უფრო ადამიანურები არიან და უფრო ძმურად ეპყრობიან ერთმანეთს, ვიდრე ჩვენ აქ, მაგრამ ვფიქრობ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენზე ბევრად უბედურად გრძნობენ თავს, თანაც მათთვის ომი უკვე დამთავრებულია და არსებობა დიზენტერიით აქვთ მოწამლული.

გუშაგები, მათი ყარაულები, ჰყვებიან, რომ დასაწყისში უფრო ცოცხლად გამოიყურებოდნენ. ხშირი ყოფილა მამათმავლობის შემთხვევები, რაც უმეტესად მუშტი-კრივითა და დანის ტრიალით მთავრდებოდა. ახლა გამოტვინდნენ და სრულიად გულგრილნი გახდნენ ყველაფრის მიმართ, უმეტესობა ონანიზმსაც კი მოეშვა, იმდენად დასუსტდა. ისე კი, ბარაკებში ამ საქმეს ხშირად ეწევიან ხოლმე.

გისოსებთან დგანან, ერთი იღლება და უაზროდ სადღაც მიბორიალობს, მაგრამ მის ადგილს იმწამსვე სხვა იკავებს. უმეტესობა ხმას არ იღებს; მხოლოდ ზოგიერთი მათხოვრობს გაუთავებლად სიგარეტის ნარჩენს.

თვალს ვადევნებ ჩამუქებულ სილუეტებს. წვერს ქარი უფრიალებთ. მათ შესახებ არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ ტყვეები არიან და სწორედ ეს აღვიძებს ჩემში ერთგვარი ძრწოლის შეგრძნებას. ამ უსუსურ არსებებზე, რომელთაც ბრალი არაფერში მიუძღვით, მეტი რომ ვიცოდე - რა ჰქვიათ, როგორ ცხოვრობენ, რას ელოდებიან - ჩემი ძრწოლა უმიზნო არ იქნებოდა და ალბათ თანაგრძნობაში გადაიზრდებოდა.

ახლა კი ცოცხალი არსების ფიზიკურ ტკივილს ვგრძნობ, გაუხარელი ცხოვრების საზარელ სიმძიმეს და კაცთა მოდგმის დაუნდობლობას.

მხოლოდ ერთმა ბრძანებამ გადააქცია ეს არსებები ჩვენს მტრებად; ერთ ბრძანებას კი შეეძლო, ისინი ჩვენს მეგობრებად ექცია. რომელიღაც მაგიდასთან, ჩვენთვის უცნობმა ადამიანებმა ხე-ლი მოაწერეს დოკუმენტს და აი, საუკუნეების მანძილზე კაცობრიობა სამარცხვინო ბოძზეა გაკრული და განკითხვის ჟამს უმაღლეს სასჯელს დაიმსახურებს. ვინ იფიქრებდა, რომ ამ მშვიდ, უწყინარ ხალხს, მოციქულთა წვერებით და ბავშური სახით, მტრებად ჩავთვლიდით? ყოველი ოფიცერი ახალწვეულის და ყოველი კლასის დამრიგებელი თავისი მოსწავლისადმი გაცილებით მტრულადაა განწყობილი, ვიდრე ისინი ჩვენ მიმართ. და მაინც, შემთხვევით, რომ გათავისუფლდნენ, ისევ სროლას აგვიტეხავენ და ჩვენც, რა თქმა უნდა, დავუშენთ.

აქ ხანგრძლივად ფიქრი დაუშვებელია. ამ გზას უფსკრულისკენ მიჰყავხარ. ასეთი ფიქრების დრო ჯერ არ დამდგარა, მაგრამ აზრის დაკარგვა არ მინდა, მისი შენახვა მსურს, გონებაში მინდა ჩავიჭედო, ომის დამთავრებამდე. გული მიცემს: ამაში ხომ არ არის ერთადერთი და უდიდესი მიზანი, რომელზედაც სანგარში ხშირად ვიტეხდი თავს. მუდმივად დავეძებდი ადამიანის ადგილს, მისი არსებობის გამართლებას იდეალების მსხვრევის შემდეგ.

ხომ არ მივაგენი მთავარ მიზანს და ამოცანას, რასაც ეს ჯოჯოხეთი იმსახურებს და მომავალში მთელ დარჩენილ წლებს დავუთმობ?

სიგარეტს ჯიბიდან ვიღებ, შუაზე ვტეხ და რუსებს ვაწვდი. მოწიწებით მიხრიან თავს და ცეცხლს უკიდებენ. ზოგიერთს სახეზე წითელი წერტილები აუღვივდა. ეს მანუგეშებს და მეჩვენება, რომ სოფლის პატარა სახლში სარკმელი გაიღო, რაც მიანიშნებს, რომ შიგნით სიცოცხლეა და ოთახი ხალხით არის სავსე.

* * *

დღეები მირბიან. ერთ ნისლიან დილას კიდევ ერთი რუსი დაასაფლავეს. ახლა უკვე ყოველდღე თითო უკვდებათ. დასაფლავებას თვალს საგუშაგოდან ვადევნებ. პატიმრები ქორალს მღერიან, მრავალხმიანს, რომელიც უდაბნოში აჟღერებული ორღანის ხმას მაგონებს.

დასაფლავება მალე მთავრდება.

საღამოს ტყვეები ისევ ღობესთან დგანან. არყის ხის წარაფიდან ნიავი უბერავს, ვარსკვლავები კი ცივი სინათლით ანათებენ.

უკვე ვიცნობ რამდენიმე ტყვეს, რომელიც საკმაოდ კარგად ლაპარაკობს გერმანულად. ერთ-ერთი მუსიკოსია. გვიყვება, რომ ოდესღაც მევიოლინედ უმუშავია ბერლინში. როდესაც გაიგო, რომ ცოტას პიანინოზე ვუკრავ, ვიოლინო ამოიღო და დაკვრა დაიწყო. დანარჩენები ჩაცუცქდნენ და ღობეს მიეყრდნენ. ის ფეხზე დამდგარი უკრავს, დროდადრო თითქოს სამყაროს ეთიშება და მელოდიასთან შეერთებული რაღაცას ესწრაფვის. ამ დროს, როგორც ყველა მევილიონეს, თვალები დახუჭული აქვს. შემდეგ ისევ რიტმში ამოძრავებს ინსტრუმენტს და მიღიმის. როგორც ჩანს, ხალ-ხურ მოტივებს უკრავს, რადგანაც დანარჩენები ჩუმი ზუზუნით აყოლებენ ხმას. ეს სიღრმიდან, ქვესკნელიდან ამოსული ზუზუნია, ვიოლინოს ხმა კი ტანადი გოგოა, ის განმარტოებით დგას და ნათელი გადასდის. ხმები წყდება, ვიოლინო დაკვრას განაგრძობს. ხმა სულ უფრო წვრილად გაისმის ღამის წყვდიადში, თითქოს ყინვა შეეპარაო. სადღაც მის ახლოს უნდა იდგე, უმჯობესია, ოთახის დახურულ სივრცეში. აქ, გარეთ კი, ვიოლინოს ხმა გზა-დაკარგულივით დახეტიალობს და საოცარი სევდით გავსებს.

* * *

კვირა დღეს არ მათავისუფლებენ, რადგან ხანგრძლივ შვებულებაში ვიყავი. ამიტომ ბოლო კვირას მამაჩემი და უფროსი და თვითონ ჩამოდიან ჩემს სანახავად. მთელი დღე ჯარისკაცთა კლუბში ვსხედვართ. სხვა გამოსავალი არ არის, ბარაკებში წასვლის სურვილი, ცხადია, არც ერთ ჩვენგანს არ აქვს. შუადღეს მდელოზე მივდივართ.

დრო ნელა მიიზლაზნება, აღარ ვიცით, რაზე ვისაუბროთ და დედაჩემის ავადმყოფობაზე ვმსჯელობთ. მას უკვე კიბო დაუდგინეს, ახლა საავადმყოფოში წევს და უმოკლეს დროში ოპერაციას გაუკეთებენ. ექიმებს გამოჯანმრთელების იმედი აქვთ, თუმცა კიბოსგან ჯერ არავინ განკურნებულა.

„სად წევს“? - ვკითხულობ მე.

„წმ. ლუიზას ჰოსპიტალში,“ - ამბობს მამაჩემი.

„რომელი კლასის ჰოსპიტალში?“

„მესამე, უნდა დაველოდოთ, რა დაჯდება ოპერაცია. მესამე კლასი თვითონ მოისურვა, იქ უფრო გავერთობიო და თანაც შედარებით იაფია.“

„მაშ სხვა ავადმყოფებთან უნდა იწვეს? ღამე თუ შეძლებს დაძინებას?!“

მამა თავს მიქნევს. სახე ღრმა ნაოჭებს დაუსერავს და დაღლილობა ეტყობა.

დედა ხშირად ავადმყოფობდა; საავადმყოფოში მხოლოდ მაშინ წავიდა, როდესაც სხვა გზა აღარ იყო, თორემ ალბათ ხარჯებს ვეღარ ავუვიდოდით. მამაჩემმა თითქმის მთელი ცხოვრება შესწირა ამ პრობლემებს.

„იცოდეს მაინც კაცმა, რა ჯდება ოპერაცია!“ - ამბობს ის.

„ხომ არ გიკითხავთ?“

„პირდაპირ არა, ეს გამორიცხულია, ექიმი ღიზიანდება ამგვარი შეკითხვებით. ამ დროს სიფრთხილეა საჭირო, მას ხომ ოპერაციის გაკეთება ევალება.“

ჰო, ასეა. გამწარებული ჩემთვის ვფიქრობ, რომ ეს არის ღარიბი და საწყალი ხალხის ხვედრი: ფასის კითხვასაც ვერ ბედავენ და დარდს გულში იკლავენ, სხვებისთვის კი, რომლებსაც შეკითხვაც არ სჭირდებათ, წინასწარ ფასის დადგენა ჩვეულებრივი ამბავია და თან ექიმიც არ უბრაზდებათ.

„შემდეგ გადახვევა უკეთდება, ესეც ხომ ძვირია!“ - ამბობს მამა.

„საავადმყოფოს სალარო არაფერს იხდის?“ - ვეკითხები მე.

„დედა მეტისმეტად დიდი ხანია ავადმყოფობს.“

„ცოტა ფული მაინც თუ გაქვთ?“

ის უარყოფის ნიშნად თავს აქნევს: - „არა, მაგრამ ახლა შემიძლია განაკვეთს ზევით, დამატებითი სამუშაო ავიღო.“

ვიცი, რომ ღამის თორმეტ საათამდე თავის მაგიდასთან იჯდება, ხელით ქაღალდის კეცვას, დაწებებას, დაჭრას მოუნდება. რვა საათზე უგემურ სუპს დახვრეპს, ბარათებით მიღებული საცოდავი ულუფიდან რომ ამზადებენ, შემდეგ თავის ტკივილის საწინააღმდეგო ფხვნილს მიიღებს და ისევ მუშაობას გააგრძელებს.

მინდა, როგორმე გავამხიარულო და სახუმარო ამბებს ვუყვები, რაც თავში მომდის, სალდათების ანეკდოტებს გენერლებსა და ფელდფებელებზე და სხვადასხვა სახალისო რამეებს.

შემდეგ სადგურში ვაცილებ. ისინი ერთ ქილა ხილფაფას და კარტოფილის კვერებს მიტოვებენ, რისი გამოცხობაც დედამ საავადმყოფოში წასვლამდე მოასწრო.

მათი გამგზავრების შემდეგ უკან ვბრუნდები.

საღამოს ხილფაფას კვერზე უხვად ვუსვამ და არც ისე გემრიელად შევექცევი. მერე გარეთ გავდივარ, რომ კვერები რუსებსაც მივცე, მაგრამ უცებ მახსენდება, რომ დედამ ისინი თვითონ დააცხო. იმ დროს, როდესაც ღუმელთან იდგა, ალბათ ძლიერი ტკივილებიც აწუხებდა. პაკეტს ზურგჩანთაში ვაბრუნებ და რუსებისთვის მხოლოდ ორ ცალს ვიმეტებ.

9

ჩვენ რამდენიმე დღით მივემგზავრებით. ცაზე პირველი მფრინავები გამოჩნდნენ. სატვირთო ეშელონებს გადავუსწარით. იარაღები... იარაღები... იარაღები... ვიწრო საფრონტო ლიანდაგზე გადავდივართ. მე ჩემს პოლკს ვეძებ. ზუსტად არავინ იცის, სად არის განლაგებული. ღამე სადღაც გავატარე, სადაც ჩემი საფრონტო ულუფა და მასთან ერთად გაუგებარი ინსტრუქციები გადმომცეს.

ასე გავუდექი გზას, ზურგჩანთითა და იარაღით. როდესაც დაბომბილ და მილეწილ-მოლეწილ ადგილს მივაღწიე, აღარავინ დამხვდა. ყური მოვკარი, რომ ჩვენ მფრინავ დივიზიად ვიქეცით, რომელსაც, საჭიროების მიხედვით, ცხელ წერტილებში გადაისვრიან ხოლმე. ამ ამბავმა ვერ გამახარა. გაუთავებლად საუბრობენ იმაზე, რომ დიდი დანაკარგები გვაქვს.ვცდილობ, კატისა და ალბერტის შესახებ რაიმე შევიტყო, ყველას ვეკითხები, მაგრამ უშედეგოდ.

უცნაური გრძნობა დამეუფლა: ძებნას განვაგრძობ და ღობე-ყორეს უაზროდ ვედები. ორ ღამეს ინდიელივით ღია ცის ქვეშ ვატარებ. როგორც იქნა, რაღაც ცნობა მომაწოდეს და შემიძლია ნაშუადღევს კანცელარიაში გამოვცხადდე. ფელდფებელმა აქვე

დამტოვა. ჩვენი ქვედანაყოფი ორ დღეში ბრუნდება, ასე რომ, ფრონტის ხაზზე ჩემს გაგზავნას აზრი აღარ აქვს.

„შვებულება როგორი იყო? - მეუბნება ის, - კარგი, არა?“

„კარგიც და ცუდიც,“ - ვპასუხობ მე.

„ჰო, რა! - ოხრავს ის, - კარგია, თუ უკან წამოსასვლელი არა ხარ. მეორე ნახევარი ამით ჩამწარებულია ხოლმე.“

აქეთ-იქით დავეხეტები და ჩვენებს მოუთმენლად ველოდები. დილას მანქანა ამოდის, ჭუჭყიანი, ნაცრისფერი და დაბოღმილი სალდათებით სავსე. სასწრაფოდ წამოვხტი და შემოსულთა შორის გზას ვიკვალავ. თვალებით ჩემებს ვეძებ, იქ თიადენია, აი, მიულერი იხოცავს ცხვირს, საბედნიეროდ, კატი და კროპიც აქ არიან. ჩვენი ჩალის ლეიბები ერთმანეთთან მჭიდროდ დავდეთ. მე სინდისის ქენჯნა მაწუხებს, მათ რომ ვუყურებ, თუმცა ამის საფუძველი არ მაქვს. სანამ დავიძინებთ, კარტოფილის კვერების ნარჩენები და ხილფაფა ამომაქვს, რაღაცით ხომ უნდა მომაგრდნენ. იმ კვერებს, რომლებიც ზემოდან ელაგა, ობი შეეპარა, მაგრამ საჭმელად ჯერ კიდევ ვარგა. იმათ ჩემთვის ვიტოვებ, დანარჩენებს კი კატს და კროპს ვუნაწილებ.

კატი გემრიელად ილუკმება და მეკითხება: დედაშენის ნახელავია, არა?

მე თავს ვუქნევ.

„კარგია, - ამბობს ის, - გემოზე ეტყობა.“

ტირილის პირას ვარ. მე თვითონ ვერ ვცნობ საკუთარ თავს.

არა უშავს! კატთან, ალბერტთან და სხვებთან გამოვკეთდები ალბათ. ჩემი ადგილი აქ არის. „ბედი გქონია, ამბობენ რუსეთისკენ მივდივართო,“ - მიჩურჩულებს კროპი დაძინებისას.

რუსეთისკენ? იქ ხომ ომი დამთავრდა?!

შორს ფრონტი გრუხუნებს. ბარაკის კედლები ზანზარებენ.

* * *

პოლკში ძირფესვიანი დასუფთავება და წმენდა დაიწყო. ჩვენ ყოველი მხრიდან გვამოწმებენ. რაც დახეულია, ახალი ნივთებით იცვლება. მე ამ ვითარებით ვისარგებლე და მშვენიერი ქურთუკი ჩავიგდე ხელში, კატმა კი ტანსაცმლის სრული კომპლექტი მოიპოვა. აქა-იქ ჭორები ისმის, რომ მშვიდობა მყარდება, მაგრამ ზოგიერთის მოსაზრება უფრო ახლოს არის სიმართლესთან: რუსეთში უნდა გადაგვისროლონ; რაში დაგვჭირდება რუსეთში ახალი ტანსაცმელი? ბოლოს

გამოჟონა ინფორმაციამ: კაიზერი გვეახლება დასათვალიერებლად. აი, თურმე რაშია საქმე, რისთვის გვამზადებდნენ ასე გულმოდგინედ!

რვა დღის განმავლობაში რეკრუტების ყაზარმაში გვეგონა თავი, ისე გაგვაწამეს ვარჯიშებით და წვრთნით. ყველა გაბრაზებულია და ნერვები აქვს აშლილი, ზედმეტი ხეხვა და საპარადო სვლები ჩვენი საქმე არ არის. ჯარისკაცს ამგვარი რაღაცები უფრო აღიზიანებს, ვიდრე სანგრები.

გადამწყვეტი წამი დადგა. ჩვენ გაჭიმულნი ვდგავართ და კაიზერიც გამოჩნდა. ცნობისმოყვარეობა არ გვასვენებს, ნეტავ როგორ გამოიყურება? მან რიგებს ჩამოუარა, სხვანაირი მეგონა და ამიტომ ოდნავ გაწბილების შეგრძნება მაქვს: სურათებიდან უფრო დიდი და მხარბეჭიანი წარმომედგინა, მძლავრი, მჭექარე ხმით. ზოგიერთებს კითხვით მიმართავს. რკინის ჯვრებს არიგებს. შემდეგ ჯგუფებად ვიშლებით და ვსაუბრობთ.

თიადენი გაკვირვებით ამბობს:

„მაშ ეს არის ყველაზე მაღლა მდგომი პიროვნება, რაც კი არსებობს? მაგის წინ ვიჭიმებით ასე, საერთოდ, განურჩევლად ყველა?“

შემდეგ ჩაფიქრდა:

„გამოდის, ჰინდენბურგიც გაჭიმული დგას მის წინაშე, არა?“

„ცხადია,“ - უდასტურებს კატი.

ეს პასუხი არ აკმაყოფილებს, ჩაფიქრებული კვლავ კითხულობს:

„მეფეც უნდა გაიჭიმოს კაიზერის წინაშე?“

ზუსტი პასუხი არავის აქვს, მაგრამ ამაში უკვე ყველას ეჭვი ეპარება. ორივე მაღალჩინოსანია, ასე რომ, აქ „გაჭიმვაზე“ საუბარი სასაცილოა.

„რა სისულელეებზე იმტვრევ თავს, მთავარია, შენ უნდა იდგე გაჭიმული,“ - ეუბნება კატი, მაგრამ თიადენი წერას ატანილივით დაუოკებელია. მისი ღარიბი ფანტაზია ამჯერად მთელი ძალით ამუშავდა.

„მომხედე! - ამბობს ის, - რა ვქნა, ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ კაიზერი ჩემსავით ტუალეტში დადის!“

„თავს დავდებ, რომ ნამდვილად ასეა!“ - სიცილით ამბობს კროპი.

„ყური მიგდე, თიადენ, - დააყოლა კროპმა, - მგონი სულ გადაირიე! ან ტილებით ამოგევსო ეგ ტვინი! წადი სასწრაფოდ ტუალეტში და კარგად დაიცალე, იქნებ ცოტა მაინც გაგინათდეს ეგ გონება, ბავშვივით რომ ჭყლოპინებ რაღაცას!“

თიადენი სასწრაფოდ გაშპა.

„ერთი რამ კი მაინტერესებს: იქნებოდა თუ არა ომი, კაიზერს რომ „არა“ ეთქვა?!“ - ლაპარაკში ერთვება ალბერტი.

„მაინც ასე იქნებოდა, - ვპასუხობ მე, - ამბობენ, რომ მას თავიდან სულაც არ სურდა ომი.“

„თუ მხოლოდ ის იყო წინააღმდეგი, მაშინ მსოფლიოში ოც ან ოცდაათ კაცსაც ეთქვა უარი ომზე.“

„ასეა, - ვეთანხმები მე, - მაგრამ სწორედ მათ უნდოდათ ომის წამოწყება და საქმეც ამაშია!“

„რომ დავფიქრდე, სასაცილო და კომიკური მეჩვენება ეს ყველაფერი, - განაგრძობს კროპი, - ჩვენ სამშობლოს დასაცავად ვართ აქ. ფრანგები კი თავიანთ სამშობლოს იცავენ, მართალი ვინღაა?“

„იქნებ ორთავე,“ - ვამბობ მე, მაგრამ ბოლომდე არ ვარ ჩემს ნათქვამში დარწმუნებული.

„ჰო, კარგი, - ამბობს ალბერტი და ვატყობ, რომ უნდა, კუთხეში მომამწყვდიოს, - ჩვენი პროფესორები, პასტორები და გაზეთები გვიმტკიცებენ, რომ სიმართლე ჩვენს მხარეზეა და იმედია, ასეც არის, ფრანგი პროფესორები, პასტორები და გაზეთები კი იმავეს ქადაგებენ და როგორ გავარკვიოთ, ვინ არის მართალი?“

„არ ვიცი, - ვპასუხობ მე, - ყოველ შემთხვევაში, ომი მაინც წამოიწყეს და სულ უფრო მეტი ქვეყანა ერთვება შიგ.“

თიადენი გამოჩნდა. ისევ აღელვებულია და იმწამსვე საუბარში ერთვება. ცნობისმოყვარეობა აწამებს და უნდა, დაადგინოს, საერთოდ როგორ და რატომ იწყებენ ომს?!

„უმეტესად ამის მიზეზი ის ხდება, რომ ერთ ქვეყანას მეორისგან მაგრად სწყინს რაღაც,“ - მარტივად უხსნის ალბერტი, თუმცა თვითონაც იმტვრევს ამ საკითხზე თავს.

თიადენმა ვითომ ვერ გაიგო ახსნილი:

„ერთი ქვეყანა? ეს არ მესმის, როგორ შეიძლება გერმანიის ერთ-ერთმა მთამ საფრანგეთის ერთ-ერთ მთას აწყენინოს? ან მდინარეს, ან ტყეს, პურის ყანას?“

„შენ რა, მართლა ხისთავა ხარ თუ მასულელებ? - ბურდღუნებს კროპი, - მე ეს არ მიგულისხმია. ერთმა ხალხმა აწყენინოს მეორე ხალხს.“

„მაშინ მე არაფერი მეხება! - ეპასუხება თიადენი, - არავისზე არა ვარ ნაწყენი!“

„მიდი და აუხსენი ამ სოფლის ტეტიას რამე! - ბუზღუნებს კროპი, - შენზე არ არის აქ საუბარი, გაიგე?“

„ვერა! თუ ასეა, ქუსლზე უნდა მოვტრიალდე და სახლისკენ გავვარდე!“ - დაჟინებით იმეორებს თიადენი. ყველანი იცინიან.

„ადამიანო, აქ ხალხზეა საუბარი, როგორც მთლიანობაზე და, ამგვარად, სახელმწიფოზე!“ - იძახის მიულერი.

„სახელმწიფო, სახელმწიფო, - თიადენმა თვალები ეშმაკურად მოწკურა და თითები გაატკაცუნა, - საველე ჟანდარმერია, პოლიცია, გადასახადები - ეგ არის თქვენი სახელმწიფო. თუ ამას გულისხმობ, დიდ მადლობას მოგახსენებ ახსნისთვის!“

„სწორია, - ეუბნება კატი, - ძლივს ამოღერღე რაღაცა აზრიანი, თიადენ, სახელმწიფო და სამშობლო მართლაც უნდა განასხვავო ერთმანეთისგან.“

„მაგრამ ეს ორივე ცნება ერთმანეთთან მაინც არის დაკავშირებული, - ამბობს ფიქრებში წასული კროპი, - სამშობლო სახელმწიფოს გარეშე არ არსებობს.“

„მართალია, მაგრამ დაფიქრდი იმაზე, რომ ჩვენ ყველანი უბრალო ადამიანები ვართ. საფრანგეთის მოსახლეობასაც ხომ უმეტესად უბრალო ადამიანები შეადგენენ: მუშები, ხელოსნები ან მოხელეები. რატომ უნდა დაებადოს სურვილი ფრანგ ზეინკალს ან მეწაღეს, რომ ჩვენ თავზე დაგვესხას? არა! ამას მხოლოდ მთავრობები აკეთებენ. ფრანგი, აქ მოსვლამდე, საერთოდ არ შემხვედრია. ალბათ საფრანგეთშიც იმავეს ფიქრობენ. როგორც აქ არავინ გვეკითხება რამეს, ასევე არავინ ეკითხება იქ უბრალო ხალხს.“

„მაშ რისთვის და რატომ არის ომი?“ - კითხულობს თიადენი.

კატმა მხრები აიჩეჩა.

„სამწუხაროდ, არსებობს ხალხი, ვისაც ომი აწყობს.“

„აჰა, მე მაგათ ნაღდად არ განვეკუთვნები,“ - იკრიჭება თიადენი.

„არც შენ და არც არავინ, აქ მყოფი! აბა ვის, ვეღარ გავიგე! კაიზერს ყელამდე აქვს ყველაფერი და ომი რაღად უნდა?“

„ეს არ თქვა! - შეუბრუნა კატმა. - მას ჯერ არავისთან უომია, ხოლო სახელისთვის ერთი ომი მაინც არის საჭირო. სასკოლო წიგნებში ჩაიხედე!“

„გენერლებიც ხომ ომებით იხვეჭენ სახელს,“ - ამბობს დეთერინგი.

„უფრო მეტად, ვიდრე კაიზერები,“ - დაემოწმა კატი.

„ჰო, ამის მიღმა კი ხალხია, ვისაც დიდი ფულის მოხვეჭა უნდა," - ჩაიბურდღუნა დეთერინგმა.

„ჩემი აზრით, ეს ერთგვარი ციებ-ცხელებაა, - ამბობს ალბერტი, - თითქოს არავის უნდა და, მოხედვას ვერ მოასწრებ, ისე მოგახვევენ თავზე: „ჩვენ არ გვსურს ომი," სხვებიც ამას ამტკიცებენ და, მიუხედავად ამისა, ნახევარი მსოფლიო ჩართულია ამ უბედურებაში."

„მაინც იქით უფრო მეტს იტყუებიან, ვიდრე ჩვენთან, - ჩავერთე მე, - გაიხსენეთ ტყვეების პროკლამაციები, უხვად რომ გვაცვიოდა თავზე, რა ეწერა შიგ? რომ ჩვენ ბელგიელ ბავშვებს ვჭამთ. ვინც ამის დაწერას ბედავს, ხეზე უნდა ჩამოკიდო. აი, ისინი არიან ნამდვილი დამნაშავეები."

მიულერი ფეხზე დგება.

„მაინც უკეთესია, რომ ომი აქ არის და არა გერმანიაში. შეხედეთ ორმოებად ქცეულ, დათხრილ მიწას!

- სწორია, - მხარი აუბა თიადენმა და დააყოლა, - უმჯობესია, რომ ომი საერთოდ არ იყოს."

ამაყად გაგვეცალა, რადგან მაინც მოახერხა ჩვენი, ახალგაზ-რდების, დარწმუნება, რომლებსაც მხოლოდ ერთწლიანი გამოც-დილება გვაქვს.

ეს აზრი აქ საყოველთაოდ აღიარებულია, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გესმის და ვერც ვერაფერს ამბობ მის საწინააღმდეგოდ. თუ ამ მოსაზრებას ასეთი კუთხით მიუდგები, მეტისმეტად ბევრი რამ კარგავს აზრს.

რიგითი ჯარისკაცის ეროვნული გრძნობა მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ ის აქ არის და ამით მისთვის ყველაფერი მთავრდება, დანარჩენზე კი, პრაქტიკულად საკუთარი გადმოსახედიდან მსჯელობს.

გაღიზიანებული ალბერტი ბალახზე წვება.

„ამაზე ლაპარაკიც არ ღირს," - ამბობს ის.

„მაინც არაფერი შეიცვლება," - უმოწმებს კატი.

ახლადმიღებულ ტანსაცმელს, სხვა დანარჩენთან ერთად, უკან ვაბარებთ და სანაცვლოდ ჩვენს ძველ ძონძებს გვიბრუნებენ. კარგი ტანსაცმელი მხოლოდ აღლუმისთვის ყოფილა გათვალისწინებული.

* * *

რუსეთის ნაცვლად, ისევ ფრონტის ხაზზე გვიშვებენ. გზად გა-საცოდავებული ტყე გადავიარეთ, გადაგლეჯილი კუნძებით და გადათხრილი ნიადაგით. ზოგიერთ ადგილას საზარელი ხვრელებია.

„აუ, როგორ უგლეჯია!“ - ვეუბნები კატს.

„ნაღმმტყორცნია,“ - მპასუხობს ის და ზემოთ მითითებს. ტოტებში ადამიანების გვამებია გაჩხერილი. შიშველი სალდათი ხის ტანსა და ერთ შერჩენილ ტოტს შორის არის ჩაკვეხებული, მხოლოდ ჩაჩქანი შერჩენია თავზე, დანარჩენი ყველაფერი შემოძარცვული აქვს. ზემოთ კი სალდათის ნახევარია შემომჯდარი, ტანის ქვედა ნაწილი ნაღმს წაუცლია.

„რა მოხდა აქ?“ - ვკითხულობ მე.

„ტანსაცმლიდან გამობერტყეს,“ - ბუტბუტებს თიადენი.

კატი ამბობს: „კომიკურია! ასეთ რამეს რამდენჯერმე შევეჯა-ხეთ, ასეთი ნაღმი თუ წამოგეწია, მართლა გამოგბერტყავს ტანსაც-მლიდან. ამას ნაღმიდან მოვარდნილი ჰაერის ტალღა აკეთებს.“

მე ძებნას განვაგრძობ. მართალია, აქ მხოლოდ უნიფორმის ნაფლეთებია მიმობნეული. სხვაგან სისხლის ფაფისებური მასაა მიწებებული, რომელიც ოდესღაც ადამიანის კიდურებს წარმოადგენდა. აქვე სხეულის ნაწილია, საცვლით შემოსილი ცალი ფეხით და კისერზე მუნდირის საყელოთი. თვით მუნდირი და შარვალი ტოტებზეა გაფენილი. გვამისთვის მკლავები ისე წაუცლია, თითქოს ამოუტრიალესო. ერთ მკლავს ბუჩქებში ვპოულობ, ოცი ნაბიჯის მოშორებით.

მიცვალებული სახით მიწაზე წევს, მკლავების ადგილზე მიწა სისხლის გუბეებს შეუღებავს. ფეხებქვეშ ფოთლები აქეთ-იქით არის მიყრილი, სიკვდილის წინ, ეტყობა, კარგა ხანს ფართხალებდა.

„ეს რა გადაუტანია ამ უბედურს, კატ,“ - ვეუბნები მე.

„მუცელში ჭურვის ნამსხვრევიც უბედურებაა,“ - მხრებს იჩეჩავს ის.

„სლუკუნს მოეშვით,“ - გვერთვება თიადენი.

სისხლი ჯერ კიდევ არ არის შემშრალი, დიდი ხანი არ უნდა იყოს გასული აქ დატრიალებული კოშმარის შემდეგ. ცოცხალი აღარავინ არის და ჩვენს აქ დარჩენას აზრი აღარ აქვს. მხოლოდ სანიტრების უახლოეს პუნქტს შევატყობინებთ, ნარჩენების აკრეფა და გადატანა მათ სამსახურს ევალება.

მზვერავები იმის დასადგენად უნდა დავაგზავნოთ, რა მანძილზეა დაშორებული ჩვენი ნაწილისგან მტრის დაცვითი პოზიციები.

შვებულების შემდეგ ჩემი მეგობრების წინაშე აშკარად დანაშაულის კომპლექსით ვარ შეპყრობილი და ამიტომ მზვერავებს მივყვები.

მოქმედების გეგმა შევიმუშავეთ, მავთულებში შევიპარეთ და შემდეგ დავიშალეთ, რომ ცალ-ცალკე წავიწიოთ წინ.

ცოტა ხანში ბრტყელძირიან ორმოს წავაწყდი, რომელშიც სასწრაფოდ ჩავცურდი. თვალყურს იქიდან ვადევნებ.

იქაურობას, როგორც ჩანს, საშუალო სიძლიერის ტყვიამფრქვევის ცეცხლმა გადაუარა. ცეცხლს ყოველი მხრიდან ხსნიან, ამიტომ უმჯობესია, თავი ზემოთ არ ამოვყო.

შუქურა-რაკეტები მთელ ფართობს ანათებენ. მიდამო თითქოს გაიყინა რაკეტების მკრთალ შუქზე. სიბნელემ, რომელიც მოულოდნელად ჩამოწვა, კიდევ უფრო ჩაამუქა იქაურობა. ვიღაც ჩვენიანი ადრე ყვებოდა, რომ ჩვენი სანგრის წინ ზანგები იყვნენ ჩასაფრებული. ეს ერთგვარ უხერხულობას ქმნის, რადგან მათი გარჩევა სიბნელში შეუძლებელია და თანაც ისინი მეტად გაწაფულნი არიან, როგორც მზვერავები. ამავე დროს, ხშირად უაზროდ მოქმედებენ: კატმა და კროპმა ერთხელ შავი მზვერავების მთელი ჯგუფი გაანადგურეს. ისინი, გაუმაძღარი მწეველები, ანთებული სიგარეტებით მოიწევდნენ წინ ცოცვით და ჩვენებისთვის საკმარისი აღმოჩნდა, მბჟუტავი სიგარეტისთვის რომ დაემიზნებინათ.

ჩემ გვერდით პატარა ყუმბარა შიშინებს. მისი მოახლოება გავიგონე და ძალიან შევშინდი. იმწამსვე უაზრო შიშმა ამიტანა. აქ მარტო ვარ, სიბნელეში, უსუსურად ვგრძნობ თავს, - იქნებ სხვა სანგრიდან ვიღაცის ორი თვალი მითვალთვალებს და ხელყუმბარაც გამზადებული უდევს ჩემს დასაფლეთად. ვცდილობ, ძალ-ღონე მოვიკრიბო. მზვერავობა პირველად არ მიხდება და თანაც ეს შემთხვევა ნაკლებად საშიშია. მაგრამ შვებულების შემდეგ პირველია, მიდამო კი ჩემთვის სრულიად უცნობია.

თვითშთაგონებას მივმართავ: - ჩემი აღელვება უსაფუძვლოა, ღამით არავინ ჩაგისაფრდება და ამას ისიც მოწმობს, რომ სროლა მიწის ზედაპირთან მეტისმეტად ახლოსაა.

ყველაფერი ამაოა. თავი, შიგ ატეხილი შფოთიანი ალიაქოთის გამო, უჩვეულოდ მიზუზუნებს. დედაჩემის გამაფრთხილებელი ხმა მესმის, ვხედავ რუსებს, მოფრიალე წვერებით ბარაკის გისოსებთან, საოცრად ცხადად წარმოვიდგინე ჯარისკაცთა სავარძლებიანი სასადილო ვალენსიაში. ჩემს წარმოსახვაში საზარელი სურათი დაიხატა: უსულგულო, ნაცრისფერი თოფის ლულა, რომელიც უხმოდ და ფრთხილად უთვალთვალებს ჩემს ყოველ მოძრაობას. ოფლი ღვარად ჩამომდის.

ისევ ორომოში ვწევარ. საათზე ვიყურები. სულ რამდენიმე წუთი გავიდა. შუბლი სველი მაქვს, თვალის უპეებიც დამისველდა, ხელები მიკანკალებს და ჩუმად

ვკრუსუნებ: ნამდვილად შიშის შეტევაა, სხვა არაფერი, ცხოველური შიშის, რომელიც არ მაძლევს საშუალებას, ამოვძვრე და ცოცვა განვაგრძო.

ჩემს სხეულში ფაფასავით გაიშალა კუნთების დამადამბლა-ვებელი, მძაფრი სურვილი წოლისა. ფეხები არ მემორჩილება, თითქოს მიეწებნენ მიწას და ჩემი მცდელობა, როგორმე ძირიდან ავგლიჯო, ამაოა. მიწას მივეკარი, გადაადგილება არ შემიძლია. გადაწყვეტილებას ვიღებ, სურვილს დავემორჩილო და ვიწვე.

მაგრამ იმწამსვე ძლიერმა ტალღამ დამიარა - მონანიების, სირცხვილის და იმის, რომ საიმედო ადგილზე ვარ. ოდნავ წამოვიწიე, რომ მიმოვიხედო. თვალები მეწვის, უკუნეთს მივშტერებივარ. ცაში რაკეტა ავარდა, იძულებული ვარ, თავი უკან ჩავწიო.

საკუთარ თავთან უაზრო, არეულ-დარეულ ბრძოლაში ვარ: ამოსვლის სურვილი მაქვს, მაგრამ ისევ ორმოში ჩავგორდი. ჩემს თავს ვუჩიჩინებ: „შენ უნდა შეძლო, მხოლოდ შენი მეგობრებისთვის, და არა რაღაც სულელური ბრძანების გამო! იქვე კონტრაზრი ამოყოფს თავს: „რა მესაქმება ამ ყველაფერთან, სიცოცხლე ერთხელ მეძლევა!“

შვებულება, შვებულების ბრალია არეული აზრები და ასეთი განწყობა, - ვბოდიშობ გამწარებული, - მაგრამ ბოლომდე არ მჯერა ამის. საზიზღრად მოვეშვი და თავს ცუდად ვგრძნობ, ნელა წამოვიწიე და მკლავებს ვეყრდნობი, გავიჭიმე და უკვე სანახევროდ ორმოს კიდეზე ვწევარ.

შარიშური მომესმა და უკან დავიხიე. იარაღის გრუხუნის მიუხედავად, ყური მინიმალურ ხმაურზე მაქვს გავარჯიშებული. ყურები ვცქვიტე, - ხმაური ჩემ უკანაა. ეს ჩვენი ხალხია, ალბათ ტრანშეას გამოყვნენ.

ახლა ხმებიც ყრუდ მესმის. ტონალობით კატის ხმას მივამსგავსე. ერთბაშად წარმოუდგენელი სითბო ვიგრძენი სულში. რამდენიმე, ჩუმად წარმოთქმულმა სიტყვამ, ნაბიჯებმა ჩემ უკან, ტრანშეაში, მძლავრი ბიძგით ამომაგდო სიკვდილის შიშიდან, რომელიც ასე მომერია და უსუსურად ვებრძოდი მარტოობაში. ეს ხმები ჩემს გადარჩენილ სიცოცხლეზე, დედის ალერსსა და შიშზე გაცილებით მეტია, ჩემი უძლიერესი დამცველია, თუკი რამ არსებობს ქვეყანაზე, ეს ჩემი მეგობრების ხმებია. მე აღარ ვარ ადამიანის ყოფიერების პატარა ნაწილაკი, წყვდიადში მარტო დარჩენილი - მე მათ ვეკუთვნი და ისინი - მე, ჩვენ ყველას ერთნაირი შიში გვაქვს და ერთნაირი ცხოვრების წესი; ჩვენ განუყრელად ვართ დაკავშირებული ერთმანეთთან მარტივი და მძიმე კავშირით. მინდა ჩავეკრა, მათ სახეს ჩემი სახით შევეხო, მათ ხმებს, იმ რამდენიმე სიტყვას, რომელმაც გადამარჩინა და მუდმივად გვერდში მიდგას, ჩემი ხმა შევაგებო.

* * *

ორმოს კიდეზე ფრთხილად გადავსრიალდი და გველივით მივიკლაკნები. გზას გაჭირვებით მივიკვლევ, თან ვცდილობ, მიმართულება და ჩვენი ბატარეის განლაგება ჩავინიშნო, რათა უკან დაბრუნება შევძლო, დანარჩენებთან კავშირი დავამყარო.

შიში ჯერ კიდევ თან მახლავს, მაგრამ ეს უკვე გააზრებული შიშია, უფრო კი - უმაღლეს ხარისხში აყვანილი სიფრთხილე. ღამე ქარიანია. ხეებს ზალპის ალი გადაუვლის ხოლმე და მიწაზე ჩრდილების ფორიაქი იწყება. ერთბაშად თვალისმომჭრელ სინათლეში ყველაფერს ვხედავ, წვრილმანსაც კი, მაგრამ ჩაქრობის შემდეგ სრული უკუნეთი დგება. დროდადრო, საშიშროების მოლოდინში, ვშეშდები, თუმცა მალევე ვრწმუნდები, რომ ეს ცრუ შიშია. საკმაოდ დიდი მონაკვეთი დავძლიე, შემდეგ წრე დავარტყი და უკან ვბრუნდები. მეგობრებიდან ვერავის მივაკვლიე. ყოველი უკან ჩამოტოვებული მეტრი და სანგრებთან მიახლოება სიმტკიცეს მმატებს. ამასთანავე, ჩემი მოუთმენლობაც მატულობს. რა სისულელე იქნება, სწორედ ახლა რომ გავება მახეში?!

ისევ შიში მღრღნის და არ მასვენებს. აშკარად გზას ავცდი და მიდამო უცნობი მეჩვენება. ორმოში ჩუმად ჩავცუცქდი და ვცდილობ სწორი ორიენტაციის პოვნას.

ამგვარი შემთხვევა ფრონტზე ხშირია: სალდათი, გაბედნიერებული, საფარს თავისად აღიქვამს, მაგრამ გაწბილებული მალევე მოდის გონს, რომ სხვის სანგარში მოხვდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ მივაყურე. გზა ნამდვილად ამებნა. სანგრების ლაბირინთი იმდენად უშველებელი და არეულია, რომ ღელვას ატანილმა არ ვიცი, რომელი მიმართულებით დავადგე გზას.

იქნებ სანგრებს პარალელურად მივუყვები ეს შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ამიტომ გადავწყვიტე, სასწრაფოდ ავითვისო აქაურობა.

ეს წყეული შუქურა-რაკეტები! მჭახე სინათლით ანათებენ ერთი საათის განმავლობაში. პატარა მოძრაობა და ირგვლივ რახარუხი და სტვენა ატყდება! უნდა გავაღწიო აქედან. ქლოშინით და შესვენებებით მივხოხავ, ფეხებით და ხელებით მიწას ვპოტნი და მოძრაობით კიბორჩხალას დავემსგავსე, ნამსხვრევებზე იდაყვები გადავიტყავე და უცებ დავინახე, რომ ჰორიზონტზე ოდნავ ინათა, თუ მეჩვენება? ასეა თუ ისე, ცხადია, რომ ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად ვიღვწი.

სადღაც ჭურვი აფეთქდა. ამას კიდევ ორი ჭურვი მოჰყვა. დაიწყო და დაიწყო! ცეცხლოვანი თავდასხმა, ტყვიამფრქვევების გამაყრუებელი გრუხუნი. ახლა ერთი საშველი მრჩება - წოლა, გაუნძრევლად წოლა ერთ ადგილას. ვფიქრობ, საქმე შეტევით დამთავრდება. რაკეტები ყველა წერტილიდან ისვრიან, ერთი მეორის მიყოლებით.

დიდ ორმოში მოკრუნჩხული, წელამდე წყალში ვწევარ. თუ შეტევა დაიწყება, იმწამსვე მთლიანად წყალში მოვადენ ზღართანს, სახეს ღრმად ჩავფლობ ტალახში, მთავარია, არ დავიხრჩო. თავი უნდა მოვიმკვდარუნო. უცებ მესმის, რომ ცეცხლმა

უკან გადაინაცვლა. იმწამსვე ქვევით, წყალში ჩავცოცდი და ჩაჩქანი წინ, სახეზე ჩამოვიგდე, ისე, სუნთქვა რომ შემძლებოდა.

გავიტრუნე, სადღაც ჟღარუნის ხმა ისმის და ფეხების ტყაპა-ტყუპი სულ უფრო მიახლოვდება - ნერვები უკიდურესად დამეძაბა. ჟღარუნმა ჩამიარა, ეს შეტევის პირველი პარტია იყო, როგორც ჩანს. ერთი აზრი ტვინს მიბურღავს და თავში მაგრად ჩამიჯდა: დავუშვათ, ვიღაცამ ჩემს სანგარში ჩამოიხედა, როგორ უნდა მო-ვიქცე. სასწრაფოდ ვიღებ ჯიბიდან პატარა ხანჯალს და სახელურს მაგრად ვუჭერ ხელს. შემდეგ კი ისევ ვინახავ, თუ ვინმე სანგარში ჩამოხტება, უცებ გამოვუსვამ ყელში, ვფიქრობ ჩემთვის და ეს აზრი ჩაქუჩივით მირტყამს თავში. ყვირილი ვერ უნდა მოასწროს, თორემ აზრი აღარ ექნება: მას ჩემზე მეტად შეეშინდება და ერთმანეთს დავეტაკებით. ამგვარად, მე პირველი უნდა ვიყო. ახლა ჩვენი ქვემეხები ისვრიან. ერთ-ერთი ჩემს სიახლოვეს დაეცა. ამან სიგიჟემდე მიმიყვანა: ესღა მაკლდა, რომ საკუთარი ჭურვის ნამსხვრევმა გამაფრთხობინოს სული! ვიგინები, კბილებს ვაღრჭიალებ და პირში ყველანაირი ნაგავი შემდის; ცოფი მომერია, მაგრამ ბოლოს ძალა გამომელია და კვნესაზე და ლოცვაზე გადავედი.

ჭურვის აფეთქების ხმა ჩემს ყურებში გუგუნებს. ჩვენები თუ კონტრშეტევაზე გადავლენ, აი, მაშინ კი მიწერია გადარჩენა! მიწას სახით მივეკარი და ყრუ ქუხილი მესმის; ეტყობა, საბადოები ააფეთქეს; თავი კვლავ ზემოთ ავწიე, რომ ხმებს მივუგდო ყური.

ქვემეხები გრიალებენ. ვიცი, რომ ჩვენი დანაღმული ღობურა საიმედოდ გვიცავს და ჯერჯერობით დაზიანებული არ არის. უმეტეს ნაწილში მაღალი ძაბვის დენი გადის. ცეცხლმა მოიმატა. ისინი ვერ გააღწევენ და უკან უნდა დაბრუნდნენ.

ისევ სანგრის ძირში ჩავჯექი. ნერვები დაგლეჯვაზე მაქვს. გარეთ ტყვიების ტკაცატკუცი, ფეხების შარიშური, იარაღის ჟღარუნი ისმის. ბოლოს ერთმა გამჭოლმა კივილმა გასერა იქაურობა. როგორც ჩანს, მაგრად დასცხეს. შეტევა მოგერიებულია.

* * *

სინათლემ ოდნავ იმატა. პირველმა აჩქარებულმა ნაბიჯებმა ჩამიარეს. მას სხვები მოჰყვნენ. ტყვიამფრქვევის რაკარუკი უწყვეტი ჯაჭვივით მისდევს ერთმანეთს. ის იყო, გადავწყვიტე, პოზა შემეცვალა, რომ უეცრად ზემოთ ხმაური გაისმა და კედლებზე მიხეთქებით ვიღაცის სხეული მძიმედ დამემხო. აზრი დამებნა და გადაწყვეტილებას ვერ ვიღებ, მომზადებულ ხანჯალს ელვის სიწრაფით მუცელში ვარჭობ და ვგრძნობ, რომ სხეული შეკრთა და ერთბაშად მოეშვა. როცა გამოვერკვიე, ჩემი სველი და წებოვანი ხელები დავინახე.

კაცი ხროტინებს და მეჩვენება, რომ ღრიალებს, ყოველი მისი ამოხროტინება ყვირილის თუ ქუხილის მსგავსია, მაგრამ... ეს ჩემს ძარღვებში ბორგავს სისხლი და გააქვს ბაგაბუგი. მინდა, ხელი დავაფარო პირზე, მიწით ამოვუვსო, კიდევ ერთხელ

ჩავცხო ხანჯალი, რომ გავაჩერო, ხომ შეიძლება, გამცეს?! მაგრამ უკვე გონს მოსული და სრულიად გამოფიტული ვარ, ხელის აწევაც კი არ შემიძლია, რომ მის წინააღმდეგ რაიმე მოვიმოქმედო.

მოშორებით, კუთხეში გადავცოცდი და მივიყუჟე, მივაშტერდი, თან ხანჯალს მაგრად ჩავებღაუჭე. თუ გაინძრევა, ახალი შეტევისთვის მზად ვარ. მაგრამ ის ვეღარაფერს გააკეთებს, ეს ხროტინზე ეტყობა.

კუთხიდან ძლივს ვარჩევ მის სილუეტს. ერთადერთი სურვილი მომერია, როგორმე თავი დავიძვრინო აქედან. თუ ეს მალე ვერ მოვახერხე, დღის სინათლე იძალებს. ისედაც რთული ვითარებაა უკვე. მაგრამ, როგორც კი მაღლა ვწევ თავს, ვრწმუნდები, რომ ეს შეუძლებელია. ტყვიამფრქვევის ცეცხლი იმდენად მომძლავრდა, საკმარისია ერთი ნახტომი და, ჩემგან არაფერი დარჩება.

ჩაჩქანი ოდნავ, სანგრის კიდეზე ავწიე, რომ სროლის სიმაღლე შევაფასო, - რამდენად ახლოს დაქრიან ტყვიები სანგრის თავზე. რამდენიმე წამში ტყვიამ ჩაჩქანი ხელიდან გამომგლიჯა. ცეცხლი სანგრის თავზე საფარივითაა გაფენილი. მტრის პოზიციებთან იმდენად ახლოს ვარ, რომ თუ ამოვალ, წამში მიზანში ამომიღებენ.

სინათლე მატულობს და მატულობს. დაძაბული ველოდები კონტრშეტევას ჩვენების მხრიდან. თითები გამითეთრდა, ისე მაქვს ერთმანეთში ჩაჭედილი; ისევ ვლოცულობ, რომ იქნებ შეწყდეს ცეცხლი და ამასობაში ჩემი მეგობრებიც გამოჩნდნენ!

წუთები წვეთ-წვეთ მიედინებიან. სანგრის მეორე ბოლოში დაგდებული სხეულისკენ გახედვასაც ვეღარ ვბედავ. ნერვებად ქცეული მის მიღმა ვიყურები და ველოდები, ველოდები. იარაღები სისინებენ, ლითონის უკიდეგანო ბადეს ქმნიან. უცებ ჩემს სისხლიან ხელს ვკიდებ მზერას და გულის რევას ვგრძნობ. მიწას ვიღებ და ხელს ვიხეხავ, ახლა ხელი ჭუჭიანია, მაგრამ მიწამ სისხლი მაინც დაფარა.

ცეცხლი არ იკლებს, პირიქით, ორივე მხრიდან მძლავრად ურტყამენ. ჩვენები ალბათ უკვე დაკარგულად მთვლიან.

* * *

დღის სინათლე სულ უფრო მძლავრობს, დღე ნაცრისფრად გათენდა. ხროტინი ისევ ისმის. ყურები თითებით დავიცე, მაგრამ მაშინვე მოვიშორე, რომ სხვა ხმები არ გამომეპაროს. ჩემ წინ სხეული ოდნავ შეინძრა. შევკრთი და ძალაუნებურად მისკენ გავიხედე. თვალს ვეღარ ვაშორებ. წევს კაცი, პატარა ულვაშებით, თავი გვერდზე აქვს გადაგდებული, ხელი იდაყვში ნახევრად მოუხრია და თავი ზედ აქვს დაყრდნობილი. მეორე ხელი, გასისხლიანებული, მკერდზე ადევს.

„მოკვდა,“ - ვარწმუნებ ჩემს თავს, ცხადია, მოკვდა, ის ვეღარაფერს გრძნობს. თავად კი არ ხროტინებს, არამედ სხეული, მაგრამ, აი, თავი წამოსწია, წამით ხროტინი

გაძლიერდა, შემდეგ შუბლით ისევ ხელზე ეცემა. არ მომკვდარა, - კვდება, ჯერ არ მომკვდარა. მისკენ მივცოცავ, ვჩერდები, ხელებს ვეყრდნობი და ცოცვას განვაგრძობ. სამი მეტრი უნდა გავიარო, სამი მეტრი სიგრძის საზარელი გზა.

ბოლოს მის გვერდზე აღმოვჩნდი.

თვალები გაახილა.ეტყობა, ჩემი ბუტბუტი გაიგო და შეძრწუნებული სახით მიყურებს. მშვიდად წევს, მაგრამ თვალებში გაქცევის უსაშველო სურვილი იკითხება, იმდენად ძლიერი, რომ წარმოვიდგინე: ასეთ სურვილებს ძალა შესწევთ, აიყოლიონ სხეული და ხელის ერთი წამოკვრით ას კილომეტრზე გადაიტანონ.

სხეული წყნარად, სრულიად მშვიდად წევს, ხროტინიც მიჩუმდა, მაგრამ თვალები ყვირიან და ღრიალებენ, მათში მთელი სიცოცხლეა დაგროვილი წარმოუდგენელი დაძაბულობით, რათა გაექცეს აქაურობას, კოშმარს, სიკვდილს და მკვლელს.

მუხლები მეკეცება და იდაყვებს ვეყრდნობი.

არა, არა, არა, - ვჩურჩულებ მე.

თვალები მითვალთვალებენ. ამ მზერით დადამბლავებული განძრევასაც ვერ ვახერხებ.

შემდეგ ხელი დაბლა უვარდება, ოდნავ შესამჩნევად ეშვება ქვემოთ, სულ რამდენიმე სანტიმეტრით, მაგრამ მოძრაობასთან ერთად თვალები ძალას კარგავენ. მისკენ ვიხრები, თავს ვაქნევ და ვჩურჩულებ: არა, არა, არა! ხელს მაღლა ვწევ, უნდა ვაჩვენო, რომ დახმარება მინდა და შუბლზე ვუსვამ.

ხელის მიახლოებამ თვალები შეაკრთო, მაგრამ გამომეტყვე-ლებას სიმძაფრე ეკარგება და მასთან ერთად დაძაბულობაც ქრება. საყელოს ვუხსნი და თავს შეძლებისდაგვარად ვუსწორებ. პირი ნახევრად გაღებული აქვს და რაღაცის თქმა სურს, მაგრამ გამშრალი ტუჩებით ვერაფერს ახერხებს. მათარა, სამწუხაროდ, ცოცვის დროს დამეკარგა, მაგრამ სანგრის თავზე ჭუჭყიანი წყალია. შიგ ვძვრები, ცხვირსახოცს ვშლი და მიწას ვაჭერ, რომ ზედ წყალი დაგროვდეს. წვალებით ერთ პეშვ ყვითელ წყალს თავს ვუყრი და მის ტუჩებთან მიმაქვს. როგორღაც ახერხებს ჩაყლაპვას. შემდეგ კიდევ მომაქვს და თან მუნდირს ვუხსნი, რომ გადახვევა გავუკეთო, რამდენადაც შევძლებ. თუ ტყვედ ჩავვარდები, დარწმუნდებიან, რომ დახმარება მინდოდა და აღარ დამხვრეტენ. წინააღმდეგობის გაწევას ცდილობს, მაგრამ ხელებში ძალა აქვს გამოცლილი. მიწებებული პერანგის მაღლა აწევა შეუძლებელია. უკან ღილებით აქვს შეკრული და იძულებული ვარ, გავჭრა.

დანა ვიპოვე და გაჭრას შევუდექი. თვალები კიდევ ერთხელ გაახილა და ახლა ისინი ნამდვილ გოდებას გამოხატავენ, თან გაუსაძლისი გამომეტყველებით შემომყურებენ. ძალაუნებურად ხელის გული დავაფარე, ქუთუთოებს თითებს ვაჭერ და ვჩურჩულებ: „შენი დახმარება მინდა.“ ამ სიტყვას დაჟინებით ვიმეორებ, რომ როგორმე გავაგებინო.

სამი ჭრილობა აქვს. ზედ ბანდები დავადე, მაგრამ სისხლი მაინც მოჟონავს, სიმჭიდროვისთვის ხელი დავაჭირე. გმინავს. სულ ეს არის, რაც შემიძლია გავაკეთო ამ ვითარებაში. ახლა კი უნდა ვიცადო და ვიცადო.

* * *

ო, რა მძიმეა ეს საათები! ხროტინი ისევ იწყება, რა ნელა კვდება ადამიანი! ვიცი, რომ აღარაფერი უშველის. ვცდილობდი, სხვაგვარად მეფიქრა, მაგრამ შუადღეზე მისმა გმინვამ გადარჩენის მცირე იმედიც გაფანტა. რევოლვერი რომ ცოცვის დროს არ დამეკარგა, უსათუოდ ვესროდი, მახვილის ჩაცემა კი ჩემს ძალას აღემატება.

შუადღეს აზროვნება მისუსტდება და, ნახევრად მთვლემარე, გათიშვის ზღვარზე ვარ. შიმშილს ვეღარ ვუძლებ და თავს ძლივს ვიკავებ, რომ არ ავტირდე. დაჭრილისთვის წყალი მომაქვს და მოყვითალო წყალს მეც ხარბად ვხვრეპ. არ ვიცი, როგორ ვებრძოლო შიმშილის გრძნობას.

ეს პირველი ადამიანია, რომელიც საკუთარი ხელით მოვკალი, რომელსაც შევყურებ და ვიცი, მისი სიკვდილი ჩემი ბრალია.

კატს, კროპს და მიულერსაც ჰქონიათ ამგვარი შემთხვევა - იმათაც მოუხდათ საკუთარი მსხვერპლის ყურება. ეს ბევრი ჩვენგანის ხვედრია.

მისი ყოველი ამოსუნთქვა გულს მიშიშვლებს. ამ მომაკვდავს კიდევ რამდენიმე საათი დარჩენია და თან ჩემზე მომართულ უხილავ დანას დაუნდობლად მიყრის გულში, - დროსა და ფიქრებს მინადგურებს. არაფერს დავიშურებდი, ოღონდ ცოცხალი დარჩენილიყო. მძიმე ტვირთი ყოფილა მისი ყურება და მოსმენა.

ნაშუადღევს სამ საათზე მოკვდა.

ოდნავ ამოვისუნთქე, მაგრამ მხოლოდ მოკლე დროით. დუმილი კიდევ უფრო მძიმე ყოფილა, ვიდრე გმინვა და კვნესა. წყვეტილი, ჩახლეჩილი თუ ხმამაღალი ხროტინის მოსმენაც კი უკეთესი მეჩვენებოდა უკვე.

რასაც ვაკეთებ, უაზრობაა, მაგრამ რაღაცით უნდა დავსაქმდე. მიცვალებული კიდევ ერთხელ გავასწორე, რომ უფრო მოხერხებულად იწვეს, თუმცა ვეღარაფერს გრძნობს. თვალები დავუხუჭე. თაფლისფერი თვალები აქვს, თმა - ოდნავ ხვეული, შავი.

ულვაშების ქვემოთ სავსე და რბილი ტუჩები, ცხვირი - კეხიანი, კანი - მუქი; ახლა ისეთი ფერმკრთალი აღარ ჩანს, როგორც სიკვდილის წინ; წამით მისი სახე ჯანმრთელიც კი მომეჩვენა, მაგრამ მალე ჩვეულებრივი, გაუცხოებული მიცვალებულის იერს მიიღებს, რომელიც ხშირად მინახავს და ყველა ორი წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს.

ახლა ალბათ ცოლი მასზე ფიქრობს. ჯერ არ იცის, რაც მოხდა. მიცვალებული კი ისე გამოიყურება, რომ ნამდვილად ხშირად სწერდა წერილებს. ისიც მიიღებს წერილს

ხვალ, ერთ კვირაში, ან მოგვიანებით, ერთ თვეში. ცოლი წაიკითხავს წერილს, რომ-ლითაც ქმარი მას უკანასკნელად გამოეხმაურება.

ჩემი მდგომარეობა მძიმდება, ფიქრების ნაკადს, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ჩემს სულს და გულს, ვეღარაფერს ვუხერხებ. როგორ გამოიყურება მისი ცოლი? იმ შავგვრემან, გამხდარ ქალს ხომ არ ჰგავს არხის მოპირდაპირე მხრიდან? ის ხომ მე მეკუთვნის?! იქნებ ამ შემთხვევის შემდეგ საერთოდაც მე მეკუთვნის! ოჰ, კანტორეკი რომ იყოს ახლა აქ! ან დედაჩემმა რომ დამინახოს?

უკანა გზა უკეთ რომ მცოდნოდა ან ორი მეტრით მარცხნივ ერბინა, ეს კაცი ოცდაათი წელი, კიდევ ოცდაათი წელი იცოცხლებდა. თავის სანგარში ჩაჯდებოდა და ცოლს მორიგ წერილს მისწერდა.

მაგრამ რაღა აზრი აქვს ამ უთავბოლო ტვინის ჭყლეტას, - ეს ხომ ჩვენი საერთო ხვედრია: ქემერიხს რომ ფეხი ათი სანტიმეტრით გაეწია, ჰაიე ვესთუსი ხუთი სანტიმეტრით რომ დახრილიყო...

* * *

დუმილი დიდხანს გაიწელა. მე ლაპარაკს ვიწყებ, სხვაგვარად არ შემიძლია. გულზე დადებული მძიმე ტვირთი როგორმე უნდა მოვიშორო და ამიტომ ვცდილობ, ყველაფერი დაწვრილებით გადმოვალაგო:

„მეგობარო, შენი მოკვლა არ მინდოდა. შენ რომ კიდევ ერთხელ ჩამომხტარიყავი აქ, ამას აღარ გავაკეთებდი. ცხადია, შენც გონივრულად უნდა მოქცეულიყავი. მაგრამ მხოლოდ განყენებული ცნება იყავი ჩემთვის, ერთგვარი კომბინაცია იდეებისა, რომელიც ჩემს თავში ჩამოყალიბდა და იმ მოქმედებას მკარნახობდა, რომელიც ჩავიდინე. ახლა კი ვხედავ, რომ ისეთივე ადამიანი ხარ, როგორიც მე. თავში ერთადერთი რამ მიტრიალებს, რომ შეიარაღებული ხარ, ხელყუმბარით, ხიშტით. შენს სახეს ვუყურებ და ვფიქრობ, რამდენი საერთო გვაქვს! ვხედავ შენს ცოლს და როგორმე მაპატიე, მეგობარო! გონება ყოველთვის გვიან გვინათდება. ოჰ, რატომ დროზე არ ჩაგვიდეს თავში, რომ თქვენ ისეთივე პატარა ადამიანები ხართ, როგორიც ჩვენ, თქვენს დედებს ისევე უმგერთ გული თავიანთ შვილებზე, როგორც ჩვენსას. და ბოლოს, სიკვდილის ხომ ყველას ერთნაირად გვეშინია, ერთნაირად ვკვდებით და სატკივარიც ერთნაირად გვტკივა! შემინდე, მეგობარო! შენ როგორ იქნებოდი ჩემი მტერი? თუ იარაღს და სალდათის ქურთუკებს გვერდზე მოვისვრიდით, სულაც ძმებივით გვეყვარებოდა ერთმანეთი, როგორც კატსა და ალბერტს. წაიღე ჩემი სიცოცხლის ოცი წელი, რადგან არ ვიცი, რა ვუყო.“

ფრონტი თითქოს ჩაწყნარდა და ქვემეხების გრიალიც აღარ ისმის. აქა-იქ თოფი კაკანებს და მიწაზე ტყვიების სქელი საფარია. ეს არ არის უგეგმო სროლა, სამიზნე ცეცხლს ყველა მიმართულებით ხსნიან და ამიტომ ადგილიდან დაძვრას ვერ ვბედავ. „მე მინდა, შენს ცოლს მივწერო, - ვეუბნები მიცვალებულს, - უნდა მივწერო, რომ

ჩემგან გაიგოს, რაც მოხდა. ყველაფერს, რასაც შენ გეუბნები, იმასაც ვეტყვი, რომ არ იტანჯოს. მინდა დავეხმარო მასა და შენს შვილს.“

მისი უნიფორმა ნახევრად შეხსნილია. საფულეს ადვილად ვპოულობ. ყოყმანით ვიღებ და ვხსნი. შიგ ჯარისკაცის წიგნაკია მისი სახელით და გვარით. არ ვიცნობ, შეიძლება არც დამამახსოვრდეს, დრო წაშლის მის სურათს ჩემს მეხსიერებაში, მაგრამ ლურსმანივით ჩამეჭედა თავში სახელიც და გვარიც. ვერც ვერასოდეს ამოვიღებ, ყოველთვის უკან დამაბრუნებს და თავს შემახსენებს. ალბათ მთელი ცხოვრება თან გამყვება და ნებისმიერ დროს გამომეცხადება.

საფულე ხელში მიჭირავს, მერე ხელიდან მივარდება და იქიდან წერილების დასტა ცვივა. ვაგროვებ და მინდა უკან ჩავაწყო, მაგრამ საშინელი წნეხი, რომელიც მთრგუნავს, - გაურკვეველი მდგომარეობა, შიმშილი, საშიშროება, მიცვალებულთან გატარებული საათები - თითქოს მიბიძგებენ, რომ რაღაც დავაჩქარო, შვება ვიგრძნო, თუნდაც თვითგვემის გზით, იმ ადამიანის მსგავსად, ხელი რომ გაუსაძლისად სტკივა და სიმწრისგან მთელი ძალით ურტყამს ხეს, - მისთვის სულერთია, რაც იქნება, იქნება!

ფოტოდან ქალი და პატარა გოგო შემომყურებენ, რომლებიც სუროთი დაფარული კედლის ფონზე დგანან. ეს ვიწრო ფორმატის სამოყვარულო ფოტოა. მის გვერდით წერილებია ჩაწყობილი. წერილები ამომაქვს და წაკითხვას ვცდილობ. უმეტესობა ჩემთვის გაუგებარია, ვერც ვარჩევ, ფრანგული ცუდად ვიცი.

მაგრამ თუნდაც რამდენიმე სიტყვა, რომელიც ამოვიკითხე, ტყვიასავით და დანასავით მხვდება გულში. თავი გადამეტვირთა და მიხურს. ვიცი, რომ ამ ხალხს ვერასოდეს ვერაფერს მივწერ. ცოტა ხნის წინ კი გეგმებს საპირისპიროდ ვაწყობდი! გამორიცხულია. სურათებს კიდევ ერთხელ დავხედე, მდიდრები არ უნდა იყვნენ. ერთადერთი, რისი ძალაც შემწევს, უსახელოდ გავუგზავნო ფული, როგორც კი საშუალება მომეცემა. ამ აზრს ჩავეჭიდე. ეს ის აზრია, რომელიც ოდნავ მაინც დამამშვიდებს და დროებით შეაჩერებს ჩემს თავში კორიანტელს.

მიცვალებული სამუდამოდ დამიკავშირდა, ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთო და უნდა შევპირდე, რომ თავი გადავირჩინო! წერას ატანილივით, დუჟმორეული ვეფიცები, რომ მისი ოჯახის გვერდით დავდგები და სანამ ცოცხალი ვარ, ყოველთვის ვიდგები.

ჩემში იმედის ნაპერწკალი ჩაისახა, დანაშაულის გამოსყიდვის და აქედან გასვლისა. ამის მიღმა კი მცირე ეშმაკობის მარცვალია, - ოღონდ აქედან გავიდე და მერე ვნახავთ, რა იქნება! ამიტომაც გავბედე და წიგნაკი გადავშალე. ნელა ვკითხულობ: „ჟერარ დიუვალი, მბეჭდავი.“

მიცვალებულის ფანქრით კონვერტს მისამართი დავაწერე და საჩქაროდ ქურთუკში ჩავუტენე.

მე წიგნის მბეჭდავი ჟერარ დიუვალი მოვკალი. მე მბეჭდავი უნდა გავხდე, ვფიქრობ ჩემი არეულ-დარეული გონებით, მბეჭდავი გავხდე, მბეჭდავი...

* * *

ნაშუადღევს უფრო მშვიდად ვარ. შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. სახელი ტვინს აღარ მირევს. შეტევაც მომეხსნა. „მეგობარო, - მივმართავ მიცვალებულს, - დღეს - შენ, ხვალ - მე. მაგრამ თუ აქედან გავალ, იმის წინააღმდეგ ვიბრძოლებ, რამაც ორივე გაგვტეხა: შენ სიცოცხლე წაგართვეს, მე კი? მეც წამართვეს სიცოცხლე. გპირდები, მეგობარო, რომ ეს აღარ განმეორდება, არასდროს!“ მზე სანგარში დამრეცად იჭრება. შიმშილისგან გამოვიფიტე და გამოვტვინდი. გუშინდელი ბუნდოვნად მახსოვს. აქედან გასვლის იმედი ნელ-ნელა ქრება. დღე მთვლემარედ გავატარე. მოსაღამოვდა და ბინდი ჩამოწვა. მეჩვენება, რომ დრო მეტისმეტად ჩქარა მიჰქრის. კიდევ ერთი საათი. ზაფხული რომ იყოს, კიდევ სამი საათი. კიდევ ერთი საათი. უცებ კანკალი მეწყება, ვაი, თუ ვერ გავაღწიე აქედან?! მიცვალებულის დარდი აღარ მაქვს, მის მიმართ სრულიად გულგრილი გავხდი. სიცოცხლის წყურვილი აღმეძრა და, მასთან შედარებით, მთელი ჩემი კეთილშობილური გეგმები ჩრდილში მოექცა. მხოლოდ იმის შიშით, რომ ზეციური ძალისგან ამისთვის არ დავისაჯო, მექანიკურად ვლუღლუღებ: „რასაც დაგპირდი, ყველაფერს შეგისრულებ.“ მაგრამ წინასწარ ვიცი, რომ დაპირების შემსრულებელი არა ვარ.

ერთმა აზრმა გამიელვა და დამაფრთხო კიდეც: ახლოს რომ მივცოცდე, შესაძლებელია ჩემებმა ცეცხლი გახსნან, მათ ხომ არ ეცოდინებათ, რომ ეს მე ვარ. შორიდანვე უნდა ავტეხო ღრიალი, რომ ჩემი ხმა მივაწვდინო. სანგრების წინ იქამდე ვიწვები, სანამ ჩემს ხმას არ გაიგებენ.

აი, პირველი ვარსკვლავი ამოკიაფდა. ფრონტზე კვლავ დროებითი სიმშვიდეა. ამოვისუნთქე და აღელვებისგან საკუთარ თავს ველაპარაკები: „ახლა არავითარი სისულელე, პაულ! სიმშვიდე, სიმშვიდე, პაულ! მხოლოდ ასე გადარჩები, პაულ!“ საკუთარი სა-ხელის წარმოთქმას განსაკუთრებული ძალა აქვს, თითქოს სხვა ხდები და სხვას ასწავლი ჭკუას. ეს მეტ ზემოქმედებას ახდენს.

სიბნელე მთელი ძალით ჩამოწვა. აღელვებამ გამიარა, სიფრთხილით ველი პირველი რაკეტების აბრიალებას და სანგრიდან ვძვრები. მკვდარი საერთოდ დამავიწყდა. ჩემ თვალწინ ღამეა და მკრთალად განათებული მინდორი. სინათლეზე სანგარს ვიმახსოვრებ და როცა ბნელდება, ერთი ნახტომით შიგ ვხტები. შემდეგ ორმოს ვეძებ და სწრაფადვე ვაფარებ თავს; ზურგში ვიხრები და წინ მივიპარები.

სანგრებს მივუახლოვდი. რაკეტის ანთებისას დავინახე, რომ მავთულში რაღაც მოძრაობს და მალევე ჩერდება. გაუნძრევლად ვწევარ, შემდეგ ანთებაზე მავთული ისევ ირწევა. ეს ნაღდად ჩვენი სანგრებია. მაგრამ მაინც ვფრთხილობ, სანამ ჩაფხუტები არ ვიცანი. შემდეგ ვეძახი. საპასუხო ხმა იმწამსვე შემომესმა: „პაულ!

პაულ!“ ისევ ვუყვირი. კატის და ალბერტის ხმები მესმის, რომლებიც ლაბადა-კარვით ჩემს საძებნელად დადიან.

- დაჭრილი ხარ?

- არა, არა.

სანგარში ჩავგორდი, სასწრაფოდ საჭმელი მოვითხოვე და გიჟივით ვებრდღვენი. მიულერი სიგარეტს მაძლევს. მოკლედ ვუყვები, რაც გადამხდა. მათთვის არაფერია ახალი, ასეთი რამ ხშირად ხდება. მთავარი და განსაკუთრებული ღამის შეტევაა. აი, კატს ორი ღამე აქვს გატარებული რუსული პოზიციების იქითა მხარეს, სანამ თავისიანებთან გამოაღწევდა.

მოკლულ მბეჭდავზე არაფერს ვამბობ.

მხოლოდ მეორე დილას ვიგრძენი, რომ ვეღარ დავმალავდი და კატთან და ალბერტთან უნდა მომეოხებინა გული. ისინი მაწყნარებენ:

„ვეღარაფერს შეცვლი. აბა, რა უნდა გექნა? ჩვენ ხომ ამისთვის ვართ აქ!“

ვუსმენ და ვფიქრობ, რომ ამათთან აღარაფრის მეშინია, მარტო მათი სიახლოვეც კი მაწყნარებს. რა სისულელეებს ვბოდავდი იმ წყეულ სანგარში?!

„იქით გაიხედე,“ - მიჩვენებს კატი.

ბრუსტვერებთან რამდენიმე სნაიპერია, რომელთაც შემზადებული აქვთ იარაღი ოპტიკური სამიზნეებით და მტრის პოზიციების დიდ მონაკვეთს უთვალთვალებენ.

ცოტა ხანში შეძახილი მოგვესმა:

„აუ, რა მაგრად დავაკერე!“

„დაინახე, როგორ შეხტა?“ - სერჟანტი ელრიხი ამაყად მობრუნდა და ქულა ჩაიწერა. დღეს მის ანგარიშზე სამი ზუსტი მოხვედრა დაფიქსირდა და მან სნაიპერების სიაში პირველი ადგილი დაიკავა.

„რას იტყვი ამაზე?“ - მეკითხება კატი.

თავს ვაქნევ.

„ასე თუ გააგრძელა, დღეს საღამოს აუცილებლად დააჯილდოებენ,“ - ამბობს კროპი.

„ან ვიცე-ფელდფებელის რანგში აიყვანენ,“ - დაუმატა კატმა.

ერთმანეთს გადავხედეთ.

„მე ამას ვერ გავაკეთებდი,“ - ვამბობ მე.

„და მაინც, კარგია, რომ ამას სწორედ ახლა უყურებ!“

სერჟანტი ელრიხი კვლავ ისევ ბრუსტვერთან დგას. იარაღის ლულა მარჯვნივ და მარცხნივ მოძრაობს.

„შენი განცდები სასაცილოა და სალაპარაკოდაც არ ღირს,“ - მეუბნება ალბერტი.

მე თვითონაც აღარ მესმის ჩემი თავის. „ეს ალბათ იმიტომ, რომ მასთან ერთად იმდენ ხანს ვიწექი,“ - ვამბობ მე.

ბოლოს და ბოლოს ომი ხომ ომია, ელრიხის იარაღი კი მოკლედ და მშრალად ჭექს.

10

საკმაოდ კარგი ადგილი დავითრიეთ. რვა კაცის შემადგენლობით უნდა ვუყარაულოთ სოფელს, რომელიც იმის გამო დაიცალა, რომ მტერი გამუდმებით უშენდა.

განსაკუთრებული ყურადღება სურსათის საწყობზე უნდა გავამახვილოთ, რომელიც ჯერ კიდევ არ დაცარიელებულა. ჩვენს საკვებზე თავად უნდა ვიზრუნოთ არსებული მარაგიდან. ამისთვის სათანადო გუნდი შეარჩიეს: კატი, ალბერტი, მიულერი, თიადენი, ლეერი, დეთერინგი და მე. მოკლედ, ჩვენ ყველანი ერთად ვართ. მხოლოდ ჰაიე გვაკლია, რომელიც უკვე ცოცხალი აღარ არის.

მაგრამ ეს სხვა ჯგუფებთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ ბედნიერებაა, დანარჩენებს გაცილებით მეტი დანაკარგი აქვთ. საცხოვრებლად ბეტონის სარდაფი ავირჩიეთ, რომელსაც გარეთ გასასვლელი კიბე აქვს და შესასვლელი ბეტონისავე კედლით არის დაცული. საქმიანობას მხურვალედ და ენერგიულად შევუდექით. ისევ მოგვეცა საშუალება, რომ ფიზიკურად და სულიერად განვიტვირთოთ და დავისვენოთ. ასეთი შემთხვევა აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ, სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ზედმეტ სენტიმენტებს უნდა მოვეშვათ. ამის უფლებას მხოლოდ მაშინ აძლევ თავს, როცა საქმე არც ისე ცუდად გაქვს. ამ ვითარებაში კი მაქსიმალურად საქმიანები უნდა გავხდეთ, რათა ათასგვარმა მოგონებამ არ დაგვზაფროს. წამიც კი, როდესაც მეხსიერებაში წარსული ამოტივტივდება, თუნდაც ომის წინა წლები, გონებას მირევს, მაგრამ, საბედნიეროდ, მალევე უკვალოდ ქრება, ალბათ სწორედ ამ საქმის წყალობით.

ჩვენი მდგომარეობა, რამდენადაც შეგვიძლია, მარტივად უნდა აღვიქვათ. ამიტომაც ვსარგებლობთ ნებისმიერი შემთხვევით. უშუ-ალოდ, ერთიდან მეორეზე მტკივნეული გადასვლის გარეშე, ომის კოშმარის შემდეგ, ჩვენში ყოველთვის ბუნებრივად იღვიძებს ხუმ-რობისა და გართობის ახალგაზრდული ჟინი. ამიტომაც

ვცდილობთ თავდაუზოგავად, რომ ერთგვარი იდილია შევიქმნათ, რომელშიც პირველ ადგილს, ცხადია, საჭმელი და ძილი იკავებს. ეს ჟინი ცეცხლივით წაგვეკიდა და შიგ თავფეხიანად გადავეშვით.

პირველ რიგში, ლეიბების საქმე მოვაგვარეთ და ერთმანეთის გვერდზე დავაწყვეთ. ისინი მიტოვებული სახლებიდან მოვათრიეთ, ჯარისკაცის უკანალსაც ენატრება რბილზე ნებივრობა! შუაში თავისუფალი ადგილი დავტოვეთ. შემდეგ ბუმბულის ზღაპრულად ფაფუკი საბნები და ბალიშებიც აღმოვაჩინეთ, სოფელში ეს ყველაფერი უხვად მოიპოვება. მე და ალბერტმა წითელი ხის დასაშლელ საწოლსაც კი მივაგენით, ცისფერი აბრეშუმის ბალდახინითა და მაქმანით მორთულს. ოფლად გავიღვარეთ, სანამ სარდაფამდე მოვათრევდით. რა გვექნა, ამაზე უარის თქმა სიგიჟე იქნებოდა, მით უმეტეს, რამდენიმე დღეში ჭურვი ისედაც ნაკუწებად აქცევდა.

კატი და მე სახლების დასაზვერად მივდივართ. ერთ-ერთ სასტუმროში შევიარეთ და საკმაოდ შედეგიანად: ათი კვერცხი და ორი გირვანქა თითქმის ახალი კარაქი ჩავიგდეთ ხელში, მაგრამ სასტუმროს სალონში დგომისას მოულოდნელად გრიალი გაისმა: წინა სახლიდან ნაღმის დარტყმით გამოსროლილმა ღუმელმა კედელი გაარღვია, თავზე სტვენით გადაგვიფრინა და რამდენიმე მეტრის იქით, კედელში გაქრა.

„ბედი გვქონია," - გაიკრიჭა კატი და სადაზვერვო საქმიანობა განვაგრძეთ. უცებ ყურები ვცქვიტეთ და მოვკურცხლეთ. პატარა ფარეხთან მოჯადოებულივით გავჩერდით: ორი ცოცხალი გოჭი ღრუტუნებს და ანცობს ჩვენ თვალწინ. თვალები მოვისრისეთ და ფრთხილად ვკიდებთ ხელს, ვრწმუნდებით, რომ ეს ნამდვილად ორი პატარა არსებაა, ორი გოჭი.

„აუ, რა სასუსნავი გველის?!"

ბლინდაჟთან ახლოს, ორმოცდაათი ნაბიჯის მოშორებით, პატარა სახლია, სადაც ოფიცრები ბინადრობდნენ. სამზარეულოში ვპოულობთ დიდ ღუმელს ორი კამფორით, ტაფებს და ქვაბებს. აქ ყველაფერია, შეშაც კი არის დაპობილი და სარდაფში კოხტად დაწყობილი. მოკლედ, ზღაპრულ სახლში ამოვყავით თავი!

ორი კაცი მინდორში მივავლინეთ კარტოფილის, სტაფილოს და ბარდის საძებნელად. ბატონკაცურად ცხოვრებას ვიწყებთ და ახალ-ახალ საჭმელზე გვიჭირავს თვალი. სარდაფში ყვავილოვანი კომბოსტოს ორი მოზრდილი თავი გვაქვს შემონახული. გოჭები დავკალით. ეს საქმე კატმა აიღო თავის თავზე. შემწვარი გოჭისთვის კარტოფილის კვერების გამოცხობას ვაპირებთ, მაგრამ კარტოფილის სახეხი ვერ ვიპოვეთ. აქაც გამოსავალს მივაგენით. თუნუქის ქილების თავსახურები მოვაგროვეთ და ლურსმნით ნახვრეტებს ვუკეთებთ. სახეხი მზად გვაქვს. სამი ჩვენგანი სქელ ხელთათმანს იცვამს, რომ ხეხვისას ხელები არ გადაიყვლიფოს, დანარჩენები კი კარტოფილის გათლას შეუდგნენ. საქმე სწრაფად მიიწევს წინ.

კატი გოჭებს დასტრიალებს თავზე, თან სტაფილოთი, ბარდით და ყვავილოვანი კომბოსტოთი რთავს ლამაზად. ყვავილოვანი კომბოსტოსთვის თეთრი წვნიანიც კი მოამზადა. მე კვერებს ვაცხობ, ოთხ-ოთხს თითო ჯერზე. ათ წუთში ისე დავოსტატდი, რომ ტაფით ოთხივეს ერთად ვატრიალებ ჰაერში და ოთხივე გამოუმცხვარი გვერდებით ებერტყება ტაფაზე. გოჭები დაუჭრელად შევწვით. მათ ირგვლივ ისე შევიკრიბეთ, როგორც საკურთხეველთან.

ამასობაში სტუმრებიც გვეწვივნენ, - ორი რადისტი დიდსულოვნად მოვიპატიჟეთ სადილზე. ისინი იმ ოთახში სხედან, სადაც პიანინო დგას. ერთი უკრავს, მეორე კი მღერის სიმღერას „ვეზერზე.“ გრძნობით მღერის, მაგრამ ოდნავ საქსონური კილო წაკრავს. მაინც გულში გვხვდება, მით უმეტეს, ღუმელთან გემრიელ საჭმელებს დავტრიალებთ.

რამდენიმე ხანში ვიგრძენით, რომ გვესვრიან. აეროსტატებმა, როგორც ჩანს, საკვამურიდან კვამლი შენიშნეს და ცეცხლი გაგვიხსნეს. ეს სწორედ ის მცირე ზომის იარაღია, რომელიც ორმოს თხრის და მისი ნატეხები აქეთ-იქით, მიწის ზედაპირზე დიდი რადიუსით იფანტებიან. ისინი ჩვენ გარშემო ზუზუნებენ, მაგრამ საჭმელს ვერაფრით ველევით. სროლას უმატეს. რამდენიმე ნამსხვრევმა ფანჯარა შემოტეხა. გოჭს რაღაცას მოვუხერხებთ, მაგრამ კვერების გამოცხობა შეუძლებელი ხდება. ნამსხვრევები ერთმანეთს მოჰყვებიან და კედელზე ასხლეტილები იატაკზე ეცემიან. როგორც კი ყურს მოვკრავ მსტვინავ ტყვიას, კვერიანი ტაფით იატაკზე ვჯდები, შემდეგ ვდგები და ცხობას განვაგრძობ.

საქსონელმა დაკვრა შეწყვიტა. ერთი ნატეხი როიალს მოხვდა. საქმე გაჭირვებით მოვათავეთ და უკან დასახევად ვემზადებით. მორიგი გასროლის შემდეგ, ორი ჩვენგანი ბოსტნეულით სავსე ქვაბების ბლინდაჟში გადატანას ახერხებს, ორმოცდაათი მეტრის მანძილზე. კიდევ ერთი გასროლა. ჩავიცუცქეთ. მეორე წყვილი ყავადანებით, რომლებიც საუკეთესო ყავით არის სავსე, სროლებს შორის ბლინდაჟში მიმალვას ცდილობს. ბოლოს ჯერი სუფრის მშვენებაზე, ანუ გოჭებიან ტაფაზე დგება: ჭურვის ღმუილი, ჩაცუ-ცქვა და აი, ისინი მეტეორის სისწრაფით მიქრიან ბლინდაჟისკენ, რომ დაუცველი მონაკვეთის დაძლევა შეძლონ.

მე დარჩენილ ოთხ კვერს ვაცხობ. ამასობაში ოთხჯერ მომიხდა ჩაცუცქვა, მაგრამ ოთხი კვერით მეტი გვაქვს და თანაც ეს ხომ ჩემი საყვარელი კერძია!

შემდეგ კვერებიან ლანგარს ხელი დავავლე და კარს ავეკარი. გარეთ შიშინი და გრუხუნია და მე გავრბივარ ჩემი ლანგარით, რომელიც მკერდზე მაქვს ორივე ხელით მიკრული. თითქმის ბლინდაჟთან ვარ მისული, რომ სწორედ ამ დროს ზუზუნი და სტვენა მატულობს. ანტილოპას ნახტომით მივიწევ წინ და ვასწრებ, ბეტონის კედელს ამოვეფარო. ნამტვრევებს კედელზე ბრახაბრუხი გააქვთ; სარდაფში კიბით ჩაგორებას ვახერხებ, იდაყვები დამსხვრეული მაქვს, მაგრამ ლანგარი მაგრად მიჭირავს, - არც ერთი კვერი არ გადმოვარდნილა.

ორ საათზე სადილს მივუსხედით. ექვსამდე შეუჩერებლად ვჭამთ. შვიდის ნახევრამდე სასურსათო საწყობიდან მოტანილ ოფიცრების ყავას ვაყოლებთ და თან ოფიცრების სიგარებს და სიგარეტებს ვეწევით. ათ საათზე გოჭის ჩონჩხის ნარჩენებს გარეთ ვყრით და კონიაკზე და რომზე გადავდივართ, ესეც იმ დალოცვილი საწყობიდან. და კვლავ სქელი და გრძელი სიგარები, ლამაზი ეტიკეტით. თიადენი ამტკიცებს, რომ ერთადერთი რამ გვაკლია: გოგონები ოფიცრების ბორდელიდან.

გვიან საღამოს კარის წინ კნავილი შემოგვესმა. კართან პატარა კნუტი იჯდა. მოვიტყუეთ და საჭმელი უხვად დავუყარეთ. ეს ისევ გვიღვიძებს მადას და გაუთავებლად ვღეჭავთ რაღაცას.

ღამე მძიმედ გავატარეთ. საჭმელი მეტისმეტად მსუყე და ქონიანი იყო, ხორცი კი არც ისე ადვილი მოსანელებელი. ბლინდაჟში გაუთავებელი მოძრაობაა. ორი-სამი კაცი ჩახდილი შარვლით ჩაკუზულა და მთელ ქვეყანას წყევლის. მეც ცხრაჯერ მომიხდა გასვლა. ღამის ოთხ საათზე კი რეკორდს ვამყარებთ: მთელი შემადგენლობა, თეთრმეტი კაცი, სტუმრების ჩათვლით, ბლინდაჟის ირგვლივ განვთავსდით.

ცეცხლმოდებული სახლები ჩირაღდნებივით კიაფობენ სიბნელში. ჭურვები სიბნელიდან მოჰქრიან და გრიალით ეხეთქებიან მიწას. მანქანების გრძელი კოლონები, საომარი მასალით დატვირთულნი, ქუჩებში დაქრიან. სასურსათო საწყობის ერთი კედელი ჩამონგრეულია. მძღოლები, ნამსხვრევების მიუხედავად, საწყობს ფუტკრებივით შესევიან და პურს იპარავენ. ჩვენ ვცდილობთ, ხელი არ შევუშალოთ. ხმა რომ ამოვიღოთ, გალახვის გარდა, ისედაც არაფერი გველის. ამიტომ სხვაგვარად ვმოქმედებთ: ვუხსნით, რომ ჩვენ დაცვა ვართ, რადგან ვიცით, სად რა დევს, კონსერვები მოგვაქვს და ვუცვლით იმაში, რაც გვაკლია. მათ შენახვას უკვე აზრი არა აქვს. ცოტა ხანში აქ ქვა ქვაზე არ დარჩება! ჩვენთვის კი დიდი რაოდენობით შოკოლადს ვიღებთ და მთელ ფილას ერთ ჭამაზე ვათავებთ. კატი გვეუბნება, რომ სასარგებლოა მისი ჭამა, როდესაც მუცელი ფეხებში მოუსვენრობას გაგრძნობინებს.

ორი კვირა ჭამა-სმასა და ხეტიალში გადის. ხელს არავინ გვიშლის. სოფელი თვალწინ ქრება ჭურვების მუდმივი დაცემით, ჩვენ კი „ბედნიერად“ ვცხოვრობთ. სანამ სასურსათო საწყობის პატარა ნაწილია შემორჩენილი, ჩვენთვის ყველაფერი სულერთია და მხოლოდ იმას ვისურვებდით, რომ ომის დამთავრებას აქ შევეგებოთ.

თიადენი იმ ზომამდე განებივრდა, რომ სიგარებს მხოლოდ ნახევრამდე ეწევა. თან მედიდურად აცხადებს, რომ ეს მას ჩვეუ-ლებად ექცა.

კატიც საკმაოდ გათავხედდა, ბრძანებები დილიდან ისმის: „ემილ, მომიტანე ხიზილალა და ყავა.“ მოკლედ, საოცრად გავყოყოჩდით, ყოველ ჩვენგანს თავი ბატონად მიაჩნია, დანარჩენები კი მოსამსა-ხურედ, - „თქვენობით“ მიმართავს და დავალებებს აძლევს.

„კროპ, ფეხისგული მეფხანება, მომაშორეთ, თუ შეიძლება, ტილი.“ ლეერი ფეხს განებივრებული მსახიობი ქალივით ჭიმავს, კროპი კი მას ფეხებით კიბეზე მიათრევს. „თიადენ!“ „რა?“ „თავისუფლად, თიადენ! სხვათა შორის, არ მომწონს ეგ თქვენი - „რა.“ როცა დაგიძახებთ, თქვენ უნდა მიპასუხოთ: „გისმენთ.“

თიადენს ასეთი შემთხვევისთვის გოეთეს ცნობილი ციტატა აქვს გამზადებული - „გიოც ფონ ბერლიხინგენიდან.“

სიამოვნების და ნებივრობის ხანა ერთ კვირაში დამთავრდა, როცა ჩვენი დაბრუნების ბრძანება მოვიდა. ორი დიდი სატვირთო მანქანით მივყავართ, ორივე ფიცრებითაა დატვირთული.

მე და ალბერტი მაინც ვახერხებთ ბალდახინიანი საწოლის, ცისფერი აბრეშუმის საბნის, ლეიბის და მისი მაქმანიანი გადასაფარებლის დათრევას და ფიცრებზე მოთავსებას. საწოლის თავში ვდებთ სავსე ტომარას, საუკეთესო სურსათით, თან დროდადრო ხელს ვუსვამთ გულ-ღვიძლის შებოლილ, მაგარ ძეხვს, კონსერვის ქილებს, სიგარეტით სავსე კოლოფებს და გული სიხარულით გვევსება. თითოეულს, ჩვენი კომპანიიდან, გვერდი ასეთი ტომრით აქვს დამშვენებული.

მე და კროპმა პლუშის სავარძლებიც გადავარჩინეთ, რომლებიც საწოლში მოვათავსეთ და ზედ გემრიელად გავიშხლართეთ. მიდამოს, როგორც თეატრის ლოჟიდან, ისე გადავყურებთ, პირში სიგარაგაჩრილები. აბრეშუმის ცისფერი საბანი კი ჰაერში დროშასავით ფრიალებს.

ჩვენ შორის თუთიყუშის გალია დგას, რომელიც სადღაც მოვიპოვეთ და შიგ კატის კნუტი მოვათავსეთ. საჭმლით სავსე პატარა ჯამის წინ წამოგორებული კრუტუნებს.

მანქანები გზას ნელა მიუყვებიან. ჩვენ ვმღერით. უკან ჭურვები მიწის შადრევნებით ანგრევენ მიტოვებულ სოფელს.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ გავდივართ, რომ ერთი პატარა მონაკვეთი დავიკავოთ. გზაში ლტოლვილები გვხვდებიან - ამ ადგილიდან გამოძევებული მოსახლეობა. ბარგი-ბარხანას მოათრევენ, - ურიკებით, ბავშვის ეტლებით და ზურგით. თავჩაქინდრულები მოდიან, სახეზე კი სევდა და სასოწარკვეთა, დევნის სიმძიმე და მორჩილება აწერიათ. ბავშვები დედების მკლავებზე არიან ჩამოკიდებული, ან უფროსს უმცროსი მოჰყავს, რომელიც წაიფორხილებს ხოლმე და უკან-უკან იყურება, ზოგს გაქექილი თოჯინა ჰყავს ჩახუტებული. ჩვენ წინ ჩავლისას სრული დუმილი სუფევს.

ჩვენ ქვეითი კოლონით ვმოძრაობთ. ნუთუ ფრანგები დაუშენენ სოფელს, რომელიც მათ თვისტომს ჯერ არ დაუცლია?! რამდენიმე წუთის შემდეგ ჰაერი ღმუის, მიწა ყანყალებს, ისმის ყვირილი - ეტყობა, ჭურვი ბოლო რიგს მოხვდა. სხვადასხვა მხარეს

გავრბივართ და მიწაზე გულდაღმა ვეცემით, მაგრამ იმავე წამს ვგრძნობ, რომ დაძაბულობის გრძნობამ, რომელიც ქვეცნობიერად ყოველთვის მკარნახობდა სწორი გადაწყვეტილების მიღებას, ამჯერად მიღალატა. თავში ერთმა აზრმა გამიელვა: „წასულია ჩემი საქმე!“ ჩემში ამაზრზენი, დამადამბლავებელი შიშის გრძნობა ამოქმედ-და. კიდევ ერთი წამი და, მარცხენა ფეხში მათრახის დარტყმის მსგავს, მძაფრ ტკივილს ვგრძობ. მესმის, როგორ ყვირის ალბერტი. სადღაც ჩემ გვერდით უნდა იყოს.

„ადექი, ალბერტ!“ - ვღრიალებ მე, რადგან გაშლილ, დაუცველ ადგილზე ვწევართ. მიწას ძლივს მოვწყდით და გავქანდით. საკმაოდ მაღალ ხერგილზე უნდა გადავასწროთ. კროპი ტოტებს ჩააფრინდა, მე ფეხში წავავლე ხელი, ხმამაღლა ყვირის, მე კი ქვემოდან ვუბიძგებ და ხერგილის თავზე მიფრინავს. კიდევ ერთი ნახტომი, მეც მივყვები და წყალში ვადენ ტყაპანს. ხერგილის იქით გუბურაა.

სახეები ტალახში გვაქვს ამოსვრილი, მაგრამ თავშესაფარი კარგი ვიპოვეთ: წყალში ყელამდე შევდივართ, სროლის ხმაზე ვყვინთავთ. დაახლოებით ათჯერ გავუძელით ამ პროცედურას, მაგრამ ვგრძნობ, რომ მეტს ვეღარ გავუძლებ. ალბერტმა კვნესა დაიწყო:

„გავეცალოთ აქაურობას, თორემ მოვკვდები ან დავიხრჩობი.“

„სად მოგხვდა?“ - ვეკითხები მე.

„მუხლში, მგონი.“

„სირბილი შეგიძლია?“

„არ ვიცი, იქნებ შევძლო.“

„აბა, წავედით!“

გზატკეცილამდე მივაღწიეთ, რომელსაც თხრილი მიუყვება, ჩა-ვიკუზეთ და ისე მივრბივართ მის გასწვრივ. ცეცხლი წამოგვე-წია. გზა იარაღის საწყობისკენ მიდის. ის თუ აფეთქდა, ჩვენგან ერთი ღილიც აღარ დარჩება. ამიტომ გეგმას ვცვლით: გზატკეცილისკენ კუთხურად ვუხვევთ და მინდორზე გავრბივართ.

ალბერტი ჩამორჩენას იწყებს. „მიდი, გაიქეცი! მე წამოგეწევი,“ - ამბობს ის. მკლავზე ხელს ვკიდებ და ვანჯღრევ. „ადექი, ალბერტ, ახლა თუ დაწვები, იცოდე, ვეღარასოდეს ადგები. წამოდი, მე მოგეხმარები!“

ბოლოს პატარა ბლინდაჟამდე მივაღწიეთ. კროპი მოცელილივით დაენარცხა იატაკზე, მე გადახვევას ვიწყებ. ტყვია მუხლს ცოტა ზემოთ აქვს მოხვედრილი. შემდეგ ჩემი თავიც შევათვალიერე. შარვალი სისხლიანია, ასევე მკლავიც. ალბერტი ნახვრეტებზე საფენებს მადებს. ფეხს ვეღარ ამოძრავებს. გაკვირვებულები შევყურებთ ერთმანეთს, როგორ გადავლახეთ ამხელა გზა. ეს შიშმა შეგვაძლებინა, ფეხებიც რომ

წაეცალა, ალბათ მაინც გამოვცოცდებოდით იქიდან. მე ჯერ კიდევ შემიძლია გადაადგილება. ბლინდაჟთან მიმავალი ოთხთვალა დავინახე და შევძახე, რომ მოგვშველებოდა. ის დაჭრილებით არის სავსე. სანიტარი იმწამსვე ტეტანუსის საწინააღმდეგო ნემსს გვიკეთებს.

საველე ლაზარეთში ისე მოვეწყვეთ, რომ ერთმანეთის გვერდით ვწევართ. თხელი წვნიანი, განვლილის შემდეგ, არაფრად გვეჩვენება, მაგრამ შიმშილი მაინც შიმშილია და ხარბად ვეწაფებით.

„მაშ, სამშობლოში გავწევთ, ალბერტ," - ვამბობ მე.

„იმედია," - მპასუხობს ის, „ვიცოდე მაინც, რა მჭირს."

ტკივილებმა გვიმატა. ჭრილობებს ცეცხლი უკიდია. წყალს კათხით ზედიზედ ვცლით.

„რამხელაზეა ჩემი ჭრილობა მუხლიდან დაშორებული?" - კითხულობს კროპი.

„დაახლოებით ათი სანტიმეტრით, ალბერტ," - ვპასუხობ მე. სინამდვილეში კი ალბათ მხოლოდ სამი სანტიმეტრით.

„ასეც ვვარაუდობდი," - ამბობს ცოტა ხნის შემდეგ, - „თუ ფეხს მომკვეთენ, ამით ყველაფერი დამთავრდება. არ მინდა ინვალიდად ვიარო ამ ქვეყანაზე."

ორივე ფიქრებმა შეგვიპყრო, ვწევართ და ვიცდით.

* * *

საღამოს „სასაკლაოზე" მივყავართ. შევშინდი და დავფიქრდი, რა უნდა მოვიმოქმედო. ვიცი, რომ საველე ლაზარეთის ექიმები მაშინვე ამპუტაციაზე გადადიან. დაჭრილების ასეთი შემოსევისას, ცხადია, ეს გაცილებით ადვილია, ვიდრე ადამიანის ნაკუწებისგან აწყობა. ქემერიხი გამახსენდა. ქლოროფორმირების უფლებას არაფრით მივცემ, რამდენიმე ექიმის თავის გატეხვადაც რომ დამიჯდეს.

საქმე კარგად მიდის. ექიმი ჭრილობაში ისე იქექება, თვალები დამიბნელდა. „თავს ნუ იმკვდარუნებ!" - ბრაზობს ის და ჩემს დაქუცმაცებას განაგრძობს. ინსტრუმენტები მჭახე სინათლეზე ისე ელვარებენ, როგორც სისხლისმსმელი ცხოველის კბილები. ტკივილები აუტანელია. ორი ექთანი ჩემს მკლავებსაა ჩაფრენილი, ხელი გამოვითავისუფლე და მზად ვარ, ექიმს სათვალეში ვუთავაზო, მაგრამ იმწამსვე მიმიხვდა და გვერდზე გადახტა. „გაუკეთეთ ქლოროფორმი ამ ყმაწვილს!" - ყვირის განრისხებული.

უცებ ჩავწყნარდი. „მაპატიეთ, ექიმო, წყნარად ვიქნები, ოღონდ ქლოროფორმი არ გამიკეთოთ."

„ჰოდა, იცოდეთ!“ - კაკანებს ის და ისევ ინსტრუმენტებს უბრუნდება. ექიმი ქერა ახალგაზრდაა, ალბათ ოცდაათი წლისა თუ იქნება, სახეზე ნაიარევებით და საზარელი, ოქროს ჩარჩოში ჩასმული სათვალით. ვატყობ, რომ განზრახ მაწამებს და დროდადრო ოქროს სათვალიდან ინტერესით გადმომხედავს ხოლმე, თან ისევ ჩემს ჭრილობაში განაგრძობს ქექვას. ხელებით სახელურს მთელი ძალით ჩავებღაუჭე, უმალ ჩავძაღლდები, ვიდრე ის თუნდაც ერთ ბგერას გაიგებს ჩემგან. ნატეხს მიაგნო, ამოიღო და ჩემკენ გადმოაგდო. ეტყობა, ჩემი საქციელით კმაყოფილია, რადგან გულმოდგინედ მადებს არტახს და მეუბნება: „ხვალვე სახლში მოუსვით!“

შემდეგ თაბაშირი დამადეს.

უკვე კროპის გვერდით ვწევარ. ვუყვები, რომ სანიტარული მატარებელი ალბათ ხვალ ჩამოდგება. „ფერშალს უნდა დაველაპარაკო, რომ ერთად მოგვათავსონ,“ - ვეუბნები მე. რამდენიმე შესავალი სიტყვის შემდეგ, ფერშალს ორი ცალი სიგარა გადავეცი, ლამაზი ეტიკეტით. მან დაყნოსა და მკითხა: „კიდევ ხომ არ გაქვთ შემონახული?“ „მთელი პეშვი, - ვპასუხობ მე, - ჩემს მეგობარსაც აქვს,“ თან კროპზე ვუთითებ, - „მასაც აქვს ბლომად შემონახული. სანიტარული მატარებლის ფანჯრიდან ხვალ სიამოვნებით გადმოგცემთ.“

მან იმწამსვე მოტვინა, სიგარები კიდევ ერთხელ დაყნოსა და კმაყოფილმა გამომიცხადა: „შევთანხმდით!“

ღამე ერთი წუთიც არ გვიძინია. ჩვენს დარბაზში ერთ ღამეში შვიდი კაცი მოკვდა. ერთი მთელი ღამე ჩახლეჩილი ხმით ქორალებს მღეროდა, ბოლოს ხრიალი დაიწყო. მეორე საწოლიდან ფანჯარამდე მიცოცდა და იქ ისე მიწვა, თითქოს უკანასკნელად უნდოდა ფანჯარაში გახედვა.

* * *

ჩვენი საკაცეები სადგურში დგანან. მატარებელს ველოდებით. წვიმს და სადგურს სახურავი არა აქვს.

საბნები მეტისმეტად თხელია. ორ საათს ვიცდით. ფერშალი დედასავით დაგვტრიალებს თავზე. მიუხედავად იმისა, რომ თავს კარგად ვერ ვგრძნობ, ჩვენი გეგმა არ მავიწყდება. ისე, სხვათა შორის, პაკეტს დავანახებ ხოლმე და მარაგიდან თითო სიგარას ვაძლევ. ამის საფასურად კი ჩვენს საკაცეებს ლაბადა-კარვებს აფარებს.

„ალბერტ, ადამიანო, გახსოვს ჩვენი ბალდახინიანი საწოლი და კნუტი?“

„სავარძლები?“ - მახსენებს ის.

ჰო, წითელი პლუშით. საღამოობით მეფეებივით წამოვსხდებოდით და უკვე მათ გაქირავებასაც კი ვგეგმავდით. საათში თითო სიგარეტი. უზრუნველადაც ვიცხოვრებდით და თან შემოსავალიც გვექნებოდა...

„ალბერტ, - ვახსენებ მე, - ჩვენი ტომრები, სასუსნავით სავსე!“

გულზე სევდა შემოგვაწვა. როგორ გამოვიყენებდით ყველა-ფერს! ერთი დღით გვიან რომ ყოფილიყო მატარებელი, კატი აუცილებლად მოგვნახავდა და რაღაც-რაღაცებს მოგვაწვდიდა.

წყეული ბედისწერა! ფქვილის წვნიანი და ლაზარეთის უხარისხო საჭმელი გვაქვს კუჭში, ჩვენს ტომრებში კი შემწვარი ღორის ხორცის კონსერვებია. მაგრამ ძალიან დავსუსტდით და ამაზე ნერვიულობა აღარც შეგვიძლია.

საკაცეში წყალს ჭყაპა-ჭყუპი გააქვს, მატარებელი მხოლოდ დილას მოდის. ფერშალი ზრუნავს, რომ ჩვენ ერთ ვაგონში მოვხვდეთ. წითელი ჯვრის მედდების მთელი ჯგუფი აქეთ-იქით დაქრის. კროპი ქვედა საწოლზე დააწვინეს, მე კი - მის თავზე.

„ღმერთო ჩემო!“ - აღმომხდა მე.

„რაშია საქმე?“ - მეკითხება მედდა.

თვალი საწოლს შევავლე. თოვლივით თეთრი ზეწარია გადაკრული, წარმოუდგენლად სუფთა ზეწარი, რომელსაც უთოს ნაკეცებიც კი ატყვია. ჩემი პერანგი კი ექვსი კვირაა არ გარეცხილა და ძალიან ჭუჭყიანია.

„დაუხმარებლად ვერ აცოცდებით?“ - მეკითხება მედდა.

„ეგ კი, მაგრამ ჯერ ზეწარი მოხსენით,“ - ვპასუხობ მე და ოფლი ჩამომდის.

„კი, მაგრამ რატომ?!

რატომ? იმიტომ, რომ ჭუჭყიან ღორს ვგავარ და ნუთუ ამ კრიალა ზეწარზე უნდა დავწვე?!

„მე ხომ...“ - ვყოყმანობ და აზრს ვერ ვამთავრებ.

„ჭუჭყიანი ხართ? - მამხნევებს ის, - ეს არაფერია, ჩვენ ამას მაშინვე გავრეცხავთ, თქვენი ჩასვლის შემდეგ.“

„არა, არა, შეუძლებელია,“ - ვეუბნები აღელვებული. კულტურული ცხოვრების შემოტევას ვეღარ ვუძლებ, სრულიად გადავეჩვიე ყველაფერს ამ ხნის განმავლობაში.

„თქვენ სანგარში იწექით და ჩვენ ზეწარს ვეღარ გაგირეცხავთ?“ - განაგრძობს ის.

მედდას ვათვალიერებ: ის ახალგაზრდა, ქორფა, დაბანილი, სუფთად ჩაცმული და სასიამოვნოა, როგორც ყველაფერი ირგვლივ. ძნელი დასაჯერებელია, რომ მარტო ოფიცრებს არ ემსახურებიან ასეთი სახით. თავს უცნაურად ვგრძნობ და შიშიც კი მიპყრობს.

და მაინც, ეს ქალი ტიპური ჯალათია, რომელიც მაიძულებს, რომ ყველაფერი ამოვღერღო.

„საქმე ისაა“... - სიტყვა მიწყდება, ხომ უნდა მიხვდეს, რას ვგულისხმობ!

„კიდევ რა?“

„ტილები!“ - ამოვიღრიალე ბოლოს მე.

იცინის: „იმათაც ხომ სურთ თავიანთ გემოზე ცხოვრება!“

თუ ასეა, ჩემთვის სულერთია!

ზემოთ ავცოცდი და საბანი გადავიფარე; საბანზე ვიღაცა ხელს აფათურებს. ეს ფერშალია. სიგარები მიიღო და ვაგონიდან მიიმალა.

ერთი საათის შემდეგ ვიგრძენით, რომ დავიძარით.

* * *

ღამე გამეღვიძა. კროპიც წრიალებს. მატარებელი ნელა მიცურავს ლიანდაგზე. უცნაური და გაუგებარი მეჩვენება: ლოგინი, მატარებელი, სახლი.

მე ვჩურჩულებ: „ალბერტ!“ „ჰო!“

„ხომ არ იცი, აქ საპირფარეშო სად არის?“

„მგონი გარეთ მარჯვენა კარია.“

„წავალ, დავხედავ.“

სიბნელეა. ხელს საწოლის კიდეზე ვაფათურებ და მინდა ფრთხილად ჩავსრიალდე, მაგრამ ჩემი ფეხი საყრდენს ვერ პოულობს, ჩამოვგორდი, დაჭრილ ფეხს ვერ ვეყრდნობი და იატაკზე ზღართანით ვეცემი.

„ეშმაკმა დალახვროს!“ - ვამბობ მე.

„რამე ხომ არ დაიშავე?“ - მეკითხება კროპი.

„შენ რა, ვერაფერი გაიგე? - შევუღრინე მე, - თავით ისე დავეხეთქე, რომ...“

ვაგონში უკანა კარი გაიღო. მედდა ფარნით ხელში ჩვენთან შემოდის და მათვალიერებს.

„საწოლიდან გადმოვარდა.“

პულსს მისინჯავს და შუბლზე ხელს მადებს.

„სიცხე არ გაქვთ,“ - მეუბნება ის.

„არა,“ - ვპასუხობ მე.

„რამე ხომ არ დაგესიზმრათ?“ - მეკითხება ის.

„ჰო, დაახლოებით,“ - ვეუბნები მე.

ნათელი თვალებით შემომცქერის, სუფთა, მშვენიერი არსება და ვერაფრით ვეტყვი ჩემი გაჭირვების შესახებ.

ისევ ზემოთ ამიყვანეს. ასე მოგვარდა საქმე! მაგრამ როგორც კი წავა, ისევ შევეცდები, ჩამოვცოცდე. მოხუცი ქალი რომ იყოს, აი, მაშინ კი უპრობლემოდ გავანდობდი, რაც მჭირს; ამ ახალგაზრდა ქალთან, რომელიც დაახლოებით ოცდახუთი წლისა იქნება, ენა ვერ მომიტრიალდება, რომ ჩამოვარდნის მიზეზი დავასახელო.

საქმეში ალბერტი ერევა და დახმარებას ცდილობს. რა ენაღვლება! საქმე მე მეხება და არა მას! მედდას დაუძახა და მოაბრუნა. „დაო, მე მინდა გითხრათ...“ მაგრამ ვერც ალბერტი პოულობს სათანადო სიტყვებს და ფორმას, რომ მისი ნათქვამი კორექტული გამოვიდეს. იქ, ჩვენთან ეს ერთადერთი სიტყვით გამოიხატებოდა, ამ ქალთან კი, აქ... უცებ გონება გაუნათდა, სკოლა გაახსენდა და, როგორც იქნა, ნათქვამი დაასრულა: „გარეთ უნდა გასვლა, დაო!“

„სულ ეს არის? - გაიკვირვა მედდამ, - ამისთვის რა საჭიროა თაბაშირიანი ფეხით ქვემოთ ჩამოცოცება? მაინც რა გსურთ?“ - მომმართა მან. საქმის ასეთ შემობრუნებას არ ველოდი და საშინლად შევშინდი, რადგან წარმოდგენა არ მაქვს, რა ჰქვია ამ საქმეს პროფესიულ ენაზე. მედდამ წამომაშველა: „დიდი თუ პატარა?“ აუ, რა თავის მოჭრაა, ოფლმა დამასხა და დარცხვენილმა ამოვილუღლუღე: „მხოლოდ პატარა.“

საქმე არც ისე ცუდად მოგვარდა.

* * *

ალბერტს სიცხე აქვს. არც მე ვარ კარგად, ტკივილმა საგრძნობლად იმატა. მაგრამ გაუსაძლისი უფრო ის არის, რომ სახვევის ქვეშ ტილებმა დაიბუდეს და ტკივილთან ერთად ქავილი მაწუხებს. მატარებელი ნელა მიღოღავს. ლანდშაფტიც ასევე ნელა მიცურავს ფანჯრებში. მესამე ღამეს ჰერბესთალში ვართ. მედდა ამბობს, რომ ალბერტი სიცხის გამო შემდეგ სადგურზე უნდა გადმოიყვანონ.

„სად გავჩერდებით?“ - ვეკითხები მე.

„კიოლნში.“

„ალბერტ, ჩვენ ერთად უნდა დავრჩეთ,“ - ვეუბნები მე.

მედდის შემდეგ შემოვლაზე სუნთქვა შევიკარი, სახეზე სისხლი მომაწვა და გავწითლდი. მედდა შეჩერდა:

„ტკივილები გაქვთ?“

„ჰო,“ - კვნესით ვპასუხობ მე.

თერმომეტრს მჩრის და გზას განაგრძობს. ახლა კი ვიცი, რა უნდა გავაკეთო, კატის გაკვეთილებს ამაოდ არ ჩაუვლია. ეს სალდათების თერმომეტრები გამოცდილი მეომრებისთვის არ არის გათვლილი. მთავარია, სინდიყი მაღლა აიწიოს, შემდეგ ის წვრილ მილში ჩერდება და დაბლა აღარ ჩამოდის. თერმომეტრი უკუღმა ჩავიდე, სინდიყი ზემოთ ექცევა. დიდხანს და ფრთხილად ვურტყამ საჩვენებელი თითით, შემდეგ უკუღმა ვფერთხავ და ვამოწმებ: 37,9. ეს ცოტაა; ანთებულ ასანთზე მიჭირავს და 38,7-მდე ამყავს.

მედდა ბრუნდება. ინდაურივით ვიფხორები და წყვეტილად ვსუნთქავ. თან უაზრო, გაშეშებული თვალებით მივაშტერდი, მოუსვენრად ავწრიალდი და ვეუბნები: „მეტი აღარ შემიძლია!“

მედდამ ჩემი სახელი და გვარი ჩაინიშნა. ზუსტად ვიცი, რომ უკიდურესი გაჭირვების გარდა, სახვევს ხელს არავინ ახლებს. მატარებლიდან ალბერტთან ერთად გადმომიყვანეს.

კათოლიკური მონასტრის ლაზარეთში, ერთ პალატაში მოვხვდით. ბედმა გაგვიღიმა: კათოლიკური საავადმყოფოები ცნობილია საუკეთესო მოვლით და კარგი საკვებით.

იქაურობა სავსეა ჩვენი მატარებლიდან გადმოყვანილი ავადმყოფებით. ბევრი მათგანი მძიმე მდგომარეობაშია. გასინჯვა ჯერჯერობით არ დაწყებულა, რადგან ადგილზე ძალიან ცოტა ექიმია. დერეფანში წარამარა მოჰყავთ რეზინის რგოლებიანი საკაცით ვიღაც, სიგრძეზე გაჭიმული. ჯანდაბა! რა მოუხერხებელი პოზაა! ამ პოზაში მხოლოდ ძილია სასიამოვნო.

მშფოთვარე ღამეა. ვერავინ იძინებს. დილისთვის ოდნავ ვთვლემთ. როცა ვფხიზლდები, უკვე ნათელი დღე დგას. კარი ღიაა და დერეფნიდან ხმები ისმის. ერთ-ერთი, რომელიც კარგა ხანია, აქაა, ვითარებაში გვარკვევს: „აქ, ზემოთ, დერეფანში, მედდები ყოველ დილით ლოცულობენ, ისინი ამას „ცისკრის ლოცვას“ ეძახიან. ლოცვის მადლი რომ თქვენზეც გადმოვიდეს, კარს ფართოდ აღებენ.“

მათი მხრიდან ეს კეთილშობილური საქციელია, მაგრამ ჩვენ ძვლები გვტკივა და თავი გვისკდება.

„რა უაზრობაა, - ვამბობ მე, - ეს ესაა ჩავიძინეთ!“

„ზემოთ უფრო მსუბუქად დაჭრილები არიან, ამიტომ აკეთებენ ასე.“

ალბერტი გმინავს. მე ვცოფდები და ხმამაღლა ვყვირი: „სიჩუმე მანდ, გარეთ!“

მედდა იმ წუთშივე ჩვენთან ჩნდება. შავ-თეთრ სამოსელში ყავის კოხტა მადუღარას წააგავს. „დაო, დაკეტეთ რა, კარი!“ - დაიძახა ვიღაცამ.

„ლოცვა მიმდინარეობს და კარი ამიტომ არის ღია,“ - შეუბრუნა მან.

„ჩვენ ჯერ ძილი გვინდა.“

„ძილს ლოცვა არ სჯობს?“

ის კარში დგას და უდანაშაულო გამომეტყველებით გვიღიმის:

„თანაც უკვე შვიდი საათია.“

ალბერტი ისევ გმინავს.

„კარი დაკეტეთ,“ - ავდუღდი მე.

გაოგნებული გვიყურებს და ვერ გაუგია ჩვენი აღშფოთების მიზეზი.

„ჩვენ ხომ თქვენთვისაც ვლოცულობთ.“

„სულერთია, კარი დაკეტეთ!“

წამში ქრება და კარს მაინც ღიას ტოვებს. დერეფანში კვლავ მონოტონური ბუტბუტი გაისმის.

„სამამდე ვითვლი. თუ არ დაკეტავენ, რამეს ვესვრი.“

„მეც,“ - აცხადებს ერთ-ერთი დაჭრილი.

მე ხუთამდე ვითვლი. შემდეგ ცარიელ ბოთლს ვიღებ, ვუმიზ-ნებ და დერეფანში ვისვრი. ბოთლი ნაწილებად იმსხვრევა. ხმები ჩუმდება. კარში მედდების მთელი გუნდი ჩნდება. გვლანძღავენ, მაგრამ ძალიან შერბილებული ფორმით.

„მოხურეთ კარი!“ - ვეძახით ყველა ერთად.

გადიან. მხოლოდ პატარა, მორჩილი ტანის, გუშინ რომ შემო-ვიდა ჩვენთან, ბრუნდება და ბუტბუტებს: „უღმერთოებო,“ მაგრამ მაინც ხურავს.

მოკლედ, ბოლოს გავიმარჯვეთ!

* * *

შუადღეს ლაზარეთის ინსპექტორი შემოდის და ტყავს გვაძრობს. პატიმრობითაც კი გვემუქრება და კიდევ არ ვიცი, რით. ეს ლაზარეთის ინსპექტორები ზუსტად სასურსათო სამსახურის ინსპექტორებივით არიან, ანუ ისინი, ვინც ეპოლეტებს და დაშნას ატარებენ, მაგრამ პრინციპში ნამდვილი მოხელეები არიან და სხვა არაფერი.

მათ რეკრუტებიც კი არაფრად აგდებენ. ამიტომ მორჩილად ვუგდებთ ყურს. რა უნდა დაგვიშავოს?

„ვინ ისროლა ბოთლი?“ - გვეკითხება ის.

„ღირს თუ არა გავცე პასუხი?“ მაგრამ დაფიქრებას ვერ ვასწრებ. „მე!“ - ერთ-ერთი საწოლიდან სქელი, გაწეწილი და წვერიანი დაჭრილი იწევს. ყველა იძაბება, ვერავინ ხვდება, რატომ აიღო დანაშაული თავის თავზე.

„თქვენ?“

„დიახ, მე! გონება დავკარგე, უმიზეზოდ რომ გაგვაღვიძეს! თვითონაც არ ვიცი, რას ჩავდიოდი!“ ისე ლაპარაკობს, თითქოს დაწერილს კითხულობდეს.

„რა გქვიათ თქვენ?“

„იოზეფ ჰამახერი, რეზერვისტი გახლავართ.“

ინსპექტორი გადის. ყველას ცნობისმოყვარეობა კლავს. „რატომ დაასახელე შენი თავი? შენ ხომ არ ყოფილხარ?!“ პასუხად იკრიჭება. „არა უშავს. ჩემს მოქმედებაზე პასუხს ვერავინ მომთხოვს. რასაც მინდა, იმას გავაკეთებ. ვისაც ცოდვების პატიების საბუთი აქვს, პასუხი ნამდვილად არ მოეთხოვება.“

„ჰო, - განაგრძობს ის, - ერთხელ თავში მერგო ტყვია და ცნობა მომცეს, რომ დროდადრო შეურაცხადი ვარ და ამის შემდეგ ყველაფერი ფეხებზე მკიდია. ერთადერთი, ჩემს გაღიზიანებას არ გირჩევთ. ისე კი, ყურებზე ხახვს ვერ დამაჭრიან, მაგრამ ალბათ ბრაზობენ! დილას თუ კიდევ გაგვიღებენ კარს, ისევ ვრეკოთ!“

სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვართ. იოზეფ ჰამახერის გვერდით ბევრი რამ შეგვიძლია გავრისკოთ.

ამის შემდეგ ჩვენთან უხმო ეტლები შემოაგორეს.

ბანდები მიმხმარი გვაქვს. ხარებივით ვღმუით.

* * *

ერთ ოთახში რვანი ვწევართ. ყველაზე მძიმე დაზიანება, გამჭოლი ტყვია ფილტვში ხუჭუჭა, შავთმიან პეტერს აქვს. მის გვერდით ფრანც ვეხტერი წევს, რომელსაც მკლავი აქვს დალეწილი. დასაწყისში გვეჩვენებოდა, რომ მისი საქმე არც ისე ცუდად იყო, მაგრამ მესამე ღამეს სასწრაფოდ ღილაკზე თითის დაჭერას გვთხოვს, რადგანაც ეჩვენება, რომ გადახვეული მკლავიდან სისხლი ჟონავს.

ღილაკს მთელი ძალით ვაჭერ ხელს, მაგრამ ღამის მორიგე არ მოდის. მიზეზი ალბათ ის არის, რომ საღამოს მეტისმეტად დავასაქმეთ და ბევრი ვარბენინეთ. ახალი სახვევები გვადევს და ჭრილობები ამ დროს კიდევ უფრო მტკივნეულია. ერთი ფეხის

გასწორებას ითხოვს ასე, მეორე - ისე, მესამე - ბალიშის გაფუებას, მეოთხეს სწყურია და ბოლოს მსუქანი მოხუცი გაგვიბრაზდა და აბუზღუნდა, წასვლისას კარიც მაგრად მიიჯახუნა. ახლა ალბათ ფიქრობს, რომ ყველაფერი თავიდან იწყება და ამიტომაც არ მოდის.

ჩვენ ვიცდით. ფრანცი ამბობს: „დარეკე კიდევ ერთხელ!“ ვრეკავ, მაგრამ ამაოდ. ღამით მთელ ჩვენს ფლიგელს ერთი მედდა ემსახურება, იქნებ სხვა პალატებში დაუძახეს.

„ფრანც, დარწმუნებული ხარ, რომ სისხლდენა გაქვს? - ვეკითხები მე, - თორემ ისევ კარგად გამოგვლანძღავენ.“

„მთლიანად სველია. სინათლეს ვერავინ აანთებს?“ ესეც არ ჭრის. ჩასართველი კართან არის და ადგომა არავის შეუძლია. თითი ღილაკზე იქამდე მიჭირავს, სანამ საერთოდ უგრძნობი არ მიხდება. იქნებ ჩაეძინა. გადამეტებული დატვირთვით უხდებათ მუშაობა ყოველ დღე და უკიდურესად გადაღლილები არიან. ამიტომაც ლოცულობენ დღენიადაგ.

„ბოთლები ხომ არ ვისროლოთ?“ - კითხულობს იოზეფ ჰამახერი, შეურაცხადის ცნობით.

„იმას ნაკლებად გაიგებს, ვიდრე რეკვას.“

ბოლოს და ბოლოს კარი გაიღო. ნახევრად მძინარე მოხუცმა ძლივს მოაღწია ჩვენამდე. ფრანცის ამბავი რომ გაიგო, აწრიალდა და გვიყვირის: „რატომ არავინ შემატყობინა?!“

„გაბმულად ვრეკავდით. სიარული კი არავის შეგვიძლია.“

ძლიერი სისხლდენა ჰქონდა და გადასახვევად წაიყვანეს. დილას მის სახეს ვუყურებთ, წაწვეტებული და ყვითელი გაუხდა, წინა საღამოს თითქმის ჯანმრთელი იყო. მედდა ახლა უფრო ხშირად გვაკითხავს.

* * *

ხანდახან წითელი ჯვრის მედდები მოდიან დასახმარებლად. ძალიან კეთილგანწყობილნი არიან, მაგრამ გამოცდილება აკლიათ და საკაციდან საწოლზე გადაყვანა ჩვენთვის მეტისმეტად მტკივ-ნეულია. ეს საოცრად აშინებთ და მათი შიში ჩვენთვის კიდევ უფრო მტკივნეულია.

მონაზვნებს უფრო ვენდობით. კარგად იციან, როგორ უნდა მოკიდონ დაჭრილს ხელი, მაგრამ სასიამოვნო იქნებოდა, რომ ოდნავ უფრო მხიარულები იყვნენ. ზოგიერთს დიდებული იუმორი აქვს. რომელი ჩვენგანი ეტყოდა არაჩვეულებრივ და ლიბერტინას რაიმეზე უარს, რომელიც შორიდან გამოჩენისთანავე განსაკუთრებულ განწყობას ქმნის ფლიგელში. ასეთები აქ ბევრნი არიან. მისთვის ცეცხლშიც სიამოვნებით შევვარდებოდით. არა, ჩივილის საფუძველი არ გვაქვს. მონაზვნები ისე

გვეპყრობიან, როგორც სამოქალაქო პირებს. საგარნიზონო ლაზარეთი, ამასთან შედარებით, ისეთი კოშმარია, რომ შიში გვიპყრობს.

ფრანც ვეხტერი ვეღარ გამოკეთდა. წაიყვანეს და აღარ მოუყვანიათ! იოზეფ ჰამახერი ასეთ რამეებში გარკვეულია: „ვეღარც ვნახავთ. ალბათ მკვდრების ოთახში ჩაიყვანეს.“

„რა მკვდრების ოთახი?“ - ეკითხება კროპი.

„ანუ სიკვდილის ოთახში.“

„ეგ რაღაა?“

„პატარა ოთახში, ფლიგელის კუთხეში. ვინც სიკვდილის პირ-ზეა, იქ მიჰყავთ. მარტო ორი საწოლი დგას. „სიკვდილის ოთახს“ ეძახიან.“

„რატომ იქცევიან ასე?“

„ნაკლები წვალებაა და უფრო მოხერხებულია. ოთახი ლიფტის გვერდზეა, რომლითაც მორგში ადიან. შეიძლება იმიტომაც, რომ პალატაში არ მოკვდეს, სხვების დასანახად. თან, როცა მარტო წევს, მიხედვაც უფრო ადვილია.“

„და მისთვის? მისთვის როგორია ეს?“

იოზეფი მხრებს იჩეჩავს.

„ვინც იქ ხვდება, უკვე ვეღარც გრძნობს, რას უშვრებიან.“

„ყველამ იცის ეს ამბავი?“

„ვისაც დიდხანს უწევს აქ ყოფნა, რა თქმა უნდა, იცის.“

* * *

სადილის შემდეგ ფრანც ვეხტერის საწოლზე ახალ დაჭრილს ათავსებენ. რამდენიმე დღის შემდეგ ისიც გაჰყავთ. იოზეფი ხელით გვანიშნებს, კიდევ ბევრს ვნახავთ მოსულს და წასულსო.

დაჭრილების საწოლთან ხშირად სხედან ახლობლები და ტი-რიან, ან ჩუმად და მორცხვად ლაპარაკობენ. ერთ მოხუც ქალს არაფრით არ უნდა წასვლა, მაგრამ ღამით აქ არავინ დატოვებს. მეორე დღეს დილაადრიანად ისევ მოდის, მაგრამ კიდევ უფრო ადრე უნდა მოსულიყო, რადგან საწოლზე უკვე სხვა წევს. მას მორგში ეპატიჟებიან. ჩვენ ვაშლებს გვიტოვებს, სხვისთვის მოტანილს.

პატარა პეტერიც ცუდად არის. მისი სიცხის დაფა შემაშფოთებლად გამოიყურება. ერთ დღეს მის საწოლთან პატარა ეტლი მოაგორეს. „საით?“ - კითხულობს ის. „გადასახვევად, დარბაზში.“ ლოგინიდან აჰყავთ, მაგრამ მედდა შეცდომას უშვებს: საკიდიდან მის ქურთუკს ხსნის და ურიკაზე დებს, მერე ზედმეტად რომ არ

გაისარჯოს. პეტერი იმწამსვე ხვდება და ეტლიდან გადმოგორებას ცდილობს. „აქ დავრჩები!“ - ყვირის ის, მაგრამ აიძულებენ, რომ ისევ დაწვეს. თავისი გახვრეტილი ფილტვით განაგრძობს ყვირილს: „არ მინდა სიკვდილის ოთახში!“

„მხოლოდ გადასახვევად მიგვყავხარ!“ „ჩემი ქურთუკი რაღაში გჭირდებათ?“ ლაპარაკი აღარ შეუძლია. ხმაჩახლეჩილი, აღელვებული, ჩურჩულებს: „აქ დამტოვეთ!“

აღარ პასუხობენ და გარეთ მიაგორებენ. კართან ცდილობს, რომ წამოდგეს; შავი, ხუჭუჭა თავი უკანკალებს და თვალები ცრემლებით აქვს სავსე. „მე ისევ მოვალ, მე ისევ მოვალ,“ - იმეორებს ის. კარი იხურება. ჩვენ აღელვებულები ვართ, მაგრამ ხმას ვერ ვიღებთ. ბოლოს იოზეფი ამბობს: „ასეთი რამ ბევრჯერ მოგვისმენია; მაგრამ იქ თუ მოხვდები, საქმე დამთავრებულია!“

* * *

ოპერაცია გამიკეთეს და ორი დღე გული მერევა. ჩემს ძვლებს შეხორცება არ სურთ. ჩვენი განყოფილებიდან ერთ-ერთს არასწორად შეუხორცდა და ამიტომ თავიდან მოუხდათ გატეხვა. მძი-მედ ასატანი რამ არის! შემომატებულთა შორის ორი ახალგაზრდა სალდათია, რომელთაც ბრტყელტერფიანობა აწუხებთ. ექიმმა შემოვლისას შეამჩნია და მხიარულ გუნებაზე დადგა.

„ამას ადვილად მოგაშორებთ, პატარა ოპერაცია დაგჭირდებათ და ჯანმრთელი ფეხები გექნებათ,“ - შემდეგ მედდას სასწრაფოდ ჩააწერინა მათი სახელები. როგორც კი მიიმალა, იოზეფი, რომელ-იც ყველაფერში გარკვეულია, ბიჭებს მიუბრუნდა და სამედიცინო ლექცია წაუკითხა: „ოპერაციაზე არაფრით დათანხმდეთ! ამ ჩვენს მოხუცს მეცნიერულ ექსპერიმენტებზე აქვს გართულება და უნდა, საამისოდ ხელში ჩაიგდოს ვინმე. ბრტყელტერფიანობას, იცოდეთ, თქვენს ფეხებს გადააყოლებს. ფეხები საერთოდ მოგეღრიცებათ. მთელი ცხოვრება ჯოხით ივლით.“

- ახლა როგორ მოვიქცეთ? - ეკითხება ერთ-ერთი მათგანი.

- არ დათანხმდეთ და უარი განაცხადეთ! თქვენ აქ ჭრილობების სამკურნალოდ მოგიყვანეს და არა ბრტყელტერფიანობის გამო. ფრონტზე როგორი ფეხები გქონდათ? აა, გასაგებია! ახლა სიარული შეგიძლიათ, მაგის დანა კი ხეიბრებს გაგხდით. საცდელი კურდღლები დასჭირდა?! ექიმებისთვის ომი დიდებული დროა, ქვემო განყოფილებაში ჩაიხედეთ, იქ ათობით ადამიანი დაფოფხავს და დაცოცავს მაგის ოპერაციით გაბედნიერებული. უკეთესად არც ერთი არ დადის, პირიქით, უარესად დადიან. უმეტესობას თაბაშირში აქვს ფეხი. ყოველ ნახევარ წელიწადში ისევ საოპერაციოში მიათრევს და ძვლებს თავიდან უტეხავს; ყოველ ჯერზე უმტკიცებს, რომ ოპერაციამ ამჯერად წარმატებით ჩაიარა. კარგად დაფიქრდით, თქვენი თანხმობის გარეშე გაკეთების უფლება არა აქვს.

- ეჰ, მეგობარო, - ამბობს ერთ-ერთი დაღლილი სახით, - ჯობს, ფეხები გავწიროთ, ვიდრე თავი. წინასწარ ვერავინ იტყვის, სად მოხვდება ტყვია, როცა ისევ იქ ამოჰყოფს თავს. რაც უნდა, ის გამიკეთონ, ოღონდ სახლში მოვხვდე.

კოჭლობა ნაღდად სჯობს სიკვდილს.

მეგობარიც ეთანხმება.

მომდევნო დილას მოხუცმა ახალგაზრდები ქვევით ჩააყვანინა. იქ გამალებით ცდილობს მათ დაყოლიებას და თან ისე უყვირის, რომ იძულებული არიან, დაეთანხმონ.

ჩვენ რა შეგვიძლია? - ისინი უბრალო ჯარისკაცები არიან და ეს კი - ყოვლისშემძლე ლომი. გარკვეული დროის შემდეგ თაბაშირში ჩასმულები და ქლოროფორმით გაჟღენთილები უკან ამოჰყავთ.

* * *

ალბერტის მდგომარეობა დამძიმდა. გაიყვანეს და ამპუტაცია გაუკეთეს. ფეხი მუხლის ზემოთ გადაჭრეს. ოპერაციის შემდეგ თითქმის აღარ ლაპარაკობს, ერთხელ წამოსცდა, რომ თუ თავის რევოლვერს როგორმე მისწვდება, აუცილებლად თავს მოიკლავს.

დაჭრილების ახალი ნაკადი მოდის. ჩვენს ოთახში ორი ბრმა შემოჰყავთ. ერთ-ერთი ახალგაზრდა მუსიკოსია. მედდები დანას უმალავენ, როდესაც საჭმელს აწვდიან: ერთხელ უკვე მოახერხა დანის წართმევა, მაგრამ მიუხედავად სიფრთხილისა, უბედურება მაინც ვერ აირიდეს. საღამოს, მორიგი ჭამის დროს, მედდას ვიღაცამ დაუძახა და თეფში თავისი ჩანგლით მაგიდაზე ჩამოდო. ეს კი როგორღაც დასწვდა ჩანგალს და შიგ გულში ჩაირტყა, შემდეგ ფეხსაცმელი აიღო და ჩანგლის ტარს მთელი ძალით დაუწყო რტყმა. ჩვენ დამხმარეს მოვუხმეთ. სამმა კაცმა ძლივს ამოგლიჯა და წაართვა ჩანგალი. ჩანგლის კბილანები უკვე ღრმად იყო ჩასული. მთელი ღამე გვლანძღა და თვალი არ მოგვახუჭინა. დილით კი ნერვული შეტევა დაემართა.

საწოლები ისევ დაცარიელდა. დღეები ტკივილსა და შიშში, კვნესასა და ხრიალში მიქრიან. სიკვდილის ოთახებიც აღარაა საკმარისი, დაჭრილები უკვე პალატებში ლევენ სულს. სიკვდილი ჩვენი მედდების წინდახედულებასაც უსწრებს. მაგრამ ერთ დღეს კარი ფართოდ გაიღო და პეტერი დავინახეთ, ფერმკრთალი და დაწვრილებული, საკაცეზე წამომჯდარი, ხუჭუჭა, გაწეწილი თმებით. მედდა ალბერტინამ გაბრწყინებული სახით მიაგორა თავის ლოგინთან და ისიც გამარჯვებული სახით შემოგვცქერის. დიდ-ხანს მივიჩნევდით მკვდრად, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, სიკვდილის ოთახიდან გამოაღწია. ის ოთახს ათვალიერებს და ამბობს: „აბა, რას იტყვით ახლა?“ და იოზეფიც იძულებულია, აღიაროს, რომ ასეთი რამის მომსწრე პირველად გახდა.

* * *

უფლებას გვაძლევენ, ნელ-ნელა წამოვდგეთ ფეხზე. მეც ყავარჯნები მომცეს და შემიძლია აქეთ-იქით ვიხტუნო, მაგრამ ნაკლებად ვიყენებ; ძირითადად ალბერტზე ვზრუნავ და მის გა-მომეტყველებას ვეღარ ვუძლებ, განსაკუთრებით, როცა ოთახში ვმოძრაობ. უცნაურად მაყოლებს თვალს. ზოგჯერ, მის მზერას რომ ავცდე, დერეფანში ვიპარები, იქ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ვთავისუფლდები. ერთი სართულით ქვემოთ მუცელში, ზურგში, თავში ტყვიამოხვედრილები და ისინი წვანან, ვისაც ორივე ფე-ხის ამპუტაცია გაუკეთდა; მარჯვენა ფლიგელში - ყბა-ცხვირ-ყურ-კისერში დაჭრილები, ასევე, გაზით მოწამლულები; მარცხენა ფლიგელი კი დაბრმავებულებს, ფილტვებში, მენჯში, ყვერებ-ში, მუცელში ტყვიამოხვედრილებს ეთმობა. მხოლოდ აქ ხდება თვალსაჩინო, რამდენად ფაქიზია ადამიანის სხეული.

ორი ადამიანი ტრავმული ტეტანუსით გარდაიცვალა. კანი ნაცრისფერი გაუხდათ, კიდურები გაუშეშდათ და მხოლოდ თვალებში უკრთოდათ სიცოცხლის ნაპერწკალი საკმაოდ დიდხანს. ზოგს ხელი ან ფეხი აქვს გადატეხილი და ჰაერში, სახრჩობელაზე დაკიდებულს ჩამოჰგავს. ჭრილობას ქვემოთ ჯამი აქვს შედგმული და შიგ ჩირქი ჩამოდის წვეთ-წვეთად. ჯამებს ყოველ ორ ან სამ საათში ცლიან. სხვებს, საწოლზე გასაჭიმად, ბოლოში მძიმე საწონები აქვთ მიმაგრებული. ვხედავ დაჭრილების ნაწლავებს, რომლებშიც მუდმივად გროვდება განავალი. ექიმი რენტგენის სურათებზე წვრილ ნამსხვრევებად ქცეულ თეძოს ძვლებს, მუხლებს და მხრებს მიჩვენებს. წარმოუდგენელია, რომ ამ ნაფლეთებზე ადამიანის სახეა მიბმული, რომელიც ყოველდღიური ცხოვრებით განაგრძობს არსებობას. თანაც, ეს მხოლოდ ერთი ლაზარეთია, ერთი მცირე ნაწილი იმისა, რაც ათასობით ადგილზეა გაბნეული გერმანიაში, საფრანგეთსა და რუსეთში. თუკი ასეთი რამ დასაშვებია, რა უაზრობად ჩანს ყველაფერი, რაც თქმულა, გაკეთებულა და დაწერილა!

რამდენად ყალბი და უმაქნისია ათასწლოვანი კულტურა და ცივილიზაცია, რომელიც ვერ აჩერებს სისხლის მომძლავრებულ ნაკადს და, შესაბამისად, ამგვარი წამების დაწესებულებების რიც-ხვიც იზრდება, მხოლოდ ლაზარეთში ხედავ ნათლად, რა არის ომი.

მე ახალგაზრდა ვარ, ოცი წლის, მაგრამ ამ ცხოვრების შესახებ არაფერი ვიცი, გარდა სასოწარკვეთის, სიკვდილისა და შიშისა, უმიზნო და უაზრო არსებობის გრძელი ჯაჭვით და გაუთავებელი ტანჯვით.

ვხედავ, როგორ აქეზებენ ხალხს ერთმანეთის წინააღმდეგ, რო-გორ მიდიან მდუმარედ, გაუცნობიერებლად, მორჩილად, გაუაზრებლად და უდანაშაულოდ სასაკლაოზე, უხილავი ნების აღსასრულებლად.

კაცობრიობის ნიჭიერი ნაწილი იგონებს იარაღს და ცდილობს, კოშმარი გააგრძელოს. თან ოსტატურად პოულობს სიტყვებს ამ ქმედების გასამართლებლად.

ნებისმიერი ეროვნების ჩემი ასაკის ახალგაზრდობა მთელ მსოფლიოში გადის ამ ეკლიან გზას, თვალნათლივ ხედავს და გრძნობს ყველაფერს. რას გვიპასუხებენ ჩვენი მამები, თუ ერთხელ მკვდრეთით აღვდგებით და პასუხს მოვთხოვთ? რას ელიან ჩვენგან, თუ მოვა ის დრო, როცა ომი აღარ იქნება? წლების განმავლობაში ჩვენი ძირითადი საქმიანობა იყო კვლა, - ეს იყო ჩვენი ყოფიერების პირველადი პროფესია. ჩვენი ცოდნა სიცოცხლის შესახებ სიკვდილითაა შემოსაზღვრული. რა უნდა მოხდეს კიდევ? და რა მოგვივა ჩვენ?

* * *

ლევანდოვსკი ჩვენს ოთახში ყველაზე უფროსია. ორმოცი წლისაა და ათი თვეა ლაზარეთში წევს, მუცლის ჭრილობით. მხოლოდ ბოლო კვირას მივიდა იმ დონემდე, რომ მოკრუნჩხულს კოჭლობით სიარული შეუძლია.

რამდენიმე დღეა, მეტისმეტად აღელვებულია: მისმა ცოლმა, რომელიც პოლონეთში პაწაწინა ბუდეში შეყუჟული, წერილი გამოუგზავნა, რომ მის მოსანახულებლად სამყოფი ფული მოუგროვებია და ჩამოსვლას აპირებს. უკვე გზაშია და დღე-დღეზე ეწვევა. ლევანდოვსკის მადა აქვს გამქრალი, გემოს შეგრძნება იმდენად დაეკარგა, რომ მას შემდეგ, რაც თავის ულუფიდან ოდნავ მოციცქნის, კომბოსტოს სოსისებს სიამოვნებით აძლევს სხვას. ოთახში გაუჩერებულად მიდი-მოდის და ასევე გაუთავებლად კითხულობს წერილს და უკითხავს ყველას. ფოსტის ბეჭედი უკვე წაიშალა და წერილი ქონიანი ნათითურებით აივსო, ვეღარც ასოების გარჩევას მოახერხებს კაცი, მაგრამ ბოლოს ხდება ის, რაც მოსალოდნელი იყო: ლევანდოვსკის სიცხე უწევს და აუცილებლად უნდა დაწვეს.

ცოლი ორი წელია არ უნახავს. ამასობაში მან შვილიც გაუჩინა და ისიც თან მოჰყავს სანახავად. მხოლოდ იმას დარდობს, რომ წინასწარი გეგმა ჩაეფუშა: იმედი, რომ ცოლის ჩამოსვლისას გარეთ გასვლისა და გასეირნების უფლებას მისცემდნენ, არ გამართლდა. მონახულება სასიამოვნოა, მაგრამ ცოლი რომ ხანგრძლივი განშორების შემდეგ შეგეხმიანება, ცხადია, სხვა მრავალი სურვილიც აღგეძრება.

ლევანდოვსკი საათობით თათბირობს ჩვენთან, რადგან ფრონტზე ამ სფეროში საიდუმლოებები არ არსებობს. ამაში ვერავინ ხედავს რაიმე ცუდს. ვინც უკვე ახერხებს გარეთ გასვლას, დაუსახელა კიდეც უნაკლო, მყუდრო ადგილები ბაღებსა და პარკებში, სადაც არავინ შეაწუხებთ, ერთმა კი საერთოდ ოთახიც კი მიასწავლა ასეთი შემთხვევისათვის, მაგრამ საშველი მაინც არ არის: ლევანდოვსკის მოულოდნელი საზრუნავისგან სიცხემ აუწია და ლოგინში წევს. რა აზრი აქვს სიცოცხლეს, თუ ასეთ შემთხვევას ვერ გამოიყენებ?!

ყველანი ვცდილობთ, როგორმე ვანუგეშოთ და ერთხმად ვპირდებით, რომ რაღაცას გავახერხებთ.

ცოლი მეორე დღეს, ნაშუადღევს გამოცხადდა. პატარა, გამხდარი არსება, შეშინებული ჩიტის დამფრთხალი თვალებით. ბაფთებიან და მრავალნაოჭიან შავ მანტიაშია გამოწყობილი. ღმერთო ჩემო! ნეტავ რა მემკვიდრეობით ერგო ეს საოცარი სამოსი?!

ქალი მორცხვად დგას კარში და ჩუმად ლუღლუღებს, ეტყობა, ექვსი კაცის ერთად დანახვამ შეაშინა.

ლევანდოვსკის ადამის ვაშლი აუთამაშდა.

„შემოდი, მარია, ნუ გეშინია. ესენი არაფერს დაგიშავებენ!“

ქალმა ოთახს შემოუარა და თითოეულ ჩვენგანს ჩამოართვა ხელი. შემდეგ ბავშვი გვიჩვენა, რომელსაც ამასობაში ჩაესვარა. მაგრამ ქალს ასეთი შემთხვევისთვის მარგალიტებით მოკაზმული ჩანთა წამოუღია, სადაც ბავშვის საფენები უდევს, სასწრაფოდ ამოაქვს ისინი და ბავშვს სუფთად ახვევს.

მორიდების პირველი საფეხური გადაილახა და ცოლ-ქმარმა საუბარი წამოიწყო. ლევანდოვსკის მოუსვენრობა ეტყობა და თავისი დაყვლეპილი თვალებით წამდაუწუმ ჩვენკენ იყურება ალმაცერად. დრო ხელსაყრელია: ექიმების შემოვლა დამთავრდა და მხოლოდ ერთი ექთანი თუ შემოიხედავს დროდადრო. ჩვენგან ერთ-ერთი დერეფანში გადის, ვითარების დასაზვერად. მალე უკან ბრუნდება და ლევანდოვსკის ეუბნება: „კაციშვილი არ ჩანს, მიდი, იოჰან! იმოქმედე და უთხარი შენს ცოლს, რაშია საქმე.“

ისინი თავის ენაზე, პოლონურად საუბრობენ. ქალს ლოყები აეფაკლა და მორცხვად იყურება. ჩვენ კი კეთილად ვუღიმით და ხელის აქნევით ვაგებინებთ, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია და სასირცხვილო არაფერია!

ეშმაკმა წაიღოს ყველა ცრუ შეხედულება, ყველაფერი ხომ დროებითია! წევს იოჰან ლევანდოვსკი, დურგალი, ჯარისკაცი, რომელიც ტყვიამ ინვალიდად აქცია და აქვეა მისი ცოლიც, ვინ იცის, როდის შეხვდებიან კიდევ ერთმანეთს? მათ ერთმანეთი სურთ და უნდა აისრულონ წადილი, მორჩა და გათავდა!

ორი კაცი კარში დგება სადარაჯოზე, რათა ექთნები შეაჩერონ, თუ შემთხვევით გამოვლას დააპირებენ და რამეთი დაასაქმონ. თხუთმეტი წუთი ეძლევათ იმისთვის, რომ საგუშაგოზე იდგნენ.

ლევანდოვსკის მხოლოდ ერთ გვერდზე შეუძლია წოლა, ამიტომ დანარჩენები ცდილობენ, რომ ზურგში ბალიშები ამოუდონ. ბავშვი ალბერტს დააკავებინეს ხელში, შემდეგ ზურგით ვტრიალდებით და ამასობაში შავი მანტია საბნის ქვეშ ქრება. ჩვენ კი ხმაურით და ათასგვარი ხუმრობით სკატის თამაშში ვიძირებით.

ყველაფერი რიგზეა. მე მხოლოდ ჯვრები დამიგროვდა და ისინი წრეზე მიდიან, გამოძრომას მაინც ვახერხებ. ასე რომ, ლევანდოვსკი საერთოდ აღარ მახსოვს. ცოტა ხანში ჩვილი აღრიალდა, ალბერტი კი მთელი ძალით არწევს და მის დაწყნარებას ცდილობს, შემდეგ შარიშური გაისმის და, როდესაც ვიხედებით, ბავშვი, საწოვარიანი ბოთლით, უკვე დედას ჰყავს კალთაში.

მოკლედ, ყველაფერი უმტკივნეულოდ გვარდება.

თავს ერთ დიდ ოჯახში ვგრძნობთ, ქალიც გამოცოცხლდა და ლევანდოვსკი გაოფლილი და გაბადრული წევს. მისი ცოლი მოქარგულ ჩანთას ხსნის და იქიდან საუკეთესო ძეხვი ამოაქვს. დანა ყვავილების თაიგულივით უჭირავს ხელში და ძეხვის დაჭრას იწყებს. იოჰანი ფართო ხელით ქალს ჩვენკენ უთითებს. ეს გამხდარი, კარგ ხასიათზე მოსული ქალი უკვე კოხტაც კი გვეჩვენება; ძეხვის ნაჭრებს სათითაოდ გვაწოდებს და ჩვენ „დედიკო“-თი მივმართავთ, ისიც გულმოდგინედ გვიფუებს და გვისწორებს ბალიშებს და საწოლს.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ სამკურნალო ვარჯიშებზე ვიწყებ სიარულს. საფენები უკვე დოლბანდისა კი აღარაა, არამედ თეთრი, გოფრირებული ქაღალდის, - გადასახვევი მასალის ფრონტზე შემოტანა საკმაოდ გაძნელდა. ფეხს მაგრად მიმაგრებენ პედალზე და ამოძრავებენ. მკლავი კარგა ხანია მომირჩა.

ფრონტიდან ახალი ხალხი მოჰყავთ.

ალბერტის ფეხი კარგად ხორცდება: ჭრილობა თითქმის დაიხურა. რამდენიმე კვირაში საპროთეზოში გადაიყვანენ. ის ძალიან სიტყვაძუნწი და ბევრად სერიოზული გახდა, ვიდრე წინათ. საუბრისას ხშირად ითიშება და ჩაფიქრებული ერთ წერტილს აშტერდება. ჩვენთან ერთად რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად თავს მოიკლავდა. უმძიმესი სულიერი მდგომარეობიდან უკვე გამოვიდა და ხანდახან სკატის თამაშსაც კი ადევნებს თვალს.

გაწერის შემდეგ შვებულებაში მიშვებენ დასასვენებლად.

დედას ჩემთან განშორება აღარ სურს, მას სული ძლივს უდგას, გაცილებით უფრო მისუსტებულია, ვიდრე მაშინ, უკანასკნელად რომ ვნახე. ამის შემდეგ ისევ პოლკში მიწვევენ და ფრონტზე მივემგზავრები.

ჩემს მეგობარ ალბერტ კროპთან დამშვიდობება მეტად მძიმეა, მაგრამ ჯარში ყველაფერს ეჩვევი.

კვირებს აღარ ვითვლით. როცა ჩამოვედი, ზამთარი იყო და ჭურვის ყოველ დარტყმაზე მიწის გაყინული გუნდები ისეთივე საშიში გახდნენ, როგორც ნამსხვრევები. ახლა ხეები ისევ მწვანეა. ჩვენი ცხოვრება ფრონტს და ბარაკებს შორის მონაცვლეობს, ნაწილობრივ შევეჩვიეთ იმ აზრსაც, რომ სასიკვდილო შემთხვევა იგივეა, რაც მოურჩენელი ავადმყოფობა: კიბო, ტუბერკულოზი, გრიპი ან დიზენტერია. მაგრამ სიკვდილის შემთხვევები ფრონტზე გაცილებით ხშირია, სიკვდილი ადამიანს სხვადასხვაგვარად ევლინება და თან საზარელი სახით.

ჩვენი ფიქრები თიხის მასად იქცა, რომელიც დღითიდღე იზრდება. როცა ვისვენებთ, მაინც კარგზე ვფიქრობთ, მაგრამ ცეცხლი ყველაფერს წვავს და სპობს. ჩვენი სული და გონება ისევეა გადათხრილი, როგორც ირგვლივ მთელი ეს მიდამო.

დღეს ყველა ასე ცხოვრობს, არამცთუ ჩვენ; წარსულმა აზრი დაკარგა და ადამიანებს ის აუცილებლად მიავიწყდებათ. განსხვავება, რომელიც განათლებით და აღზრდით განისაზღვრებოდა, ძლივსღა შეიცნობა და თითქმის წაიშალა. დროდადრო მხოლოდ ის უპირატესობა თუ იგრძნობა, რომ სხვებზე უკეთ ერკვევი ვითარებაში, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, თავისი ჩრდილოვანი მხა-რეც სდევს თან. იწვევს შემაფერხებელ თავშეკავებას, რომელიც აუცილებლად უნდა დაძლიო. ეს ისეთი რამ არის, თითქოს ჩვენ წინათ, შორეულ წარულში, სხვადასხვა ქვეყნის მონეტების სახით ვარსებობდით, შემდეგ გადაგვადნეს და ერთნაირად დაგვტვიფრეს. თუ ეცდები, ისინი ერთმანეთისგან განასხვავო, გულმოდგინედ უნდა შეამოწმო მასალა, რისგანაც არის ჩამოსხმული. პირველ რიგში, ჩვენ ჯარისკაცები ვართ, მხოლოდ მოგვიანებით, უცნაურად და მორცხვად, შესაძლებელია, რომ ცალკეულ ადამიანად ვიქცეთ.

ეს ერთი დიდი საძმოა, რომელსაც შარავანდედით მოსავს ხალხში მოარული სიმღერები მეგობრობაზე, ტყვეთა სოლიდარობაზე და სასოწარკვეთილ სიკვდილმისჯილთა ერთიანობაზე. ჩვენ იმ ცხოვრების შვილები ვართ, რომლითაც ვცხოვრობთ - არსებობის განსაკუთრებული ფორმით: სიკვდილის შიშით, დარჩენილი საათების ათვლით, რომელსაც პათეტიკურობის ნატამალიც არ გააჩნია. თუ შეაფასებ, გმირულიც არის და ბანალურიც, მაგრამ ვის სურს ეს?

ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი თიადენია: როდესაც მტრის შეტევა შეგვატყობინეს, ის ჩქარა-ჩქარა ხვრეპდა ქონითა და ბარდით შეზავებულ წვნიანს. არ იცოდა, რა ელოდა, ერთ საათში იქნებ ცოცხალი აღარც იყოს! შემდგომში ბევრჯერ გვიმსჯელია, სწორი იყო თუ არა მისი მოქმედება. კატი ამას სამართლიანად მიიჩნევს შეცდომად, რადგან ტყვია სავსე მუცელში გაცილებით სახიფათოა, ვიდრე ცარიელში.

ამგვარი პრობლემები ხშირად წამოიჭრება ხოლმე, ისინი ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია და არც შეიძლება, სხვაგვარად იყოს. სიკვდილის საზღვარს მარტივი ხაზი გასდევს, რომელიც საჭიროების მიხედვით განისაზღვრება, დანარჩენი კი ყრუ

ძილშია ჩაძირული, სწორედ პრიმიტიულობაა გადარჩენის მთავარი წინაპირობა. უფრო რთული არსებები რომ ვიყოთ, ამ ხნის მანძილზე გავგიჟდებოდით ან დეზერტირები გავხდებოდით, ან სულაც დიდი ხნის მკვდრები ვიქნებოდით. თითქოს ყინულოვანი მთის დასაპყრობ ექსპედიციაში ვართ, სიცოცხლის ყოველგვარი გამოხატულება ჩვენს ყოფნა-არყოფნაზე უნდა იყოს კონცენტრირებული. გარდა ამისა, ყველაფერი გვერდზე უნდა მოისროლო, ენერგია უქმად რომ არ გაფლანგო. ეს არის გადარჩენის ერთადერთი გზა.

დროებითი მიყუჩების ჟამს წარსული შემახსენებს ხოლმე თავს. ჩემი ახლანდელი ყოფა მისი კონტურებისაგან დაშორებული ძვე-ლი ანარეკლივით არის. მიკვირს, ძალიან მიკვირს, რომ ძალამ, სახელად „სიცოცხლემ," შემაძლებინა არსებობის ახალ ფორმასთან შეგუება. ის მაინც ფხიზლად დგას სადარაჯოზე, სიკვდილის მუქარის წინააღმდეგ.

დანარჩენს ღრმა ძილით სძინავს ჩემში.

მოაზროვნე ცხოველებად ვიქეცით, რათა ინსტინქტით შევიარაღდეთ. სწორედ ინსტინქტმა დააჩლუნგა დანარჩენი გრძნობები ჩვენში, რომ კოშმარს არ შევეწიროთ. მან მეგობრობის გრძნობა გაგვიღვივა და მარტოობის უფსკრულიდან ამოგვათრია. ველურების გულგრილობა შეგვძინა, ნათელი წუთებით ტკბობის უნარი რომ შეგვრჩენოდა, ყველაფრის მიუხედავად, როგორც დამცველი ფარი მომაკვდინებელი სიცარიელისგან.

ჩვენი ყოფა საკუთარ თავშია ჩაკეტილი, ის სიცოცხლის ზედაპირზე მოედინება და სხივს იშვიათად, მხოლოდ მოვლენის სახით შეუძლია შიგ შეღწევა. აი, მაშინ იფეთქებს სულის სიღრმიდან მძიმე და გაუსაძლისი ნაღველი.

ეს საშინელი წამებია, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ შეგუება ხელოვნურია, ეს მხოლოდ შინაგანი ძალისხმევაა სიმშვიდის მოსაპოვებლად. ჩვენი არსებობის გარეგნული ფორმები ბუშმენებისას ჰგავს, მაგრამ ეს მათთვის ცხოვრების ჩვეული წესია, ბუნებამ ასეთებად შექმნა. სულიერი ძალების კონცენტრაცია მათ განვითარებას უწყობს ხელს, ჩვენი საქმე კი სხვაგვარად არის, შინაგანი ძალების დაძაბვა ჩვენს უკუსვლას ემსახურება და არა წინსვლას. მათთვის რამდენადაც ბუნებრივია ეს, იმდენად უჩვეულოა ჩვენთვის და საკუთარ თავზე უდიდეს წნეხს გულისხმობს.

ღამით ზმანებები გვეძალება და გაღვიძებისას კარგა ხანი მათ ტყვეობაში ვართ. შემდეგ კი, შეძრწუნებულები ვგრძნობთ, რა მოჩვენებითი და მყიფეა საზღვარი ჩვენსა და წყვდიადს შორის. ცეცხლის პატარა ენები ვართ, რომელთაც განადგურების და სიგიჟის ქარიშხლისაგან მყიფე კლდეები გვიცავს და ძლივს ვბჟუტავთ იმის შიშით, რომ სამუდამოდ ჩავქრებით, განსაკუთრებით, თუ ბრძოლა გამაყრუებელ, ულმობელ რკალად იკვრება ჩვენ გარშემო. პაწაწა გუნდად საკუთარ თავში შემძვრალნი, ღამის

წყვდიადს დაჭყეტილი თვალებით შევცქერით და შემდეგი დილის მოლოდინში მხოლოდ მძინარე მეგობრების სუნთქვა გვამშვიდებს.

* * *

ყოველი დღე, ყოველი საათი, ყოველი ჭურვი და ყოველი მოკლული ძირს უთხრის ისედაც მყიფე საყრდენს, რომელიც წლების განმავლობაში ნელ-ნელა ინგრევა. ვატყობ, რომ უკვე დანგრევის პირასაა და სადაც არის ჩამოიშლება.

აი, თუნდაც დეთერინგთან დაკავშირებული სულელური ისტორია. ის იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელ-თაც თავი ყოველთვის განზე უჭირავთ. დაღუპა ალუბლის ხემ, რომელიც ერთხელ ბაღში დაინახა. წინა ხაზიდან ახალ ადგილზე ვბრუნდებოდით და ჩვენ წინ, მოსახვევში ეს ხე ალიონის მკრთალ შუქზე გასაოცრად ანათებდა, ფოთლების გარეშე, მხოლოდ ხასხასა თეთრი ყვავილებით შემკული.

საღამოს დეთერინგი გაქრა. მოგვიანებით კი, ხელში ალუბლის ყვავილებიანი ტოტებით, ბარაკში დაბრუნდა.

ამ ამბავმა ძალიან გაგვამხიარულა და ხუმრობით ვკითხეთ, საცოლის მონახულება ხომ არ გადაწყვიტა. პასუხი არ გაგვცა და ლოგინზე დაწვა. ღამე მისი წრიალი მომესმა და მომეჩვენა, რომ თავის ტომარას კრავდა: იმწამსვე ვიყნოსე, რომ საქმე ცუდად იყო და მივუახლოვდი. თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი ხდებოდა; აღელვებულმა ვუთხარი:

„დეთერინგ, სისულელეს თავი დაანებე!“

„თავი დამანებე, უბრალოდ არ მეძინება!“...

„ყვავილები რისთვის მოიტანე?“

„არ შეიძლება, რომ ყვავილები მოვიტანო?!“ - გაბრაზებით შემომიღრინა და მოკლე დუმილის შემდეგ დააყოლა:

„სახლში ალუბლის დიდი ბაღი მაქვს. ყვავილობის დროს თივის ზვინიდან რომ გადმოხედო, ისე არის გადათეთრებული, გეგონება, თეთრი ზეწარი გააფინესო. სწორედ ახლაა ყვავილობის დრო.“

„იქნებ შვებულებაში გაგიშვან მალე, ან ზაფხულში მიგავლინონ, შენ ხომ დიდი მეურნეობა გაქვს.“

თავი დამიქნია, მაგრამ ვგრძნობდი, რომ გონებით სხვაგან დაქროდა. თუ გლეხების მტკივნეულ ადგილს შეეხები, უცნაური გამომეტყველება უჩნდებათ, ძროხისა და სევდის ღმერთის ნარევი, ერთი მხრივ, სულელური და, მეორე მხრივ, ამაღელვებელი.

ვცდილობდი, მისი ყურადღება სხვა რამეზე გადამეტანა და ერთი ნაჭერი პური ვთხოვე. უყოყმანოდ მომცა. საეჭვოდ მომეჩვენა, რადგან საკმაოდ ხელმომჭირნე იყო. იმ ღამემ წყნარად ჩაირა, ეტყობა მიხვდა, რომ თვალყურს ვადევნებდი, მაგრამ მომდევნო დილას მაინც გაქრა. ფრთხილად ვიქცეოდი და საშუალებას ვაძლევდი, რომ დრო მოეგო. ვინ იცის, იქნებ მოახერხოს გაძრომა?! ბევრი შემთხვევა იყო, როცა ჰოლანდიაში გაპარვა შეძლეს.

მაგრამ სიის ამოკითხვისას, თავში ხელი იცეს, ერთი კვირის შემდეგ კი შევიტყვეთ, რომ საველე ჟანდარმებმა დააკავეს, ან არმიის პოლიციამ, რომელიც ყველას ჭირის დღესავით ეზიზღება. გეზი გერმანიისკენ აუღია, - ეს, რასაკვირველია, უპერსპექტივო რამე იყო, - და, ასევე, ცხადიც, რომ ყველაფერი სულელურად წამოიწყო. გასაგებია, რომ გაქცევა სახლის მონატრებით და ტვინის წუთიერი არევით ხდება ხოლმე, მაგრამ არმიის იურისტებს, რომლებიც ფრონტის ხაზიდან მოშორებით სხედან, ამის არაფერი გაეგებათ.

ამ შემთხვევის შემდეგ დეთერინგის შესახებ აღარაფერი გვსმე-ნია.

* * *

სხვაგვარადაც იფეთქებს ხოლმე გულში დაგუბებული გრძნობა, გადახურებული ორთქლის ქვაბის მსგავსად. ამისთვის აუცილებელია იმის მოყოლა, თუ როგორ დაიღუპა ბერგერი.

უკვე დიდი ხანია, რაც ჩვენი სანგრები ჭურვებმა გადათხარეს. ფრონტის ხაზი დაირღვა გახდა და პოზიციურ ომს შევეშვით. ზღვის ტალღების მიმოქცევასავით მონაცვლეობს შეტევა და კონტრშეტევა; შემდეგ კი, განადგურებული სასანგრე ხაზი რჩება და გააფთრებული ბრძოლა თითოეული სანგრისთვის მიმდინარეობს.

წინა ხაზი განგრეულია, დარჩენილ სანგრებში ცალკეული ჯგუფები გამაგრებულან და იბრძვიან. ჩვენ ერთ-ერთ სანგარში ვსხედვართ, გეზად კი ინგლისელები არიან. ისინი ჩვენი ფლანგის შევიწროებას ცდილობენ და ზურგში მოგვექცნენ. ალყაში ვიმყოფებით და ადგილიდან ვერ ვიძვრით. ნისლი და ბუღი გვეფარება; რომც ჩავბარდეთ, ვერავინ მიხვდება, თუმცა ჩაბარება გვიძნელდება და არც გვსურს; ისიც არ ვიცით, ასეთ ვითარებაში რა მოვიმოქმედოთ. ხელყუმბარების ხმა გვიახლოვდება. ჩვენი ქვემეხი წინ მთელ სექტორს ასუფთავებს. გრილი წყალი ორთქლდება, თუნუქის ქილებს სასწრაფოდ გადავცემთ წრეზე და თითოეული შიგ შარდავს, ამგვარად, სითხე კვლავ მოვაგროვეთ და შეგვიძლია ცეცხლის გახსნა, მაგრამ ჩვენ უკან გრუხუნი სულ უფრო ახლოს ისმის. კიდევ რამდენიმე წუთი და დაღუპულები ვართ. მოულოდნელად სადღაც გიჟივით აკაკანდა ქვემეხი, მცირე დისტანციიდან ურტყამს, მეზობელი სანგრიდან. ის ბერგერმა მოათრია. ახლა უკან დაიწყო კონტრშეტევა, წრის გარღვევას ვახერხებთ, უკან ვიხევთ, ჩვენებს ვუერთდებით და საიმედო სანგარში ვაფარებთ თავს. ერთ-ერთი სურსათის მომწოდებელი, რომელმაც

ცოცვით მოაღწია ჩვენამდე, გვიყვება, რომ ჩვენგან ორი ნაბიჯის მოშორებით დაჭრილი ძაღლი აგდია.

„სად?“ - ეკითხება ბერგერი.

მომტანი იმ ადგილს აღწერს. ბერგერი აპირებს, რომ ძაღლი ცეცხლიდან გამოიყვანოს ან იქვე მოკლას. ნახევარი წლის წინ ამგვარი სისულელე თავშიც არ მოუვიდოდა. ჩვენ მის შეჩერებას ვცდილობთ, მაგრამ არაფერი გაგვდის. როცა გავიდა, ერთხმად აღმოგვხდა: „გაგიჟდა და ეს არის!“ და თავის ნებაზე ვუშვებთ. საფრონტო ისტერიის შეტევა ხშირად საშიში ხდება, თუკი მისი მიწაზე დანარცხება და შეკავება შეუძლებელია. თან ბერგერი მეტრი და ოთხმოცია სიმაღლეში და ჩვენი ქვედანაყოფის უღონიერესი წევრია. მართლაც შეურაცხადი გახდა, რადგან ცეცხლის კედელში გადაწყვიტა გასვლა. მაგრამ მას იმ ელვამ დაარტყა, რომელიც თითოეული ჩვენგანის თავზეა ჩასაფრებული და ჭკუა დააკარგვინა.

სიგიჟის გამოხატვა სხვადასხვაგვარია: ზოგი ბობოქრობს და გარბის; ერთი ისეთიც გვყავდა, რომელიც ხელებით და ფეხებით თხრიდა მიწას, ღრღნიდა კიდეც, რომ შიგ ჩამარხულიყო. მაგრამ სიმულირების შემთხვევებიც ბევრია, თუმცა ესეც რაღაცის მიმანიშნებელია.

ბერგერი, რომელმაც ძაღლის მოკვლა გადაწყვიტა, დამსხვრე-ული მენჯით მოიყვანეს უკან, მომყვანს კი ტყვია წვივში მოხვდა.

* * *

მიულერი მკვდარია. გამოსროლილი შუქურა-რაკეტა მუცელში მოხვდა. მხოლოდ ნახევარი საათი იცოცხლა, საღი გონებითა და საშინელი ტკივილებით. სანამ მოკვდებოდა, თავისი საფულე გადმომცა და ჩექმები, რომლებიც ქემერიხისაგან დარჩა. კარგად მომერგო და ამიტომაც მაცვია, ჩემ შემდეგ კი თიადენს შევპირდი და მას გადავულოცავ.

მიულერი გაჭირვებით დავასაფლავეთ, მაგრამ ალბათ საფლავშიც არ დააყენებენ დიდხანს. ჩვენს პოზიციებს სულ უფრო უკან აგდებენ. მტრის მხარეზე მრავალი ახალი შენაერთია, სურსათიც ბევრი აქვთ: ჩაშუშული ხორცის კონსერვები და პურის ფქვილი, თვითმფრინავიც მეტისმეტად ბევრი ჰყავთ.

ჩვენ კი დამშეულები ვართ და გავილიეთ. საკვები იმდენად ცუდია და იმდენი სუროგატით დატენილი, რომ ხშირად ვხდებით ავად. ფაბრიკანტებმა გერმანიაში ჯიბეები გაისქელეს, ჩვენ კი ფაღარათისგან ვიკრუნჩხებით, საპირფარეშოში ერთ თავისუფალ ადგილს ვერ ეღირსები, ისეა გადატენილი. იქ, ზურგში მყოფებს უნდა აჩვენონ ეს ავადმყოფური, ნაცრისფერი, ყვითელი და მორჩილი სახეები. ადამიანები, რომლებსაც ჭინთვისგან სისხლი სდით, ტკივილით იკლაკნებიან და ტუჩების კანკალით ამბობენ: „რა აზრი აქვს შარვლის აწევას?!“

ჩვენი არტილერია მიჩუმდა. საბრძოლო მასალა შემოელიათ და ლულები იმდენად მოძველებულია, რომ მიზანში ვეღარ ახვედრებენ. მათი ნასროლი ხშირად ჩვენთან ხვდება. ცხენები დაცოტავდნენ. ახალი შევსება სისხლნაკლული ყმაწვილებისაგან შედგება, რომელთაც დასვენება სჭირდებათ და ზურგჩანთების ტარება უჭირთ. ომის არაფერი ესმით, წინ მიდიან და ტყვიას უაზროდ უშვერენ თავს. ამდენად, სიკვდილის გარდა მათ არაფერი შეუძლიათ. ასეთები ათასობით არიან. ერთხელ, როდესაც მატარებლიდან გადმოსხეს და თავშესაფერზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ, მტრის თვითმფრინავმა, გართობის მიზნით, ახალწვეულთა ორი პოლკი ერთბაშად მოცელა.

- გერმანიაში მალე აღარავინ დარჩება, - ამბობს კატი.

ომის დამთავრების იმედი აღარ გვაქვს. ასეთ სიშორეზე ჩვენი ხედვა ვერ წვდება. შეიძლება ტყვია მოგხვდეს და მოკვდე, შეიძლება დაიჭრა და მაშინ უკანასკნელი ნავსაყუდელი ლაზარეთია. თუ რომელიმე კიდური ამპუტირებული არ გაქვს, ადრე თუ გვიან, ერთ-ერთი შტაბის ექიმის ხელში მოხვდები, რომელსაც კაპიტნის ჩინი და საღილეში ჯვარი აქვს სამხედრო წარმატებებისთვის. კომისიაზე მოსულს გეუბნებიან: „როგორ? ოდნავ მოკლე ფეხი? ფრონტზე სირბილი არ გჭირდებათ, თუ სათანადოდ მამაცები ხართ! ჩავწეროთ - „სამწყობრო სამსახურისთვის ვარგისია, მიბრძანდით!“

კატი გვიყვება ერთ-ერთ ანეკდოტს იმ მრავალთაგან, რომლებმაც მთელი ფრონტის ხაზი მოიარეს ვოგეზენიდან ფლანდრიამდე. ანეკდოტი სწორედ შტაბის ექიმს ეხება: დათვალიერებისას ის ჯარისკაცებს გვარის მიხედვით სათითაოდ იძახებს. ჯარისკაცი ნაბიჯს წინ დგამს, მაგრამ ექიმი ზედაც არ უყურებს და მაშინვე წერს: „სამწყობრო სამსახურისთვის ვარგისია.“ თან ამბობს: „ჩვენ იქ ჯარისკაცები გვჭირდება!“ უცებ რიგებს ხისფეხიანი კაცი გამოეყოფა. ექიმი თავის საქმიანობას განაგრძობს და თუთიყუშივით იმეორებს: „ვარგისია.“ ხისფეხა პასუხობს: „ხის ფეხი უკვე მაქვს, თუ თავი წამაცალეს, ხის თავს გავიკეთებ და შტაბის ექიმი გავხდები!“

პასუხმა დაგვაკმაყოფილა და ძალიან გაგვამხიარულა.

კარგი ექიმები ალბათ არსებობენ და თანაც მრავლად, მაგრამ ერთხელ ყოველი სალდათი გადაეყრება ისეთ ექიმს, რომელსაც ჯარში „გმირების მაძიებელი“ შეარქვეს და მისი საზრუნავი მხოლოდ ის არის, რომ ჯარისკაცთა ჩამონათვალში „ვარგისი“ აღემატებოდეს „უვარგისს.“

ჯარში ამგვარი ისტორიები და ანეკდოტები უხვადაა გავრცელებული და მათში კატის ანეკდოტზე გაცილებით მეტი სიმწარეა ჩადებული. ეს არც ამბოხის განწყობაა და არც გაბოროტება, ისინი მხოლოდ პატიოსნად არქმევენ თავის სახელს ყველაფერს. რადგან აქ ბევრია სიცრუე, უსამართლობა და უნამუსობა. განა უნამუსობა არ ჰქვია იმას, რომ პოლკები ერთმანეთის მიყოლებით სრულიად უპერსპექტივო ბრძოლაში

გადიან და შეტევას შეტევა-ზე ახორციელებენ, როდესაც ფრონტის ხაზი გაცამტვერებულია და ჩვენ კი სულ უკან ვიხევთ?

ოდესღაც ყბადაღებული ტანკები მართლა მძიმე იარაღად იქცნენ, ისინი გრძელ რიგებად მოგორავენ ჯავშანში გამოწყობილნი და ჩვენ მათ ომის კოშმარის სიმბოლოდ აღვიქვამთ.

იარაღებს, რომლებიც ცეცხლის ქარიშხალივით მძვინვარებენ, ჩვენ ვერ ვხედავთ, შემტევი ხაზის მიღმაც ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც ჩვენ. ტანკები კი მანქანებია, მათი მუხლუხა ჯაჭვები დაუსრულებლად მოძრაობენ წრეზე, როგორც თვით ომი.

ისინი განადგურების ნამდვილ იარაღს წარმოადგენენ: გრძნობადაცლილ ურჩხულს, რომელიც სანგრებში ჩაყვინთავს და დაბრკოლების გარეშე ამოყვინთავს; ჯავშნოსნების არმადას, კვამლს რომ ანთხევს; ლითონის დაუძლეველ ცხოველს, მიცვალებულს და დაჭრილს რომ ერთნაირად ამოიდებს ქვეშ. ტანკების დანახვაზე ვიკუმშებით, მათი კოლოსალური სიმძიმე ჩვენს მკლავებს ჩალის ღეროდ აქცევს, ჩვენს ხელყუმბარებს კი - ასანთის ღერად.

ჭურვები, გაზის ღრუბლები და ტანკის დივიზიები - დასახიჩრება, ხუთვა, სიკვდილი.

დიზენტერია, გრიპი, ტიფი - ტკივილები, ციებ-ცხელება, სიკ-ვდილი. სანგრები, ლაზარეთი, საძმო საფლავი - სხვა შესაძლებლობა არ არსებობს.

* * *

ერთ-ერთი შეტევისას ჩვენი ქვედანაყოფის უფროსი - ბერტინკი დაიღუპა. ნამდვილი ფრონტელი იყო, ერთ-ერთი ოფიცერი იმ დიდებულთაგან, ყველაზე სარისკო სიტუაციაშიც კი წინ რომ იდგნენ. ორი წელი ისე გაატარა, რომ არ დაჭრილა და, ცხადია, ბოლოს რაღაც უნდა მომხდარიყო: ჩვენ ალყაშემორტყმულები სან-გარში ვსხედვართ. ტყვიის კვამლის გარდა, ჩვენამდე აყროლებული სუნი აღწევს, ნავთობის ან ნავთის. ცეცხლმტყორცნით შეიარაღებული ორი სალდათი აღმოვაჩინეთ. ერთს ზურგს უკან ბაკი აქვს, მეორეს კი ხელში შლანგი უჭირავს, საიდანაც ცეცხლს აფრქვევს. თუ ისე ახლოს მოვლენ, რომ ცეცხლის ნაკადი მოგვწვდება, ჩვენი საქმე დამთავრებულია, რადგან უკანა გზა გადაკეტილია.

ცეცხლი გავუხსენით, მაგრამ ისინი ჩვენკენ მოიწევენ და კატასტროფის პირზე ვიმყოფებით. ბერტინკმა შეამჩნია, რომ მიზანში ვერ ვახვედრებთ, რადგან ცეცხლი მძვინვარებს და თავის ამოყოფის გვეშინია. ამოცოცდა და იდაყვზე დაყრდნობით უმიზნებს. შემდეგ ისვრის, იქვე საპასუხო ტყვიამ გაიზუზუნა და გაჰკრა. მაგრამ მიწაზე გაწოლილი, ისევ სროლას განარძობს. ცოტა ხნით იარაღი დაუშვა და შემდეგ ისევ სროლას შეუდგა. გასროლის ხმა ისმის, ბერტინკი იარაღს ხელს უშვებს და ამბობს: „კარგია!“ და ისევ სანგარში მოცოცავს. უკანა ცეცხლმტყორცნელი დაჭრილია,

ეცემა, მეორეს შლანგი ხელიდან უვარდება, ცეცხლი ირგვლივ იფრქვევა და მოწინააღმდეგე იწვის.

ბერტინკს ტყვია მკერდში მოხვდა. ტყვიის ნამსხვრევებმა ნიკაპი წააცალა. იმავე ნამსხვრევს ძალა შესწევს, ლეერს თეძო გაუფატროს, ლეერი გმინავს, იდაყვებზე დაყრდნობილი იკლაკნება. სისხლისგან მალე იცლება და აღარავის შეუძლია მისი შველა. რამდენიმე წუთის შემდეგ მიწაზე რუმბივით ეცემა.

აღარაფერს აქვს მნიშვნელობა, არც იმას, რომ სკოლაში საუ-კეთესო მათემატიკოსად ითვლებოდა.

* * *

თვეები თვეებს მისდევს. 1918 წლის ზაფხული გამორჩეულად სისხლიანი და მძიმეა.

სილურჯესა და ოქროში ჩაფლული ზაფხულის დღეები სასიკვდილოდ განწირულ წრეს ანგელოზებივით დასტრიალებენ თავს. ყოველმა ჩვენგანმა იცის, რომ ომი წაგებულია, ამაზე ბევრს არ საუბრობენ. მტრის ძლიერ შემოტევას კონტრშეტევით ვეღარ ვპასუხობთ და უკან ვიხევთ. ხალხიც შემოგვეცალა და საომარი მასალაც. მაგრამ საომარი კამპანია მაინც გრძელდება.

ადამიანები კვლავ იხოცებიან...

1918 წლის ზაფხული. არასდროს ყოფილა ჩვენთვის ცხოვრება ასე ძუნწი ფერებით მოხატული და ასე სასურველი, როგორც ახლა. წითელი ყაყაჩოებით გადაპენტილი მიდამო, თბილი საღამოები ნახევრად ბნელ, გრილ ოთახებში. შებინდების ფონზე, შავი საიდუმლოებით მოცული ხეები, ვარსკვლავები და წყლის ხმაური, ხანგრძლივი ძილი და სიზმრისეული ზმანებები....

ო, სიცოცხლე, სიცოცხლე, სიცოცხლე!

1918 წლის ზაფხული. არასდროს აგვიტანია მდუმარედ იმა-ზე მეტი ტანჯვა, რაც წინა ხაზზე გასვლის წამს ავიტანეთ. არ ვიცით, საიდან და რატომ, მაგრამ საფრონტო ქვედანაყოფებში ამაღელვებელი ჭორები გავრცელდა დაზავების და მშვიდობის თაობაზე. ისინი სულს გვიფორიაქებდნენ და წინა ხაზზე გასვლა ისე გვიჭირდა, როგორც არასდროს!

1918 წლის ზაფხული. სანგრის ცხოვრება არასდროს ყოფილა ესოდენ მწარე და საზარელი, როგორც ცეცხლში გატარებული უკანასკნელი საათების განმავლობაში. გაფითრებული სახეები და ნერვიულად, მუჭად შეკრული ხელები, ჭუჭყში ამოსვრილები, განგებას ერთადერთს ევედრებიან: „არა! არა! არა! ოღონდ ახლა არა! ამ უკანასკნელ წამს!“

1918 წლის ზაფხული - იმედის ქარი, რომელიც გადამწვარ მინდვრებზე დაქრის, მოუთმენლობისაგან ატეხილი გიჟური ციებ-ცხელება, გაწბილების გრძნობა,

სიკვდილის მტკივნეული შიში და მტანჯველი კითხვა: რატომ? რატომ არ უჩანს ამას ბოლო? ან საიდან წამოვიდა ჭორები ომის დამთავრების თაობაზე?

* * *

თვითმფრინავები აქ ხშირად დაფრინავენ, თან ცალკეულ ადა-მიანებზე ისე დამაჯერებლად ნადირობენ, როგორც კურდღელზე.

ერთ გერმანულ თვითმფრინავზე, ყველაზე მცირე, ხუთი ინგლისური და ამერიკული თვითმფრინავი მოდის, ერთ დაღლილ და შიმშილით გაძვალტყავებულ გერმანელ სალდათზე - ხუთი ღონიერი და დასვენებული ჯარისკაცი, ერთ პურზე - იმათი ორმოცდაათი ხორცის კონსერვის ქილა. ჩვენ ვერ გაგვტეხეს იმიტომ, რომ იმათზე უკეთესი და უფრო გამოცდილი სალდათები ვართ, მოწინააღმდეგის რიცხვობრივმა უპირატესობამ დაგვახევინა უკან.

რამდენიმე კვირა გადაუღებლად წვიმდა. ნაცრისფერი ცა, ნაცრისფერი ატალახებული მიწა, ნაცრისფერი სიკვდილი. როდესაც გარეთ გავდივართ, ნესტი მაშინვე აღწევს ფარაჯასა და ტანსაცმელში. ასე გრძელდება იმ დროის განმავლობაში, წინა ხაზზე რომ ვიმყოფებით. გაშრობას ვერა და ვერ ვახერხებთ. ვისაც ჯერ კიდევ შერჩა ჩექმები, ქვიშიან თოფრაკებს იხვევენ ზემოთ, რათა თიხიანი წყალი შიგ არ ჩაუვიდეთ. თოფები და მუნდირები ტალახის სქელი ფენით არის დაფარული, ირგვლივ ყველაფერი ტალახის ჟელედ იქცა, მიწა კი - ნესტიან, ფაფისებურ მასად, რომლის ზედაპირზეც ყვითელი ტლაპოებია სისხლის წითელი სპირალებით. მოკლულები, დაჭრილები და ცოცხლები ამ ლაფში არიან ჩაფლულნი.

ცეცხლოვანი შემოტევა არ განელებულა, ნამსხვრევების სეტყვა ნაცრისფერ-ყვითელ არეულობაში დაჭრილების ბავშვურ წივილ-კივილს იწვევს, ღამღამობით კი ადამიანის ნაწამები სხეული განწირულად გმინავს, რათა მალე სამარადისოდ გაჩუმდეს.

ხელები მიწად გვექცა, სხეული - თიხად, თვალები კი - წვიმის გუბეებად. არ ვიცით, კიდევ ცოცხლები თუ ვართ.

ჩვენს ორმოებში მედუზასავით სველი და მხუთავი სიცხე შემოიჭრა და, სწორედ ზაფხულის მიწურულს, ერთ დღეს საველე სამზარეულოსკენ მიმავალ გზაზე, კატი მოულოდნელად დაეცა გულაღმა. ჩვენ მარტონი ვართ. მე ჭრილობას ვუხვევ, როგორც ჩანს, წვივის ძვალი დაემსხვრა, კატი სასოწარკვეთილებაში ვარდება, რომ ძვალში მოხვდა და არა რბილში.

„ზედ დამთავრების წინ, თითქოს ჯინაზე, დამთავრების წინ!“ - გაიძახის ის. მე ვაწყნარებ:

„რა ვიცით, ჩვენი ეს სიგიჟე რამდენ ხანს გაგრძელდება. შენ კი გადარჩი.“

ჭრილობიდან სისხლი თქრიალით მოსდის, მარტო ვერ ვტოვებ, რომ საკაცე მოვიტანო. თანაც არც სამედიცინო პუნქტი მახსენდება აქ, სადმე ახლოს.

მძიმე არაა, ზურგზე მოვიგდე და გადასახვევ პუნქტში მიმყავს. გზას მდუმარედ მივუყვებით. ორჯერ ვისვენებთ, ქურთუკი გავიხსენი. ღრმად ვსუნთქავ, თან ოფლი ღვარად ჩამომდის. გადაყვანისას კატს ტკივილმა უმატა. დაძაბულობისგან სახე შემიშუპდა. მიუხედავად ამისა, კატის ვაჩქარებ, გზა უნდა განვაგრძოთ, რადგან სახიფათო ადგილზე ვიმყოფებით.

„რა ვქნათ, კატ, დავიძრათ?“

„ჰო, ალბათ საჭიროა, პაულ.“

„აბა, წავედით!“

მიწიდან ავაყენე, ჯანმრთელ ფეხზე დგება და ხელით ხეზე ეჭიდება. მე ფრთხილად ვიღებ მის დაჭრილ ფეხს, ერთბაშად წყდება ხეს და ახლა ჯანმრთელი ფეხის მუხლი ამოვიჩარე იღლიაში.

სიარული სულ უფრო გვიჭირს. დროდადრო ჭურვის სტვენა ისმის. მე სიჩქარეს ვუმატებ, რადგან ჭრილობიდან სისხლი მიწაზე წვეთავს. აფეთქებებისგან თავს ვეღარ ვიცავთ, სანამ ვიმალებით, ჭურვი უკვე სკდება. გადავწყვიტეთ, უახლოეს ორმოში დავიცადოთ. ჩემი მათარიდან ჩაის ვასმევ და თითო სიგარეტიც მოვწიეთ.

„ჰო, კატ, - სევდიანად ვამბობ მე, - მაინც გვიწევს ერთმანეთთან განშორება.“

უხმოდ მიყურებს.

„გახსოვს, როგორ ავწაპნეთ ბატი? და როგორ გადამარჩინე იმ დავიდარაბაში? მე ახალწვეული ვიყავი და ის ჭრილობა ჩემთვის პირველი იყო. მაშინ ჯერ კიდევ ვტიროდი. კატ, აზრზე ხარ, იმის მერე უკვე სამი წელი გავიდა.“

კატი თავს მიქნევს.

შიშმა შემიპყრო, კატის ლაზარეთში წასვლა რომ წარმოვიდგინე. მე ხომ მარტო ვრჩები, მეგობრების გარეშე?!

„კატ, აუცილებლად უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, თუ შენს მოსვლამდე მართლაც დაზავდნენ.“

„შენ ფიქრობ, ამ ფეხით ვარგისად ჩამთვლიან?“

„ნელ-ნელა იმკურნალებ. მთავარია, რომ სახსარი მთელია და ნუ გეშინია, ყველაფერი მოგვარდება.“

„ერთი სიგარეტიც მომეცი,“ - მეუბნება ის.

„იქნებ ომის შემდეგ რაიმე საქმეს მოვკიდოთ ხელი.“

საშინელი სევდა შემომაწვა, ვერ წარმომიდგენია, რომ კატი, ჩემი მეგობარი კატი, დახრილი მხრებით და რბილი, თხელი ულვაშებით, კატი, რომელსაც მე ისე ვიცნობ, როგორც არავის, კატი, რომელთანაც ამდენი წელი გავატარე!... წარმოდგენაც კი მიმძიმს, რომ მასთან აღარ მიწერია შეხვედრა.

„მომეცი შენი სახლის მისამართი, მე კი ჩემსას ჩაგიწერ, ყოველი შემთხვევისათვის. ახლავე ჩაგიწერ.“

მისამართიან ქაღალდის ნაგლეჯს გულის ჯიბეში ვუდებ. მარტოობის შეგრძნება მაწამებს, თუმცა ის ჩემ გვერდითაა! ტერფი ხომ არ გავიხვრიტო სასწრაფოდ, სანამ მარტონი ვართ, ერთად რომ დავრჩეთ?

უეცრად კატს ყელში უცნაური ბუყბუყი დაეწყო და სახეზეც მომწვანო ყვითელი ფერი დაედო. მე წამოვხტი, ისევ ზურგზე ავიკიდე, ოღონდ ვუშველო, ვცდილობ, აუჩქარებლად და დინჯად ვირბინო, რომ ფეხი ზედმეტად არ ქანაობდეს.

ყელი გამიშრა, თვალებში წითელი და შავი რგოლები მითამაშებს, მაგრამ მაინც გავრბივარ, კრიჭაშეკრული, დაღლილობაც აღარ მახსოვს. სამედიცინო პუნქტს ვაივაგლახით მივაღწიე. მუხლები მეკეცება, მაგრამ მაინც ვახერხებ, ისე დავეცე, რომ კატი ჯანმრთელ ფეხზე დავაგდო. ცოტა ხნის შემდეგ წამოვდექი, ხელ-ფეხი მიკანკალებს და ჩემს მათარას გაჭირვებით ვპოულობ, რომ თუნდაც ერთი ყლუპი გადავუშვა ყელში. ტუჩები მიკანკალებს, მაგრამ ვიღიმი - კატი ხომ საიმედო ადგილზეა!

ცოტა ხნის შემდეგ არეული ხმების ნაკადიდან ჩემს ყურებში გარკვეული სიტყვები ილექება.

„ამაოდ გაისარჯე,“ - მეუბნება სანიტარი.

ვუყურებ და არაფერი მესმის.

კატზე მითითებს: „მკვდარია.“

ვერ ვხვდები, რაზეა საუბარი. „წვივის ძვალი აქვს დამსხვრეული,“ - ვუხსნი მე.

სანიტარი შეჩერდა: „ეს ჰო.“ მე მოვტრიალდი. თვალები დამიბნელდა, ოფლმა ისევ დამასხა, ქუთუთოებზე ჩამომდის, მოვიწმინდე და კატს გადავხედე. წყნარად წევს. „გულწასულია,“ - ვამბობ სწრაფად.

სანიტარი ჩუმად უსტვენს: „ამის მეტი რა ვიცი. მკვდარია. თუ გინდა, ნიძლავს დავდებ.“

კატს ხელები თბილი აქვს, მხრებში ხელი ვტაცე, რომ ჩაით დავზილო. უცებ თითებში სისველე ვიგრძენი. კეფის ქვემოდან ხელი გამოვიღე და დავინახე, რომ სისხლიანი

მაქვს. სანიტარმა ისევ ატეხა ჩუმი სტვენა: „რა გითხარი, ხომ ხედავ?“ გზაში კატს ნამსხვრევი ისე მოხვდა თავში, რომ ვერ შევამჩნიე. ნახვრეტი პაწაწინაა, ეტყობა, ტყვიის ნამსხვრევი მოხვდა, გაურკვეველი ადგილიდან შემოფრენილი. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა. კატი მკვდარია. ფეხზე ნელა, ძლივს ვდგები.

„წაიღებ მის ჯარისკაცის წიგნაკს და ნივთებს?“ - მეკითხება სანიტარი. თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ. გადმომცა. სანიტარი გაკვირვებულია:

„ნათესავები ხომ არ ხართ?“

„არა ნათესავები არ ვართ, არ ვართ ნათესავები.“...

ეს რა არის? ნუთუ მივდივარ და ჩემს ფეხებს კიდევ სიარული შეუძლიათ? მაღლა ავიხედე, მზერა გარშემო შემოვატარე და წრე შემოვხაზე, წრე კიდევ ერთხელ შემოვხაზე და გავჩერდი. ყველაფერი ძველებურადაა. მხოლოდ რიგითი ჯარისკაცი სტანისლავ კაჩინსკი აღარ არის ცოცხალი.

შემდეგ აღარაფერი მახსოვს.

12

შემოდგომაა. ძველი შემადგენლობიდან თითქმის არავინ შემორჩა. მე უკანასკნელი ვარ ჩვენი კლასის შვიდეულიდან.

დაუსრულებლად ლაპარაკობენ მშვიდობასა და ზავზე. ყველა ელოდება. თუ იმედები ისევ არ გამართლდა, ხალხი გაწბილებული და სულიერად გატეხილი დარჩება. მაგრამ იმედმა მყარად გაიდგა ფესვები, ასე ადვილად ვერ ამოძირკვავ, მხოლოდ აფეთქება თუ მოერევა. თუ მშვიდობა არ გაიმარჯვებს, რევოლუცია დაიწყება.

თოთხმეტი დღე ვისვენებ, რადგან გაზით ვარ მოწამლული. მთელი დღე პატარა ბაღში მზეზე ვზივარ. უკვე მჯერა, დაზავება მალე მოხდება და სახლებში გავემგზავრებით. აქ ჩემი აზრები წყდება და ადგილიდან ვეღარ ვძრავ. მთავარი, რაც ზეძალით მიზიდავს და მელოდება, გრძნობებია. ეს სიცოცხლის წყურვილია, მშობლიურის განცდასთან დაკავშირებული სისხლის ყივილი, გადარჩენის გამაბრუებელი გრძნობა.

მაგრამ არ არსებობს მიზანი. ის თითქოს ჩაკლეს ჩვენში. 1916-ში რომ დავბრუნებულიყავით, განცდილი ტკივილის ძალა ქარიშხალს ატეხავდა, ახლა კი დაღლილები, დაცლილები, გამომწვრები, ძირგამოცლილები და უიმედოები ვართ. ჩვენს ადგილს ნამდვილად ვეღარ ვიპოვით და ვერც ვერავინ გაგვიგებს. წინა თაობას კი, რომელმაც ჩვენთან ერთად გადაიტანა ომი, უკვე გააჩნდა პროფესია და ოჯახური

კერა. ის ძველებურად დაიკავებს საზოგადოებაში თავის ადგილს და ომს დაივიწყებს. მათ შემდეგ ახალი თაობა წამოვა, დაახლოებით ისეთი, როგორიც ჩვენ ვიყავით. მისთვის ჩვენ უცხონი ვიქნებით და ამიტომაც ის გაგვრიყავს და გზიდან მოგვიშორებს. საკუთარი თავისთვისაც ზედმეტნი ვართ, ასე ვიცხოვრებთ და დავბერდებით. ზოგიერთი ბედს დანებდება ან როგორღაც შეგუებას შეეცდება, უმეტესობა კი დაბნეული და განდეგილი შეხვდება სიბერეს. დრო ხელში ჩვეულებრივ შემოგვადნება და სიცოცხლეც დასრულდება.

რასაც ახლა ვფიქრობ, იქნებ სევდამ და სულიერმა ბორგვამ შთამაგონა. შეიძლება ეს ყველაფერი ერთ დღეს მტვერივით დაიფანტოს, როდესაც ალვების ქვეშ ჩამოვჯდები და ფოთლების შრიალს მივუგდებ ყურს. უკვალოდ გაქრება ალბათ სიცოცხლის სითბო, რომელიც სისხლს გვიმღვრევდა, კვლავ კარს მოგვადგა მომავლის ათასი სახე, იდუმალი და გამაოგნებელი, სიზმრისეული ზმანებების და წიგნების მელოდია და ქალთან სიახლოვის დამათრობელი განცდა. ომის ქარცეცხლი, ჯოჯოხეთური წამება სასოწარკვეთილებისაგან და პოლკის ბორდელები არაფერია ამასთან შედარებით.

ხეები აქ ათასი ფერით და ოქროთი ანათებენ. ცირცვლის კენკრა გადაწითლებულ ფოთლებში კიაფობს და სოფლის გზები თეთრად მიექანებიან ჰორიზონტისაკენ.

სამხედრო სასადილოებში, როგორც ფუტკრის სკებში, ზუზუნი და მოახლოებულ მშვიდობაზე გაუთავებელი მიეთმოეთი ისმის.

ვდგები. ძალიან მშვიდად ვარ. მომავალი წლები და თვეები ვეღარაფერს წამართმევენ, რამეთუ აღარაფერი მაქვს წასართმევი. აღარც მოლოდინი მაქვს რაიმესი, მარტოდმარტო შემოვრჩი ამ ქვეყანას. სიცოცხლე, რომლითაც ამდენი წელი ვიცხოვრე, ჯერ კიდევ ჩემს თვალებსა და ხელებშია. დავძლიე კი, რაც გადავიტანე?! ეს ნამდვილად არ ვიცი. მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, ცხოვრება თვითონ გაიკვლევს გზას, მიუხედავად იმისა, მოისურვებს თუ არა ჩემს სხეულში ჩაბუდებული ე.წ. „მე“.

* * *

ის 1918 წლის ოქტომბრის ერთ დღეს დაეცა, როდესაც ფრონტზე სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა. ცნობა ფრონტიდან მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლა: „დასავლეთის ფრონტი უცვლელია.“

მიწაზე სახით დაეცა და მძინარესავით იწვა. როცა გადმოატრიალეს, დაინახეს, რომ დიდხანს არ უწვალია. სახეზე მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა და თითქოს კმაყოფილიც კი იყო ამგვარი დასასრულით.

fb.com/groups/elib

[1] ომი დიდი უბედურებაა - საწყალი ბიჭები.